# მზა

კვირის პალიტრა

N16 (254) 21/IV.-27/IV.2005. ფასი 60 თ.

**თემა — მხოლოდ შენი ერთგული**

1168
2005

გვ. 42

## მაფია

— ჩვენს ვარაუდებზე არავის ესაუბრო, ციხე ნასედკებითაა სავსე...
— ბატონო შალვა, თუ მობილური თან გაქვთ, დამარეკვინეთ ეკასთან...

დაპატიმრებულ ცნობილ ჟურნალისტს შეყვარებულის იმედი აქვს



გზავნილები: „ჩემო იმპოტენტო, ისევე გაგმართლებოდეს ყველაფერში, როგორც ამ ექსპერიმენტში..."

**ნამდვილი ამბავი: კარადაში დამალული სიურპრიზი... პატრულის თანხლებით**



„სტერვები" პირდაპირ ეთერში

„ხალხს „პადხალიმური" გადაცემები მოჰბეზრდა..."



ბედი კაცისა სანდრო თედიაშვილი

კანონიერი ქურდი ცირკის მასხარად იქცა...

# სიახლე!

## მხიარული „ატრაქციონი"
## თქვენი პატარებისთვის




## ყველაზე საბავშვო ჟურნალი

№16 (254)
21 - 27 აპრილი
2005
ფასი 60 თეთრი

**მინიატურები**
ახალი ქართული „მარიაჟი“ ანუ პრესტიჟული ნომრები პრესტიჟული ადამიანებისთვის 3
**ერთი კითხვა** 4
**პოლიტიკა**
„შეგიძლიათ, მისწეროთ პრეზიდენტს, რომ გინდათ ცესკოს წევრობა...“ 5
**კარიერა**
ერთადერთი ქართველი CNN-ში 6
**სასიძო**
„...უფრო მესიამოვნებოდა, რომ ეთქვა – ცოლს გავცილდები და ახალს მოვიყვანო“ 8
**ეკრანი**
„სტერვები პირდაპირ ეთერში ანუ „ხალხს „პაღხალიმური“ გადაცემები მოჰბეზრდა...“ 9
**სცენა**
ნინაკა გელაშვილი საყვარელ ადამიანს ერთი საათითაც ვერ შორდება 10
**დირექტორი**
გაალ სამადაშვილი: „დერეფნებში მკაცრი, მოღუშული სახით სიარული ჩემი სტილი არ არის...“ 12
**კრიმინალი**
- „არც ერთი ძმის მოკვლა არ მინდოდა“ 14
- ყაჩაღებმა ცოლ-ქმარს თავში აგური ურტყეს 15
- „მეზობელმა ჩემი და ჩემი მცირეწლოვანი შვილის გაუპატიურება სცადა“ 16

**ბედი კაცისა**
გიმელი, მომღერალი, ჯამბაზი ანუ 92-წლიანი გზა ამ ცოდვილ მიწაზე 17
**შეამოწმეთ თქვენი ცოდნა**
ტესტი ერუდიციაზე 19
**გზავნილები**
„ვიცი, რომ იტანჯები და ჯობს, გამოამჟღავნო...“ 20
**ოჯახი**
მერაბ გეგეჭკორის სიდედრი მსახიობების „სამცოლიანობას“ შეუშინებია 24
**ტესტი**
ერთგული მკითხველი 25
**სახე**
სექსუალური იმიჯის მქონე ნინო ორდენიძე მაყურებლებს „ბომბა“ სიურპრიზს უმზადებს 26
**თემა**
მხოლოდ შენი ერთგული... 28

## მხოლოდ შენი ერთგული...



რას ფიქრობენ ფსიქოლოგები თავგანწირული სიყვარულის შესახებ? რით გამოირჩევიან მამაკაცები, რომლებსაც შეუძლიათ, მთელი ცხოვრება ერთ ქალს მიუძღვნან? რა ასაზრდოებს სიყვარულს, როცა სიყვარულის ობიექტი ამქვეყნად აღარ არის?

28

## „სტერვები“ პირდაპირ ეთერში

„თითქმის ყველა მოწვეული სტუმარი იძაბება ხოლმე, ისეთ რაღაცებს ვეკითხებით...

მაყურებელი ორად არის გაყოფილი: ერთ ნაწილს ჩვენი გადაცემა ძალიან მოსწონს, მეორე ნაწილს კი – ძალიან არ მოსწონს, შუალედური დამოკიდებულება არავის აქვს. ვფიქრობ, ეს ძალზე კარგია.“

9



## გიმელი, მომღერალი, ჯამბაზი ანუ 92-წლიანი გზა ამ ცოდვილ მიწაზე



„ჩვენი ჯგუფი რუსეთის სხვადასხვა ქალაქში „ტორგსინებს“ (ოქროთი მოვაჭრე მაღაზიები) ძარცვავდა. საქართველოში არ „ვმოღვაწეობდით“. სულ „გასტროლებზე“ ვიყავით. ქურდული სამყაროს „დედაქალაქი“, როსტოვი იყო. იქ საკმაოდ კარგი ავტორიტეტით ვსარგებლობდი...“

17

## ნინო ორდენიძე მაყურებლებს „ბომბა“ სიურპრიზს უმზადებს

„ქმრებს არ მოსწონთ, რომ ცოლები გაშიშვლდნენ. თუ მოდელს ეუხერხულება ბიკინიში სურათის გადაღება, მაშინ სხვა პროფესია უნდა აირჩიოს...

მე იმას არ ვამბობ, რომ სულ გავიხადოთ და ასე გავხდეთ ევროპელები – უბრალოდ, უფრო მეტად პროფესიონალები უნდა ვიყოთ...“

26



**ნამდვილი ამბავი**
სიურპრიზი საყვარელი მეუღლისთვის!.. 31

**საკითხავი ქალებისთვის**
რა სასარგებლო თვისებებით ხასიათდება ჭინჭარი 32

**ჯანმრთელობა**
ჭორფლი – გაზაფხულის პრობლემა 34

**დღესასწაული**
ბზობა 36

**დიდმარხვა**
ვნების შვიდეული 36

**შთამომავლობა**
„...დაგჩერებოდი შენ მძინარეს, მაგრამ თავის მოკვლა უკვე გადაწყვეტილი მქონდა...“ 37

**ლეგიონერი**
ქართველი ფეხბურთელი გლაზგოს ღამის კლუბების ხშირი სტუმარია 40

**რომანი**
მიხეილ იაშვილი. მაქცია (გაგრძელება) 42

**ფავორიტები**
როი კინი – ანუ უბრალოდ, კინო 46

**ჩემი თაობა**
სოფლელი ბიჭის თბილისური ოინები, აკაკი ვასაძის ჯიბის მადლი და „იძულებითი“ ქეიფი სესილიასთან 48

**ვარსკვლავი**
ემანუელს რეჟისორები მხოლოდ „ვნების ობიექტად“ წარმოაჩენენ 50

**ბომონდი** 51

**ავტო** 54

**სახელოსნო**
რას აჩვევენ ხალხს თბილისელი დიზაინერები და რა იქნება მოდაში გაზაფხული-ზაფხულის სეზონში 55

**ანტიდეპრესანტი**
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 56

**ჩაკრები**
ადამიანი ენერგიას ჩაკრების საშუალებით იღებს 58

**ჰოროსკოპი**
კვირის (21-27 აპრილი) ასტროლოგიური პროგნოზი 60

**სკანვორდი** 61

**იუმორი** 62

**ტესტი**
რამდენად მშვიდი ფსიქიკა გაქვთ? 63

**კალეიდოსკოპი**
ჭრელ-ჭრელი ამბები 64


გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი


საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“


## აკაკი ვასაძის ჯიბის მადლი და „იძულებითი“ ქეიფი სესილიასთან



„მეზობელი სოფლელი გოგო თუ შეგვიყვარდებოდა, იმ სოფელზე რამდენჯერმე ავივლიდით და ჩავივლიდით ხოლმე. ეს გმირულ საქციელად ითვლებოდა... გოგოს მუხლისთავი რომ დაგვენახა, თვალებს ვხუჭავდით და მთელი ღამე ვოცნებობდით. დღეს კი, გახდილები დადიან, საოცნებოსაც აღარაფერს უტოვებენ მამაკაცებს...“

48

## ემანუელს რეჟისორები მხოლოდ „ვნების ობიექტად“ წარმოაჩენენ

ფოტორეპორტიორები სენიეს ხშირი სტუმრები არიან. ემანუელი ხან შადრევანთან პოზირებს, ხან – ბაღის კიბეზე. ფოტოგრაფები მისგან მუდამ დაჟინებით მოითხოვენ მკერდის გაშიშვლებას: „კიდევ! ცოტა კიდევ!..“



50

## ქართველი ფეხბურთელი გლაზგოს ღამის კლუბების ხშირი სტუმარია





...გასაკვირი არ არის, რომ ზურა საბერძნეთის ნაკრებთან ასპარეზობისას, ჩვეულებისამებრ ვერ გამოიყურებოდა. როგორც გახსოვთ, ბერძნებთან იმ ავადსახსენებელ მატჩში, ყვითელი ბარათი მიიღო და თურქებთან თამაშში მინდორზე საერთოდ არ გამოსულა. მეტიც... მან გლაზგოს მიაშურა. ხიზანიშვილს გამგზავრებამდე ვესაუბრეთ.

40

## მაქცია

*მიხეილ იაშვილი*

– დასაწერად არ გეუბნები, ამბობენ, ერთი ძალიან დიდი შიშკააო, თბილისელი... იცი რა? – მუსა მოულოდნელად შეჩერდა. – მოდი, ნუ მთხოვ, რომ შარში გაგხვიო. რად გინდა ცეცხლთან თამაში? წერე სპორტზე, თეატრზე და სახიფათო თემებს შეეშვი. ჯერ ხომ გვარის გამგრძელებელიც არ გყავს...



42

# ახალი ქართული „მარიაჟი"

## ანუ პრესტიჟული ნომრები პრესტიჟული ადამიანებისათვის



დღიდან მოსვლისა, რას არ აკეთებს ჩვენი მთავრობა, რომ დასავლეთს ფეხი აუწყოს და თავი მოაწონოს – მეც თქვენი ტოლი და სწორი ვარო. მაგრამ ახლა მგონი, უფრო დიდი მოთხოვნა გაუჩნდა, ამიტომ ტაქ-ტიკა შეცვალა და პირდაპირ ამერიკას ეზმანება.

მართალიცაა: რა ევროსაბჭო და რის ეუთო, როცა ამერიკას კონკურსი აქვს გამოცხადებული 51-ე შტატის მიღებაზე. აბა, რით ავხსნათ ახალი კანონი პრესტიჟული ნომრების შესახებ? თუ ვიღაც კალი-ფორნიის გუბერნატორს უწერია თავის მანქანის ნომერზე „ტერმინატორი" და მაიკლ დუგლასს ცოლის პატივსაცემად – „კეტრინ ზეტა-ჯონსი", ჩვენ რა-ტომ უნდა ჩამოვრჩეთ?! ჰოდა, ჩვენც „გამოვაცხვეთ" ახალი კანონი: გადაიხდი სულ რაღაც 50.000 ლარს და საკუთარი მანქანის ნომერზე დაწერ შენს სახ-ელს, გვარს ან ნებისმიერ სასურველ სიტყვას. მარ-თალია, ჩვენი მსახიობები „კექსი დიდ ქალაქში" და „წვრილვარსკვლავთა ღამეში" მიღებული ჰონორა-რებით ამდენს ვერ გაქაჩავენ, მაგრამ პოლიტიკოსებ-ისთვის ზედგამოჭრილი კანონია.

ეს იმდენად კარგი გადაწყვეტილებაა, რომ ორი კურდღლის ერთად დაჭერას ნიშნავს. ერთი ის, რომ ბიუჯეტი გაიზრდება და მეორეც: უბრალოდ, ადამი-ანს რომ გემივით მანქანა ჩაუ-ქროლებს ქუჩაში და ტალახით გაწუწავს, ხომ უნდა იცოდეს იმ კაცმა, ვის უთხრას „მადლობა" გაგრილებისთვის?! ახლა შეხედავ ნომერს და ყველაფერს მიხვდები: თუ ნომერზე აწერია „აგენტი-007" ე.ი. შს მინისტრის მანქანაა; თუ ნომრის სერიაა „ბნელი და უკუ-ნი", ცხადია, ენერგეტიკის მინის-ტრი მიდის ფიზიკის მასწავლე-ბლთან „ფაზა-ნოლის" გასარჩევად და ა.შ. თუმცა, დამაბნეველი ვარი-ანტებიცაა მოსალოდნელი: თუ ნომერს „კობა დავითაშვილი" აწერია, ეს უდავოდ, ზვიად ძიძიგურის მანქანაა და პირიქით...




ეს რეფორმატორული კანონი იმპროვიზაციასაც ითვალისწინებს და ხალხს შეუძლია, სხვა რამეებ-საც შეუცვალოს სახელი. მაგალითად, თუ გლდანის მოსახლეობა ნახევარ მილიონ ლარს შეკრებს და ბიუჯეტში შეიტანს, შეეძლება უბანსაც შეუცვალოს ეს სამარცხვინო სახელი – „გლდანი" და დაარქვას „დამწვარი „პაკრიშკების" მასივი"; მათ არც სხვა განწირული უბნები ჩამორჩებიან: „ვარკეთილის დასახ-ლებას" დაარქმევენ „ვარსაცოდავის გადასახლებას"; თემქას დაერქმევა „სომალი", მუხიანს – „სპილოს ძვლის ნაპირი" და ა.შ.

თუ ამას ყველაფერს 10 მაისამდე მოვასწრებთ, ჩამოვა ჩვენი დიდი „მამა და მარჩენალი" და ისე მოიხიბლება, რომ მართლა გვიშ-ვილებს 51-ე შტატად. მერე რა, რომ უკვე აქვს ჯორჯიის შტატი?! რავა, თუ რადიოები არსებობს „ფორტუნა" და ფორტუნა+", ან გაზეთები „რეკლამა" და „რეკ-ლამა+", რატომ არ შეიძლება, ჩვენც დავირქვათ „ჯორ-ჯია+"?!

სამწუხაროდ, მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ აფასებს ამას და გაიძახის, – რა გვემარიაჟება, როცა იმ უბნებში, სადაც ბუში არ გაივლის, არც შუქი გვაქვს და გზებიც ისევ დანგრეულიაო... მაგრამ გი-პასუხებთ: ახლა დილის 5 საათიდან ღამის 10 საათა-მდე დღეა და შუქი საერთოდ აღარ გვჭირდება. ხოლო რაც შეეხება ორმოებს, შეგნებულად არ ამოგვივსო მთავრობამ, რომ კერძო ბიზნესი განვავითაროთ და ტურისტებიც მოვიზიდოთ: ხომ იცით, როგორი ზაფხ-ული იცის თბილისში? საღამოს მოწვიმს და დილით კაშკაშა მზე ამოდის. ჰოდა, ის წვიმა ორმოებს წყლით ამოგვივსებს, ღამით ეს წყალი დაიწმინდება და დილ-ით უკვე საკუთარი ტბა გაქვს ჭიშკართან. შეაცურე ერთი-ორი ბარი და რესტორანი, დაასვე ნაპირზე ქოლგე-ბი, გაშალე დახლი ნაყინითა და სასმელებით და ატრიალე ბიზნესი...

ასე რომ, წუწუნს სჯობია, დროზე დაასუფთავოთ საკუთარი „პლაჟები" და დატკბეთ აშშ-ის 51-ე შტატის მოქალაქეობით...

***P.S.*** *შვილი დედას:*

*– დედა, ბიჭები ტბაზე მიდიან საცურაოდ და წავყვები, რა!..*

*– რომელ ტბაზე მიდიხართ?*

*– თალიკოს ჭიშკართან.*

*– თალიკოს ტბა ღრმაა და ამბობენ, ზვიგენიც ჰყავსო. სახლში დაეტიე! ბეჭებამდე შენი ტბაც გწვდება და ყვინთვასა და ნიჟარების ძებნას კი თავი დაანებე!..*

*პროვოკატორი*

## ღია ფერების „მუქი“ კრიტიკა

**— ქალაქის „კოსმეტიკურ რემონტს“, ფართო საზოგადოების მხრიდან მწვავე კრიტიკა მოჰყვა. თქვენ თუ მოგწონთ ქალაქის ახალი იერსახე და ვისი გადაწყვეტილებით შეირჩა ფერთა ასეთი პალიტრა?**

**თემურ ქურხული,** *თბილისის პრემიერი:*

— თითოეულ შენობაზე რა ფერი უნდა დაისვას, ამას ვერც ქალაქის მერი და ვერც პრემიერი ვერ გადაწყვეტენ. მერიაში ფუნქციონირებს არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურები, ასევე ცალკეული ჯგუფები, რომლებიც აღნიშნულ სამუშაოს ორგანიზებას უწევენ. პირადად ჩემთვის, მხიარული, ნათელი ფერები მისაღებია, თუმცა, ცალკეული შენობები შეიძლება, ჩემშიც უკმაყოფილების განცდას იწვევდეს. ჩემი აზრით, მთავარი მაინც ის არის, რომ ბათქაშჩამოყრილი, ჩამუქებული შენობების ნაცვლად, კოსმეტიკურად შელამაზებულ კორპუსებს მივიღებთ. თუ დროთა განმავლობაში გამოჩნდება, რომ საზოგადოება ქალაქის ახალ იერსახეს და ფერთა პალიტრას ვერ შეეგუა, არც გადაღებვა იქნება დიდი პრობლემა. ბოლო დროს, ამ საკითხთან დაკავშირებით ისეთი სერიოზული კრიტიკა და პოლემიკა გაიმართა, შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს გამოუსწორებელ შეცდომას ვუშვებთ. როგორც ამბობენ, გემოვნებაზე არ დაობენ, სიახლის შემოტანა — თუნდაც, მხიარული, ხალისიანი ფერებით, — დანაშაული ნამდვილად არ არის. ვერც იმ ადამიანების მოსაზრებას დავეთანხმები, რომლებიც აცხადებენ — უმჯობესია, ბუშს დანგრეული შენობებით დავხვდეთ, ასე უფრო მეტად დაგვეხმარებაო. თუკი ბიუჯეტი იძლევა საშუალებას, მასპინძლის როლი უნდა გავითავისოთ. თუმცა, ერთი რამ ფაქტია: ძველი თბილისის იერსახე უნდა შევინარჩუნოთ. ■

## ახლა ქართველები გაჯიუტდნენ



**— რუსეთის მთავრობის სპეციალური დელეგაციის ვიზიტის შემდეგ, მოსკოვში აცხადებენ, რომ სამხედრო ბაზების გაყვანაზე მსჯელობისას, საქართველო დამატებით პირობებს აყენებს და შეთანხმების მიღწევა ვერ ხერხდება, თბილისში კი, ახალქალაქისა და ბათუმის ბაზების ბლოკირებით იმუქრებიან. თქვენი აზრით, რამდენად დროულია ეს აქცია?**

**რამაზ კლიმიაშვილი,** *პოლიტოლოგი:*

— არ გამორიცხავ, რომ რუსეთს ბაზებთან დაკავშირებული შეთანხმების მიღწევა ამ ეტაპზე, ყველაზე მეტად აძლევდა ხელს, რადგან ცხადია, რომ ბუში მათ სტამბოლის შეთანხმების შეუსრულებლობის გამო მკაცრად გააკრიტიკებს. ეს მშვენივრად იცის ქართულმა მხარემაც და თუნდაც, ამის გამო, დათმობაზე წასვლას საჭიროდ არ თვლის. მაგრამ ადრე თუ გვიან, კომპრომისული ვარიანტის მიღება გარდაუვალია. დიპლომატია არ ცნობს შეთანხმების იმ ფორმას, როცა მხოლოდ ერთი მხარე მიდის დათმობაზე. თუ ჩვენ ერთ წელიწადში გვინდა ბაზების გაყვანა, რუსები კი 3 წელს ითხოვენ, მაშინ მოლაპარაკებები უნდა დაიწყოს შუალედურ ვარიანტზე — ამას ჰქვია ცივილიზებული კომპრომისი. რუსეთი წლების განმავლობაში გვთავაზობდა შეთანხმების ისეთ პირობებს, რომელზეც არც ერთი ქვეყნის ხელისუფლება არ წავა. ახლა მათ შემხვედრი ნაბიჯების გადმოდგმის სურვილი დაეტყოთ (ობიექტური მიზეზების გამო), ამიტომ ჯიუტობა მეორე პლანზე უნდა გადავწიოთ. რაც შეეხება ბაზების ბლოკირებას — ბუშის ვიზიტამდე, ამის გაკეთება მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას. ამ ეტაპზე, საქართველოსთვის აშშ-ის ფაქტორის გამოყენება ძალზე მნიშვნელოვანია. ■

## „გარეშე ძალები სააკაშვილის ალტერნატივაზე ჩამოდიან ფსონს“

**— საქართველოს პრეზიდენტი არ გამორიცხავს, რომ უახლოეს თვეებში, გარეშე ძალები პოლიტიკური პარტიების დაფინანსებას მიჰყოფენ ხელს, რაც, სააკაშვილის აზრით, ქვეყნის იმიჯის შესალახადაა გამიზნული, ექსპერტების აზრით კი, დასავლეთი ახალ პოლიტიკურ ლიდერს ეძებს...**

**სოსო ცინცაძე,** *პრეზიდენტის მრჩეველთა საბჭოს წევრი:*

— მე პრეზიდენტის ამ განცხადებას და ჯორჯ ბუშის მომავალ ვიზიტს ერთმანეთთან დავაკავშირებ. აშშ-ის პრეზიდენტის თბილისში ჩამოსვლა, საქართველოს უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, რაც ჩვენი ქვეყნის ევროპულ სტრუქტურებსა და ნატოში ინტეგრაციას შეუქცევადს გახდის. ამ ფონზე, გარეშე ძალების, უცხო ქვეყნის დაზვერვის გააქტიურება ბუნებრივია. გააქტიურება პირველ რიგში, პოლიტიკური ძალების დაფინანსებაში გამოიხატება. მათი მხრიდან აქცენტი გაკეთდება იმ პარტიებზე, რომელთა ლიდერებიც დღევანდელი ხელისუფლების ალტერნატივად მოიაზრებიან. ასეთ შემთხვევაში, ფსონი დაიდება არა ძველ, რეტროგრად, სახელგატეხილ პოლიტიკოსებზე, არამედ იმ პარტიაზე, რომელიც საზოგადოებაში მეტ-ნაკლებად რეიტინგული იქნება. შესაძლებელია, ასეთი პარტია ჯერ ჩამოყალიბებული არც არის და უახლოეს პერიოდში გამოვიდეს პოლიტიკურ ასპარეზზე. ამ ეტაპზე, მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ სააკაშვილს დასავლეთის ღია მხარდაჭერა აქვს. საქართველომ პროდასავლური ორიენტაცია აირჩია და გარეშე ძალების ალტერნატიული კანდიდატურებით ამ პროცესის შეჩერება არ უნდა მოხდეს. ■



მოამზადა ხათუნა მაღრაძემ

## „მითხრან და გადავდგები“...

— კულუარული ინფორმაციით, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის პოსტს უახლოეს პერიოდში, სააკაშვილის თანაგუნდელი, დეპუტატი ნაზი არონია დაიკავებს...

**ელენე თევდორაძე,** *ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე:*



— ამ ინფორმაციამ ჩემს ყურამდეც მოაღწია. თანამდებობის დაკარგვა დიდად არ მაშინებს, მაგრამ ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, უმრავლესობის ლიდერთან, ქალბატონ მაია ნადირაძესთან მაინც მქონდა საუბარი. მან განაცხადა, რომ ასეთი ცვლილება მოსალოდნელი არ არის. მე მხოლოდ მისი სიტყვების გამეორება შემიძლია. თუმცა, როგორც ამბობენ, უცეცხლოდ კვამლი არ არსებობს. შესაძლებელია, ამ თემაზე გარკვეულ წრეებში საუბარი მიმდინარეობს და კონკრეტულ პირებს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარედ ნაზი არონიას კანდიდატურაც მოსწონთ. უბრალოდ არ მესმის, რა საჭიროა იდუმალი გეგმების განსახორციელებლად დაფარულად მოქმედება. თუ თავმჯდომარის პოსტიდან ჩემი წასვლა უნდათ, ხმამაღლა მითხრან და პრობლემის გარეშე გადავდგები. მე მიყვარს ჩემი საქმე და ამ მიმართულებით მუშაობას ნებისმიერი სტატუსით გავაგრძელებ. თუმცა, არ გამოვრიცხავ ეს მხოლოდ რიგითი ჭორია. ერთხელ უკვე იყო შემთხვევა, რომ მე ასეთ ჭორებს ვერ გავუძელი და კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი დავტოვე. ■

# „შეგიძლიათ, მისწეროთ პრეზიდენტს, რომ გინდათ ცესკოს წევრობა...“

**ცესკოს დაკომპლექტების ახალი წესის დამტკიცებამდე, საპარლამენტო ოპოზიციამ კონსენსუსის მიღწევა შეძლო და ერთიანი ძალებით დაუპირისპირდა სახელისუფლებო პარტიის იმ მოდელს, რომლის შესაბამისად, პრეზიდენტმა უნდა შეარჩიოს და პარლამენტმა — დაამტკიცოს საარჩევნო ადმინისტრაციის წევრები. „პოზიცია“ და ოპოზიცია ერთხმად აცხადებენ, რომ ცესკო პარტიული ნიშნით აღარ დაკომპლექტება, მაგრამ რა პრინციპით შეირჩევა საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობა, რომლის მიმართაც თითოეული პარტია ნდობით იქნება განმსჭვალული, ჯერჯერობით, მაინც გაურკვეველია.**

*ხათუნა მაღრაძე*

**დავით გამყრელიძე,** *„მემარჯვენე ოპოზიცია“:*

— ჩემთვის გაუგებარია, რა ემართებათ ადამიანებს, როდესაც ისინი ოპოზიციიდან ხელისუფლებაში გადადიან. დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები, როდესაც ოპოზიციაში იყვნენ, მოსახლეობას არწმუნებდნენ, რომ ობიექტური, სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად აუცილებელია, პარიტეტული პრინციპით დაკომპლექტებული საარჩევნო კომისიის არსებობა; დღეს, უმრავლესობის წევრები აცხადებენ — თუ პარტიები წარმოადგენენ თავიანთ კანდიდატურებს, ისინი, რასაც უნდათ, იმას გააკეთებინებენ საკუთარ „პროტეჟეებსო“. მინდა დავსვა კითხვა: პრეზიდენტი რომ დააკომპლექტებს ცესკოს, ის აღარ მოსთხოვს თავის დანიშნულ კადრს მისი სურვილების შესაბამისად მოქმედებას?.. მით უმეტეს, რომ სააკაშვილი პარტიის ლიდერი და ამ პარტიის ინტერესების დამცველია.

— **ხელისუფლების მიერ წარმოდგენილ ვარიანტში, ცესკოს წევრი, პარტიული არ უნდა იყოს და წარმომდგენს მისი უკან გამოწვევის უფლება არ უნდა ჰქონდეს. გარდა ამისა, მას ენიშნება მაღალი ხელფასი. დამოუკიდებლობისთვის ეს საკმარისი არ იქნება?**

— ეს პრინციპები ოპოზიციის მიერ წარმოდგენილ ვარიანტში დაცულია, მაგრამ არჩევნების დროს, მთავარია, ამ პროცესში მონაწილე ყველა სუბიექტი ენდობოდეს „მთავარ არბიტრს“ — სხვა შემთხვევაში, თავიდანვე ტენდენციურად ვიქნებით განწყობილი და დაიწყება ხმაური, შესაძლო გაყალბების გამო. მით უმეტეს, რომ ეს ხელისუფლება გაყალბების დიდოსტატია.

— **ალბათ, საგანგებოდ უნდა შევეხოთ, ცესკოს წევრების პრეზიდენტისეულ შერჩევის პრინციპს, რადგან ფაქტობრივად, არ არის გათვალისწინებული რაიმე კონკურსის წესი.**

— ეს მართლაც, საგულისხმო დეტალია. შეგიძლიათ, მისწეროთ პრეზიდენტს, რომ გინდათ ცესკოს წევრობა; როცა სააკაშვილს ასობით ასეთი მსურველის სიას შეუტანენ, ის დაჯდება და კონკურსის გარეშე, მხოლოდ გვარების ფონეტიკური ჟღერადობის მიხედვით აირჩევს კანდიდატურებს, გადასცემს პარლამენტს დასამტკიცებლად და უმრავლესობაც, „ობიექტური“ პრინციპების დაცვით, გადაწყვეტს ცესკოს 6 წევრის ვინაობას... რა გგონიათ — ეს „შემთხვევით“ არჩეული ადამიანი ვისი ინტერესების დამცველი იქნება?..

— **იგივე კითხვა შეიძლება, დაისვას ოპოზიციის მიერ შერჩეულ კანდიდატურებთან დაკავშირებითაც...**

— პარტიამ უნდა შეარჩიოს მაქსიმალურად ობიექტური ადამიანი, რომელიც ეცდება, ნებისმიერ სიტუაციაში, მაშინაც კი, როცა პარტია კანდიდატის დამტკიცების შემდეგ დაკარგავს მასზე გავლენას (რადგან არ ექნება მისი უკან გამოწვევის უფლება), თავის მორალურ პრინციპებს უფრო მაღლა დააყენებს, ვიდრე რაიმე სახის კონიუნქტურას.

— **ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ამ მოდელის დამტკიცების შემთხვევაში, არჩევნები პოლიტიკური ვაჭრობის საგნად გადაიქცევა.**

— ოპოზიციურ პარტიებს შორის ასეთი ვაჭრობა გამორიცხულია, რადგან ეს პარტიები იბრძვიან იმ ხმებისთვის, რომლებიც ხელისუფლებისგან არის თავისუფალი. ხელისუფლებას ყოველთვის აქვს საკუთარი რესურსი, რომელიც ოპოზიციისთვის ხელშეუხებელია. ჩვენ ვიბრძვით ამ რესურსის მიღმა დარჩენილი ხმებისთვის და თითოეული ოპოზიციური პარტია ერთიმეორის კონკურენტია, ამიტომ, ვთქვათ, „ახლები“ და „ლეიბორისტები“ ერთმანეთთან გარიგებაში არ შევლენ, ჩვენ საკუთარი ხმებისთვის უნდა ვიბრძოლოთ. იმის მტკიცება, რომ ერთი პარტია მეორეს შეეკვრება და საკუთარ ხმებს დაუთმობს, აბსურდია. ■



ჩვენი თანამემამულე, 25 წლის **ნუნუ ჯაფარიძე** პირველი ქართველია, ვინც ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ისეთ ტელეგიგანტში, როგორიც ამერიკული კომპანია CNN-ია. ახალგაზრდა ქართველი გოგონა ახალი ამბების სამსახურის პოლიტიკური ბლოკის პროდიუსერი გახლავთ და მის მოვალეობებში შედის, როგორც პოლიტიკური სიუჟეტების ტექსტის კორექტირება, აგრეთვე სტუდიაში ცნობილი პოლიტიკური ფიგურების მიწვევა და მიღება. ნუნუს წარმატების შესახებ აშშ-ში ყოფნისას, საქართველოს პრეზიდენტსაც შეუტყვია. შეხვედრისას, მან, ისევე, როგორც უცხოეთში მყოფ სხვა ქართველებს, მასაც სამშობლოში დაბრუნება შესთავაზა. რა პასუხი მიიღო ამ წინადადებაზე ნუნუ ჯაფარიძისგან მიხეილ სააკაშვილმა და რა გზა გაიარა ქართველმა გოგონამ ამერიკული საინფორმაციო არხის პროდიუსერობამდე, მისმა მშობლებმა — რუსუდან და თემურ ჯაფარიძეებმა გვიამბეს.

# ერთადერთი ქართველი CNN-ში

## სამსახური — ვაშინგტონში, სახლი — სპრინგფილდში...

ემა ტუხიაშვილი

**რუსუდანი:**

— ნუნუკა სკოლის მერხიდან იყო შეყვარებული ჟურნალისტიკაზე და მომავალი პროფესიის შესახებ აზრი არასდროს შეუცვლია. სკოლის დამთავრების შემდეგ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. მესამე კურსზე იყო, როდესაც ერთი წლით, ამერიკაში სასწავლებლად გაემგზავრა. კენტუკის შტატის უნივერსიტეტში ეუფლებოდა ჟურნალისტიკას, სადაც, როგორც თვითონ ამბობს, ეს პროფესია საკმაოდ მაღალ დონეზე ისწავლება. ნუნუკა მეგობრებთან ერთად უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა, ჩვენ კი ვერაფრით ვეგუებოდით მის დამოუკიდებლობას. მისი და-ძმისგან განსხვავებით, ნუნუკას ძალიან ვანებივრებდი, სახლში არაფერს ვაკეთებინებდი, ამიტომ მეშინოდა, რომ ცხოვრებისეულ პრობლემებს მარტო ვერ გაუმკლავდებოდა. პროგრამა მხოლოდ ერთწლიან სწავლებას ითვალისწინებდა. ამიტომ ნუნუკა ცდილობდა, რომ მოესწრო და რაც შეიძლება მეტი ცოდნა მიეღო. ამერიკელი მეგობრები არაერთხელ აფრთხილებდნენ თურმე: ამდენ კლასს (საგანს) ერთდროულად ნუ აიღებ, ძალიან გაგიჭირდებაო, მაგრამ ნუნუკა არავის უსმენდა. ძალიან მიზანდასახული ადამიანია, სწორედ ამან განაპირობა, რომ მის მიერ მიღებული მაღალი ქულების წყალობით, კენტუკიში სასწავლებლად კიდევ ერთი წლით დატოვეს და უნივერსიტეტი იქ დაამთავრა. 2000 წელს კი, საინფორმაციო სააგენტო „ასოშეითედ პრესმა“ გამოაცხადა კონკურსი საუკეთესო ჟურნალისტურ ნამუშევარზე. ამ კონკურსისთვის ნუნუკამ 2 სიუჟეტი მოამზადა, მათ შორის ერთ-ერთი, უსინათლო გოგონას ცხოვრებას ასახავდა. სწორედ მისი ნამუშევრები მოხვდა ამ კონკურსში პირველ და მეორე ადგილებზე. როგორც ნუნუკა გვიყვებოდა, კონკურსის ასეთი შედეგები თავად ამერიკელებისთვისაც ძალზე მოულოდნელი აღმოჩნდა: ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც 2 საპრიზო ადგილი არაამერიკელმა დაიკავა. კონკურსანტების საზეიმო დაჯილდოების ცერემონიალი ქალაქ ნეშვილში გაიმართა, სადაც გამარჯვებულები თავად ქვეყნის პრეზიდენტმა დააჯილდოვა. სწორედ ამ ღონისძიებაზე მიიღო ნუნუკამ სი-ენ-ენის ერთ-ერთი წარმომადგენლისგან წინადადება — 3-თვიანი პრაქტიკული კურსი გაევლო ცნობილ საინფორმაციო არხზე. პრაქტიკული კურსი შრომის ანაზღაურებას არ ითვალისწინებს, ამიტომ ნუნუკამ დაგვირეკა და გვთხოვა, მატერიალურად დავხმარებოდით. თავდაპირველად, სი-ენ-ენის ცენტრალურ ოფისში გადიოდა პრაქტიკას, სხვა კორესპონდენტების მუშაობას ადევნებდა თვალყურს და დროდადრო, თავადაც ამზადებდა სიუჟეტებს. გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მხოლოდ აპარატურის შესწავლით იყო დაკავებული. მოგვიანებით, ის რიგით თანამშრომლად აიყვანეს. ამჟამად კი, სი-ენ-ენის ვაშინგტონის ბიუროს ახალი ამბების პროდიუსერია.



CNN-ის წამყვან ანდრია პოლთან ერთად

**თემური:**

— სი-ენ-ენის გარდა, ნუნუკა ტელეკომპანია ენ-ბი-სის საინფორმაციო არხზეც მუშაობდა. საერთოდ, ამერიკა მისი ოცნების ქვეყანა იყო. 10 წლის გახლდათ, როდესაც ქორეოგრაფიული სტუდიიდან გასტროლებზე ამერიკაში წაიყვანეს. როდესაც ჩამოვიდა, აღფრთოვანებული იყო ამ ქვეყნის მასშტაბით. ცოტა ხნის წინ კი, მის ბავშვობის დროინდელ დღიურში ასეთი ჩანაწერი ვნახეთ: მე აუცილებლად დავბრუნდები ამერიკაშიო... სხვათა შორის, ნუნუკა დაინტერესდა — ხომ არ მუშაობენ სი-ენ-ენში ჩვენი თანამემამულეები, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ის პირველი ქართველია წამყვან საინფორმაციო არხზე.

**— ჟურნალისტიკაში განსაკუთრებით იგრძნობა კონკურენცია. ამერიკელი კოლეგების გარემოცვაში არ უჭირს თავის გატანა?**

— ხშირად უთქვამს ჩემთვის: მართალია, ყველა თანამშრომელი მიცინის და მეგობრულად მექცევა, მაგრამ ყოველთვის უნდა მახსოვდეს, რომ ამ ღიმილის მიღმა ყოველთვის ჩემი კონკურენტი დგასო... მართალია, ღიად ამას არავინ აგრძნობინებს, მაგრამ ამერიკელებს დიდად არ ეპიტნავებათ ის, როცა უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მათ ქვეყანაში მნიშვნელოვან წარმატებას აღწევს. თუმცა, იმასაც გეტყვით, რომ უნივერსიტეტელ მეგობრებს ძალიან უყვართ ნუნუკა. ჩემი შვილი განსაკუთრებით მის ამერიკელ

ჯგუფელთან, ემისთან მეგობრობს. იმდენი ქნა ნუნუკამ, რომ ემის რამდენიმე ქართული სიტყვა ასწავლა. ჰოდა, ისიც გვირეკავს ხოლმე მე და რუსიკოს და ქართულად გვეუბნება: შენ ჩემი მამა ქარ, შენ ქი — დედაო... სხვათა შორის, უნივერსიტეტელმა მეგობრებმა ემისა და ნუნუს მეგობრობაზე დოკუმენტური ფილმი გადაიღეს. ამის შესაძლებლობა კენტუკის უნივერსიტეტში ნებისმიერ სტუდენტს აქვს: საერთო საცხოვრებელს, რომელიც, როგორც ნუნუკა ამბობს, პატარა ქალაქს ჰგავს, საკუთარი კინოსტუდიაც აქვს. მისი მონაყოლიდან ვიცი, რომ ერთხელ, რაღაც მიზეზით, ამ სტუდენტურ ქალაქში დენი გამოირთო. სტუდენტები, თურმე პანიკაში ჩაცვივდნენ და


ქორწილის დღეს, მეუღლესა და დედასთან ერთად

რამდენიმე წუთი, ვიდრე დენის მიწოდება აღდგებოდა, ქუჩაში გაატარეს. ნუნუკა თურმე, სიცილს ძლივს იკავებდა, რადგან როდესაც ის თბილისიდან წავიდა, მთელი ქალაქი ნავთქურებით თბებოდა.

**— როგორც ვიცი, ვაშინგტონში ყოფნისას, საქართველოს პრეზიდენტი სი-ენ-ენის ბიუროში თქვენს ქალიშვილს შეხვდა...**

— დიახ. სი-ენ-ენში პრეზიდენტ სააკაშვილის მიწვევა ნუნუს ორგანიზებული გახლდათ და რამდენიმე კითხვა პირდაპირ ეთერში პრეზიდენტს მანაც დაუსვა. ამ ინტერვიუს სრული ჩანაწერი ჩვენ პარლამენტარმა გიორგი არველაძემ გადმოგვცა: სწორედ ის ხელმძღვანელობდა ქართული მხრიდან პრეზიდენტის ამერიკულ ვოიაჟს და ისიც დასძინა — მიხეილ სააკაშვილი აღფრთოვანებული დარჩა ნუნუკას წარმატებითო. რა თქმა უნდა, ამ შეხვედრის შესახებ ჩემმა შვილმა მეც მომიყვა ტელეფონით. როგორც მითხრა, მას და პრეზიდენტს პირისპირ დაახლოებით 40 წუთი უსაუბრიათ. როგორც უცხოეთში მცხოვრებ ბევრ ქართველს, ნუნუკასაც შესთავაზა სამშობლოში დაბრუნება, რაზეც ჩემმა შვილმა სწორი პასუხი გასცა: აქ ყოფნით გაცილებით მეტ სარგებელს მოვუტან ჩემს ქვეყანასო... ახლა ნუნუკა პროფესიონალურ აზარტშია შესული, ამერიკაში კი ამისთვის ყველა საშუალება არსებობს. როგორც იცით, ვაშინგტონი ქვეყნის დედაქალაქია, კონგრესიც და თეთრი სახლიც იქ მდებარეობს და პროფესიიდან გამომდინარე, ნუნუსაც ბევრ ცნობილ ადამიანთან უხდება ურთიერთობა. ცოტა ხნის წინ, სი-ენ-ენში ლატარია გათამაშდა და ნუნუკამ თეთრი სახლის მოსაწვევი ბარათი მოიგო. როგორც გვითხრა, პრეზიდენტ ბუშთან მიღებაზე სულ 300-მდე სტუმარი იყო მიწვეული, მათ შორის — ნუნუკაც...

**— ქართველ ჟურნალისტებთან თუ აქვს ურთიერთობა თქვენს შვილს?**

**რუსუდანი:**

— სოფო შევარდნაძე (ექსპრეზიდენტის შვილიშვილი) და ნუნუკა ბავშვობის მეგობრები არიან და ხშირად ურთიერთობენ. ამერიკაში მასთან სტუმრად ტელეჟურნალისტი, დათო ნიკურაძეც არაერთხელ არის ნამყოფი. სხვათა შორის, ე.წ. ვარდების რევოლუციის პერიოდში, ნუნუკას სი-ენ-ენმა შესთავაზა, ჩამოსულიყო საქართველოში და ნოემბრის მოვლენები გაეშუქებინა, მაგრამ ამ დროს მისი შვილი ძალიან პატარა იყო და ვერაფრით მოახერხა.

**— თქვენი სიძე ამერიკელია?**

— ჩემი სიძე გახლავთ შოთიკო დვალიძე. მაიამიში სწავლობდა, ახლა კი კომპანია „ჰუგო ბოსის" მენეჯერად მუშაობს. პარადოქსია, მაგრამ შოთიკოც და ნუნუკაც თბილისში ერთ უბანში — საბურთალოზე გაიზარდნენ, ერთმანეთი კი ვაშინგტონში გაიცნეს. ახლა ჰყავთ 3 წლის ქალიშვილი — ელენე. ცოტა ხნის წინ, შოთოკომ და ნუნუკამ ქალაქ სპრინგფილდში — ვაშინგტონიდან ერთი საათის სავალზე — სახლი შეიძინეს და საცხოვრებლად იქ გადავიდნენ. 8 წლის განმავლობაში, თვითონ მხოლოდ ერთხელ იყო ჩამოსული, ჩვენ უფრო ვახერხებთ მათთან სტუმრობას, ქორწილსაც კი დავესწარით.

**თემური:**

— ახალგაზრდებს მამა მიქაელმა დაწერა ჯვარი. სხვათა შორის, მამა მიქაელი, ერობაში კი — მიშა ფოფხაძე, კომუნისტური მმართველობის პერიოდში, ერთ-ერთ მუსიკალურ ანსამბლთან ერთად საზღვარგარეთ იმყოფებოდა გასტროლებზე და სამშობლოში დაბრუნებას, იქ დარჩენა ამჯობინა. საბოლოოდ კი, სასულიერო ცხოვრება აირჩია და ახლა, მის მიერ ჩატარებულ წირვას ვაშინგტონის პატარა ეკლესიაში, ყოველ კვირადღეს, იქ მცხოვრები თითქმის ყველა ქართველი ესწრება. მამა მიქაელი უზომოდ ზრუნავს თავის მრევლზე და არავის ტოვებს უყურადღებოდ გასაჭირში...


ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ტელეჟურნალისტ, CBS-ის წამყვან ჰიუ დაუსთან ერთად

**რუსუდანი:**

— როდესაც ნუნუკასთან სტუმრად ჩავდივარ, ხშირად მთხოვს, რომ ქართული კერძები მოვუმზადო. ერთხელ კი, ნამცხვარი „იდეალი" გამოვუცხვე და სამსახურში წაიღო. მართალია, ამერიკაში ნაირნაირი ტკბილეული იყიდება, მაგრამ გემოთი ჩვენსას მაინც არც ერთი არ შეედრება. ამიტომაც გადარეულან სი-ენ-ენში, ისე მოეწონათ თურმე, „იდეალი". ერთ-ერთ თანამშრომელს ძირს დაუვარდა ნამცხვრის ნაჭერი, მეორეს კი შეუცხადებია — აიღე, მაგას კაცი გააფუჭებსო?..

**— როგორ ფიქრობთ, თქვენი შვილი საქართველოში საცხოვრებლად საერთოდ აღარ დაბრუნდება?**

**თემური:**

— მისი სურვილია, რომ ჟურნალისტიკაში მაღალ პროფესიონალურ დონეს მიაღწიოს. ამერიკული ცხოვრების რიტმს ფეხი უკვე აუწყო და როგორც თვითონ ამბობს, ჩვენს ქვეყანაში ცხოვრება გაუჭირდება. 4 წლის წინ იყო ჩამოსული თბილისში, ერთად დავათვალიერეთ ქალაქი და სიმართლე გითხრათ, გულდაწყვეტილი ჩანდა: რაც წავედი, მას შემდეგ, თითქმის არაფერი შეცვლილა, ცხოვრება აქ მდორედ მიდისო, მითხრა... ■

გინდათ შედეგი? გააკეთეთ რეკლამა „გზაში"!




# „...უფრო მესიამოვნებოდა, რომ ეთქვა — ცოლს გავცილდები და ახალს მოვიყვანო“

**„გზის“ №14-ში „სასიძოს“ რუბრიკით გამოქვეყნდა საპირველაპრილო ინტერვიუ ალეკო მალხაზიშვილთან. მიუხედავად იმისა, რომ ინტერვიუ სახუმარო გახლდათ (როგორც ცნობილია, რესპონდენტი ცოლშვილიანია), ალეკომ მაინც უამრავი გამოხმაურება მიიღო. მოსული მესიჯების შინაარსმა და რაოდენობამ დამარწმუნა იმაში, რომ ნამდვილი ფანისთვის არანაირი დაბრკოლება არ არსებობს, „საფანო“ ობიექტის გულის დასაპყრობად და ყურადღების მისაპყრობად, გოგონები გაბედულად „უტევენ“ ალეკოს მეუღლეს და „სასიძოს“ ძალზე მაცდუნებელ წინადადებებს სთავაზობენ...**

*მარი ჯაფარიძე*

„ჩემო ალეკო, თუ დათმობ „პირველ“ ნახევარს, დიდი სიამოვნებით ვიქნები შენი მეორე და უკანასკნელი „მთლიანი“. აგრეთვე გაგიჩენ შენსავით ჭკვიან, ლამაზ და მექალთანე ვაჟკაცს. კარგად დაფიქრდი, რადგან მთელი 20 წელი, თავი იმისთვის არ შემომინახავს, რომ...“

„ალეკო, ვეცემი შენზე. ძალიან მაგარი ხარ — ისეთი კარგი, რომ მზად ვარ, „მესამე“ და „მეოთხე“ ნახევარიც კი ვიყო. მეორენახევრობაზე ხომ აღარაფერს ვამბობ“.

„ალეკუნა, მიყვარხარ უზომოდ, ორცოლიანობა გადაწყვიტე, ბიჭო?.. მზად ვარ, შენი გულისთვის მსხვერპლი გავიღო და მეორე ცოლად გამოგყვე, ოღონდ ერთი პირობით — ჩვენ ცალკე უნდა ვიცხოვროთ, რა...“

„რადგან ორცოლიანობაზე თანახმა ხარ, არც სამცოლიანობა იქნება შენთვის უცხო. მე და ჩემს დაქალს ძალზე გვიყვარხარ. არც შენი ცოლის საწინააღმდეგო გვაქვს რამე, რადგან ისიც ძალზე კარგი გოგოა. მაშ, იქნებ, შევქმნათ ერთგული ქალების სამკუთხედი? ერთი დაგბანს, მეორე — დაგირეცხავს, მესამე — მოგეფერება... დაფიქრდი“.

„რომელი აღა მალხაზ-ხანი შენ ხარ, ჰარამხანის გახსნა რომ მოინდომე?! ბიჭო, გაგძვრება ქანცი ამდენი ქალების ხელში. ჰარამხანას აქლემების ქარავანი და შადრევნიანი სასახლე უხდება. გაქვს?..“

„ალეკო, ძალიან მაგარი ხარ და ძალიან მიყვარხარ. არ მინდა პირველინახევრობა და მეორენახევრობა, მოდი, ვიძმაკაცოთ, რა! სალომე“.

„ალეკო, არაჩვეულებრივი მეორე ნახევარი გყავს. ამიტომ სხვას არ გირჩევ. ვიცოდე, შენ ბევრი ფანი გყავს... ისე, „გზას“ ჩაეთვალა — მაგარი ხუმრობა იყო!.. თეო წიკლაური“.

„შენი თვალების მშვენება მხიბლავს,/ მე შენი სულის სიღრმე მაოცებს,/ იმდენად კარგი არსება გნახე,/ ახლოს რომ იყო, მაგრად გაკოცებ./ ალეკო, მიყვარხარ. მარი“.

„ალეკო, მაგრად დადექ! არავინ გაგაბრიყვოს, ძმაო! რად გინდა ამდენი ნახევრები?.. ვისაც ერთი ჰყავს, ისიც უშვებს. ეხუმრები, ამდენ ცოლებს?! მაგათ გაუთავებელ ლაპარაკსა და შენიშვნებს რა გაუძლებს! ერთი მყავს და თავი მომაბეზრა. კაცურ რჩევას გაძლევ, ძმაო, და აბა, შენ იცი!“

„ალეკო, უნდა გამოგიტყდე, რომ ძალიან მიყვარხარ, მაგრამ შენი ცოლის მრცხვენია. რას იფიქრებს ეს „უცხომიწელი“ ქალი? რამ გააგიჟა ეს ქართველი გოგოები? თუ ასე გიყვარდათ ეს ჩემი ქმარი, რაღა ჩემთვის გამოიმეტეთო?!. ვიცი, ბევრ გამოხმაურებას მიიღებ და მოგვეჭრა თავი!“

„სულ ვნერვიულობდი, რომ ალეკო ცოლიანი იყო. ისე გულით მინდოდა მისი „სასიძოში“ ხილვა, რომ ვერ აღგიწერთ. ჰოდა, ამიხდა სურვილი, დადგა დრო სანეტარო, მაგრამ მაინც ვერ ვბედავ, თამამად შევთავაზო ჩემი კანდიდატურა“.

„შენ მეისპე, ბიჭო, ჯერ ცოლი რომ მოიყვანე, მაშინ გვანერვიულე შენი თაყვანისმცემლები, ახლა — მეორე ნახევარი მინდაო, — და ისევ ატყდა ერთი ამბავი. გვითხარი ერთი, რას გვიპირებ?.. ისე, არ გეწყინოს, მაგრამ სხვა ეროვნების გოგოსთვის მართლა არ გვემეტებოდი. კარგი გოგო კია, მაგრამ მაინც. მადონა“.

„ალეკუნა, გენაცვალე, შენი ხმალი და ჩვენი კისერი. ისე გვიყვარხარ შენს ფანებს, რომ სულაც არ დავეძებთ, ცოლიანი ხარ თუ არა. იქნებ, სულ ცოტა სითბო ჩვენც გვერგოს შენგან?..“

„სასიამოვნოა, ალეკოს ხილვა „სასიძოს“ რუბრიკაში. მაგრამ ის უფრო მესიამოვნებოდა, რომ ეთქვა — ცოლს გავცილდები და ახალს მოვიყვანო. ეჰ...“

„მარი, ვის რაში სჭირდება ეგ შენი „საპირველაპრილო სასიძო“?! შენ ნაღდი სასიძოები მაიტა და მერე ჩვენ ვიცით“.

„ალეკო, უკვე ბებერი ხარ, „ბაბნიკობას“ შეეშვი!“

*ნაღდ „სასიძოებს“ მომდევნო ნომრებში შემოგთავაზებთ. საპირველაპრილო ხუმრობას კი, დიდი ხნის ტრადიცია აქვს და არც ჩვენ დავარღვიეთ. მომავალ შეხვედრამდე!*

■



**ფრაზები გენიალური**

**სიყვარული კი არ გვამცირებს, პირიქით — გვათავისუფლებს. მხოლოდ სიყვარულს შეუძლია გათავისუფლება.**

*ალექსანდრ ბლოკი*

# „სტერვები" პირდაპირ ეთერში ანუ „ხალხს „პადხალიმური" გადაცემები მოჰბეზრდა..."

**სულ ცოტა ხანია, რაც „პირველი სტერეოს" ეთერში ახალი გადაცემა — „სანამ შენ გეძინა" — გადის, რომლის წამყვანებიც, ყოფილი „ცხელი ცხრიანელი", ქერათმიანი ხატია სიჭინავა და ყოფილი ბიზნესმენი, შავგვრემანი ირინკა ხომასურიძე არიან. რატომ ეძახიან მათ „სტერვებს", ვის „მოჰპარეს" გადაცემის სახელწოდების იდეა და ვინ არიან მათი შეყვარებულები? — „პირდაპირ ეთერში" „სტერვები" გვიპასუხებენ.**

*ნათია ქივიძე*

— **პირველ რიგში, ის მოუყევით მაყურებელს, თუ ამ გადაცემამდე, რას საქმიანობდით?**

**ირინკა:**

— ადრე მქონდა სამკერვალო სალონი, ასევე — სილამაზის სალონი, რომელსაც ჩემს მეგობართან — რეჟისორ გიგა აგლაძის მეუღლესთან ერთად ვხელმძღვანელობდი. ასევე ვარ ძალიან ბევრი საღამოს ორგანიზატორი. მოკლედ, ვბიზნესმენობდი. ახლა კი, წავკისში ერთ-ერთი რესტორნის არტ-მენეჯერი ვარ, პარალელურად კი, ამ გადაცემას ვუძღვები.

**ხატია:**

— ჯერ ვიყავი პრესის ჟურნალისტი, მერე — „მე-9 არხზე" გადაცემა „ცხელი ცხრიანის" წამყვანი. ახლა კი, „პირველ სტერეოზე" „დაცემა" გადაცემა — „სანამ შენ გეძინა" — მიმყავს. არ იცი? მე და ირინკას ახალი იმიჯი გვაქვს: „პირველი სტერეოს" „სტერვები".

— **ალბათ, დაიმსახურეთ... ირინკა, აქამდე ტელევიზიაში არ გიმუშავია?**

— კი, როგორ არა! ბავშვობაში „მეორე არხზე" ერთ-ერთ საყმაწვილო გადაცემაში სიუჟეტებს ვამზადებდი და ეს სიუჟეტები თავადვე მიმყავდა. მოგვიანებით კი, „კავკასიის" დილის პროგრამაში იმავე საქმიანობას ვეწეოდი.

— **თქვენი დუეტი როგორ შედგა? სად შეხვდით ერთმანეთს?**

— ჩვენ უკვე დიდი ხანია, ვმეგობრობთ. ერთად ვსწავლობდით „მცირე აკადემიაში".

**ხატია:**

— მანამდეც ხომ ვიცნობდით ერთმანეთს!.. მოკლედ, დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს. აქედან გამომდინარე, აბსოლუტურად ბუნებრივია, რომ ერთად მუშაობის სურვილი გაგვიჩნდა. მოვიფიქრეთ ეს პროექტი და ასე შედგა ჩვენი ალიანსი, რომელიც იმაზე წარმატებული აღმოჩნდა, ვიდრე წარმოგვედგინა.

— **გადაცემის იდეა მხოლოდ თქვენ გეკუთვნით?**

— რა თქმა უნდა, იდეა უფრო მასშტაბური



იყო, გადაცემა უფრო სერიოზული დონის უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს სოლიდურ ფინანსებსაც მოითხოვდა. ჯერჯერობით, ისევ და ისევ დაუფინანსებლობის გამო, „გავალაითეთ" ეს გადაცემა. მაგრამ გეგმაში გვაქვს, რომ მომავალში, რაც თავიდანვე გვქონდა ჩაფიქრებული, აუცილებლად ის გავაკეთოთ.

**ირინკა:**

— იდეა კი ჩვენია, მაგრამ ჩვენთან ერთად მუშაობენ — პროდიუსერი ნიკა ხომასურიძე და რედაქტორი, რომლებსაც, რა თქმა უნდა, გარკვეული კორექტივები შეაქვთ გადაცემაში. თუმცა, ჩვენ წინასწარ, აბსოლუტურად არაფერს ვწერთ...

**ხატია:**

— გადაცემა მიგვყავს სულ ექსპრომტად. 5 წუთით ადრე განვსაზღვრავთ თემას, რომლის გარშემოც იმ საღამოს უნდა ვიტრიალოთ.

**ირინკა:**

— რედაქტორი ყურსასმენში გვეუბნება ხოლმე თავის აზრს და რა თქმა უნდა, იმასაც ვითვალისწინებთ. პირდაპირ ეთერში შეუძლებელია, რამე დაგეგმო.

— **თქვენს ჩაცმულობაზე ვინ ზრუნავს?**

**ხატია:**

— ეთერში რაც გვაცვია, მხოლოდ და მხოლოდ, საკუთარი გარდერობებიდან არის. პირადად მე, ჩაცმაში არავინ მეხმარება.

**ირინკა:**

— ჩემი მეგობარია ჯიჯი რეჯინი, რომლის აზრსაც ჩაცმულობასთან დაკავშირებით ყოველთვის ვითვალისწინებ. ჩვენს სტილში სათვალეც შედის, რომელსაც არასოდეს ვიხსნით. ეს პროდიუსერის მოთხოვნაა.

— **თქვენი სტილია, რომ მოწვეულ სტუმრებს „სტერვულად" მოექცეთ. რატომ აირჩიეთ ეს სტილი?**

— არ ვიცი. თავისთავად გამოვიდა ასე. საერთოდ, როგორი ტიპიც ხარ, ალბათ, ასევე მიგყავს გადაცემაც. ისე, შემიძლია, ისეთი გადაცემაც წავიყვანო, სადაც ჩემზე საყვარელი არავინ იქნება, მაგრამ ალბათ, მაინც ასე ჯობია...

**ხატია:**

— ჩვენი აზრით, „საყვარელი" და „პადხალიმური" გადაცემები ხალხს მოჰბეზრდა. ჩვენ არ „ვსტერვობთ", უბრალოდ რესპონ-

დენტს ვეკითხებით იმას, რაც მის შესახებ ვიცით. ჩვენში რატომღაც ისეა მიჩნეული, რომ თუ შენს ახლობელს ელაპარაკები, მას არ უნდა ჰკითხო ისეთი რამ, რაც არ ესიამოვნება. მთელი შოუბიზნესი ჩვენი ახლობელია, მაგრამ ამ აზრს არ ვიზიარებთ და ყველაფერს ვეკითხებით, ამიტომ შეგვექმნა ,,სტერვების‘‘ იმიჯი.

**ირინკა:**

– იმავდროულად, ყოველთვის რაიმე სასაუბრო თემა გვაქვს, რომელზეც სტუმარი რაღაც მოსაზრებას გამოთქვამს. მის აზრს შეიძლება, არ ვეთანხმებოდე და ეს პირდაპირ ეთერში გამოვხატო და ამასაც ,,სტერვობაში‘‘ მითვლიან.

— **მაგრამ ხანდახან თქვენი სიტყვები შეურაცხმყოფელიც კია სტუმრისთვის...**

**ხატია:**

– სიმართლე ყოველთვის მწარე მოსასმენია, მაგრამ მგონია, რომ ტკბილ ტყუილს მწარე სიმართლე სჯობია.

**ირინკა:**

– იმასაც აღვნიშნავ, რომ ჩვენ ცინიზმში არასოდეს გადავდივართ. მართლა – შეურაცხყოფა არავისთვის მიგვიყენებია.

**ხატია:**

– თითქმის ყველა მოწვეული სტუმარი იძაბება ხოლმე, ისეთ რაღაცებს ვეკითხებით. მაგრამ ეს იმიტომ არ ხდება, რომ მათ შეურაცხყოფას ვაყენებთ – უბრალოდ, ასეთი სტილი გვაქვს.

— **მაყურებლისგან როგორი აურა მოდის? მოსწონთ თქვენი გადაცემა? როგორც ვიცი, მოწინააღმდეგეებიც გყავთ...**

– მაყურებელი ორად არის გაყოფილი: ერთ ნაწილს ჩვენი გადაცემა ძალიან მოსწონს, მეორე ნაწილს კი – ძალიან არ მოსწონს, შუალედური დამოკიდებულება არავის აქვს. ვფიქრობ, ეს ძალზე კარგია. ჩემი აზრით, ეს გადაცემა ყველაზე მეტად ჯდება ჩემს ხასიათში.

— **მერე, ასეთი ხასიათი პირად ცხოვრებაში ხელს არ გიშლის?**

– არა. ლექს-სენის სიტყვებს მოვიშველიებ: ,,ვისაც ჩემთან არ უნდა, სხვა გზით იაროს‘‘.

— **ერთ-ერთ გადაცემაში ნიკა ქავთარაძემ გითხრათ, რომ „სანამ შენ გეძინა“ ფილმის სახელწოდებაა...**

– კი, მართლაც არსებობს ასეთი ფილმი, მაგრამ ჩვენს გადაცემას ამ ფილმის სახელი არ ჰქვია. სახელის შერქმევა ძალიან უბრალოდ მოხდა: პროექტის შემუშავების შემდეგ, ირინკა სახლში წავიდა, მე კი გადაცემის სახელწოდებაზე ვფიქრობდი, მერე, ირინკას რომ დავურეკე, მითხრა – მძინავსო, – და მაშინ გაჩნდა იდეა, რომ ,,სანამ შენ გეძინა‘‘ დაგვერქმია.

— **ახლა თქვენს პირად ცხოვრებაზეც მოგვიყევით რამე. ირინკა, როგორც ვიცი, შენ ქმართან გაყრილი ხარ...**

– მართალია. მყავს 5 წლის შვილი – იკაკო. მყავს ადამიანი, რომელიც მიყვარს და მასაც ვუყვარვარ. ძალიან კმაყოფილი ვარ ჩვენი ურთიერთობით. არაჩვეულებრივად ვგრძნობ მასთან თავს. ეს არის ჯაბა ჩართოლანი.

— **ხატია, შენს პირად ცხოვრებაში რა ხდება?**

– ახლო წარსულში, ჩემს ცხოვრებაში არსებობდა ადამიანი, რომელიც მეგონა, რომ ჩემს ,,სტერვობას‘‘ გაუძლებდა, რადგან სხვებთან შედარებით, უფრო ამტანი იყო. მაგრამ ვერც იმან გაძლო, ,,დაიშალა მოლეკულებად‘‘ და ჩემი ცხოვრებიდან წავიდა.

— **ყოველ გადაცემაში ვიღაც „ბრძენ კიკის“ ახსენებ, რომელიც, როგორც შევიტყვეთ, შენი შეყვარებულია.**

– კი, ასეა. ,,ბრძენი კიკი‘‘ არის ადამიანი, რომელსაც ყველა ეძებს და ვერავინ პოულობს... ასეთი რამ ერთ ფილმშიც ხდება – იქ ასეთ პერსონაჟს კაიზერ სოზა ჰქვია. კიკი მართლაც, ჩემი შეყვარებულია, მაგრამ ვერავინ გაიგებს, სინამდვილეში ის ვინ არის... ■



ჩვენ ცინიზმში არასოდეს გადავდივართ. მართლა – შეურაცხყოფა არავისთვის მიგვიყენებია.





**ნინაკა გელაშვილი ადამიანთა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებიც თავიანთ პროფესიას თავდადებულად ემსახურებიან. მას არ შეუძლია მეგობრების გარეშე — ამბობს, რომ ვერ იტანს ტყუილს და მოღალატე ადამიანებს. რაც შეეხება „იუმორინას“ — მიაჩნია, რომ წარმატებული პროექტია. ეს არის ადგილი, სადაც ადამიანებს შეუძლიათ განიტვირთონ ყოფითი პრობლემებისაგან.**

# ნინაკა გელაშვილი საყვარელ ადამიანს ერთი საათითაც ვერ შორდება

*სოფო ჭონიშვილი*

– სიყვარული ხელოვნებისადმი და ქართული კულტურისადმი, ჩვენი ოჯახის ტრადიციაა, გამომდინარე აქედან, ამ სფეროს გარეშე ცხოვრება წარმოუდგენლად მიმაჩნია. დედაჩემი არაჩვეულებრივად ლამაზი ქალი, ყოფილი ბალერინაა, დედის კვალს ჩემი და გაჰყვა, ის წლების მანძილზე ანსამბლ ,,რუსთავის‘‘ მოცეკვავე იყო. რაც შემეხება მე, ყველაფერი მინდოდა გამოვსულიყავი – მომღერალიც, მოცეკვავეც, ბალერინაც, ბოლოს, მაინც მსახიობობამ მძლია.

— **როგორ მოხვდით „იუმორინაში“?**

– ბატონ ჯემალ ბაღაშვილთან, მრავალი წლის ურთიერთობა მაკავშირებს. 14

წლის ვიყავი, როდესაც პირველად მოვხვდი მის ხელში, მას შემდეგ მან აღმზარდა. ბატონმა ჯემალმა არ იცის კომპრომისი, არც შვილების, არც შვილობილების და არც შვილიშვილების მიმართ. მისი მთავარი მოთხოვნაა, რომ ძალიან გიყვარდეს შენი საქმე. უნდა იყო ნიჭიერი, მაგრამ არც ეს კმარა — უნდა იყო საკუთარი საქმისადმი თავდადებული. თავდადება და სიყვარული ჩემი პროფესიისადმი, ნამდვილად არ მაკლია. მე ცხოვრებას ვიწყებ მაშინ, როდესაც იწყება ჩვენი კონცერტები, რეპეტიციები. ვინაიდან ბატონი ჯემალის ხელში ვარ აღზრდილი, ხშირად ვმონაწილეობ მის პროექტებში. იყო ასეთი წარმატებული პროექტი — ,,მღერიან და ხუმრობენ კინოსა და თეატრის ვარსკვლავები“. შემდეგ იყო ,,ბარი-ბარში“. ბატონი ჯემალი ასევე ატარებდა სხვადასხვა საიუბილეო საღამოს.

— **ნინაკა, თუ შეგიძლიათ, „იუმორინის“ სამზარეულოშიც შეგვახედოთ? რა ხდება სცენის მიღმა? როგორი ურთიერთობა გაქვთ კოლეგებს ერთმანეთთან?**

— ეს ჩვენი ოჯახია. ჩვენი მუსიკალური ხელმძღვანელი გია ბაღაშვილია. ხშირად, ბატონ ჯემალთან უფრო თავისუფლად ვგრძნობ თავს, ვიდრე გიასთან და რატომ, იცით? ბატონი ჯემალი ისე გვიყურებს, როგორც საკუთარ შვილებს და შეიძლება, რაღაც ნიუანსებზე დახუჭოს თვალი და არ გისაყვედუროს. მაგალითად, რეპეტიციაზე დაგაგვიანდა და მან იცის, რომ რაღაც პრობლემა გქონდა, შენიშვნას არ მოგცემს. ადამიანობა არც გიას აკლია, ის საქმიანობაშია ძალიან მკაცრი და მასთან ურთიერთობისას ძალიან დაძაბული ხარ. ამავე დროს, მას მარტო ხელმძღვანელად ვერ აღვიქვამ, ხშირად, როცა რაღაც პირადი გასაჭირი მქონია, რომელიც ვიღაცისთვის მინდოდა, გამეზიარებინა, სწორედ გიასთვის მიმიმართავს.

— **თქვენ მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ხართ, ამასთანავე — „იუმორინის“ ერთ-ერთი შეუცვლელი სახე, სად უფრო კომფორტულად გრძნობთ თავს — თეატრის სცენაზე თუ ფილარმონიაში?**

— რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ყველგან კომფორტულად ვგრძნობ თავს. მე თვითონ ვიჩენ აქტიურობას, — ინიციატივას, თვითონ ვქმნი ჩემ გარშემო კომფორტს, სიყვარულს, ურთიერთობას... ამას თუ ვერ ვახერხებ, მაშინ ჩემ ირგვლივ ყველაფერი დაშლილად მეჩვენება. ამიტომ ვამბობ, რომ ვარ იმ ,,კომფორტის“ მონა, რომელსაც ადამიანებთან ურთიერთობა ჰქვია. მე სადაც შევდივარ, თან ,,შემაქვს“ კომფორტი. თეატრი ჩემი კომფორტია.

— **როგორ ხვდებიან თქვენ მიერ გაკეთებულ პაროდიებს თავად პაროდიების პერსონაჟები?**

— ძალიან კარგად. მთავარი, იცით, რა არის? რა განწყობილებით აკეთებ პაროდიას. თუ პაროდია კეთილგანწყობილია, აქ ცუდი არაფერია, ამიტომ საწყენი სულაც არ არის. ეს ხომ მეგობრული შარჟია და რა თქმა უნდა, ჩემს პერსონაჟებს მოსწონთ.

— **თქვენს საკონცერტო ჩაცმულობაზე ვინ ზრუნავს?**

— ძირითადად, მე თვითონ. მყავს ჩემი დიზაინერი, რომელიც მიქმნის ხოლმე მთავარ აქსესუარებს. მან ზუსტად იცის, რა მჭირდება. ეს ხდება ბოლო დღეს, ბოლო წუთებში, ჩქარი ტემპით, მაგრამ საბოლოოდ მაინც ძალიან კარგი გამოდის. არადა, ბევრს ჰგონია, რომ ამ ყველაფერზე თვეობით ვმუშაობდი.

— **თავისუფალ დროს სად და როგორ ატარებთ?**

— თავისუფალ დროს მეგობრების გარემოცვაში ვატარებ. ძალიან მიყვარს მეგობრები.

— **თქვენ პირად ცხოვრებაზე რას გვეტყვით?**

— თქვენ გინდათ ალბათ გაიგოთ, შეყვარებული ვარ თუ არა? საკმაოდ დიდი ხანია, შეყვარებული ვარ და არა ცალმხრივად. ცალმხრივ სიყვარულს ნამდვილად არ განვიცდი. ჩვენ ყოველთვის ერთად ვართ და ეს სიყვარული ბევრისთვის სამაგალითოა. ამბობენ, რომ ეს რომეოს და ჯულიეტას სიყვარულია... სიყვარულს დიდი ნიჭი უნდა. შევხვდით ორი ადამიანი, რომლებსაც გვაქვს სიყვარულის მოზღვავებული ნიჭი. ძალიან კარგად და ბედნიერად ვგრძნობთ თავს ერთად. ერთმანეთის გარეშე არ შეგვიძლია არც ერთი დღე და არც ერთი საათი. ვიცით ყოველთვის, სად ვართ, რას ვაკეთებთ, ვისთან ვართ და ა.შ.

— **საზოგადოებისთვის ცნობილი პიროვნებაა?**

— ხელოვნების დარგში — არა.

— **თქვენი შვილი როგორ ეგუება იმას, რომ დედა სულ დაკავებული და მოუცლელია?**

— როგორც ყველა ბავშვს, მასაც უნდა, რომ სულ მის გვერდით ვიყო. ძალიან ვუყვარვარ. ჩამეხუტება და მეუბნება — შენ ყველაზე ლამაზი დედიკო ხარო. როგორც ყველა ბავშვს, მასაც თავის დედაზე უფრო ლამაზი არავინ ჰგონია. ძალიან ნიჭიერი და ჭკვიანია. რომ ვუყურებ, ჩემი ბავშვობა მაგონდება. ძალიან მგავს ფიზიკურად, ,,ნინაკა დვას“ ეძახიან, დაპატარავებული ნინაკააო, — ამბობენ.



ჩვენ ყოველთვის ერთად ვართ და ეს სიყვარული ბევრისთვის სამაგალითოა. ამბობენ, რომ ეს რომეოს და ჯულიეტას სიყვარულია...

— **საოჯახო საქმეები თუ გეხერხებათ?**

— კი, მეხერხება. აბსოლუტურად ყველაფრის გაკეთება შემიძლია, მაგრამ ხანდახან დროის უკმარისობის გამო ვერ ვახერხებ. ყველაფერს რასაც ვაკეთებ, ვაკეთებ აბსოლუტურად ხარისხიანად. ასე რომ, თუ ჩატარდება კონკურსი საუკეთესო დამლაგებლის, მრეცხავის და ა.შ. გამოსავლენად, ნამდვილად გავიმარჯვებ.

— **რას ვერ იტანთ ცხოვრებაში? რას ვერ აპატიებთ ადამიანს?**

— ადამიანებს ვერ ვაპატიებ ტყუილს და ღალატს. ვგულისხმობ მეგობრებს და საყვარელ ადამიანებს. ვერ ვიტან უზნეობას, უმადურობას და უზრდელობას. პირადად მე, ძალიან მადლიერი ადამიანი ვარ ბუნებით. ეს ადამიანის ყველაზე კარგი თვისებაა და ვთვლი, რომ ამით ღმერთმა დამაჯილდოვა.

— **თქვენ თუ მოუტყუებიხართ ვინმეს?**

— ალბათ მოვუტყუებივარ, ამის შემდეგ ის ახლოს აღარ გამიკარებია. მე როცა ადამიანს ვშორდები, არ ვთვლი, რომ მე დავკარგე, პირიქით — ისინი მკარგავენ.

— **ამ შემთხვევაში ყოფილ მეუღლესაც ხომ არ გულისხმობთ?**

— არა მარტო. სამწუხაროდ, ჩვენს ცხოვრებაში გამოჩნდებიან ხოლმე ისეთი ადამიანები, რომლებიც გარკვეული პერიოდის შემდეგ, ნათლად დაგანახვებენ ნამდვილ სახეს. ამის შემდეგ მიხვდები, რომ ამ პიროვნებებთან მეგობრობა არ ღირს. ის სხვა მენტალიტეტის ადამიანია და ვერასოდეს მიხვდება, ვინ ხარ შენ. ის ისევე გეპყრობა და ისეთივე ჰგონიხარ, როგორებიც მას გვერდით ადრე ჰყოლია. მაგრამ ასე არ არის. მე არ ვთვლი, რომ ყველას მსგავსი ვარ. ძალიან ხმამაღალ ნათქვამად ნუ ჩამითვლით, მაგრამ მე საოცრად ადამიანური ადამიანი ვარ.

■

# ზაალ სამადაშვილი:

## დერეფნებში მკაცრი, მოღუშული სახით სიარული ჩემი სტილი არ არის...



**ერთი თვეც არ არის გასული, რაც ცნობილი მწერალი, ზაალ სამადაშვილი თბილისის 53-ე სკოლის დირექტორად დაინიშნა. ბატონი ზაალი პლეხანოველია. მის ბოლო წიგნსაც „პლეხანოვური ამბები“ ჰქვია. თავად, უზნაძის (ყოფილი კამოს) ქუჩაზე მდებარე, 23-ე საშუალო სკოლაში სწავლობდა. თუმცა, გამოსაშვებ კლასში, მოუსვენრობისა და დაუდევრობის გამო, ამ სკოლის დატოვება და 42-ეში გადასვლამ მოუწია... ამბობს, რომ სხვა მოზარდებისგან განსხვავებით, არ დავიწყებია, თუ როგორი იყო სკოლაში სწავლის პერიოდში. თუ გინდა, ბავშვებს გაუგო, დღის გარკვეული ნაწილი მაინც უნდა იცხოვრო მათი ცხოვრებითო, — ამბობს ბატონი ზაალი და სკოლის წინ, იმ ადგილას დგება ხოლმე, სადაც ბიჭებს უყვართ დგომა, ოღონდ, რა თქმა უნდა — გაკვეთილების შემდეგ. ჰოდა, დგანან ე.წ. „ბირჟაზე“ დირექტორი და მოსწავლეები ერთად და ლაპარაკობენ — მაგალითად, იმაზე, თუ როგორ მოაწესრიგონ საფეხბურთო მოედანი და ჩაატარონ ტურნირი... ბატონი ზაალი ამბობს, რომ ამ თანამდებობით მის ცხოვრებაში ბევრი არაფერი შეცვლილა. ეს არის მისი ცხოვრების წესის გაგრძელება, ოღონდ — სხვა სამყაროში და სხვა ფორმით...**

*ნათია თენიეშვილი*

— **ბატონო ზაალ, ადრე განათლების სისტემაში გიმუშავიათ?**

– ვმუშაობდი სხვადასხვა რედაქციაში, ვკითხულობდი ლექციებს უმაღლეს სასწავლებელში და ა.შ. ვმუშაობდი იქ, სადაც შეიძლება იმუშაოს მწერალმა. განათლების სისტემაში, მით უმეტეს – სკოლაში არასდროს მიმუშავია. თუმცაღა, 15 წლის წინ, როცა საქართველოში პირველი კერძო სკოლები გაჩნდა, 2 წლის მანძილზე, ერთ-ერთ სკოლაში ბავშვებს ვესაუბრებოდი ქართულ ლიტერატურაზე, უფრო სწორად – წიგნებზე, რომლებიც მიყვარდა და მიყვარს.

— **53-ე სკოლის მოსწავლეებს თუ ესაუბრებით ლიტერატურასა და წიგნებზე?**

– ჯერ არა, მაგრამ ვაპირებ. როგორც დირექტორს, გაკვეთილების ჩატარების უფლება არა მაქვს. მაგრამ ვფიქრობ, კარგი იქნება, თანამედროვე ქართული ლიტერატურის ფაკულტატური საათები შემოვიღო – რა თქმა უნდა, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, ისე, რომ კანონი არ დავარღვიო. თუმცა, ეს ალბათ, მომავალ სასწავლო წელს მოხდება. ჯერ ბევრი სხვა პრობლემა მაქვს მოსაგვარებელი და სამწუხაროდ, მაგისთვის არ მცალია.

— **ამ გაკვეთილებს მარტო თქვენ ჩაატარებთ თუ მეგობრებსაც მოიწვევთ?**

– რა თქმა უნდა, ჩემს კოლეგებსაც მოვიწვევ, რათა ეს საუბრები უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო იყოს და ემსახურებოდეს იმას, რომ მოზარდებმა უფრო იოლად შეაბიჯონ წიგნების სამყაროში. მერე შეიძლება, არა მხოლოდ თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე ვესაუბრო, არამედ ზოგადად ლიტერატურაზე. წიგნების სამყარო, მოგეხსენებათ, მთელ პლანეტას მოიცავს. იმედი მაქვს და დარწმუნებულიც კი ვარ, რომ ჩემი კოლეგები არ დამზარდებიან და ეს საუბრები ძალზე საინტერესო და შედეგიანი იქნება. მინდა გითხრათ, რომ ინფორმაცია თანამედროვე ქართული ლიტერატურის შესახებ, იმ რაოდენობით, რაც საჭიროა, არ მიეწოდებათ, არა მარტო სკოლის მოსწავლეებს, არამედ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებსაც. მაგალითად, მე-20 საუკუნის 60-იან წლებში ასპარეზზე გამოსული მწერლები – ოთარ ჭილაძე, ბესიკ ხარანაული, გურამ დოჩანაშვილი – საზოგადოებისთვის ცნობილია, მაგრამ მათი ნაწარმოებების შესახებ საგანმანათლებლო ინფორმაცია, სახელმძღვანელოებში არასაკმარისი დოზით არის მოცემული. ის, რომ რეზო ინანიშვილის რამდენიმე მოთხრობა სხვადასხვა სახელმძღვანელოშია გაბნეული, იმას არ ნიშნავს, რომ მოსწავლეს ამ მწერლის შესახებ ისეთი წარმოდგენა ექმნება, როგორიც უნდა ექმნებოდეს... სწორედ ამიტომ ვაპირებ, ვესაუბრო ამ ბავშვებს ამ ყველაფრის შესახებ. მთავარი მიზანი კი, როგორც ყველა მწერლისა, ისე ჩემთვისაც, ის არის, რომ თაროდან წიგნი გადმოვალებინო. თუ გადმოალებინე წიგნი, იმის შანსი გიჩნდება, რომ შეაყვარებ კიდეც; თუ შეაყვარებ, მაშინ ძალიან წარმატებული ხარ.



**გენიალური ფრაზები**

**ქვეყანა იმით კი არ არის უძლური, რომ ღარიბია, არამედ იმით, რომ მცოდნე, გონება-გახსნილი, გულ-განათებული კაცები არა ჰყავს.**

*ილია ჭავჭავაძე*

— **ვინ შემოგთავაზათ ეს თანამდებობა და როგორ გადაწყდა თქვენი დანიშვნის საკითხი?**

– 53-ე სკოლის დირექტორობა შემომთავაზა განათლების მინისტრმა, ბატონმა კახა ლომაიამ.

— **არ გაგიკვირდათ?**

– გამიკვირდა და უნდა გითხრათ, რომ შევკრთი კიდეც. პირველად რომ დამირეკა ბატონმა კახამ, საღამო ხანი იყო, დროც მახსოვს ზუსტად – რვას აკლდა 15 წუთი. ამის შემდეგ, ორჯერ ვილაპარაკეთ ტელეფონით და საბოლოო გადაწყვეტილება 11 საათზე მივიღე. 3 საათი მოსაფიქრებლად ხან ძალიან ცოტაა, ხან კი – ძალიან ბევრი. ჩემთვის ეს დრო, ჩემს ცხოვრებაში ყველაზე გრძელი 3 საათი იყო. გადაწყვეტილების მიღებაში კი, ის დამეხმარა, რომ ძალიან ვენდობი ბატონ კახას და მჯერა მის მიერ დასახული მიზნებისა. ის არ არის ჩემი ბავშვობის ან ყმაწვილკაცობის დროინდელი მეგობარი, სულ ერთი წელია, რაც ვიცნობ. მაგრამ საქმეში მყავს ნანახი და ვიცი, რისი გაკეთება სურს და რა შეუძლია. მე ვიყავი დელეგაციის წევრი, რომელიც საინგილოში, სახელმწიფო დონეზე ორგანიზებული ვიზიტით გაემგზავრა. განათლების სამინისტრომ იქ ჩაიტანა სხვადასხვა თვალსაჩინოება, სახელმძღვანელოები, ლიტერატურა და ა.შ. იქაური ქართველებისთვის. სახელმწიფო დონეზე მსგავსი ვიზიტის მოწყობა, უკვე ძალიან კარგი ფაქტია, ეს ჩემთვის იმის დადასტურება იყო, რომ ამ ადამიანმა ძალზე სერიოზულად მოჰკიდა ხელი საქმეს... მეორე ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი იყო, არაქართველი მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებელთა გაგზავნა. დიდი კონკურსი გამოცხადდა, კონკურსში გამარჯვებულ მასწავლებლებს, რომლებიც ამ საკმაოდ რთულ რაიონებში წავიდოდნენ სამუშაოდ, 500-ლარიანი ხელფასი ენიშნებოდათ. ამ პროექტშიც მივიღე მონაწილეობა. 350 კანდიდატიდან 32 შევარჩიეთ. ძალზე ბედნიერი ვიყავი ამ პროექტში მონაწილეობით, რადგან ათწლეულების განმავლობაში, ეს რეგიონები აბსოლუტურად მივიწყებული იყო... ორივე პროექტი, ჩემი აზრით, ისტორიული მნიშვნელობის იყო. სწორედ ამ პროექტების დროს მომიწია ბატონ კახასთან ურთიერთობამ და გამიჩნდა ნდობა მისი, როგორც პიროვნების და სახელმწიფო მოღვაწის მიმართ.



3 საათი მოსაფიქრებლად ხან ძალიან ცოტაა, ხან კი – ძალიან ბევრი. ჩემთვის ეს დრო, ჩემს ცხოვრებაში ყველაზე გრძელი 3 საათი იყო.

— **რამდენად შეიცვალა თქვენი ცხოვრების წესი ამ თანამდებობის დაკავების შემდეგ?**

– წესი არ შეცვლილა – ცხოვრების რეჟიმი შეიცვალა. ჯერჯერობით, მთელი ჩემი დრო სკოლას მიაქვს. მომიწევს ჩემი საქმიანობის სხვაგვარად ორგანიზება. უნდა მოვახერხო, სწორად დავალაგო ჩემი გრაფიკი. ვფიქრობ, რაღაც დრო წერისთვისაც დამრჩება.

— **ამჟამად არაფერს წერთ?**

– უნდა გითხრათ ერთი უცნაური რამ: ადრინდელისგან განსხვავებით, 15 წუთიც რომ ჩამივარდება ხელში, მაშინვე რაღაცას ვწერ. აღარ მჭირდება განწყობილების შესაქმნელი ატმოსფერო. ახლა, რამდენიმე დღის წინ დავწერე ესსე, ჰემინგუეისა და რომენ გარის შესახებ.

— **ე.ი. რომ ამბობენ — ადამიანი რაც უფრო დაკავებულია, მით უფრო მეტი საქმის კეთებას ასწრებსო, — მართალია, ხომ?**

– კი, ასე გამოდის. ამგვარად დაკავებული ადრე არასდროს ვყოფილვარ. ეტყობა, შინაგანი რესურსები სხვანაირად იწყებს მოძრაობას და სხვანაირად ვლინდება: როცა თავისუფალი დრო მაქვს, ვწერ რამდენიმე აბზაცს და ასე, ნელნელა რაღაცა გამოდის...

— **სკოლის კოლექტივმა როგორ მიგიღოთ?**

– ძალიან კარგად. მოგეხსენებათ, ჩვენი ქალაქი ძალიან პატარაა და ადრევე გაიგეს მასწავლებლებმა ჩემ შესახებ. ელოდებოდნენ, როდის მოვიდოდი სკოლაში, როდის წარმადგენდნენ და ა.შ.

— **წარდგენა როგორ მოხდა?**

– განათლების სამინისტროს წარმომადგენელმა და სასკოლო დეპარტამენტის თავმჯდომარემ, ბატონმა მიშა მინდაძემ წარმადგინა კოლექტივის წინაშე. ჯერ ბატონმა მიშამ მიმართა მასწავლებლებს, მერე მე ვუთხარი მათ რამდენიმე სიტყვა. ამ წარდგენას ესწრებოდა ჩემი უსაყვარლესი უმცროსი მეგობარი, ამჟამად განათლების სამინისტროს, საზოგადოებასთან ურთიერთობის ცენტრის ხელმძღვანელი – რატი ამაღლობელი, რომელიც კუთხეში იდგა და მგონი, ჩემზე მეტად ნერვიულობდა. როცა ყველაფერი დამთავრდა, მოვიდა და მითხრა – ძალიან საინტერესო სიტყვა თქვიო. მერე, პირველი კვირის განმავლობაში, დღეში სამჯერ მირეკავდა და ამით მამხნევებდა, ლამის მამისტოლა მეგობარს...

— **სხვა მეგობრების რეაქცია როგორი იყო, როცა შეიტყვეს, რომ სკოლის დირექტორი ხდებოდით?**

– იმათთვისაც ძალიან მოულოდნელი იყო, ისინიც გაოცებულები იყვნენ. ასეთი ფრაზაც გაისმა – რას იტკივებ აუტკივარ თავსო?!. ერთ-ერთი პირველი, ვინც ამ გადაწყვეტილების შესახებ შეიტყო და დამირეკა, დათო მაღრაძე იყო. გავიგე ეს ამბავი, მაგარი ხარო! – მითხრა... მერე დასძინა – გახსოვს, ვაჟა-ფშაველა სკოლაში რომ წავიდა სამუშაოდ, დიდთონეთშიო?.. ამან ძალიან მაგრად დამმუხტა, ძალები შემმატა. რატისაც და დათოსაც ძალიან ვემადლიერები იმ დღეებისთვის.

— **1500 ბავშვთან ურთიერთობისას წესრიგის დამყარება არცთუ ისე იოლია. მკაცრი დირექტორი იქნებით?**

– ამ ერთი თვის მანძილზე, ვხვდებოდი მშობლებს და ბავშვებს. გუშინაც შევხვდი მე-7 და მე-8 კლასელ ბიჭებს, რომლებსაც მასწავლებლები ე.წ. პრობლემურ ბავშვებად მიიჩნევენ... ბევრ თემებზე ვსაუბრობთ ხოლმე, მაგრამ ვცდილობ, განვუმარტო ისეთი სიტყვებიც, რომლებიც ერთი შეხედვით, დიდი ხნის წინ, განმარტებულია, მაგალითად – „სიმკაცრე“. ეს სიტყვა ხშირად, უსამართლო დასჯასთან ასოცირდება. მაგრამ ასე არ არის. თუ დასჯაზე მიდგა საქმე, ეს არის სამართლიანი დასჯა, შენიშვნა, საყვედური და ა.შ. დერეფნებში მკაცრი, მოღუშული სახით სიარული ჩემი სტილი არ არის. მე მინდა, მათთან ურთიერთობა ავაგო ურთიერთგაგების საფუძველზე. რაღაც ნაწილი შეიძლება, დამიმეგობრდეს კიდეც. მაგრამ არ მინდა, თუნდაც ერთმა ბავშვმა არ იცოდეს, რა მინდა მისგან და არ შეეძლოს იმის პროგნოზირება, თუ როგორ მოვექცევი მას, როცა გულს მატკენს... უკიდურეს შემთხვევაში, თუ იძულებული გავხდი, მკაცრი ვიქნები, მაგრამ ეს სიმკაცრე არავითარ შემთხვევაში არ იქნება ასოცირებული უსამართლო დასჯასთან

■

# „არც ერთი ძმის მოკვლა არ მინდოდა“

## დაზარალებულის მხარემ ჩვენებები განსასჯელის სასარგებლოდ შეცვალა

**უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიამ განზრახ მკვლელობის მცდელობის საქმე განიხილა. განსასჯელ ტარიელ წიქვაძეს პროკურატურა ძმების — ცირდავების მკვლელობის მცდელობაში ადანაშაულებდა. მიუხედავად იმისა, რომ განსასჯელი დანაშაულის განზრახ ჩადენას კატეგორიულად უარყოფდა, სასამართლომ პროკურატურის ბრალდება მაინც დაადასტურა და ამის მოტივად, საქმეში არსებული მტკიცებულებები დაასახელა. სასამართლო სხდომები კოლეგიამ ქალაქ ფოთში ჩაატარა. კოლეგიის თავმჯდომარის თქმით, ამით მათ თბილისში მოწმეების გამოუცხადებლობის მიზეზით პროცესის გაჭიანურება აიცილეს თავიდან.**

საქმის მასალების მიხედვით, 2002 წლის 5 მაისს, დაახლოებით საღამოს 7 საათისთვის, ტარიელ წიქვაძე „მოსკვიჩით“ ხობის რაიონის სოფელ ხეთადან ქალაქ ფოთისკენ მიემგზავრებოდა. მას თან ახლდნენ, მეუღლე, მცირეწლოვანი შვილი, ცოლისდა და ქვისლი. ფოთში ტარიელ წიქვაძის ძმა — ოთარ წიქვაძე ცხოვრობდა. სწორედ მასთან მიდიოდნენ ყველანი ერთად სტუმრად. ოჯახში მისვლისთანავე ქეიფი გამართეს. სუფრასთან მამაკაცებმა ღვინო დალიეს და შეზარხოშებულებმა ქეიფის გაგრძელება ტარიელ წიქვაძის ქვისლის — პაატა ნაჭყებიას ფოთში მცხოვრები ნათესავის ოჯახში გადაწყვიტეს. სტუმრებს ზემოთ ხსენებულ ოჯახში ოთარ წიქვაძეც გაჰყვა. იქ დამატებით დალიეს ღვინო და მთვრალები ღამის 12 საათისთვის დაბრუნდნენ წიქვაძის ოჯახში. სახლში მხოლოდ ძმები წიქვაძეები შევიდნენ, ხოლო დანარჩენები ავტომანქანასთან დარჩნენ. დაახლოებით 10 წუთში ბინიდან გარეთ გასულმა ტარიელ წიქვაძემ დაინახა, რომ მის ქვისლს ვიღაც უცნობი რაღაცას ედავებოდა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, უცნობი ფოთში მცხოვრები ზაურ ცირდავა გახლდათ. დავაში ტარიელ წიქვაძეც ჩაერია და რა თქმა უნდა, ქვისლს გამოესარჩლა. კამათი ჩხუბში გადაიზარდა: ერთმანეთის სიტყვიერ შეურაცხყოფას მალე ხელჩართული ჩხუბიც მოჰყვა. ჩხუბისა და ჭიდილის დროს, ტარიელ წიქვაძემ, როგორც პროკურატურა აღნიშნავდა, შურისძიების მოტივითა და განზრახ მკვლელობის მიზნით, ჯიბიდან დასაკეცი დანა ამოიღო, გახსნა იგი და ცირდავასკენ გაქანდა. ცირდავამ დანის დანახვისთანავე გაქცევით უშველა თავს და თავის საცხოვრებელ სახლში შევარდა. წიქვაძე მას დაედევნა, ცირდავას სახლში შეღწევა მოახერხა და ამ უკანასკნელს დანა მუცლის არეში ერთხელ ჩაარტყა. მუცლის ღრუში შემავალმა ჭრილობამ ცირდავას ღვიძლი დაუზიანა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების თქმით, აღნიშნული დაზიანება მძიმე და სიცოცხლისათვის სახიფათო გახლდათ. აღსანიშნავია ისიც, რომ პროკურატურის მასალების თანახმად, დანის დარტყმის ფაქტს ცირდავას დედაც შეესწრო. მან მაშინვე ატეხა კივილი, წიქვაძეს ხელებში ეცა და შვილისთვის დანის განმეორებით ჩარტყმის საშუალება არ მისცა; მძიმედ დაჭრილი ზაურ ცირდავა დაუყოვნებლივ გადაიყვანეს ფოთის საავადმყოფოში, სადაც მას სასწრაფო ქირურგიული ოპერაცია გაუკეთდა და სიცოცხლე ამის შედეგად შეუნარჩუნდა.

თუმცა, მანამდე, ვიდრე დაჭრილს საავადმყოფოში მიიყვანდნენ, წიქვაძემ დანაშაულის ადგილი დატოვა. ეზოში გასულს, შემთხვევით ზაურ ცირდავას ძმა — გურამ ცირდავა შეხვდა. ეს უკანასკნელიც, თურმე, ძმის დასახმარებლად მირბოდა შინ. წიქვაძემ არ დააყოვნა და გაბრაზებულმა, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ჰქონდა ერთი მძიმე დანაშაული ჩადენილი, ახლა გურამ ცირდავას მივარდა. თავისი დანით მას 2 ჭრილობა მიაყენა. გურამ ცირდავამ რაღაც მომენტში, ჭრილობების მიუხედავად, მაინც შეძლო, ხელიდან გასხლტომოდა წიქვაძეს და სადღაც მიიმალა. ამასობაში, იმ ადგილას ხალხიც მოგროვდა და წიქვაძე იძულებული გახდა, იქაურობას გასცლოდა. ჩაჯდა ქვისლის ავტომანქანაში და მიიმალა. დაჭრილ გურამ ცირდავას ხალხი მაშინვე მიეშველა. ისიც, მისი ძმის მსგავსად, ფოთის საავადმყოფოში გადაიყვანეს და სიკვდილს სასწრაფო ოპერაციის შედეგად გადაარჩინეს. ექიმების თქმით, მიყენებული ჭრილობებიდან ერთი — მუცლის არეში, ხოლო მეორე — წელის მიდამოში ფიქსირდებოდა. ორივე ჭრილობა სიცოცხლისთვის სახიფათო იყო.

გამოძიებამ მოწმედ დაზარალებულების დედა დაჰკითხა:

*„ღამის პირველი საათი იქნებოდა. შინ ვიჯექი და შვილებს ვუცდიდი. იმ საღამოს სტუმრები გვყავდა. ერთმა სტუმრები გააცილა, მეორე კი მეზობელთან ტელევიზორის საყურებლად იყო გადასული. დაახლოებით ორის ოც წუთზე, ზაური შემოვიდა ბინაში, მას უცნობი პირი შემოჰყვა, როგორც შემდეგ გავარკვიე, ის ტარიელ წიქვაძე იყო. დავინახე, როგორ ჩაარტყა დანა მუცელში ჩემს შვილს. კივილი ავტეხე, ხელებში ვეცი და დანის მოქნევის საშუალება არ მივეცი. კივილზე მეზობლები მოცვივდნენ და წიქვაძეც იძულებული გახდა, სახლიდან გასულიყო. გარეთ გასულს ჩემი მეორე შვილიც დაუჭრია.“*

**ზაურ ცირდავას** ჩვენებიდან:

*„გვიან ღამით, მთვრალი შინ ვბრუნდებოდი. ჩემს სახლთან რომ შემოვუხვიე, შევნიშნე, რომ ავტომანქანა იდგა. მანქანასთან ჩემთვის უცნობი ორი პირი იდგა. გავიგონე, რომ მათ ჩემი მეზობელი სიგარეტს სთხოვდა. მაშინ მივედი უცნობებთან და ვუთხარი მათ — სიგარეტს ამ კაცს მე მივცემ-მეთქი და თან უმისამართოდ შევიგინე. ერთ-ერთმა უცნობმა მკითხა — რატომ იგინებიო? აი, ამის გამო მოხდა კამათი. ჩხუბში ცოტა ხანში მეორე ახალგაზრდაც ჩაერია. ის ტარიელ წიქვაძე გახლდათ. სწორედ მან დამჭრა დანით დედის თვალწინ... დაჭრილი, საავადმყოფოში რომ მივყავდი მაშინ შევიტყვე, რომ მას*

*ჩემი ძმაც დაუჭრია...“*

**გურამ ცირდავას** ჩვენებიდან: *„მეზობლის სახლიდან რომ გამოვედი, დავინახე, რომ ჩემი ძმა შინისკენ გარბოდა, უკან კი ვიღაც ახალგაზრდა მისდევდა. სახლს მეორე მხრიდან შემოვუარე, მინდოდა, კარის მხრიდან ავსულიყავი. სწორედ ამ დროს გამოვარდა უცნობი (მერე შევიტყვე, რომ ის წიქვაძე იყო) და ორჯერ ჩამარტყა დანა“.*

შემთხვევის ადგილას გამოცხადებულ პოლიციის თანამშრომლებს დამნაშავე იქ აღარ დახვდათ, თუმცა დანაშაულის იარაღი — სისხლიანი დანა, როგორც საქმის მასალებშია აღნიშნული, მათ წიქვაძის ნათესავი ქალის ხელჩანთიდან ამოიღეს...

მოგვიანებით დაკავებულმა **ტარიელ წიქვაძემ** გამოძიებას ჩვენება არ მისცა და დუმილის უფლება გამოიყენა. სასამართლო სხდომაზე კი განმარტა, რომ მართალია, მისთვის უცნობ ახალგაზრდას დანით ხელში დაედევნა და დაჭრა, მაგრამ მისი მოკვლის განზრახვა არ ჰქონია. *„მინდოდა, მსუბუქად დამეჭრა იგი. ამის შემდეგ მეორე ახალგაზრდასაც ჩავარტყი დანა, მაგრამ მკვლელობაზე არც მიფიქრია. მე არც ერთი ძმის მოკვლა არ მინდოდა“*, — განაცხადა განსასჯელმა და პროკურატურის მიერ წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ ცნო. აღსანიშნავია ისიც, რომ სასამართლო პროცესზე დაზარალებულის მხარემ ნაწილობრივ შეცვალა ჩვენებები და როგორც გამოიკვეთა, ეს განსასჯელის სასარგებლოდ გააკეთა. მაგალითად, დაზარალებულების დედამ უარყო წინასწარი გამოძიების პერიოდში დაფიქსირებული თავისივე სიტყვები და პროცესზე განაცხადა, რომ მას არ დაუნახავს თუ რა ვითარებაში და როგორ დაარტყა წიქვაძემ დანა მის შვილს. *„გამოძიების პერიოდში აღელვებული ვიყავი და არ ვიცოდი, რას ვაჩვენებდი“*, — აუხსნა მან კოლეგიას.

რაც შეეხება თავად დაზარალებულ ძმებს, მათ სასამართლო პროცესზე ხაზგასმით აღნიშნეს, რომ წიქვაძეს შეეძლო ორივე მათგანის მოკვლა, მაგრამ ეს არ გააკეთა და არ გააგრძელა მათთვის დანის ჩარტყმა.

მიუხედავად დაზარალებული მხარის მცდელობისა, წიქვაძეს სასჯელი მაინც არ შეუმსუბუქდა.

კოლეგიის თავმჯდომარემ აღნიშნა: *„ადვილი მისახვედრია, რომ დაზარალებულები ცდილობენ, როგორმე შეუმსუბუქონ მდგომარეობა განსასჯელს. მათ არაერთხელ აღნიშნეს, რომ დაჭრილთა მკურნალობის ხარჯები წიქვაძემ გაიღო და ეს მომენტი მათ, ცხადია, გარკვეულ უხერხულობას უქმნის. სწორედ, ამით არის განპირობებული მათი ჩვენებების ნაწილობრივი შეცვლა“.*

ამდენად, სასამართლო კოლეგიამ დადგენილად ცნო, რომ წიქვაძემ დანაშაული განზრახ და შურისძიების მოტივით ჩაიდინა. ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებად მხოლოდ ის მიიჩნიეს, რომ მას ცოლი და მცირეწლოვანი შვილი ჰყავს. სასჯელის ზომად წიქვაძეს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრეს, მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით.

***(სახელები და გვარები შეცვლილია).***

■

# ყაჩაღებმა ცოლ-ქმარს თავში აგური ურტყეს

**თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ ორი განსასჯელი — გ. ნიაზაშვილი და მ. კენკიშვილი ყაჩაღურ თავდასხმასა და ძარცვაში ცნო დამნაშავედ და მათ 8-8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით.**

გამოძიების ინფორმაციით, ნიაზაშვილმა და კენკიშვილმა ერთმანეთი 1999 წელს გაიცნეს და დამეგობრდნენ. 2001 წლის თებერვალში, დიღმის მასივის ბაზრობის ტერიტორიაზე არყის სმისას მათ გაიცნეს გ. გასპაროვი, რომელმაც ახალგაზრდებს თავისი მეგობარი — ი. ილინი გააცნო. როგორც გაირკვა, ილინი დიღმის მასივში, დროებით, დეიდაშვილის — ვ. იაკოვლევას ბინაში ცხოვრობდა. იაკოვლევა თავის ქმართან ერთად 1996 წლიდან რუსეთში იყო სამუშაოდ წასული. გაცნობის შემდეგ ნიაზაშვილი და კენკიშვილი ხშირად სტუმრობდნენ ილინს და მის მეუღლეს — ნიკოიანს ბინაში. მეგობრები ხშირად საქეიფოდ იკრიბებოდნენ.

2001 წლის თებერვალში კენკიშვილმა და ნიაზაშვილმა ბინის გაძარცვა და ამ გზით იაკოვლევების კუთვნილი ნივთების დაუფლება განიზრახეს. მოილაპარაკეს, რომ ნივთებს გაყიდდნენ, აღებულ თანხას კი ერთმანეთში გაინაწილებდნენ. სწორედ ამ მიზნით, ისინი მივიდნენ ილინის დროებით საცხოვრებელ ბინაში. იქ მათ დახვდნენ გასპაროვი და ილინი. გასპაროვს უმნიშვნელო საბაბით აუხირდნენ და სცემეს, ილინი კი განგებ, თავიდან მოშორების მიზნით, დიღმის მასივის ბაზრობაზე გაგზავნეს არყის საყიდლად. ამასობაში თავად, ბინაში არსებულ ნივთებს მოუყარეს თავი და ის იყო, წასვლას აპირებდნენ, როცა ბინაში ილინის მეუღლე მივიდა. ის მაშინვე მიხვდა, რაც ხდებოდა. ნიაზაშვილმა ქალს სახეში ხელი გაარტყა და დაემუქრა — ხმა არ ამოიღო, თორემ იმ დღეში ჩაგაგდებთ, რა დღეშიც ახლა გასპაროვიაო. ამის შემდეგ მოგროვილ ნივთებს — გაფუჭებულ შავ-თეთრ ტელევიზორს, ორ ხალიჩას, გაზქურას, ყავის სერვიზს, საკერავ მანქანას ხელი მოხვიეს და გაიტაცეს. ნივთების საერთო ღირებულება, როგორც პროკურატურა აღნიშნავდა, 285 ლარს შეადგენდა.

იმავე წლის მაისში ნიაზაშვილი ისევ მივიდა ილინთან და სთხოვა — სამი დღით ფერადი ტელევიზორი „ელექტრონი“ მათხოვეო. ილინი მოერიდა მოსალოდნელ უსიამოვნებას და ნიაზაშვილს ტელევიზორი ათხოვა. ნიაზაშვილს ის მისთვის აღარ დაუბრუნებია, მშობლებს კი უთხრა, რომ ტელევიზორი ბაზრობაზე შეიძინა.

2002 წლის 12 თებერვალს, ნიაზაშვილმა და კენკიშვილმა კვლავ განიზრახეს იაკოვლევების ოჯახის დაყაჩაღება. იცოდნენ, რომ ცოლ-ქმარი რუსეთიდან

ცოტა ხნის წინ დაბრუნდა და სავარაუდოდ, თან სოლიდური თანხაც ჩამოიტანა. ნიაზაშვილმა და კენკიშვილმა თავი პოლიციის თანამშრომლებად გაასაღეს და ამ გზით მოახერხეს ბინაში შეღწევა. ჯერ ცოლ-ქმარს საუბარი გაუბეს, ამასობაში კენკიშვილი სამზარეულოში შევიდა, იქიდან დანა გამოიტანა, ე. იაკოვლევს მიადო სხეულზე, თან დაემუქრა და 10.000 დოლარი მოსთხოვა. ვ. იაკოვლევა მიხვდა, რომ ეს პირები პოლიციელები არ იყვნენ და ბინიდან გაქცევას შეეცადა, მაგრამ კართან მისვლამდე მას ნიაზაშვილი დაეწია და თავში რამდენჯერმე ჩაარტყა სამშენებლო აგურის ნატეხი, რომელიც იქვე ბინაში, იატაკზე იდო. ნიაზაშვილმა ცოლის საშველად მისულ იაკოვლევსაც ჩაარტყა აგური თავში. იაკოვლევის შებოჭვას კენკიშვილი შეეცადა, მაგრამ მან თავის დაღწევა მოახერხა. ხელჩართული ბრძოლის დროს კენკიშვილი დაეცა. მაშინ ნიაზაშვილი დაახტა ზევიდან იაკოვლევს და თავში კვლავ აგურის ჩარტყმა დაუწყო. ამ მომენტით ისარგებლა კენკიშვილმა და ბინიდან გაიქცა. თან კარი გარედან ჩაკეტა, რათა ბინაში გარეშე პირები არ შესულიყვნენ, იაკოვლევების მისაშველებლად. ცოლ-ქმრის ყვირილზე მართლაც შეიკრიბნენ მეზობლები და ცდილობდნენ ბინაში შესვლას. ამ დროს ნიაზაშვილმა სახლის გასაღები გამოსტაცა ხელიდან, გააღო კარი და გარეთ გავარდა. იქ შეკრებილ მეზობლებს უთხრა, თითქოს თავს დაესხა ვიღაცა და თავადაც დაზარალდა. ამ ტყუილის მეშვეობით მან ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე მოახერხა შემთხვევის ადგილიდან მიმალვა. ცოლ-ქმარი იაკოვლევები სასწრაფოდ გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც ისინი რამდენიმე დღის განმავლობაში გადიოდნენ სტაციონარულ მკურნალობას.

მოგვიანებით დაკავებულმა ნიაზაშვილმა და კენკიშვილმა თავი დამნაშავედ არ ცნეს. სასამართლოში მათ განაცხადეს, რომ არც ძარცვისა და არც ყაჩაღობის განზრახვა არ ჰქონიათ. როგორც კენკიშვილმა აღნიშნა, მან მხოლოდ ხულიგნობა ჩაიდინა. განაჩენით უკმაყოფილო მსჯავრდებულებმა საჩივრით უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატასაც მიმართეს, მაგრამ მათთვის განსაზღვრული სასჯელი მოსამართლეებმა უცვლელად დატოვეს.

■

# "მეზობელმა ჩემი და ჩემი მცირეწლოვანი შვილის გაუპატიურება სცადა"

***ამ დანაშაულისთვის სისხლის სამართლის საქმე ოზურგეთის რაიონის პროკურატურაში აღიძრა. თუმცა, დანაშაულს არა გაუპატიურების მცდელობის, არამედ გარყვნილი ქმედებისა და ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანების კვალიფიკაცია მიენიჭა. სამართალდამცავები აღნიშნულ ქმედებებში ბრალს ოზურგეთის მკვიდრს ზაქარია ცერცვაძეს სდებდნენ. საბრალდებო დასკვნის თანახმად მან დანაშაული ჯერ საკუთარ სახლში, ხოლო შემდეგ საკუთარი ეზოს წინ ჩაიდინა. დაზარალებულები, მისივე მეზობელი ქალი — სამი შვილის დედა და ამ უკანასკნელის ერთ-ერთი ქალიშვილი — 8 წლის გოგონა აღმოჩნდნენ.***

ზაქარია ცერცვაძე თავის ოჯახთან ერთად ოზურგეთის რაიონის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობდა და ახლო ურთიერთობა ჰქონდა იქვე, მეზობლად მცხოვრებ თინა ცინცაძესთან. ამის გამო, თინა ცინცაძე, თავის სამ მცირეწლოვან შვილთან ერთად, ხშირად გადადიოდა ზაქარია ცერცვაძის ოჯახში. ერთხელ, შუადღისას, ზაქარია ცერცვაძის მეუღლემ თავის სახლში მიიყვანა თინა ცინცაძის უმცროსი ქალიშვილი — 8 წლის მაია, რათა მისთვის ფუტკრისგან დაკბენილი ხელი სპირტით მოებანა. ამ დროს ზაქარია ცერცვაძე ტრუსის ამარა იჯდა სახლის პირველ სართულზე ერთ-ერთ ოთახში და ჩუსტებს კერავდა. მაშინ, როცა მისი ცოლი ოთახიდან გავიდა და ბავშვი მასთან მარტო დატოვა, ზაქარია ცერცვაძემ დრო იხელთა, გოგონას მიუახლოვდა, წელზე მოხვია ხელები და ფანჯარასთან მიიმწყვდია. შემდეგ იქვე, ოთახში დაკიდებულ საქანელაზე ჩამოჯდა, ბავშვი ხელში აიყვანა და მუხლებზე დაისვა. მან გარყვნილი ქმედების ჩადენა დაიწყო, რამაც პატარა გოგონა შეაშინა. ბავშვმა ტირილი მორთო, შეშინებული, სასწრაფოდ ჩამოხტა ზაქარია, ცერცვაძის მუხლებიდან და გაიქცა. ზაქარიას შეეშინდა, რომ გოგონა მომხდარის შესახებ უფროსებს მოუყვებოდა. ამიტომაც სასწრაფოდ დაედევნა მას, შეაჩერა და დამშვიდება დაუწყო. სწორედ ამ დროს ოთახში მისი ცოლიც შევიდა. ისე, რომ ვერ მიხვდა, რა მოხდა, ატირებული ბავშვი მან ოთახიდან გაიყვანა.

თინა ცინცაძეს ქმარი 1994 წელს გარდაეცვალა და მას შემდეგ სამ შვილს მარტო ზრდიდა. ამ პერიოდში ის განსაკუთრებით დაუახლოვდა ზაქარია ცერცვაძის ოჯახს, მაგრამ ეს ფაქტი ძალიან აღიზიანებდა ზაქარიას მეუღლეს. ბოლო დროს მან ეჭვიანობა დაიწყო და ქმარს უჯავრდებოდა — ჩვენს სახლში ის საეჭვოდ დადის, თითქმის მთელ დღეს აქ ატარებს და ალბათ, შენთან დაახლოება უნდაო. ცოლმა ქმარს თინასთან ურთიერთობის მოგვარება სთხოვა. ზაქარია შეუთანხმდა თინას, უთხრა, რომ მას სერიოზულად უნდა დალაპარაკებოდა და შეხვედრაც დაუნიშნა. ისინი ერთმანეთს ღამით, დაახლოებით 2 საათზე შეხვდნენ და ზაქარიას ეზოს წინ გაჩერებულ მისსავე ავტომანქანაში ჩასხდნენ. ცერცვაძემ აუხსნა, რომ მისი ცოლი ეჭვის თვალით უყურებდა მათ ურთიერთობას და საჭირო იყო, ერთმანეთს მორიდებოდნენ. თინა კი პასუხობდა, რომ საეჭვო არაფერი იყო, თან სთხოვდა, მეორე დღეს მანქანით სიმინდის ყანაში გაჰყოლოდა და სასუქის მოყრაში დახმარებოდა. ამაზე ვერ შეთანხმდნენ. დაიწყეს კამათი, რაც ბოლოს ჩხუბში გადაიზარდა. განაწყენებულმა ზაქარიამ გადაწყვიტა, თინა მანქანიდან გადაეგდო. ჯერ წიხლი მიარტყა მას ფეხზე, შემდეგ ცემა დაუწყო, ამ დროს თინამ თავის ტვინის მსუბუქი შერყევა მიიღო და სისხლჩაქცევები განუვითარდა ორივე წინამხარისა და მარცხენა წვივის არეში.

მომხდარის შემდეგ ცინცაძემ პოლიციას მიმართა. მან სამართალდამცავებს განუცხადა, რომ ზაქარიას იმ ღამით მისი გაუპატიურება სურდა, მან კი წინააღმდეგობა გაუწია და სხეულზე დაზიანებებიც ამის გამო მიაყენა. სასამართლო სხდომაზე დაზარალებულმა განაცხადა: „*მან ჩემი და ჩემი მცირეწლოვანი შვილის გაუპატიურება სცადა*“. თინას თქმით, გოგონამ ზაქარიას სახლში მომხდარის შესახებ დედას ყველაფერი მოუყვა. მიუხედავად ამისა, ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ მტკიცებულებების არარსებობის მოტივით, დაზარალებულის ჩვენება არ გაიზიარა და განსასჯელი მხოლოდ იმ მუხლით ცნო დამნაშავედ, რაც მას პროკურატურამ წაუყენა. სასჯელის ზომად ზაქარია ცერცვაძეს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრეს, რომელიც შემდეგ პირობითი სასჯელით, ორი წლის გამოსაცდელი ვადით შეუცვალეს. დაზარალებულმა საჩივრით ზემდგომ ინსტანციებს მიმართა. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ სხეულის განზრახ მსუბუქი დაზიანების ნაწილში საქმე დამატებითი ძიებისთვის პროკურატურას უნდა დაუბრუნდეს და კიდევ ერთხელ გადამოწმდეს დაზარალებულის ვერსია გაუპატიურების მცდელობის შესახებ.

***(სახელები და გვარები შეცვლილია)***

■

**რუბრიკა მოამზადა მეგი ცანავამ**



**სანდრო თედიაშვილს** უნიკალური ბიოგრაფია აქვს. მის მიერ ნანახი და განცდილი არაერთ ცხოვრებას ეყოფოდა. ალბათ ქურდული სამყაროს ისტორიაში ერთადერთი ადამიანია, რომელიც... ცირკის კლოუნი გახდა, თანაც — პირველი ქართველი კლოუნი!.. 1963-68 წლებში, ბატონი სანდრო ქართული ცირკის სამხატვრო ხელმძღვანელი გახლდათ. ახლაც, 92 წლის ასაკში, აქტიურ საქმიანობას ეწევა. 1976 წლიდან დღემდე, თბილისის საესტრადო და საცირკო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელში საცირკო განყოფილების ხელმძღვანელად მუშაობს. სულ ახლახან, ქართული ცირკის შესახებ წიგნი გამოსცა. ჰყავს ქალიშვილი, ორი შვილიშვილი და შვილთაშვილი.

# გიმელი, მომღერალი, ჯამბაზი
## ანუ 92-წლიანი გზა ამ ცოდვილ მიწაზე

*ელენე ხირსელი*

— **საოცარი ცხოვრებით გიცხოვრიათ: გიმელობიდან — ცირკის კლოუნამდე. როგორ ახსნით ასეთ უცნაურ მეტამორფოზას?**

— ჩემი განვლილი გზა პარადოქსებით არის სავსე. ხშირად გამიოცებია ნაცნობმეგობრები არაორდინარული, ექსცენტრიკული საქციელით. არასდროს დამიგეგმავს ხვალინდელი დღე, ყველაფერს სპონტანურად, იმპროვიზებულად ვაკეთებდი. ხშირად სიგიჟეც კი ჩამიდენია... თუმცა, რაც არ უნდა გამეკეთებინა, არასდროს დამირღვევია კაცობისა და ადამიანობის „კოდექსი“, არასდროს შემილახავს არც საკუთარი და არც სხვისი ღირსება. გიმელი თუ კლოუნი გახდა, არ ნიშნავს, რომ მან თავის პრინციპებს უღალატა. მე ხომ მილიციაში ან „კაგებეში“ არ დამიწყია მუშაობა! მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ჯამბაზის პროფესია არასდროს ყოფილა პრესტიჟული, დამამცირებლადაც კი ითვლებოდა, ყოველთვის ვამაყობდი ჩემი არჩევანით.

— **თუ შეიძლება, ბავშვობა გაიხსენეთ: სად დაიბადეთ, ვინ იყვნენ თქვენი მშობლები?**

— დავიბადე თბილისში, მთაწმინდაზე. მამა მუშა იყო, დედა — დიასახლისი. ყოყლოჩინა და ჩხუბისთავი ვიყავი, ამავე დროს, კარგად ვმღეროდი, ვცეკვავდი... მე-3 კლასში ვიქნებოდი, ბიჭები ალექსანდრეს ბაღში ფეხბურთს ვთამაშობდით. ამ დროს იქ რაღაც ღონისძიება ტარდებოდა. ერთი კაცი მოგვიახლოვდა და გვკითხა — ლექსები თუ იცითო? ბავშვებმა ჩემზე მიუთითეს. — ახლა სიტყვით გამოვალ, მერე შენ ლექსი თქვიო, — მითხრა. მეც, საკმაოდ მრავალრიცხოვანი პუბლიკის წინაშე, რიხიანად წავიკითხე ლექსი — „შავრაზმელები“. გაისმა აპლოდისმენტების ხმა. საოცრად ბედნიერი ვიყავი — ეს იყო ჩემი პირველი ნაბიჯი სცენაზე. სწორედ ამ დღიდან ჩაისახა ჩემში მსახიობობის სურვილი. მერე, ისევ ის კაცი მოვიდა, თავზე ხელი გადამისვა და მითხრა — შენგან კარგი არტისტი დადგებაო. ეს კაცი ფილიპე მახარაძე იყო.

— **ბატონო სანდრო, რას ნიშნავს „გიმელი“ და როგორ მიიღეთ ეს წოდება?**

— გიმელი ეს იგივეა, რაც „კანონიერი ქურდი“ (უწინ ამ ტერმინს ხმარობდნენ). თუმცა, უნდა ითქვას, რომ წინანდელი გიმელი საკმაოდ განსხვავდება თანამედროვე „კოლეგისგან“. ჩვენს დროს ქურდულ სამყაროში სულ სხვა კანონები იყო. გიმელი ვაჟკაცობისა და სამართლიანობის ეტალონი იყო. არ შეიძლებოდა სუსტისა და უმწეოს დაჩაგვრა, დანისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, აკრძალული იყო მკვლელობა, შეიარაღებული თავდასხმა. ვინ გაძარცვავდა პატიოსან, უბრალო ადამიანს?! გაჭირვებულებს იქით ეხმარებოდნენ. ყაჩაღები, მკვლელები, ხულიგნები და სპეკულანტები არაკაცებად ითვლებოდნენ და მათ ციხეში ავიწროებდნენ. მათ ქურდების გვერდით ყოფნის უფლება არ ჰქონდათ. ასევე აკრძალული იყო დანაშაულის აღიარება, ქურდებისთვის მუშაობაც მიუღებელი იყო. მეზობლად ქალაქის განთქმული ქურდები ცხოვრობდნენ, მხიბლავდა მათი წარმოდგენები ცხოვრებაზე, ვაჟკაცობაზე. სულ პატარა ვიყავი, როცა მათ დავუახლოვდი. მერე, ნელ-ნელა მეც ჩავერთე მათ ცხოვრებაში, ძალიან მალე მოვიპოვე ავტორიტეტი და 17 წლის ასაკში, უკვე გიმელი გავხდი. 10 წელი შეუბღალავად ვატარებდი პლეხანოველი გიმელის სახელს. მე უკვე 17 წლის ასაკში შემეძლო ჩემზე ბევრად უფროსი კაცისთვის გამერტყა, მას კი უფლება არ ჰქონდა, ხელი შემოებრუნებინა... სხვათა შორის, არ შემიძლია არ ვთქვა, ჩემი მუსიკალური, მსახიობური ნიჭის წყალობით, ხშირად გამოვსულვარ გამოუვალი, რთული სიტუაციებიდან. ასე რომ, ხელოვნება ერთგვარ მფარველ ანგელოზადაც კი მექცა.

— **ეს როგორ?**

— ერთი პერიოდი, ცხინვალში დეიდასთან ვცხოვრობდი. დაბადების დღეზე მე და ჩემს ორ თბილისელ მეგობარს ადგილობრივ ყმაწვილებთან მოგვივიდა კამათი (ჩემი ერთ-ერთი მეგობარი, ციხიდან გამოქცეული, ძებნილი გახლდათ). გვიან ღამით შინ რომ ვბრუნდებოდით, ის ყმაწვილები დაგვხვდნენ და ატყდა დიდი მუშტი-კრივი. ერთ-ერთი ჩვენი მოწინააღმდეგე ძლიერად დაშავდა და საავადმყოფოში დააწვინეს. ამის გამო მე და ჩემი მეგობრები დაგვაპატიმრეს. ერთ დღესაც, სასამართლო ჯერ არ იყო შემდგარი, გამომიძახეს და ციხის უფროსის კაბინეტში შემიყვანეს. სავარძელში სოლიდური, თეთრწვერა მამაკაცი იჯდა, მკერდზე ლენინის ორდენი ეკეთა. ვიფიქრე, ალბათ ის საცო-



**სანდრო (და-დე-ში) ხელების გარეშე დაიბადა. ის არენაზე ფრაკითა და ცილინდრით გამოდიოდა, ფეხით იხდიდა ცილინდრს და ხატავდა (სანდრო დადეშქელიანი მარცხნივ)**

დავი გარდაიცვალა და თბილისიდან გამომძიებელი ჩამოიყვანეს-მეთქი. გავიგე, კარგად მღერი, აბა, რაც შეგიძლია, ხმამაღლა აიღე ნოტიო. — არა ვარ სიმღერის ხასიათზე-მეთქი, — ვუთხარი. მაგრამ, მისი თბილი გამოხედვა რომ შევნიშნე, აზრი შემეცვალა და რაც შემეძლო, მაღალზე წავიმღერე: ა-ა!.. უცებ საკნებში ისეთი ხმაური და აყალმაყალი ატყდა, კედლებმა ზანზარი დაიწყო. თურმე, იფიქრეს, რომ მაწამებდნენ. ეს კაცი კი, ცნობილი ლოტბარი ავქსენტი მეგრელიძე ყოფილა, რომელიც ცხინვალში იმისთვის ჩამოვიდა, რომ სამხრეთ ოსეთის ოლქის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ჩამოეყალიბებინა. ის დამეხმარა და რამდენიმე დღეში ციხიდან პირდაპირ თეატრში წამიყვანეს. გაუპარსავი, ჭუჭყიანი, ნამდვილ ყაჩაღს ვგავდი. ამ დღიდან დაიწყო ჩემი მოღვაწეობა თეატრში. საბედნიეროდ, დაშავებული კაცი გამოჯანმრთელდა, ჩემი ერთი მეგობარი გამოუშვეს, მეორე კი, რადგან მანამდე ძებნილი იყო, ციხეში დატოვეს.

— **კიდევ თუ გქონიათ სამართალდამცავებთან შეხება? ნასამართლევი თუ ხართ?**

— შორეულ აღმოსავლეთში (ვლადივასტოკის მახლობლად) 5 წელი ვიჯექი. ჩვენი ჯგუფი რუსეთის სხვადასხვა ქალაქში „ტორგსინებს" (ოქროთი მოვაჭრე მაღაზიები) ძარცვავდა. საქართველოში არ „ვმოღვაწეობდით". სულ „გასტროლებზე" ვიყავით. ქურდული სამყაროს „დედაქალაქი", როსტოვი იყო. იქ საკმაოდ კარგი ავტორიტეტით ვსარგებლობდი. საერთოდ, ქართველები ძალზე პოპულარულები ვიყავით, რუსები განთქმული ხაშურელი ქურდის — საშა ციცქიშვილის მზეს ფიცულობდნენ. ერთ-ერთ კრიმინალურ დაჯგუფებაში 40 განთქმული ქურდი შედიოდა, რომლებიც ბანკებს ძარცვავდნენ. მათ „მედვეჟატნიკებს" ეძახდნენ. ამ ხალხს ციხეში დავუმეგობრდი. ეზოში ერთ ბორცვზე ჩამოვსხდებოდით და ათას რამეზე ვსაუბრობდით. სხვათა შორის, საოცრად კულტურული, განათლებული და ჭკვიანი ხალხი იყო, მათი მოსმენა ერთ რამედ ღირდა...

— **პოლიტპატიმრებთან თუ გქონიათ შეხება?**

— 1937 წელს, ციხე სავსე იყო ე.წ. „ტროცკისტებით". მე და ჩემი მეგობარი — ცნობილი ქურდი ოთარ გველესიანი ტაშკენტში, სანამ სხვადასხვა „ლაგერში" გაგვანაწილებდნენ, დროებით „ტროცკისტებთან" ერთ საკანში მოვხვდით. ისინი მაღალფარდოვანი სიტყვებით ლაპარაკობდნენ სამშობლოზე, ზნეობაზე, ჩვენ კი აღმაცერად გვიყურებდნენ. ერთმა გვითხრა — არ გრცხვენიათ? პარაზიტები ხართ, ჩვენ სამშობლოს სიყვარულისთვის მაინც ვისჯებითო. საკანში ოთხნი ვიყავით — მე, ოთარი და ორი „ტროცკისტი" ძმა. ცოტა ხანი გავიდა და ერთ-ერთი ძმა ავად გახდა, ამიტომ მეორე ძმას მოჰქონდა ხოლმე ორივესთვის განკუთვნილი „პაიოკი". თურმე, გზაშივე ჭამდა საჭმელს — პირში ჩქარ-ჩქარა იტენიდა ლუკმებს და თითქმის არაფერი მოჰქონდა ავადმყოფ ძმასთან, ისევ ჩვენ ვაჭმევდით იმ საწყალს. ვერ მოვითმინე და ვუთხარი: შე ვირიშვილო, შე განათლებულო „ტროცკისტო", მე რომ დამცინოდი და მაღალ ზნეობაზე მელაპარაკებოდი, აი, თურმე როგორი ყოფილხარ-მეთქი!.. სასჯელი 1942 წელს მოვიხადე და მაშინვე ჯარში მიკრეს თავი.

— **გიმელისთვის სამხედრო სამსახური დასაშვები იყო?**

— წესით — არა, მაგრამ მაშინ ისეთი დრო იყო, ძალიან ძნელი იყო თავის დაღწევა... შორეული აღმოსავლეთის ქალაქ სპასკში მოვხვდი, იქ ჯარისკაცებს რამდენიმე თვე, ფრონტისთვის ამზადებდნენ. ჩემთვის, როგორც გიმელისთვის, პირველი ამოცანა იყო, როგორმე თავი ამერიდებინა იმისთვის, რომ იარაღით ხელში საწყობის დარაჯად დავეყენებინე, თორემ მაშინვე „გავფუჭდებოდი". ხელოვნებამ მიხსნა. კარგად შეზარხოშებული, სასადილოში მარტო ვიჯექი. სიმღერის ხასიათზე დავდექი და რაც შემეძლო ხმამაღლა წამოვიწყე რუსული რომანსი „Ох, эти чёрные глаза". არ გასულა ორი წუთი, კარზე კაკუნი შემომესმა, შემოვიდა ჩემთვის უცნობი ოფიცერი, რაღაცები გამომკითხა, ჩაიწერა ჩემი გვარი და რომელ „როტაში" ვმსახურობდი. ვიფიქრე, ჰაუპტვახტი არ ამცდება-მეთქი... მეორე დღეს, უფროსმა დამიბარა და მითხრა: ამიერიდან, შორეული აღმოსავლეთის ფრონტის პირველი წითელდროშოვანი არმიის ცეკვისა და სიმღერის ანსამბლის წევრი ხარო. ბედმა გამიღიმა: ამით ბევრი ისეთი ფუნქციის შესრულებას დავაღწიე თავი, რაც გიმელისთვის შეუფერებელი იყო.

— **რამდენ ხანს იყავით ანსამბლში?**

— ანსამბლში ვმღეროდი, ვცეკვავდი, ვმონაწილეობდი პოლიტსატირებში (სპექტაკლები), ვითამაშე გებელსის, ჯარისკაც შვეიკის როლები... ანსამბლის წევრთან, გენერალ ოსტროგლაზოვის მეუღლესთან რომანი გავაბი, ქმარმა ეს რომ შეიტყო, იქაურობა დამატოვებინა და იაპონიის ფრონტზე გამგზავნა.



პირველი ქართველი კლოუნი მაყურებელს კინტოს ფორმაში მოევლინა... (შვილიშვილთან გიორგი სიმონიასთან ერთად)

— **დაბრუნების შემდეგ ისევ გააგრძელეთ კრიმინალური საქმიანობა?**

— ჩემი ქურდული წარსული ყმაწვილური გატაცება იყო, მაგრამ ამას როდი ვნანობ: ნამდვილმა მამაკაცმა ცხოვრებაში ყველაფერი უნდა გამოსცადოს — გამოაწრთოს სული და ხორცი. 1946 წელს ისევ ცხინვალის თეატრს დავუბრუნდი და სამსახიობო მოღვაწეობა განვაგრძე. ერთი ინციდენტი მინდა გავიხსენო, რომელიც, შეიძლება ითქვას, წინასწარმეტყველურიც კი აღმოჩნდა. ოსტროვსკის პიესის „უდანაშაულო დამნაშავის" პრემიერას ოლქის პირველი მდივანი აკაკი იმნაძე ესწრებოდა. სცენაზე გასვლის წინ, ჩემი ცილინდრი ვერსად ვიპოვე. იძულებული გავხდი, სასწრაფოდ, სარდაფიდან ძველი დამტვერილი ცილინდრი ამომეტანა. ეს საკმაოდ მძიმე, ტრაგიკული პიესაა. მასში ასეთი სცენაა: ნეზნამოვი ქალბატონ კრუჩინინას აცნობს ჩემს თავს: „გაიცანით, ჩემი მეგობარი შმაგა." მეც ცილინდრი მოვიხადე და იქიდან... წრუწუნა ამოხტა, დაბნეულმა სცენას ერთი-ორი წრე დაარტყა და კულისებში გაუჩინარდა. დარბაზში ისეთი სიცილ-ხარხარი ატყდა, ხალხი ერთმანეთს აწყდებოდა. კულისებში დირექტორი მომვარდა, ეს რა გვიქენი, როგორ შეგვარცხვინეო. იმ დღეს სცენაზე აღარ გამიშვეს და ჩემი მონაწილეობის გარეშე გააგრძელეს სპექტაკლი. მაშინ რას წარმოვიდგენდი, რომ მომავალში ცირკის არენაზე მომიწევდა მსგავსი სცენების შესრულება. 1952 წელს, თბილისში, მოზარდ მაყურებელთა თეატრში დავიწყე მუშაობა. ერთხელ, თეატრში ვერიკო ანჯაფარიძე გვესტუმრა, როგორც ჩანს, მოვეწონე და გამოთქვა აზრი, ჩემი მარჯანიშვილის თეატრში გადაყვანის შესახებ. თუმცა, ბედი სულ სხვა რამეს მიმზადებდა...

— **მარჯანიშვილის თეატრს ჯამბაზობა არჩიეთ?**

— ასე გამოვიდა. თბილისში ცირკის შენობა 1939 წელს აშენდა, მაგრამ საკუთარი დასი კარგა ხანს არ ჰყავდა. 1957 წელს გადაწყდა ქართული ცირკის დაარსება. კოლექტივი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ცირკში მომუშავე ქართველებითა და ადგილობრივი კადრებით — ტანმოვარჯიშეებითა და მოცეკვავეებით შეავსეს. ლადო გუდიაშვილმა ქართული ორნამენტებით გააფორმა



ფედერიკო ფელინიმ კლოუნის პროფესიას ურთულესი და ძალზე ტრაგიკული უწოდა...

შენობის კედლები. დამდგმელ რეჟისორად დაინიშნა გიგა ლორთქიფანიძე. ყველაზე რთული აღმოჩნდა ქართველი კლოუნის პოვნა. სამწუხაროდ, ქართული მენტალიტეტიდან გამომდინარე, არავის უნდოდა ჯამბაზობა. მე კი დინების წინააღმდეგ მოძრაობა მიყვარს, კომპლექსებისგან აბსოლუტურად თავისუფალი ვარ, ამიტომაც გავხდი პირველი ქართველი კლოუნი.

— **როგორ გამოიყურებოდა პირველი ქართველი კლოუნი?**

— პირველი ქართველი კლოუნი მაყურებელს კინტოს ფორმაში მოევლინა. ეს არ იყო სწორი არჩევანი. ცირკი სულ მოგზაურობაშია. ეს, რომ იტყვიან, ბორბლებზე შემდგარი ხელოვნებაა და არაქართველმა მაყურებელმა ჯამბაზად ვერ აღიქვა თავიდან ფეხებამდე შავებში ჩაცმული ადამიანი. გადავწყვიტე, შემეცვალა იმიჯი: დავიხურე ნაბდის ქუდი, გავიკეთე უშველებელი შავი წარბები, ჩავიცვი ჭრელი ტანსაცმელი და დიდი ზომის თეთრი წაღები. პარტნიორად გავიხადე „კულტურული“ „ქალაქელი“ სახედარი, წითელი ჰალსტუხითა და მოდური მზის სათვალით... თუმცა, ამ „კულტურულმა“ ვირმა დნეპროპეტროვსკში კარგადაც შემარცხვინა. სახედარმა რამდენიმე საინტერესო ილეთი გააკეთა. წამყვანმა მკითხა — კიდევ რა იცის შენმა ნასწავლმა მეგობარმაო? მე ვირს ყურში ჩავჩურჩულე, მანაც არ დააყოვნა, კუდი ასწია და... მოისაქმა... ხომ წარმოგიდგენიათ მაყურებლის რეაქცია?..

— **ალბათ ძნელია, მუდამ სხვის გამხიარულებას ცდილობდე, როცა სულაც არ ხარ ამის განწყობაზე...**

— დიდმა იტალიელმა რეჟისორმა ფედერიკო ფელინიმ კლოუნის პროფესიას ურთულესი და ძალზე ტრაგიკული უწოდა... 1975 წლის 30 დეკემბერი იყო. კრასნოიარსკში ცირკის საგრიმიოროში ვიჯექი და ჩემი გამოსვლის მომენტს ველოდებოდი. სწორედ ამ დროს გადმომცეს დეპეშა, რომლითაც დედის გარდაცვალებას მაუწყებდნენ. მე მაინც გავედი მაყურებლის წინაშე ხტუნვითა და სიცილით. ეს ალბათ, მხოლოდ გიჟს თუ ეპატიება...

— **ალბათ, კარგად იცნობდით ლეგენდარულ მსახიობს — პლეხანოველ ალექსანდრე დადეშქელიანს.**

— სანდრო (და-დე-ში) ხელების გარეშე დაიბადა. ის არენაზე ფრაკითა და ცილინდრით გამოდიოდა, ფეხით იხდიდა ცილინდრს და ელეგანტურად ესალმებოდა მაყურებელს. ასანთს თვითონ ანთებდა, ჟურნალს ფურცლავდა, ხატავდა, ბოთლიდან ჭიქაში ასხამდა ლიმონათს და სვამდა, ისროდა თოფიდან და ა.შ. მარცხენა ფეხზე მაჯის საათს, ხოლო ფეხის თითზე — ბეჭედს ატარებდა. ძალიან ლამაზი, განათლებული და საოცარი იუმორის პატრონი გახლდათ. ერთხელ, ოდესაში, წარმოდგენის შემდეგ, მისმა მეგობარმა — ცალხელა ლევ ოსინსკიმ რესტორანში დაპატიჟა. სანდრომ ლანგეტი შეუკვეთა (ამ კერძის დანა-ჩანგლით დაჭრა არისტოკრატ გურმანებსაც კი უჭირთ). სანდრომ ფეხები მაგიდაზე დააწყო და დანა-ჩანგლით ისე კოხტად დაანაწევრა შემწვარი ხორცის ნაჭერი, რომ გაოცებისგან ოფიციანტს სინი ხელიდან გაუვარდა.

— **ბატონო სანდრო, თქვენი პროფესიიდან გამომდინარე, ალბათ, ბევრი კურიოზი გადაგხდენიათ თავს...**

— ქალაქ ივანოვოში, სადაც მრავლად არის ფართლეულის (ტექსტილის) ფაბრიკა, ქალების რაოდენობა ბევრად აღემატება მამაკაცებისას, ამიტომაც მას „პატარძლების ქალაქს“ ეძახიან. ერთ-ერთ ფაბრიკაში 8 მარტის აღსანიშნავ ღონისძიებაზე დამპატიჟეს. დირექტორმა პარტკომი — 60 წელს გადაცილებული ქალბატონი გამაცნო, მას რატომღაც თვალში არ მოვუვედი, საქმეები მოიმიზეზა და ოთახიდან გავიდა, მე კი, მისასალმებლად გაწვდილი ხელი ჰაერში გამიშეშდა... შემდეგ, კლუბში სუფრას მივუსხედით, სადაც ფაბრიკის მთელი ქალები ისხდნენ. მე თამადად ამირჩიეს, ის ქალბატონი კი სადღეგრძელოების თქმას არ მაცლიდა, დამცინავ რეპლიკებს მესროდა. ნეტავ, რას გადამეკიდა რა დავუშავე ამ ქალს-მეთქი?.. — ვფიქრობდი, მერე სადღეგრძელოში ვთქვი: ქალი თევზია, მამაკაცი კი — წყალი, როგორც თევზს უწყლოდ ცხოვრება არ შეუძლია, ისევე ქალს — მამაკაცის გარეშე-მეთქი. ამ სიტყვებზე სულ გადაირია, ფეხზე წამოვარდა და მითხრა: აი, შემომხედეთ, რა მშვენივრად გამოვიყურები, გათხოვილი არასდროს ვყოფილვარ და მამაკაცი სულაც არ მჭირდებაო. მოთმინების ფიალა ამევსო, მე შენ გიჩვენებ სეირს-მეთქი, — ვიფიქრე და ვუპასუხე: — Мария Васильевна, я же не говорю о капчённой рыбе, я говорю о свежей. ■

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

# ტესტი ერუდიციაზე

***1. ვისი დაარსებულია საქართველოს თეატრალური ინსტიტუტი?***



ა) კოტე მარჯანიშვილის;
ბ) სანდრო ახმეტელის;
გ) აკაკი ხორავასი.

***2. რომელი ჯიშის ძაღლებს იყენებდნენ ძველად, მხოლოდ იხვებზე სანადიროდ?***



ა) პუდელს;
ბ) კურცხაალს;
გ) კოკერსპანიელს.

***3. ჩამოთვლილთაგან რომელ დაწესებულებაში არ გადაჰყავთ საათი არც წინ და არც უკან?***



ა) ეროვნულ ბანკში;
ბ) ობსერვატორიაში;
გ) კოსმოსურ ცენტრში.

***4. სად დაიწყეს ცეკვების შესწავლა პირველად?***



ა) პარიზში;
ბ) მადრიდში;
გ) ლონდონში.

*პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე*

# სხვისი საიდუმლო



## „ვიცი, რომ იტანჯები და ჯობს, გამოამჟღავნო...“

**არაერთხელ მითქვამს, რომ „გზავნილებისთვის“ ურთვალავი მესიჯი მომდის. ამიტომ, ბუნებრივია, ყველა მათგანი ჟურნალის ფურცლებზე ვერ ხვდება. ხშირად საყვედურსაც ვიღებ იმ მკითხველისგან, რომლის მესიჯიც ჩემს „არქივში“ რჩება. იმასაც მეკითხებიან — როგორ უნდა „ჩავაწყოთ“ საქმე, რომ მესიჯი გამოაქვეყნოო?.. ჰოდა, რადგან დღევანდელი თემა საიდუმლოს ეხება, მინდა, მეც გავამჟღავნო საიდუმლო ფრაზა — ანუ „პაროლი“, რომლითაც მესიჯის „ჩაწყობა“ ხდება.**

*მარი ჯაფარიძე*

*თუ გზავნილი იწყება სიტყვებით — მარი, მე სვანი ვარ... — ასეთ შემთხვევაში, ჩათვალეთ, რომ თქვენი მესიჯი აუცილებლად გამოქვეყნდება. აი, ასე... ხუმრობა იქით იყოს და სინამდვილეში, არავითარი „ჩაწყობა“ არ გჭირდებათ. ყველა საინტერესო მესიჯი, ადრე თუ გვიან, აუცილებლად იხილავს დღის სინათლეს. რაც შეეხება სვანებს, მათ ამ კვირაში განსაკუთრებით შემომიტიეს. ერთ-ერთმა გარითმული მესიჯიც კი გამომიგზავნა:*

„სადამდე წავიდა ტექნიკა, ხედავთ?

სვანებმაც ვისწავლეთ მესიჯის წერა,

იქნებ, სიკვდილისგან დამიხსნათ ყველამ,

ქალი შემიყვარდა მაღალი, ქერა..“

*მეორე სვანსაც მოჰკიდებია სიყვარულის ცეცხლი, ოღონდ, პირველისგან განსხვავებით — შავგვრემანი ქალის ეშხს დაუწვავს. ჰოდა, თავის მესიჯში სწორედ მის საიდუმლოს გვიმხელს.*

## „შეიარაღებული“ და ძალზე მოსიყვარულე

„სიყვარული ალბათ ყველას სწვევია, მაგრამ ნურავინ დამიწყებს იმის მტკიცებას, რომ ვინმეს ჩემზე მეტად ჰყვარებია... ნინო „მარშრუტკაში“ გავიცანი. გვერდიგვერდ ვისხედით. შავგვრემანი იყო, შოკოლადისფერი სახის კანი ჰქონდა და ისე მომხიბვლელად გამოიყურებოდა, რომ გადავწყვიტე, ხელიდან არ გამეშვა. გამოველაპარაკე, მერე მეც იმავე გაჩერებაზე ჩამოვედი, სადაც ის. არა და არ მოვეშვი, ვიდრე რესტორანში არ დავპატიჟე. არ დაგიმალავთ — ფული არ მქონდა, მაგრამ საშველად ძმაკაცს დავურეკე და ისიც მყისვე ჩემთან გაჩნდა. ჩვენ უკვე მაგიდასთან ვისხედით და შეკვეთაც მიცემული გვქონდა. თავის გამოსაჩენად, მთელი მენიუ შევუკვეთე. ძმაკაცმა ყურში ჩამჩურჩულა — 100 ლარზე მეტი ვერ ვისესხეო. ლამის გადავირიე. აბა, ახლა რა გვეშველება-მეთქი? — ვკითხე სვანურად (დამავიწყდა მეთქვა, რომ სვანი ვარ). ისიც ადგა და მიმტანს მოელაპარაკა — ვითომ ესა და ეს კერძები არ გაქვთ, ძმურად, 100 ლარში „ჩაგვტიეო“. ახალგაზრდა ბიჭი იყო, კაცურად გაგვიგო, წარამარა მოდიოდა ჩვენთან და ბოდიშს იხდიდა — უკაცრავად, მაგრამ წიწილა გაგვთავებია, ტაბაკას ვერ შეგიწვავთ, გაზი გამოგველია, ხაჭაპურს ვერ გამოგიცხობთო... — და ა.შ. მოკლედ, იმ საღამომ ასე, სულ სიმწრის ოფლის დენა-წმენდაში ჩაიარა, მაგრამ სამაგიეროდ, ამ თემაზე ხუმრობამ ნინოსთან უცებ დაგვაახლოვა. ამის შემდეგ, ჩვენი ურთიერთობა ძალზე თბილად გაგრძელდა. რამდენიმე კვირის შემდეგ, უკვე მის გარეშე ველარ ვძლებდი. დილით, მასთან ერთად ვვარჯიშობდი, მერე — უნივერსიტეტში ვაცილებდი, მერე — ვსეირნობდით, სახლში რომ მივაცილებდი, არ მეთმობოდა ხოლმე და შინისკენ ტაქსით მივიჩქაროდი, რომ ტელეფონით გველაპარაკა. ყურებამდე გახლდით შეყვარებული. მის საჩუქრებს, კაფესა თუ რესტორანში დაპატიჟებასა და აქეთ-იქით დევნას ფული სჭირდებოდა. ვსესხულობდი და ვალს ვალი ემატებოდა. გადავწყვიტე, ქორწინება დამეჩქარებინა, ვიდრე ვალების გამო, ბინის გაყიდვა მომიწევდა. მოკლედ, „შევიარაღდი“ ყვავილებითა და ოქროს ბეჭდით, ნინოს შინ ვეწვიე და ხელი ვთხოვე. მაგრამ სასტიკი უარი მივიღე. „განაჩენი“ გასაჩივრებას არ ექვემდებარებაო, — მითხრა, მაგრამ უარის მიზეზი არ აუხსნია. მანამდე, ისე ვიყავი დარწმუნებული, ნინო ჩემს წინადადებას დათანხმდებოდა, რომ მისმა უარმა შოკში ჩამაგდო. ავდექი და ჩემი ოცნების ქალი მოვიტაცე... ტიროდა, თავს იკლავდა, მევედრებოდა, შინ დამაბრუნეო, მაგრამ კლდესავით შეუვალი ვიყავი. როდესაც მივხვდი, რომ ნინო ქალწული არ იყო, მაშინ აეხადა ფარდა მის საიდუმლოს. ისე მიყვარდა, ამისთვის მნიშვნელობა არ მიმინიჭებია, მაგრამ ოჯახისთვის არ გამიმხელია ეს ამბავი. მოვახერხე, რომ ვერავის გაეგო. აი, ეს არის სულ, რაც თქვენთვის მინდოდა მომეწერა. ნახვამდის“.

*დანარჩენი სვანების მესიჯებს ქვემოთ გაგაცნობთ. ახლა კი, ერთი თბილისელი, ამერიკაში გამგზავრებული, თაღლითობით გამდიდრებული გოგონას საიდუმლოს გაგიმხელთ, რომელიც მისმა მეგობარმა გვიამბო.*

## ...ერთი ნული და... უკვე მდიდარი ხარ!

„როდესაც ჩემი მეგობარი, თამუნა თბილისში სამსახურის ძებნით დაიღალა, გადა-

წყვიტა, ამერიკაში წასულიყო. მოგეხსენებათ, ვიზის მიღება იოლი არ გახლავთ. ამიტომ მან გადაწყვიტა, ჯერ კანადაში გამგზავრებულიყო, იქიდან კი — ამერიკაში. დიდძალი თანხის სესხება დასჭირდა საამისოდ. შემდეგ მოხდა ისე, რომ კანადაში კარგა ხანს შეყოვნდა, ვერც სამსახური იშოვა და მშობლები აქედან უგზავნიდნენ ფულს, რომ როგორმე თავი გაეტანა. ეს არცთუ ისე მცირე თანხა გახლდათ და ოჯახს ვალი მძიმე ტვირთად დააწვა. ბოლოს და ბოლოს, თამუნამ გადალახა ამერიკის საზღვარი და ნიუ-ჯერსიში დაბინავდა. მალევე მიაკითხა აგენტს, რომელსაც მისთვის სამსახური უნდა ეშოვა და სთხოვა, რაც შეიძლებოდა მაღალანაზღაურებადი ყოფილიყო. ფიზიკურ დატვირთვას არად დაგიდევდათ, ოღონდაც ოჯახს დახმარებოდა ვალის გასტუმრებაში. აგენტი, რუსი ქალბატონი ყოფილა. უთქვამს — ბევრი ქართველი მეხვეწებოდა იმავეს, ერთ ოჯახში ვუშვებდი, სადაც კვირაში 1.000 დოლარს უხდიდნენ, მაგრამ ორ კვირაზე მეტხანს ვერავინ გაძლოო. თამუნა არ შეუშინდა მძიმე სამუშაოს და მითითებულ მისამართზე მივიდა. ორსართულიან სახლში საკმაოდ ასაკოვანი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. კაცი წლების განმავლობაში, ამერიკის სხვადასხვა უნივერსიტეტში ლექტორად მუშაობდა, ქალი — ცხოველთა დაცვის საზოგადოების შეფი ყოფილა. შინ უამრავი ძაღლი, კატა და სხვადასხვა ფრინველი ჰყავდათ. ქალბატონს მოხუცებულობის ჟამს მზის და წყლის შიში აჰკვიატებია. ფარდებჩამოშვებულ ოთახში იჯდა და წლობით არ გამოდიოდა იქიდან, არც ტანს იბანდა. კვირაში ერთხელ, თეთრხალათიანი ადამიანები მოდიოდნენ და ხსნარებით უწმენდდნენ თმასა და სხეულს. აი, ასეთი ადამიანებისთვის და ცხოველთა მთელი ჯგროსთვის უნდა მიეხედა თამუნას. უზარმაზარი ძაღლების გალიაში უშიშრად შედიოდა, კატების სადგომ ოთახს ყოველდღე ქლორიანი წყლით წმენდდა და ხეხავდა... თამუნას ევალებოდა, დილაობით, სამსახურამდე მანქანით ოჯახის უფროსის მიყვანა და საღამოს შინ მოყვანაც. გოგონამ ძალზე იოლად მოიგო მოხუცების გული. ერთგულად ემსახურებოდა წელიწადზე მეტხანს. ერთხელ, სახლის დალაგების დროს, მათ საბანკო ანგარიშს წააწყდა და გაოცებისგან თურმე, თვალები გაუფართოვდა. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ბანკებში მილიონობით დოლარი იდო მათ ანგარიშებზე. ასევე რამდენიმე მილიონი დოლარი ჰქონდათ იმ ბანკში, სადაც თამუნა ყოველი კვირის ბოლოს, ჩეკს ანაღდებდა (ხელფასს ჩეკით უხდიდნენ). ამ საბანკო ანგარიშების ნახვის შემდეგ, თამუნას ერთი აზრი აეკვიატა და მალე სისრულეშიც მოიყვანა. მოხუცებს უთხრა: სამშობლოში მინდა დაბრუნება, იქნებ, სხვა გოგონა მოძებნოთ, ვიდრე გავემგზავრებიო. ცოლ-ქმარი ბევრს ეხვეწა — დარჩი, ძალზე შეგვიყვარდი, ხელფასსაც მოგიმატებთო, — მაგრამ თამუნამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. როდესაც მომდევნო კვირის ჩეკს აძლევდა, დიასახლისმა მასში 1.000-ის მაგივრად, 10.000 ჩაწერა: ჩვენგან საჩუქრად გქონდეს, ნამდვილად დაიმსახურეო. ისიც, ადგა და კიდევ ერთი ნული თვითონ მიაწერა. ბანკშიც უპრობლემოდ მიუთვალეს 100 ათასი დოლარი. თამუნა ერთი კვირის შემდეგ, ოჯახის პატრონმა თავად მიაცილა აეროპორტში და თვალცრემლიანმა გამოაცილა. თან უთხრა — თუ ოდესმე ისევ გადაწყვეტ ამერიკაში დაბრუნებას, აუცილებლად ჩვენთან მოდიო. ასე გამდიდრდა ერთი ნულით ჩვენი თამო. ამ ამბის მერე, უკვე 5 წელი გავიდა და ჯერჯერობით არავის მოუკითხავს მისთვის ხელბორკილის დასადებად და არ უთქვამს — თქვენ გაქვთ დუმილის უფლება, თითოეული თქვენი სიტყვა შესაძლოა, თქვენს წინააღმდეგ იქნას გამოყენებულიო. მე კი, ამ საიდუმლოს გათქმისთვის, აუცილებლად მომხვდება".

*„აბა, ბავშვებო, რა სარგებლობა მოაქვს..." არა, ოღონდ, ამჯერად მამალს კი არა — სხვისი საიდუმლოს ცოდნას? დიახ, დიახ, სწორედ ის, რა სიტყვაც ახლა ენაზე მოგადგათ და რომელიც იმ ოროსანი ბავშვის პასუხში ჟღერდა, მთელი წელი ხმა რომ არ ამოუღია და ხელის აწევა ძლივს რომ გაბედა (ფილმს — „იმერული ესკიზები" — ვგულისხმობ). ეს რომ ასეა და რომ სწორი პასუხია — „ჩინჩლავს", ამაში მომდევნო მკითხველის მესიჯით დარწმუნდებით.*

## „...იმ ერთხელ და... „ვსიო"!"

„სხვისი საიდუმლოს ცოდნა ძალზე „მარგებელი" ყოფილა. ამაში მაშინ დავრწმუნდი, როცა ჩემი ძველი შეყვარებულის საიდუმლო გავიგე... სკოლა ახალი დამთავრებული მქონდა, როცა ერთი გოგო შემიყვარდა. მასთან ოჯახსაც შევქმნიდი, მაგრამ ცოტა ცანცარა იყო. ვფიქრობდი — მისგან კარგი ცოლი არ დადგება, მაგრამ იქნებ, ლოგინში მაინც ჩავიგორო-მეთქი?.. ვიცოდი, რომ ხან ერთ ბიჭს ხვდებოდა, ხან — მეორეს, ყველას სიყვარულს ეფიცებოდა, მაგრამ მგონი, არც ერთი არ უყვარდა. მე კი იმასაც ვერ მივაღწიე, რომ პაემანზე დამეთანხმებინა... ცოტა ხანში, ეს გოგო გათხოვდა. ამის გამო არ გადავრეულვარ, მაგრამ გული დამწყდა. გავიდა ხანი. მეც დავოჯახდი, შვილებიც წამომეზარდნენ, ეს გოგო დავიწყებულიც კი მყავდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, თავისი ოჯახიანად, ჩემს კარის მეზობლად მომევლინა. მე და მისი ქმარი მალე დავმეგობრდით. ევა (ასე ერქვა მას) დადინჯებული მომეჩვენა. დაქალება მოხდენოდა, მშვენივრად გამოიყურებოდა. ჩემი ხარბი მზერა შეუმჩნეველი არასოდეს რჩებოდა. ასეთ დროს, ქვეშ-ქვეშ მიყურებდა და მიბღვერდა. მერე, რამდენჯერმე ისეთი რამე ვუთხარი, რომ მივახვედრე — შენთან სექსი მინდა-მეთქი. მანაც მიმანიშნა — ამაზე არც იფიქრო, როგორც ადრე არაფერი გამოგივიდა, ისე ახლაც ჩაგივარდება კოვზი ნაცარშიო. ერთხელ, სრულიად შემთხვევით, ევა ისეთ სიტუაციაში გავჩითე, მას რომ არ ესიამოვნა და მე რომ გამიხარდა. ამის შემდეგ დავიწყე მისი თვალთვალი. მის კარზე კაკუნს რომ გავიგონებდი, საჭვრეტიდან ვუყურებდი, ვინ სტუმრობდა. მერე, კედელზე ვადებდი ყურს და ვისმენდი მათ საუბარს. თუ გნებავთ, თქვენც გასწავლით, როგორ მოუსმინოთ მეზობელს. გახსოვთ, წინათ, რკინის „კრუშკები" რომ იყო?.. ის „კრუშკა" კედელს უნდა მიადო, მის ძირს ყური მიაბჯინო და მეზობლის სუნთქვასაც კი გაიგონებ... ჰოდა, მეც ამ ხერხით ევას ბევრ საიდუმლოს ავხადე ფარდა (ქალებს დაქალებთან ჭორაობა ღუპავთ ხშირად). ერთ მშვენიერ დღეს, ინფორმაციით „შეიარაღებული", მივადექი მის კარს. ზღურბლი დაუბრკოლებლად გადავლახე და სასტუმრო ოთახში რბილ დივანზე „დავეცი კარავი". ევა კითხვის ნიშნებით სავსე თვალებით მიყურებდა. მე, რაც შეიძლება სექსუალურად მოვჭუტე თვალები და ხელისგული დივანზე დავატყაპუნე (კინოში რომ ხდება ხოლმე, ისე). ევა განრისხდა, მაგრამ დავემუქრე — თუ ისე არ მოიქცევი, როგორც მე მსურს, შენს ქმარს მოვუყვები, რეზოსთან რომ ღალატობ, შალვას რომ ხვდები, მაგრამ ჯერ ვერ გადაგიწყვეტია, რეზო მიატოვო თუ არა; ისიც ვიცი, შენი ქმრის ძმაკაცს რომ ეკეკლუცები-მეთქი... იცით, როგორ უცებ დატკბა?.. სულ შენი ჭირიმე, შენ გენაცვალეო, მეძახა, გვერდით მომიჯდა, მერე — მომიწვა და მალე, კმაყოფილი ღიმილით დავტოვე იქაურობა. თუმცა, კმაყოფილი იმით ვიყავი, ახალგაზრდობის დროინდელი ჟინი რომ მოვიკალი, თორემ, ერთი ჩვეულებრივი ქალია და მეტი არაფერი. ჩვენ შორის მეტი არაფერი მომხდარა, გეფიცებით, იმ ერთხელ და... „ვსიო"!"

*თუ გსურთ, ქალი დაისაკუთროთ, უთხარით მას, რომ იმპოტენტი ხართ. ის აუცილებლად გადაამოწმებს თქვენ მიერ მოწოდებულ ინფორმაციას და თავისი ქალური მომხიბვლელობით თქვენს განკურნებას შეეცდება. ეს ჩემი აზრი არ გახლავთ, ამას მომდევნო რესპონდენტი ირწმუნება. ის თავს „ექსპერიმენტის მსხვერპლს" უწოდებს.*

## „...გავნაწყენდი, გავიბუტე, მაგრამ მალე ვაპატიე“

„შესაძლოა, ჩემმა ნაამბობმა ღიმილი მოგგვაროთ და სულელიც მიწოდოთ, მაგრამ მე ჩემს თავს „ექსპერიმენტის მსხვერპლს“ დავარქმევდი. პირველმა ქორწინებამ არ გამიმართლა, ქმარს ერთ წელიწადში გავეყარე. ერთ-ერთ კლინიკაში ფსიქოლოგად ვმუშაობდი. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი პროფესია მაქვს, ძალზე მძიმედ გადავიტანე ქმართან განშორება და თვითონ დამჭირდა კოლეგების დახმარება, რომ დეპრესიისთვის დამეღწია თავი. დრომ თავისი გაიტანა, კოლეგებმა — თავისი და რამდენიმე თვეში, ჩვეულებრივი ცხოვრების რიტმს დავუბრუნდი. ქმართან განშორების შემდეგ, თაყვანისმცემელი ბლომად გამომიჩნდა, მაგრამ თავდაპირველად, სურვილიც არ მქონდა მამაკაცთან ურთიერთობის. შემდეგ გადავწყვიტე, მეგობარი მამაკაცი გამეჩინა, მაგრამ ამის შესახებ ხომ არ გამოვაცხადებდი! ძალზე ფრთხილად ვმოქმედებდი და თაყვანისმცემლებს შორის შესაფერის კანდიდატურას ვეძებდი. თუმცა, გულს არავინ გაეკარა. ამიტომ ჩემ გარშემო უხილავი კედელი აღვმართე და უკეთეს ვარიანტს დაველოდე. ნაცნობებიდან არავის ვიკარებდი და სწორედ ამიტომ, შეუვალი და ძნელად მოსაპოვებელი ქალის იმიჯი დამიმკვიდრდა. ეს მომწონდა კიდეც. საუკეთესო მამაკაცის ძებნაში, რამდენიმე წელი გავიდა. ზაფხულში დასასვენებლად გახლდით წასული ანტალიაში, თან 2 მეგობარი მახლდა. იქ გავიცანით 2 ქართველი მამაკაცი. ერთ-ერთი, ჩემი მეგობრის ნაცნობი აღმოჩნდა. ხშირად ვურთიერთობდით. თითქმის მთელ დღეებს ერთად ვატარებდით. ერთ მშვენიერ დღეს, ერთ-ერთი მათგანი მეუბნება — ლელა, ჩემს მეგობარს შენი დახმარება სჭირდება: მას მხოლოდ ფსიქოლოგი თუ გადაარჩენს, თორემ, ცოტა უკლია იმას, რომ თავი ჩამოიხრჩოსო. — რა სჭირს-მეთქი? — საწყალი, 2 წლის წინ, ავარიაში მოყვა და მას შემდეგ, მამაკაცური ფუნქცია დაკარგაო... ძალზე შემებრალა ახალგაზრდა, სიმპათიური, ჯან-ღონით სავსე ყმაწვილი საიმისოდ, რომ დარჩენილი ცხოვრება იმპოტენტად გაეტარებინა. გიას შევპირდი, დავეხმარები-მეთქი. თბილისში დაბრუნებისთანავე, მე თვითონ დავურეკე ლევანს და ვთხოვე — შევხვდეთ-მეთქი. შევხვდით. ყველანაირად ვცდილობდი, ჩემი ჩაცმულობითა თუ ქცევით, მასში ქალის მიმართ ინტერესი გამეღვიძებინა. ის კი იჯდა და ლამაზ თვალებს მიამიტად აფახულებდა. დამშვიდობებისას, ვიდრე მანქანიდან გადმოვიდოდი, ძალზე ვნებიანად ვაკოცე... მერე კიდევ რამდენჯერმე შევხვდით. მის გასაჭირზე სიტყვასაც არ ვძრავდი, რადგან გიასგან გაფრთხილებული ვიყავი, არ გამემხილა, რომ ძმაკაცი ჩაუშვა. ერთ დღეს, ლევანი შინ დავპატიჟე. საკმაოდ შილიფად ჩაცმული დავხვდი. დივანზე მჯდომს, კალთაში ჩავუჯექი და მოფერება დავუწყე. ფეხზე წამოდგა, მომიბოდიშა და წავიდა. საღამოს კი, დამირეკა და ენის ბორძიკით მითხრა, რომ ძალიან მოვწონვარ, მაგრამ... ისე შევიცხადე, თითქოს პირველად გავიგე მისი გაჭირვების ამბავი. მეორე დღეს, სეანსზე დავიბარე. ასე ვუტარებდი ტრენინგებს მთელი თვის განმავლობაში. ერთ-ერთი შეხვედრის დროს, ისევ ჩავუჯექი კალთაში და ვაკოცე. ბოჩოლასავით ნაღვლიანი თვალებით შემომცქეროდა ქვევიდან. ამოვიოხრე და საძინებელში შევედი, რომ გათხაპნილი პომადა მომეწმინდა. უცებ, შემოვარდა ოთახში, დამეძგერა, საწოლზე დამაგდო და... არანაირი წინააღმდეგობა არ გამიწევია. ჩემი მკურნალობის შედეგით ფრიად კმაყოფილი დავრჩი და ნამდვილი პროფესიონალი ვარ-მეთქი, გავიფიქრე. მაგრამ საკუთარ თავზე ჩემს წარმოდგენას წყალი მაშინ შეუდგა, როცა რამდენიმე თვის შემდეგ, მის მხარზე თავდადებულმა ჩავჩურჩულე — იმ საიდუმლოს, რომ მთელი 2 წელი იმპოტენტი იყავი, სამუდამოდ შეგინახავ-მეთქი. გაიცინა და გამომიტყდა — ცდები, ჩემო კარგო, ეს იმისთვის მოვიფიქრეთ მე და გიამ, რომ ჩემი გამხდარიყავი; სხვანაირად ჩემთან ურთიერთობაზე ვერანაირად ვერ დაგითანხმებდი; ასე კი, ხომ ხედავ, შენ თვითონ აქტიურობდი და სანამ ლოგინში არ შემითრიე, თავი არ დამანებე; პირველსავე შეხვედრისას მზად ვიყავი, ალერსით დამეხრჩვე, მაგრამ ექსპერიმენტი ჩაიშლებოდაო. გავნაწყენდი, გავიბუტე, მაგრამ მალე ვაპატიე, რადგან ასე რომ არ მოქცეულიყო, დღემდე მამაკაცების დაწუნებაში ვიქნებოდი. ლევან, ისე მიყვარხარ, ისე, რომ... ჩემო „იმპოტენტო“, ისევე გაგმართლებოდეს ყველაფერში, როგორც ამ „ექსპერიმენტში“ გაგიმართლა. შენი მკურნალი“.

*ახლა კი, მოკლე მესიჯებს გადავხედოთ.*

## „მალე სხვისი ცოლი გავხდები...“

„ჩემს საიდუმლოს არავის ვუმხელ ხოლმე, რადგან მეშინია — ვაითუ, ვერ შეინახონ. მირჩევნია, თევზივით, პირში წყალი ჩავიგუბო და გავჩუმდე. სალო“.

„ჩემი მეგობრის უდიდესი საიდუმლო ვიცი. მას 2 ცოლი ჰყავს, ორივესთან — შვილები. ცოლებმა ერთმანეთის შესახებ არაფერი იციან. მე კი სულ მიკვირს, როგორ ახერხებს ვახო ამას“.

„იცით, ჩემთვის ყველა ხუთშაბათი როგორ იწყება? დილიდანვე, „გზას“ დავეძებ ჯიხურებში, რომ „გზავნილები“ წავიკითხო. რაც შეეხება საიდუმლოს, ეს ჩემი სიყვარულია. ის კაცი უკვე ძალზე შორს წავიდა, ქვეყნის დასალიერს... ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ჩემმა ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა „ის“ გამაცნო. მოდიოდა და მიყვებოდა ხოლმე, როგორ უყვარდა ერთი გოგო. მეც ხშირად, ფულს ვაძლევდი, რომ მისთვის საჩუქრები ეყიდა. თან არ ვიმჩნევდი, თუ როგორ ვაღმერთებდი კაცს, რომელსაც სხვა ქალი უყვარდა. ერთ დღეს, ჩემს მეგობარს გავაცანი და მეგობრად წარვუდგინე. როცა ის წავიდა, დაქალმა მითხრა — რომელ მეგობრობაზეა ლაპარაკი?.. ვერ ხედავ, ისეთი თვალებით გიყურებს, ლამის შეგჭამოსო! გამიხარდა. ვიფიქრე, რამეს ამოღერღავდა. მაგრამ იცით, რა ვქენი? ავდექი და სხვაზე გავთხოვდი. ის კი საზღვარგარეთ წავიდა. თან გაიყოლა ჩემი გული, ოცნება, მონატრება და ის იდუმალი სიტყვა, რომელსაც 5 წელი ველოდი და ვერ ველირსე... ამ მესიჯის გამოგზავნას მთელი 2 წელია, ვაპირებ და ძლივს გავბედე. სიცოცხლე არაფრად მიღირს, რადგან მის გვერდით არა ვარ“.

„ამას წინათ, ჩემმა მეგობარმა თამომ, სხვისი საიდუმლო გამანდო, რომელიც კარგად გამომადგა. თამო, გმადლობთ. ლიზი“.

„ძალზე ბედნიერი ვარ. „სუპერდასაშოკი“ საიდუმლო გავიგე! ზაფხულიდან, დიდი დრო გავიდა და მე ახლა გავიგე, რომ ბექას მართლა ვყვარებივარ. სიხარულით გავაფრინე. გაგიბაზრეს საიდუმლო?.. შენ არ მეუბნებოდი — ვერასდროს გაიგებ, თუ მე არ გითხარიო?.. ჩემო საძაგელო, ნუღარ იტირებ. მაპატიე, რომ ეგოისტი ვარ და დაგცინოდი“.

„ჩემს მეგობარს ძალზე ცუდად მოვექეცი. მას გათხოვილი გოგო შეუყვარდა. საიდუმლო მე გამანდო. მე კი სულელურად მოვიქეცი და ისეთ ვინმესთან ვთქვი, ვისთანაც არ უნდა მეთქვა. გურამს ამით ძალზე ვაწყენინე. მინდა, რომ მაპატიოს და შემირიგდეს. ეკა“.

„ჩემი მეგობრის საიდუმლო მისი სიყვარულის შესახებ მხოლოდ მე ვიცი. ამ სიყვარულმა ძალზე ბევრ დაბრკოლებას გაუძლო, მაგრამ არ გამქრალა. დღეს კი მიმტკიცებს, ყველაფერი დამთავრდაო. ჩემო სიცოცხლევ, მინდა გითხრა — მიუხედავად იმისა, რომ თქვენ ცალ-ცალკე ოჯახები გაქვთ, ვერასდროს გადაიყვარებთ ერთმანეთს, მე კი ისევ თქვენი მესაიდუმლე ვიქნები. მარი“.

„თითქმის ყველა ჩემი ნაცნობის ესა თუ ის საიდუმლო ვიცი, მაგრამ ერთი ადამიანის საიდუმლოს ვერ ჩავწვდი. არც მიმხელს და არც არაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ მივხვდე. ჩემო შავტუხავ, თუ

არაფერს მეტყვი, ვერც ვერაფერს მიიღებ. ვიცი, რომ იტანჯები და ჯობს, გამოამჟღავნო... ჩემთვის კი ყველაფერი სულერთია“.

„ერთი ბიჭი მიყვარდა, ცოლობა მთხოვა, მაგრამ მე ჯერ 16 წლის ვარ. მითხრა – ან მე ამირჩიე, ან – სკოლაო. მე სკოლა ვამჯობინე. ამიტომ დავშორდით. ადრე თუ მიყვარდა, ახლა აღარ მიყვარს. მინდა, თავი დაანებოს ჩემთან მესიჯების გზავნას. ხომ თვითონ მითხრა – აღარ დამირეკოო!.. ნინი“.

„ვეძებ თანაჯგუფელს, ინგა ჩუბინიძეს, პედიატრს. ინგა, თუ „გზას“ კითხულობ, მარის დაუკავშირდი და ჩემს ნომერს მოგცემს. მანანა“.

„ჩემო აუხდენელო ოცნებავ! ცხოვრება დამენგრა და უბედური ვარ. მალე სხვისი ცოლი დამერქმევა, მე კი შენ მეყვარები. რა მოხდება, ერთხელ თუ ვუღალატებ ქმარს ჩემს საყვარელ მამაკაცთან?..“

„სიდედრის საიდუმლო გინდათ? ის ღამით ისე საშინლად ხვრინავს, რომ მთელი ოჯახი ვერ ვიძინებთ. სამაგიეროდ, კარგად გამოძინებული დგება, ჩვენ კი, მთქნარება-მთქნარებით მივემართებით სამსახურისკენ...“

„მარი, სვანი ვარ და იმედია, ამ მესიჯს დამიბეჭდავ. ანჟელა მ-ნო, ძალიან მიყვარხარ. დღე და ღამე შენზე ვფიქრობ. ვოცნებობ შენთან შეხვედრაზე. ამას მთელი ქვეყნის გასაგონად გეუბნები. მარი, ჯეკურალ ჩვათბეჭდავ, ჯეკურალ! ნუმა ამღუპავა ნომერ ნომა ამუსხა! *(დამიბეჭდე, ნუ დამღუპავო. – ავტ.)*“.

„ნათია მუკ-ნო, ჩემო ფიქრო და ოცნებავ, შანიძის 16-ში მცხოვრებო მე-3 კურსის სტუდენტო, მენატრები. სვანი“.

„გზავნილებში“ დაიბეჭდა ერთი გოგონას – მარის მესიჯი, რომელსაც „ხელები ექავებოდა, ისე უნდოდა ტელეფონით გაცნობილ სტომატოლოგთან დარეკვა“. მარი, დატოვე ტელეფონის ნომერი მარი ჯაფარიძესთან, გთხოვ. რეზო“.

„ჩემზე ერთგული მკითხველი „გზავნილებს“ არ ჰყავს. პირველი ნომრიდან ვკითხულობ და თანაც, სათუთად ვინახავ. გადავწყვიტე, მარტო მკითხველი კი არა, აქტიური რესპონდენტი გავხდე. ერთ საიდუმლოს ახლა გაგიმხელთ. იცით, როგორ უნდა დაიმახსოვროთ ცოლის დაბადების დღე?.. ერთხელ მაინც უნდა დაივიწყოთ! უნამუსო ვიყო, თუ ოდესმე დაგავიწყდეთ... „საშლელი“.

„ჩემი დედამთილის საიდუმლო ვიცი. მას გათხოვებამდე შვილი გაუჩენია და გაუშვილებია. ამ ცოტა ხნის წინ, შვილმა მოძებნა და ახლა დედა-შვილი ჩუმად ხვდება ერთმანეთს. ნატუკა“.

„მარი, ჩვენ რომ გწერთ სხვის საიდუმლოებებს, შენ ხომ ძალზე ბევრი ამბავი იცი! შენ არაფერს მოგვიყვები? აუჰ, მე რომ „გზავნილების“ ავტორი ვიყო და შენ – რესპონდენტი, რამდენ საინტერესო ამბავს გიამბობდი!.. გელა“.

*მართალი ბრძანდებით, ჩემო გელა, მართლაც, ბევრი საიდუმლო ვიცი. მაგრამ მე ხომ პირობა დავდე, რომ რესპონდენტის საიდუმლოს არასოდეს გავამხელ! თანაც, მე რომ ყველაფერი „დავფქვა“, რაც ვიცი, ისეთი ამბავი ატყდება, რომ „ვარსკვლავური ომები“ თამაშად მოგეჩვენებათ... ამიტომ ჯობს, ენას კბილი დავაჭირო და შემდეგი „გზავნილების“ თემა შემოგთავაზოთ: მამაკაცური ოინები. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. გემშვიდობებით მომდევნო ხუთშაბათამდე.*

■

სიახლე!

# სახსრების ტკივილი გაწუხებთ?

არც თუ ისე დიდი ხანია, რაც ტერმინი – **ქონდროპროტექტორი** – შემოიჭრა ტრადიციული თუ ალტერნატიული მედიცინის სფეროში, მაგრამ თავისი მნიშვნელობითა და მოქმედების უნიკალურობით მან უკვე შეძლო წამყვანი ადგილის დაკავება ძვალ-სახსროვანი სისტემის დაავადებათა თერაპიაში. დღეს იშვიათია საყრდენ-მამოძრავებელი აპარატისათვის განკუთვნილი წარმატებული პრეპარატი, რომლის ბაზისსაც არ წარმოადგენს **გლუკოზამინის ან/და ქონდროიტინის კომპლექსი.** და ეს ბუნებრივიცაა, რადგან წლების მანძილზე ძვალ-სახსროვანი სისტემის დაავადებათა თერაპიისათვის საჭირო პრეპარატებს უამრავი უკუჩვენება და გვერდითი მოვლენა გააჩნდათ, რითაც მათი გამოყენების შესაძლებლობა იზღუდებოდა. ამასთანავე, ეს პრეპარატები ახდენდნენ არა სახსრების ფუნქციისა და სტრუქტურის საფუძვლიან აღდგენას, არამედ უზრუნველყოფდნენ ტკივილის მხოლოდ მოცემულ მომენტში მოხსნას და იძლეოდნენ დროებით დადებით ეფექტს. ამიტომ, იქმნებოდა საჭიროება ახალი სამკურნალო მიდგომების შემუშავებისა. სწორედ ასეთ ალტერნატიულ საშუალებად გვევლინება **გლუკოზამინის ან/და ქონდროიტინის** შემცველი პრეპარატები, **ე.წ. ქონდროპროტექტორები**, რომლებსაც გააჩნიათ აღდგენითი თერაპიული ეფექტი. დღეს უკვე სპეციალისტებს შორის არანაირ ეჭვს არ იწვევს, რომ ეს ნივთიერებები განაპირობებენ ხრტილისა და სინოვიალური სითხის რეგენარაციას და ამასთან, სახსრებს აუცილებელი „საშენი მასალითა“ და საკვები ნივთიერებების მიწოდებით უზრუნველყოფენ. დამტკიცებულია, რომ პაციენტთა 70%-ს, ვინც რეგულარულად იღებს **გლუკოზამინისა და ქონდროიტინის** ნაერთებს, დადებითი შედეგები აქვთ.

**„მეგაპოლის კლასიკი“** გახლავთ ის კომპანია, რომელმაც პირველი ქონდროპროტექტორი, „ინოლტრა" განავრცო საქართველოს ბაზარზე. დღეს ეს კომპანია კიდევ ერთ რევოლუციურ ბიო-პრეპარატს, **„გლუკოზამინის და ქონდროიტინის კომპლექსი მსმ“-ით** გვთავაზობს, რომელმაც თავისი ეფექტურობით ძალზე სწრაფად დაიმკვიდრა თავი ძვალ-სახსროვანი სისტემის დაავადებათა თერაპიაში. **„გლუკოზამინის და ქონდროიტინის კომპლექსი მსმ“-ით:**

- **უზრუნველყოფს ხრტილის რეგენერაციას და ამცირებს ანთებით პროცესს;**
- **ხელს უწყობს სინოვიალური სითხის გამომუშავებასა და შეკავებას ხრტილში;**
- **ახასიათებს არასტეროიდული და სტეროიდული პრეპარატების მსგავსი ტკივილგამაყუჩებელი და ანტიანთებითი მოქმედება;**
- **მნიშვნელოვან როლს ასრულებს ძვლისა და შემაერთებელი ქსოვილის აღდგენის პროცესში; ამცირებს სახსრის ცვეთას;**
- **არასასურველი ფერმენტების ბლოკირების გზით იცავს სინოვიალურ გარსს დაზიანებისაგან.**




**„გლუკოზამინისა და ქონდროიტინის კომპლექსი მსმ“-ით**
**შეუნარჩუნებს თქვენს სახსრებს ჯანმრთელობას.**

**ნუ შეგაწუხებთ სახსრები,**
**იცხოვრეთ ტკივილის გარეშე!**

მეგაპოლის კლასიკი

თბილისი, ი. აბაშიძის ქ. 14 (მრგვალ ბაღთან), ტელ: 94 33 92, 98 96 95, 22 05 32
10:00 – 18:00 სთ. (შაბათ-კვირის ჩათვლით)

პრეპარატები ასევე შეგიძლიათ შეიძინოთ "სამგორი-ფარმა"-ს სააფთიაქო ქსელში.

**პირველი სეზონია, როდესაც ექსპრეზიდენტ შევარდნაძის „ხმა“, პაროდისტი მერაბ გეგეჭკორი, „იუმორინაში“ არ მონაწილეობდა. მაგრამ მას ამის გამო გული არ სწყდება და კონცერტების დროს, მაინც ნახავდით ხშირად ფილარმონიაში. რამდენიმე თვეა, რაც მერაბმა ჟურნალისტ მანანა გაბრიჭიძესთან ერთად ოჯახი შექმნა და ამბობს, რომ ბედნიერია იმით, რომ მისთვის საოცნებო ადამიანს შეხვდა. ყოველ დილით, მათი დიალოგი ოჯახში შევარდნაძის ხმით იწყება.**



# მერაბ გეგეჭკორის სიდედრი მსახიობების „სამცოლიანობას“ შეუშინებია

*ირინა უტარაშვილი*

— **მერაბ, როგორც ახსენე, ამ „იუმორინაში“ არ მონაწილეობდი, რა იყო ამის მიზეზი?**

— სამწუხაროდ, 2005 წლის საგაზაფხულო ,,იუმორინაში“ ვერ ვმონაწილეობ, რადგან რესტორან ,,ნიკალასთან“ რაღაც გაუგებრობაში მოვყევი და ხელის ტრავმა მივიღე. მაგრამ ხშირად ,,იუმორინაზე“ ვიყავი და ხან კულისებიდან, ხან პარტერიდან ,,ვბალელშჩიკობდი“ მათ. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს ,,ლომისელებს“, განსაკუთრებით, ბატონ ჯემალ ბაღაშვილს. ყველანი მხარში ამომიდგნენ, ყველაფერს ანგარიში გაუწიეს და მატერიალურადაც დამეხმარნენ. ჩვენ თვეების განმავლობაში ვმუშაობთ და იმდენად გათავისებული გვაქვს ერთმანეთის როლები, რომ ერთურთის შეცვლა აღარ გვიჭირს: ის როლი, რომელიც მე უნდა შემესრულებინა, არ დაიკარგა და სხვა მსახიობებზე გადანაწილდა. მართლა წარმატებული პროექტია და კონცერტს არაფერი დაჰკლებია ჩემი არყოფნით.

— **ახალ პაროდიებზე თუ მუშაობ?**

— ამ ,,იუმორინაზე“ პირველად იყო წარმოდგენილი პანტომიმის ფორმით, პოლიტიკური შინაარსის ეტიუდი — ოპოზიცია და უმრავლესობა. ოპოზიციაში ერთ-ერთი როლი მეც უნდა შემესრულებინა, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე თამაში. ვნახოთ, ახლა შეიძლება, შალვა ნათელაშვილის სახის შექმნა ვცადო. სამომავლოდ, საკმაოდ ბევრი გეგმა მაქვს.

— **როგორც ვიცი, სულ რამდენიმე თვეა, რაც შენ და მანანა დაოჯახდით. მოგვიყევით თქვენი რომანის შესახებ — სად გაიცანით ერთმანეთი, როგორ დაახლოვდით?..**

— ჩემი მეუღლე, მანანა გაბრიჭიძე ჟურნალისტი, საბავშვო ტელევიზიის — ,,ინკოგნიტოს“ ხელმძღვანელი გახლავთ. მიმიწვია გადაცემაში — ,,უცნობი ადამიანის ნაცნობი წლები“. პირველად რომ დამირეკა, ვერ მივედი. ჩვენი შეხვედრა მეორე ცდაზე შედგა. ცუცა კაპანაძემ დამირეკა და მითხრა — ბიჭო, ასეთი ანგელოზივით გოგო გიბარებს და არ მიდიხარო?! მე ვუპასუხე — ბავშვობა ისეთი მქონდა, რომ მისი გახსენებაც კი არ მინდა-მეთქი... შემდეგ, როგორც იქნა, მივედი და გადამიღეს.

— **პირველი შთაბეჭდილება როგორი იყო?**

— პირველი შეხედვისთანავე მივხვდი, რომ ეს იყო ის ადამიანი, რომელიც შეიძლებოდა, ყოფილიყო ლამაზი ოჯახის დიასახლისი.

**მანანა:**

— ვერ ვიტყვი, რომ პირველსავე შეხვედრისას მომეწონა. როგორც პაროდისტს, მერაბს ვიცნობდი, მაგრამ მაშინ სხვას ვერაფერს ვიფიქრებდი მასზე და კარგა ხანს ვერც წარმომედგინა ჩვენი სასიყვარულო ურთიერთობა. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ცუცა კაპანაძეს, რადგან ის იყო ჩვენი პირველი ,,მაჭანკალი“. მე და ცუცა ძალიან კარგი მეგობრები ვართ. ცუცა რომ არა, მე და მერაბი ერთმანეთს ვერ შევხვდებოდით.

— **სიყვარული მალევე აგიხსნა?**

— მერაბს ჩემთვის სიყვარული არ აუხსნია. ის პირდაპირ უკვე მელაპარაკებოდა იმაზე, თუ მომავალში, ერთად როგორ უნდა გვეცხოვრა, რა უყვარდა ყველაზე მეტად... თავიდანვე დარწმუნებული იყო, რომ ასეც იქნებოდა. მახსოვს, როდესაც გადაცემას ვიღებდით, მეუბნებოდა — როდესაც კარგად გაახელ თვალებს, დაინახავ ჩემს დიდ სიყვარულს — იმ ადამიანისას, ვინც შენ წინ ზისო. მთელი ეს სასიყვარულო მონოლოგი წამიკითხა.

**მერაბი:**

— როდესაც მივაღწიეთ კულმინაციურ წერტილს, ზუსტად მაშინ მოვუყევი ჩემი ბავშვობის ყველაზე მწარე წლების შესახებ. როგორია? — ადამიანი მოგწონს და ამ დროს, ასეთ რაღაცებს უყვები... თავიდანვე ძალიან თავისუფლად და უკომპლექსოდ ვგრძნობდი თავს მასთან. თანაც ძალიან ბევრი მსგავსება აღმოგვაჩნდა მე და მანანას, თითქოს ერთმანეთს ბევრ რამეში ვგავართ. მაგალითად, ერთი უცნაურობით: ლობიოს, ყველა მჟავესთან და ყველთან ერთად მიირთმევს, მაგრამ ჩვენ კვერცხით გვიყვარს.

— **შეუღლებამდე ხშირად ხვდებოდით ერთმანეთს?**

**მანანა:**

— კი. თითქმის ერთი წელი გვქონდა ურთიერთობა, 2 თვე მოსაფიქრებლად მომცა. ჩემი პირველი სიტყვა იყო — პოპულარული ადამიანი რომ არ ყოფილიყავი, უფრო ადვილად გადავწყვეტდი-მეთქი... დაახლოებით მესამე პაემანია და ერთმანეთს რესტორანში შევხვდით, თანაც, სახლიდან იმ განწყობილებით წამოვედი, რომ უნდა მეთქვა — მოდი, კარგ მეგობრებად დავრჩეთ-მეთქი. მან ასეთი პასუხი გამცა — თავიდან, ყველა გოგო ამას ამბობსო... თან, გამოცდაც მომიწყო, მკითხა — აბა, ახლა რას შევუკვეთო? რა არ ჩამოვთვალე და მაინც ვერ გამოვიცანი. თურმე, ძალიან ჰყვარებია რძე და 2 ჭიქა რძე შეუკვეთა!..

**მერაბი:**

— როდესაც მანანას ყავა მოუტანეს, მოურია და კოვზი შიგ ჩატოვა. მე ვუთხარი — სხვათა შორის, არ მინდა, ცოლად ,,კუტუზოვი“



მადლობა ცუცა კაპანაძეს, ის იყო ჩვენი პირველი „მაჭანკალი“...

მყავდეს-მეთქი. ვერ მიხვდა, რას ვეუბნებოდი — თვალი არ ამოიგდო, თორემ, ეს საქმე ახლავე ჩაიშლება-მეთქი...

— **საერთოდ, იუმორი შენს პირად ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობს, ხომ?**

— რა თქმა უნდა. ამ ხუმრობა-ხუმრობაში, ჩემი ცოლი გახდა. თუ იუმორი არა აქვს ადამიანს, მას მომავლის იმედიც არ აქვს. როდესაც ხელის ტრავმა მივიღე, საღამოს საავადმყოფოში წამიყვანეს. სატელევიზიო ჯგუფი მაშინვე მოვიდა და მეკითხება — რა მოხდა, როგორ მოხდა, ვინ გესროლაო?.. მე, ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ხმით ვუპასუხე: — ნუ მისცემთ ამას ტერაქტის კვალიფიკაციას, შემთხვევით მომხვდა, რა ვიცი, რა მომხვდა ახლა... — გაგიჟდნენ, რომ ასეთ მდგომარეობაშიც ვხუმრობდი.


ყველანი მხარში ამომიდგნენ, ყველაფერს ანგარიში გაუწიეს და მატერიალურადაც დამეხმარნენ...

— **ისევ თქვენი შეუღლების ამბავს დავუბრუნდეთ.**

— როდესაც უკვე გადავწყვიტეთ დაქორწინება, მხოლოდ ამის შემდეგ დავურეკეთ ჩემს მშობლებს... 2 იანვარს, ცუცა კაპანაძის დაბადების დღეზე ვიყავით. ბესო ბერულაშვილმა გვითხრა — სანამ თქვენი ურთიერთობა დაძმურში არ გადავა, იქნებ, რაიმე გადაწყვეტილება მიგეღოთო. 3 იანვარს, ჩემი მშობლები ჩამოვიდნენ ჭიათურიდან, იმ დღესვე მარტო შევხვდით მათ სალაპარაკოდ. მამაჩემს კიდეც გაუკვირდა — ჩვენს ჩამოსვლას რაღა აზრი ჰქონდა? მათ უკვე ყველაფერი გადაუწყვეტიათო... შემდეგ, სუფრაც გაიშალა.

— **მანანას ოჯახმა როგორ მიგიღო?**

— კარგად. მე და სიდედრი „ძმაკაცები“ ვართ. თანაც, მას „დედას“ ვეძახი. ჩემი სიდედრი მეუბნება — სახლში რაც გინდა, ის თქვი ჩემზე — ოღონდ გარეთ არ გამაშაყირო, სცენაზე არ „გამიტანოო“...

**მანანა:**

— ახალი დაქორწინებულები ვართ და დედაჩემი ჩვენთან 3 დღით ჩამოვიდა. მე იმ დღეებში, თითქმის სულ სამსახურში ვიყავი და საღამოს რომ ვბრუნდებოდი, ვეკითხებოდი: — დედა, როგორ ხართ შენ და მერაბი ერთად, რას აკეთებთ-მეთქი? — დავდივარ, დედა, ყველაფერს ვაკეთებ და ველოდები, სად დავუკრა ტაში, სულ „სცენაზეა“ და მე სულ „მაყურებელი“ ვარო... — მიპასუხა.

**მერაბი:**

— პირველი, რისიც ეშინოდა ჩემს სიდედრს — მსახიობებს „სამცოლიანობა“ სჩვევიათო. ჰოდა, ამას წინათ, წამომცდა — მამაჩემს 3 ცოლი ჰყავდა-მეთქი, — და კინაღამ ინფარქტი მიიღო.

— **ქორწილი უკვე გქონდათ, არა?**

— ქორწილი 5 თებერვალს დავნიშნეთ, მაგრამ სამწუხაროდ, მისი გადადება მოგვიხდა. 3 თებერვალს დილით ავდექი, რაღაც საქმეზე ვიყავი წასასვლელი. გზაში, ტაქსიმ ბულაჩაურის ქუჩიდან ანაგის ქუჩაზე გადაუხვია. უეცრად, მძღოლი მეკითხება — აქ ზურაბ ჟვანია ხომ არ ცხოვრობსო? — კი-მეთქი, — წუხელ დაიღუპაო. არ დავიჯერე — რას ამბობთ-მეთქი?!. მართლაც, ძალიან მეწყინა. 5 თებერვალს გლოვის დღე გამოცხადდა, ამიტომ ერთი კვირით გადავდეთ ქორწილი. სულ ამერია თავგზა, ზოგი დაპატიჟებული მყავდა, ზოგი — არა. ნაწილი სტუმრებისა მაინც იმ დღეს მოვიდა — ვერ მოვასწარით მათი გაფრთხილება და საჩუქრებიანად, უკან ბრუნდებოდნენ... 12-ში კი, ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ ჯვრისწერაზე წასულებს, ბეჭდები შინ დაგვრჩა. ეკლესიაში მღვდელი, სიძე-პატარძალი, მეჯვარეები ვდგავართ და გავიძახით — ბეჭდები?.. შემდეგ ჩემი მეგობარი (საკაშვილის დაცვის უფროსია) გავუშვით სახლში და მოგვიტანა. ძალიან დიდი როლი ითამაშა ნინაკა გელაშვილმა ჩვენი ქორწილის ორგანიზებაში, სტუმრების სიაც მან შეადგინა. ქორწილი რომ ჩატარდა, მისი დამსახურებაა. და საერთოდ, მეგობრები ყველანაირად მხარში ამომიდგნენ.

— **ხელისმომკიდეები ვინ გყავდათ?**

— ჩემი მეჯვარეები იყვნენ ბესო ბერულაშვილი და გია ბალაშვილი, მანანასი — ცუცა კაპანაძე და მისი მოსწავლე, მარიამ კილიკაშვილი.

**მანანა:**

— შარშან, დაბადების დღეზე, მარიამმა ბეჭედი მომიტანა საჩუქრად და მითხრა — ამ ბეჭდით აუცილებლად გათხოვდებიო. მაშინვე ვუპასუხე — თუ გავთხოვდი, მეჯვარე შენ იქნები-მეთქი. მართლაც, ასე მოხდა. ■



# ერთგული მკითხველი

*თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...*

***1. როგორ ითარგმნება ლათინური სიტყვა „ვოლვო“, რომელიც ჰოლანდიურმა საავტომობილო ფირმამ საკუთარ სახელწოდებად აიღო?***



ა) „კომფორტი“;
ბ) „ვერ დამეწევი“;
გ) „მივექანები“.

***2. არქიტექტორთა დაგეგმარებით, რომელი ქვეყნის დედაქალაქს აქვს თვითმფრინავის ფორმა?***



ა) ბრაზილიის;
ბ) ეთიოპიის;
გ) დანიის.

***3. რომელმა ცნობილმა მსახიობმა გაუწია პირველად რეკლამა 1946 წელს შექმნილ საცურაო ბიკინის?***



ა) რომი შნაიდერმა;
ბ) ბრიჟიტ ბარდომ;
გ) სოფი ლორენმა.

*პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე*



დარწმუნებული ვარ, „გზის“ მკითხველთა წინაშე ჩემს რესპონდენტს განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება, მაგრამ მაინც შეგახსენებთ, რომ ნინო ორდენიძე გახლავთ 24 წლის, პროფესიონალი მოდელი. თავისი საქმისადმი პროფესიონალურ დამოკიდებულებაზე ისიც მეტყველებს, რომ მას არ აწუხებს კომპლექსი, ეკრანსა თუ ფოტოზე შიშვლად გამოჩენის. მიუხედავად ამისა, მან გადაწყვიტა, მოდელის კარიერა მიატოვოს და შოუბიზნესში სცადოს ბედი.

რატომ ჩამოვიდა თურქეთიდან, ვინ არის მისი პროდიუსერი, დაიტოვებს თუ არა სექსუალურ იმიჯს და რატომ არ უნდა შეიყვაროს ფეხბურთელი ან მთავრობის წევრი — ყოველივე ამას ნინოს ინტერვიუდან შეიტყობთ.

# სექსუალური იმიჯის მქონე ნინო ორდენიძე მაყურებლებს „ბომბა“ სიურპრიზს უმზადებს

მარი ჯაშარიძე

**— ნინო, ინტერვიუებში ყოველთვის ამბობდი, რომ თურქეთში საკმაოდ წარმატებული მოდელი იყავი. რატომ გადაწყვიტე საქართველოში დაბრუნება?**

— ძალზე მენატრებოდა აქაურობა, ჩემი ოჯახი და მეგობრები. მთელი 4 წელი ვცხოვრობდი თურქეთში. ძველი კონტრაქტები ამოიწურა, ახალი რომ დამედო, ჩემი იქ ყოფნის ხანგრძლივობა კიდევ 4-5 წლით გაგრძელდებოდა. ეს არ მაძლევდა ხელს, თან, ოჯახმაც არ მომასვენა — ჩამოდი და ჩამოდიო, — ჰოდა, ჩამოვედი. საქართველოში სიტუაცია შეიცვალა. ვფიქრობ, ჩემს კარიერას აქ გავაგრძელებ. თურქეთთან კონტაქტი მთლად არ გამიწყვეტია. როცა რომელიმე ჩვენებაზე მიწვევენ, მივდივარ ხოლმე. ისედაც, ხანდახან ერთი კვირით ვსტუმრობ მეგობრებს. იქ ბევრი ისეთი ადამიანი დავტოვე, რომელსაც ლამის ოჯახის წევრად მივიჩნევ. საახალწლოდ, თბილისში მეგობარი გოგონა მესტუმრა. ის წმინდა სამების ტაძარში, ქრისტიანული წესით მოინათლა. აი, ასეთი ახლო ნათესავებიც მეგულება იქ.

**— ინტერვიუზე რომ გითანხმდებოდი, მითხარი — ნატო დუმბაძე თუ მომცემს უფლებას, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგხვდებიო. შენ და ნატოს საერთო საქმე გაკავშირებთ?**

— ნატო პირველ რიგში, ჩემი მეგობარია. მინდოდა, საიდუმლოდ დარჩენილიყო ჩვენი საქმიანი ურთიერთობა, მაგრამ ძველი მეგობრობის ხათრით, შენ გეტყვი, რომ მე და ნატომ შევიმუშავეთ საკმაოდ საინტერესო და სერიოზული პროექტი. მოდელის კარიერას უნდა შეველიო და შოუბიზნესში ვცადო ბედი. ბავშვობიდან ვმღერი, მაგრამ ჩემს ნიჭზე ხმამაღალი ლაპარაკი ჯერ ნაადრევად მიმაჩნია. ღმერთმა ქნას, რომ ჩვენი ერთობლივი ჩანაფიქრი სისრულეში მოვიყვანოთ. გეგმის მიხედვით, ჩემი სიმღერა საქართველოს ფარგლებს გარეთაც უნდა აჟღერდეს. უკვე არსებობს რამდენიმე სიმღერა — სინჯები ჩავწერეთ. ვნახოთ, რა იქნება მომავალში.

**— საქართველოში, სექსუალური ქალის იმიჯით გამოჩნდი. ამ იმიჯს მომღერლის ამპლუაშიც შეინარჩუნებ?**

— არასოდეს შემიქმნია ეს იმიჯი ხელოვნურად. ასეთი ვარ ბუნებით. ნატო პროფესიონალია და ის განსაზღვრავს, თუ როგორი იმიჯი მექნება. მე მას ვენდობი.

**— როდესაც შენი ინტერვიუ „გზის“ ფურცლებზე „საპატარძლოს“ რუბრიკით გამოქვეყნდა, შენმა თაყვანისმცემლებმა მესიჯებითა და ზარებით ამიკლეს. დარწმუნებული ვარ, ისინი მოსვენებას არც შენ გაძლევენ. რატომ არ თხოვდები?**

— იმიტომ, რომ კარგა ხანია, სერიოზული ურთიერთობა არავისთან მქონია. მე კი მიმაჩნია, რომ ოჯახის შექმნა, ძალზე საპასუხისმგებლო საქმეა. გავიზარდე, დავდინჯდი, შემეცვალა გემოვნება და შეხედულებები. რასაც 16-18 წლის ასაკში ვაკეთებდი, იმას ახლა აღარ გავაკეთებ...

**— აღარც მკერდს გამოაჩენ, როგორც ერთ-ერთ ტელეგადაცემაში მოხდა და აღარც თითქმის სრულიად შიშვლად იპოზიორებ, როგორც „გზისთვის“ ფოტოგადაღებისას?**

— არა, ახლა იმავეს აღარ გავაკეთებ. რაც შეეხება იმ სატელევიზიო გადაცემას — მაშინ ზალიკო ბერგერის მოდელების ჩვენება იყო, გასახდელში ტანისამოსს ვიცვლიდით და შემთხვევით გადაიღეს ეს მომენტი. არ ვიცოდი, თუ ამას ტელევიზიით აჩვენებდნენ. საერთოდ, ძალზე მეგობრული და თბილი ადამიანი ვარ. სწორედ ამიტომ გაბედეს ამ კადრების ჩვენება. მე შემეძლო, ამის გამო დიდი ამბავი ამეტეხა, მაგრამ გავჩუმდი. თანაც,



არასოდეს შემიქმნია ეს იმიჯი ხელოვნურად. ასეთი ვარ ბუნებით...

იმ გადაცემის ეთერში გასვლის დროს, მე უკვე თურქეთში ვიყავი წასული და ნაცნობებისგან შევიტყვე ეს ამბავი. აბა, ვყოფილიყავი ,,სტერვა'' და საზიზღარი ხასიათის გოგო, თუ გამიბედავდნენ!.. რაც შეეხება ფოტოებს, რომლებიც თითქმის შიშველმა თქვენი ჟურნალისთვის გადა-



მე იმას არ ვამბობ, რომ სულ გავიხადოთ და ასე გავხდეთ ევროპელები — უბრალოდ, უფრო მეტად პროფესიონალები უნდა ვიყოთ...

ვიღე, მე მიმაჩნია, რომ ყველა პროფესიონალ მოდელს უნდა შეეძლოს ასეთი ფოტოების გადაღება. სულ შიშვლად მაინც ხომ არ ვჩანდი! საცურაო ტრუსი მეცვა და მკერდზე ხელები მქონდა აფარებული... მინდა გითხრა, რომ შესანიშნავი ფოტოები გამოვიდა. მე ლამაზი ქალი ვარ და მიმაჩნია, რომ ყველა ლამაზმა ქალმა მკითხველსა თუ მაყურებელს ესთეტიკური სიამოვნება უნდა მიანიჭოს, თავისი სილამაზე უნდა აჩვენოს. ლამაზ ქალს უხდება პიკანტური ფოტოების გადაღება.

**— ჰო, მაგრამ ამას ყველა მოდელი როდი აკეთებს. მიგაჩნია, რომ ისინი არაპროფესიონალები არიან?**

— არ მინდა, ვინმეს ვაწყენინო, რადგან ყველანი ჩემი მეგობრები არიან, მაგრამ ერთ რამეს მაინც ვიტყვი: თითქმის ყველა ცნობილი ქართველი მოდელი გათხოვილია და მათ ქმრებს არ მოსწონთ, რომ ცოლები გაშიშვლდნენ. თუ მოდელს ეუხერხულება ბიკინიში სურათის გადაღება, მაშინ სხვა პროფესია უნდა აირჩიოს. ქართველ მოდელებს ასეთი პასუხი აქვთ — ჩვენ საქართველოში ვცხოვრობთო!.. ჩვენი ქვეყანა კარგა ხანს ვერ გავა ევროპულ სტანდარტებზე. თუ გვინდა, რომ წინ წავიდეთ, ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც საქმე და პროფესია მოითხოვს. მე იმას კი არ ვამბობ, რომ სულ გავიხადოთ და ასე გავხდეთ ევროპელები — უბრალოდ, უფრო მეტად პროფესიონალები უნდა ვიყოთ.

**— ნინო, ამჟამად შეყვარებული თუ ხარ?**

— ჩემი გული თავისუფალი არასოდესაა, ყოველთვის ვიღაცაზე ვფიქრობ. მაგრამ ამჟამად ჩემი ფიქრი და გონება ჩემი ახალი საქმიანობისკენ არის მიმართული. უკვე 3 თვეა, საქართველოში ვიმყოფები, დავისვენე, ძალები მოვიკრიბე და მზად ვარ, მთელი შემართებით შევეჭიდო საქმეს.

**— ბოლო დროს, გავრცელდა ხმა, რომ შენი ძმისა და რძლის ოჯახი დაინგრა და ამჯერად, ისინი საბოლოოდ გაიყარნენ...**

— ეს გახლავთ წმინდა წყლის ჭორი. თამუნა (გაბრიელაშვილი) წასულია პარიზში, სალომე ღვინიაშვილთან ერთად, სულ რაღაც ერთი თვით. მათ აქვთ გადაღებები სარეკლამო კლიპებისა და ბილბორდებისთვის. ეს ჯერ კიდევ 3 წლის წინ იყო დაგეგმილი, მაგრამ თამუნას შვილი მაშინ ძალზე პატარა იყო და ამიტომ ვერ მოხერხდა. რაც შეეხება ჭორს — ყველას ვთხოვ, რომ თავი დაანებონ ჩემი ოჯახის წევრებს. თამუნასა და ირაკლის ოჯახი ძალზე მყარია, ერთმანეთი ძალიან უყვართ და ერთმანეთს უზომოდ უხდებიან. შესაძლოა, ეს ჭორი თამუნას პარიზში გამგზავრებამ გამოიწვია, მაგრამ ის მალე დაბრუნდება. მანამდე კი, შესაძლოა, ირაკლიც გაემგზავროს მასთან.

**— მახსოვს, წინა ხელისუფლების წარმომადგენელთაგან რამდენიმე, საკმაოდ მაღალი რანგის მაღალჩინოსანი გეტრფოდა. ახალ ხელისუფლებაშიც ხომ არ არიან შენი თაყვანისმცემლები?**

— ხომ ხედავ, უკვე — წინა ხელისუფლებაო, — ამბობ: ყველაფერი წარმავალია... თაყვანისმცემლები ამ ხელისუფლებაშიც მყავს, მაგრამ არ მინდა, რომ ისინიც ,,წინა'' გახდნენ. ასე რომ მოხდეს, მერე მე რა ვქნა? ასე, სულელივით დავრჩე?.. არსებობს ერთი დაუწერელი კანონი — არასოდეს უნდა შეიყვარო ფეხბურთელი და მთავრობის წევრი.

**— რატომ? საამისოდ მყარი არგუმენტიც გექნება.**

— ფეხბურთელს დაემართება მენისკი და მორჩა — მისი ფასი ნულია. რაც შეეხება მთავრობის წევრს — მოხდება რევოლუცია და მისი კარიერაც წარსულს ჩაჰბარდება. სად შემიძლია, ფეხბურთელის მენისკის ოპერაციებზე სიარული და რევოლუციის დროს ,,ბაბეგებში'' სირბილი?! დეკაბრისტების ცოლების ბედი სულაც არ მხიბლავს — მირჩევნია, შევიყვარო წარმატებული ბიზნესმენები და საყვარელი ,,ალიგარხები''...

**— გავიგე, მოსკოვში ყოფილხარ ,,ა-სტუდიოს'' პრეზენტაციაზე. როგორ მოგეწონა?**

— ძალზე ვისიამოვნე. ქეთამ შესანიშნავად იმღერა. იქ იყვნენ რუსული ესტრადის ვარსკვლავები — ორბაკაიტე, აგუტინი, პრესნიაკოვი. საღამო ოთარ კუშანაშვილს მიჰყავდა. პრესნიაკოვი ჩვენს მაგიდასთან მოვიდა და ქეთაზე თქვა — Она убила русскую эстраду — აი, ასეთი ხმამაღალი განცხადება გააკეთა რუსმა ვარსკვლავმა. იმ დღეს, აგუტინის დაბადების დღე დაემთხვა, მაგრამ მას ჩვენთან ყოფნა ისე მოეწონა, რომ ბოლომდე დარჩა და თავის სტუმრებს ძალზე გვიან დაუბრუნდა. ჯაბა ქარსელაძემ იმღერა, მე ვიცეკვე და სახელდახელოდ კლიპიც გადავიღეთ. იმდენი ვიცეკვე, იმდენი, რომ კარგა ხანს მეყოფა...

**— მე მინახავს შენი ცეკვა ერთ-ერთ რესტორანში, სადაც პატარა სტრიპტიზიც კი მოაწყვე — ცეკვა-ცეკვაში ტანისამოსს იხდიდი და აქეთ-იქით ისროდი...**

— არ მახსოვს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ასეთ რამეს ჩავიდენდი, რადგან ცეკვაზე ვგიჟდები...

**— მოდელობას სულ ანებებ თავს თუ სიმღერის პარალელურად, მაინც გააგრძელებ?**

— ზალიკო ბერგერი ჩემი უახლოესი მეგობარი გახლავთ, ამიტომ თუ დავჭირდები, მხოლოდ მის ჩვენებებზე გამოვალ. ,,ნუ'', კიდევ, თუ რომელიმე ფრანგი ან იტალიელი კუტიურიე შემეხვეწება, დავთანხმდები, აბა, რას ვიზამ *(იცინის)*?.. ისე, საკმაოდ დიდ, ,,ბომბა'' სიურპრიზს ვამზადებ. პირველი შენ გაიგებ ამის შესახებ, გპირდები... ■

ინტიმური ტელეფონი
822-009-008
822-009-088
822-009-108
18 წლიდან
მომსახურება ფასიანია





# მხოლოდ შენი ერთგული...

## სიყვარულისთვის თავგანწირული მამაკაცი

**მათი შეხვედრა ჩვეულებრივად შედგა. გაზაფხულის ერთ თბილ საღამოს, მოულოდნელად ისეთი შხაპუნა წვიმა წამოვიდა, რომ ქალაქი უმალ დაცარიელდა. სოფლიდან ყველის გასაყიდად ჩამოსულ ოთარიკას არც უფიქრია, სხვებივით რომელიმე სადარბაზოსთვის შეეფარებინა თავი. პირიქით, ჯიბეებში ხელები ჩაიწყო და დინჯი ნაბიჯით გაუყვა ნინოშვილის ქუჩას. მერე, სადღაც მოშორებით შენიშნა ვიღაც, ასევე მშვიდად მომავალი. ბიჭმა ნაბიჯს აუჩქარა, წამოეწია და როგორც კი დაინახა ქალის ყელი, სწორი ფეხები, კისერთან შეკრული შავი თმა, მიხვდა, რომ ამ უზარმაზარ ქალაქში თავისი მეორე ნახევარი იპოვა...**

ლელა ჭანკოტაძე

**ეველინა ჯოხაძე,** *ოთარიკა ჯოხაძის და:*

— ოთარიკა სოფელში რომ დაბრუნდა, შეცვლილი მომეჩვენა. ვკითხე: თავს შეუძლოდ ხომ არ გრძნობ-მეთქი? მიპასუხა: ერთი ქალი შემიყვარდაო. ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ გაოცებისგან პირი დავაღე. ბევრს მოსწონდა, ბევრს სურდა მისი ცოლობა, ის კი თითქოს ვერავის ამჩნევდა. ზოგჯერ მე და დედა ვფიქრობდით — ალბათ, ცოლს საერთოდ არ შეირთავს-თქო.

**— არ გკითხავთ, ვინ იყო მისი რჩეული?**

— არა. პასუხს მაინც არ გაგვცემდა. მაგრამ მივხვდით, რომ სიყვარული ტანჯავდა. ყოველთვის მხიარულსა და ადამიანების მოყვარულს, სულ განმარტოება უნდოდა. ცდილობდა, მეზობლებისთვის თავი აერიდებინა. ბევრჯერ მინახავს, როგორ იჯდა თავჩაღუნული, დიდი კაკლის ქვეშ, თითქოს გონებით სხვაგან დაფრინავდა. ქალაქში სიარულსაც მოუხშირა. ერთ დღეს კი, ნამდვილი საოცრება მოხდა. სტუმრად ნათლიაჩემი ჩამოვიდა და თან მოკლეკაბიანი გოგო ჩამოიყვანა. მას მზია ერქვა. ოთარიკას ისეთი ფერი დაედო, ისე აცახცახდა, რომ მივხვდი, სწორედ ეს გოგო უყვარდა. იმ ღამეს, სახლში არ შემოსულა, ბაღის ბოლოში ჩამოჯდა და ფიქრს მიეცა. მისი სიყვარული იმდენად ძლიერი იყო, ვერ შეძლო მზიასთან სიახლოვე, ერთ ჭერქვეშ დაძინება... დილაუთენია, ცული აიღო და ტყეში წავიდა. საღამოს მაცნე მოვიდა. თქვა: ოთარიკა მეცხვარეებთან მთაში ავიდა, დიდ ხუთშაბათამდე აღარ დაბრუნდებაო. არ ვიცი, ასე რატომ მოიქცა. ალბათ, მზიას ვერ გამოუტყდა, გრძნობების გამჟღავნება ვერ შეძლო. მე ვიაქტიურე. ჩემს ნათლიას გავუმხილე, ჩემი ძმა როგორ იტანჯებოდა. ნათლია რამდენიმე კვირის შემდეგ, ისევ ჩამოვიდა და — ისევ მზიასთან ერთად.

**— ოთარიკა სახლიდან აღარ გაქცეულა?**

— იმ დღეს, ქალაქში იყო წამოსული. როგორც კი მეზობლის ბიჭმა ამბავი მოგვიტანა, დაბრუნდაო, ისე მოვაწყვეთ ყველაფერი, რომ მზია სახლში მარტო დარჩენილიყო: ყველანი მარანში დავიმალეთ. შინ დაბრუნებულ ოთარიკას ეზოში მზია შეეგება. როგორღა გაიქცეოდა?!. მეორე დღეს, მზიას პირდაპირ ვკითხე: ეს ბიჭი რომ მოკალი შენი სიყვარულით, ნეტავ, გამაგებინა, რას ფიქრობ-მეთქი? — განა მე არ ვიტანჯებიო!.. — მიპასუხა... სოფლად, ტყეში სიარული ჩვეულებრივი ამბავია. მახსოვს, ერთხელ, ფიჩხის შესაგროვებლად წავედით და მზიაც წავიყვანეთ. მალე საშინელი ქარი ამოვარდა. ისეთი ჭექაქუხილი ატყდა, შიშისგან ვცახცახებდით. სახლამდე სულ სირბილ-სირბილით მოვედით, მაგრამ მაინც ძალიან დავსველდით. იმ ღამეს, მზიას მაღალი სიცხე მისცა. ბოდავდა. ოთარიკამ გამთენიისას ხელში აიტაცა და ასე, პატარა ბავშვივით ჩახუტებული ატარა მეორე სოფლამდე, სადაც ექიმი ცხოვრობდა... მალე მათი სიყვარულის ამბავი მთელ სოფელს მოედო. მერე ქორწილიც გადავიხადეთ და მათი ბედნიერებით ყველამ გავიხარეთ. მაგრამ ეს ბედნიერება მხოლოდ 2 თვეს გაგრძელდა.

**— რატომ?**

— მზიას მაღალი სიცხეები დაეწყო. უზომოდ დასუსტდა, ფერი დაკარგა და მძიმე ავადმყოფის იერი დაედო. იქაურმა ექიმებმა რომ ვერაფერი უშველეს, ქალაქში ჩამოვიყვანეთ. აქ გვითხრეს: მისი დღეები დათვლილია, ფილტვები სულ დაცხრილული აქვსო. თურმე, ტუბერკულოზი ჰქონია... ოთარიკამ ფარ-ხმალი არ დაყარა. მთაში წაიყვანა. სუფთა ჰაერი, თაფლი და ახალი რძე ასეთი ავადმყოფებისთვის ხომ აუცილებელია. ალბათ ფიქრობდა, მოვარჩენო... ორჯერ მეცხვარეებს წავყევი მათ სანახავად. გაოცებული დავრჩი, როცა დავინახე, როგორ უთევდა ღამეებს: იდგა მუხლმოყრილი მის საწოლთან და მთელი ღამე ლოცულობდა... მთაში 6 თვე გაატარეს. ერთ ავბედით დღეს, მაცნემ მზიას დაღუპვის ამბავი მოგვიტანა. მისი ნეშტი მშობლებმა ქალაქში გადაასვენეს. ოთარიკა მთიდან არ ჩამოვიდა. გვეგონა, დრო მის იარებს მოაშუშებდა, მაგრამ შევცდით. ზოგჯერ მიჭირს ხოლმე იმის წარმოდგენა, თუ როგორ იცხოვრა, ადამიანებისგან მოწყვეტილმა, მთელი 40 წელი... ამ რამდენიმე წლის წინ, ჩემს შვილებთან ერთად მას მთაში ვესტუმრე. გული ამიჩუყა მზიას მოკლე კაბის დანახვამ, რომელიც საწოლზე იყო გადაკიდებული, იქვე თეთრი ლაკის ფეხსაცმელიც ეწყო... ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ამით ჩემი ძმა თავს იტყუებდა. ცოლის სიკვდილს ვერაფრით შეეგუა. ბოლომდე სუფრაზე, მის სახელზე დებდა თეფშს და დგამდა ჭიქას, სახლში ყვავილები შეჰქონდა, დროდადრო, მზიას ტანსაცმელს რეცხავდა... მეცხვარეებმა მითხრეს, თუ როგორ დაინახეს, გასაშრობად გაფენილი, მზიას მოკლე კაბა. სოფელში იმასაც ამბობდნენ, ოთარიკა გაგიჟდა, მკვდარ ცოლს ელაპარაკებაო. ცრუმორწ-

მუნენი ჩურჩულებდნენ — ცოლის სული სახლში გამოკეტაო... მხოლოდ ერთეულები ხვდებოდნენ, თუ რამხელა ტკივილის შედეგი იყო მისი განმარტოება. მან საყვარელ ქალს არა მარტო გული, არამედ მთელი ცხოვრება მიუძღვნა, ყველა ამქვეყნიურ ნეტარებაზე უარი თქვა, იმ ქვეყნად ბედნიერების იმედით ცხოვრობდა. სიკვდილის წინ, აგონიაში მყოფი, მის სახელს იმეორებდა. ერთი ფრაზა ძალიან გარკვევით თქვა: „სიცხემ დაგიწვა, მზია...“ ალბათ, სიკვდილის წინაც, იმ დღეებს იხსენებდა, როცა საწოლს მიჯაჭვულ ცოლს უვლიდა...

*რას ფიქრობენ ფსიქოლოგები თავგანწირული სიყვარულის შესახებ? რით გამოირჩევიან მამაკაცები, რომლებსაც შეუძლიათ, მთელი ცხოვრება ერთ ქალს მიუძღვნან? რა ასაზრდოებს სიყვარულს, როცა სიყვარულის ობიექტი ამქვეყნად აღარ არის?*

**მალხაზ კოროშინაძე,** *ფსიქოლოგი:*

— სიყვარულზე მსჯელობისას, განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ჭაბუკური — ე.წ. პირველი სიყვარული. ის განსხვავებული, მეტისმეტად თავისებურია და არ ჰგავს იმ სიყვარულს, რომელიც ზრდასრულ ადამიანებს ეწვევა ხოლმე. პირველი სიყვარულის ასაკი 11-დან 17 წლამდე მერყეობს. ამ დროს ჭარბობს რომანტიზმი, წინა პლანზეა წამოწეული ფანტაზია და ოცნებები. მოზარდი უფრო მგრძნობიარე და მეოცნებე ხდება, ისწრაფვის განმარტოებისკენ. მის ცნობიერებაში სიყვარულის ობიექტი მუდმივად და უცვლელად ფიგურირებს, თან მისი იდეალიზაცია ხდება... თუმცა, სიყვარული ამ ასაკში არ არის მყარი და გამძლე. იგი უმეტესად, იმპულსურ ხასიათს ატარებს და ხშირად, შემთხვევითიცაა. ასეთ დროს, როგორც წესი, სიყვარულის ობიექტის გაიდეალებას ვაწყდებით. ამიტომაც ვამბობთ, რომ პირველი სიყვარული უკვდავია. შეყვარებულები ერთმანეთში მაღალ პიროვნულ თვისებებს აფასებენ, რაც ასაკის მატებასთან ერთად, თანდათან ქრება.

**— იქნებ, გაიხსენოთ რომელიმე თქვენი პაციენტებიდან. გინახავთ სიყვარულით „დაავადებული“ ადამიანი?**

— ზოგჯერ ადამიანები იმდენად არიან შეყვარებული, რომ პარტნიორს ამით ზიანსაც კი აყენებენ. წლების წინ, ახალგაზრდა წყვილმა მთხოვა დახმარება. მათ ერთმანეთი ძალიან უყვარდათ, მაგრამ ურთიერთობისას, მაინც ბევრი პრობლემა ჰქონდათ. კაცი ცოლისგან გრძნობების ისეთსავე გამოხატვას მოითხოვდა, როგორსაც თვითონ იჩენდა. მას შეეძლო, დღეების განმავლობაში არ გასულიყო სახლიდან, ცოლთან მუსაიფსა და ალერსში გაეტარებინა დრო, ვერ იგებდა, თუ რატომ უნდოდა მის ცოლს დაქალების მონახულება, სტუმრად წასვლა, მაღაზიებში განმარტოებით ხეტიალი... სამწუხაროდ, მამაკაცები ხშირად, ქალების თავისუფლებას ზღუდავენ და ამას იმით ამართლებენ, რომ ეს ზედმეტი სიყვარულის გამო მოსდით... ხშირად ლაპარაკობენ იმაზე, თუ რაოდენ ძლიერი სიყვარული იციან ქალებმა. მამაკაცებზე ამას იშვიათად გაიგონებთ. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ისინი გრძნობების გამომჟღავნებას და მით უფრო, საყვარელ ქალებზე ლაპარაკს ერიდებიან. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სიყვარული ნაკლებად შეუძლიათ. არსებობენ კაცები, რომლებსაც ერთხელ შეუყვარდათ და სიკვდილამდე ამ სიყვარულის ერთგულები დარჩნენ, მიუხედავად იმისა, რომ ეს სიყვარული ცალმხრივი აღმოჩნდა.

*სწორედ ასეთ კაცზე მინდა, გიამბოთ. ამაყი, თავმომწონე ყმაწვილი, რომელზეც ამბობდნენ, ნებისმიერი ქალის გულის მონადირება შეუძლიაო, ერთი ქალბატონის სიყვარულმა დატანჯა. თუმცა, როგორც თავად მითხრა, სიყვარული არასდროს არის ტანჯვა — მაშინაც კი, როცა „ნიადაგი“ აღარ არსებობს, რომ „ისაზრდოოს, გაიფურჩქნოს და აყვავდეს“... ბატონი მირიანი ახლა 62 წლის არის. მაშინ კი, როცა ლანა გაიცნო, 23-ის იყო.*

**მირიანი:**

— ეს იყო პეტერბურგში... რატომ გაგელიმათ? — მართლა პეტერბურგში (მაშინ კი ლენინგრადი ერქვა) გავიცანი ლანა. ორივენი თბილისში მოვდიოდით. 27 ივნისი იყო. აეროპორტში ქერა გოგომ მხარი გამკრა და ბოდიში მომიხადა. მე მაშინვე გამოველაპარაკე. ხელიც ჩამოვართვი, ყვავილებიც ვაჩუქე და იმ ღამეს, სიზმარშიც ვნახე. ეს ერთი ნახვით შეყვარება იყო... 3 დღის შემდეგ, კინოში ერთად წავედით. დღემდე მახსოვს — გრძელი საყურეები ეკეთა, იმდენად გრძელი, რომ მეგონა, ყურის ბიბილო იმის სიმძიმეს ვერ გაუძლებდა. ვუთხარი: თუ ეგ საყურეები იმიტომ გაიკეთე, რომ თავი მომაწონო, მოიხსენი, საშინლად მაღიზიანებს-მეთქი. ეწყინა. გამებუტა და გამექცა. ცხადია, უკან დავედევნე. მთელი ღამე, მისი ფანჯრის წინ ვიდექი. დარწმუნებული ვიყავი, ამით გულს მოვულბობდი... დილით, მისმა ძმამ დამინახა. ის ჩემზე ბევრად უფროსი იყო. ალბათ, ცხოვრებაში ბევრი რამ ჰქონდა ნანახი და განცდილი. ჩემშიც არ გაუჭირდა შეყვარებული კაცის ამოცნობა. მომიახლოვდა და მითხრა: ლანა ისეთი ჯიუტია, კიდევ 2 ღამეს თუ არ გაათენებ მის ფანჯარასთან, არ შეგირიგდებაო... გვიან საღამოს შინ რომ დაბრუნდა და ისევ იქ მნახა, უხერხულობისგან აღარ იცოდა, რა ექნა. ბოლოს, ხელი გადამხვია და შინ შემიპატიჟა. ამ ერთხელ ჩემი ხათრით აპატიეო, — უთხრა თავის დას, თუმცა არც იცოდა, რა დავაშავე. ასე შევრიგდით მე და ლანა, მაგრამ — მცირე ხნით.

**— მეორედ რატომღა იჩხუბეთ?**

— მასთან ურთიერთობისას, ყველაფერი უკუღმა გამომდიოდა. ბევრ შეცდომას ვუშვებდი, ალბათ იმიტომ, რომ მისი დაკარგვის ძალიან მეშინოდა. არ ჩამოვთვლი, რამდენჯერ წამოვკარი ქვაფენილს ფეხი, რამდენჯერ გადავისხი ცხელი ყავა ან მას გადავასხი. ჩათვალა, რომ მოუხერხებელი ვიყავი. მახსოვს, აგვისტო იყო, მე ისევ პეტერბურგში უნდა დავბრუნებულიყავი, რადგან იქ ვსწავლობდი. ლანას სწავლა თბილისში უნდა დაესრულებინა. ვჩქარობდი. მინდოდა, მისი ცოლად შერთვა მომესწრო. მეგობრის სახლიდან მოვდიოდით, ძალიან ბნელოდა. ხელი მაგრად მოვუჭირე და ვაკოცე — ეს იყო და ეს... მასთან შერი-



გება ველარ მოვახერხე. ისე წავედი, ერთი გაღიმებაც აღარ მაღირსა. მეორე წელს თბილისში რომ ჩამოვედი, ის უკვე გათხოვილი დამხვდა. სწორედ მაშინ მივეცი საკუთარ თავს პირობა, რომ ცოლს არასოდეს შევირთავდი. ასეა დღემდე. მისი სიყვარულის ერთგული ვრჩები.

— **თქვენი გზები აღარ გადაკვეთილა?**

— ერთ-ერთი საწარმოს ხელმძღვანელად დავინიშნე. უკვე თმაში ჭაღარა მქონდა შერეული. თანამშრომლების წინაშე პირველად რომ წარვდექი, გული პატარა ბიჭივით შემიტოკდა: მათ შორის ლანა დავინახე. მიცნო. მაგრამ რას იფიქრებდა, რომ ისევ მიყვარდა და ამ სიყვარულის ერთგული ვიყავი?.. მერე ყველაფერი გამოვიკითხე — როგორ ცხოვრობდა, რა უჭირდა, რა პრობლემები ჰქონდა. მითხრეს: ბინა არა აქვსო. იმ წელს, საახალწლოდ, თანამშრომლებს გამოვუცხადე: ყველაზე იღბლიანი ბინას მიიღებს-მეთქი, — და ლატარია გავათამაშე. ძალიან პრიმიტიული ლატარია მოვიგონე: ყველას სათითაოდ ვთხოვე, ჩემს კაბინეტში შემოსულიყო და მაგიდაზე დაყრილი ამანათებიდან ერთ-ერთი აეღო. ლანაც, სხვა თანამშრომლების მსგავსად, ბედის საცდელად შემოვიდა. ერთი ამანათი აიღო, მეორე — მე მივაწოდე და ვუთხარი — ეს ჩემი საჩუქარია-მეთქი. თან, იმდენი ველაპარაკე, რომ ველარ გაარკვევდა, ორი, ზუსტად ერთნაირი ამანათიდან რომელი იყო ჩემი საჩუქარი.

— **თქვენ მიერ მიცემულ ამანათში ბინის გასაღები იყო, ხომ?**

— ცხადია. მე მას გული, სული, მთელი ჩემი ცხოვრება ვაჩუქე. მაგრამ ეს მეცოტავა. თუკი შეგიძლია, რატომ არ უნდა მოუგვარო საყვარელ ქალს პრობლემები?!. თავისი ოჯახით იმ ბინაში ცხოვრობს, რომელიც ვითომ ლატარიაში მოიგო...

— **ბატონო მირიან, თუ იცის იმ ქალმა, როგორ გიყვარდათ?**

— შეუძლებელია, ქალი ვერ მიხვდეს, თუ რაოდენ ძვირფასია ის მამაკაცისთვის, მის თვალებში სიყვარული და ერთგულება ვერ დაინახოს. თქვენ, ქალებს, მამაკაცთა გულში წვდომის საოცარი ნიჭი გაქვთ, ჩვენ, მამაკაცებს კი — თქვენი აღმოჩენის. ამიტომაცაა ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა ასეთი მშვენიერი, მარადიული, შეუცნობელი... ლანაც მიხვდა. დღემდე არ მითქვამს, მიყვარხარ-მეთქი... მაგრამ ჯერ ყველაფერი არ მომიყოლია... მე და ლანამ 3 წელი ვიმუშავეთ ერთად. ყოველ წუთს, ყოველ წამს გრძნობდა ჩემს სიყვარულს. ერთხელ, ჩემს კაბინეტში შემოვიდა და მითხრა: შენ წინაშე დამნაშავე ვარ, ყოველთვის ის ბიჭი მიყვარდა, რომელსაც ცოლად გავყევი, მის ცოლობაზე ვოცნებობდი, მის გარდა, არავისი ცოლი არ გავხდებოდი; ეს მაშინაც ვიცოდი, როცა შენთან ერთად თბილისის ქუჩებში დავსეირნობდი; მაპატიე, ეს მაშინვე რომ არ გითხარიო...

— **მერე, მისმა დაგვიანებულმა აღსარებამ რამე შეცვალა?**

— არაფერი. მე მას ჩემი გული მივუძღვენი. მასში ჩემი ცხოვრების აზრი, ჩემი ბედნიერების გასაღები დავინახე. ჰოდა, უნდა მებრძოლა. ლანა არ არის დამნაშავე. მე დავუშვი ბევრი შეცდომა.

*რა ხდება პოპულარული ქართველების ცხოვრებაში? რამდენად შეძლეს მათ, გაეცნობიერებინათ სიყვარულის მარადიულობა? თუ აღმოაჩინეს ისეთი ქალი, რომელსაც თავიანთი გული მთლიანად მიუძღვნეს? ამ კითხვებით ორ ცნობილ შემოქმედს მივმართეთ.*

**ჯემალ ჭკუასელი:**

— 1957 წელი იყო. სოფლიდან თბილისში დეიდასთან ჩამოვედი, რადგან თეატრალურ ინსტიტუტში ვაპირებდი ჩაბარებას. სწორედ დეიდაჩემის ეზოში დავინახე გიული. ცისფერი ჩითის კაბა ეცვა. მაშინვე ვკითხე დეიდას — ვინ არის-მეთქი? მან მიპასუხა: რად გინდა, ნენა, მაგას რო კითხულობ?.. მაი, მეცხრე კლასშია ჯერო. იმდენად მომხიბვლელი იყო, რომ ერთი ნახვით შემიყვარდა... მერე ერთად დავსეირნობდით. მაშინ გიული კინოსტუდიის ანსამბლში ცეკვავდა. ერთხელ, რეპეტიციაზეც წავყევი. პირველად სცენაზე რომ დავინახე, გავოცდი: ისე ლამაზად დასრიალებდა, გეგონებოდათ, ყინულზე დგასო. ოცნებაში წარმოვიდგინე, თუ რა კარგი ოჯახი გვექნებოდა... მალე სიყვარულიც ავუხსენი. იმ ზაფხულს, გიული დასასვენებლად მანგლისში წაიყვანეს. ყოველდღე ჩავდიოდი მის სანახავად. ძალიან ვწვალობდი — ხან ტრაქტორით მივდიოდი, ხან — საბარგო მანქანით, ერთხელ ვირზე ამხედრებულმაც კი ვიმგზავრე... იმავე წელს (მახსოვს, 7 ნოემბერი იყო), მე და გიულიმ უსიტყვოდ გავიარეთ გზა ფიროსმანის ქუჩიდან ვაკემდე. მოსწავლის ფორმით და თავზე „ბანტით“ დამშვენებული გოგო შევირთე ცოლად... არც მანქანა მქონდა, არც ფული. სატვირთო მანქანამ გაგვიჩერა და ბიძაჩემთან, ზაჰესში წავედით. ერთი კურიოზიც მოხდა. გრიპი შემეყარა. 3 დღე 40 გრადუსი მქონდა ტემპერატურა... მერე 400-კაციანი ქორწილიც გადაგვიხადეს. ახლა 3 შვილი გვყავს. ჩემი ქალბატონის წინაშე თავს სულ დამნაშავედ ვგრძნობ: მან ძალიან მიერთგულა — მეც, შვილებსაც და ოჯახსაც, მე კი, ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, სულ გასტროლებზე ვიყავი. რაც კი სიკეთე გაკეთებულა ჩემს ოჯახში დღემდე, ყველაფერი გიულის დამსახურებაა. ასეა გრძელდება თითქმის 50 წელი. მე ამ ქალბატონის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმომიდგენია.

**ზაზა კოლელიშვილი:**

— შეყვარებული 3 წლის ასაკიდან მყავდა. შეყვარებულის გულისთვის მეოთხე სართულზე „ჟოლობით“ ავძვერი, ხოლო ნათიას (მეუღლის) გულისთვის — მეოთხე სართულზე ცხენით ავედი. ნათია მეათე კლასში იყო, პირველად რომ დავინახე. მომეწონა და უკან გავყევი. შემდეგ, თეატრალურ ინსტიტუტში ვნახე. უფრო მეტად მომეწონა. მალე ის, ჩემი მესაიდუმლე გახდა: იცოდა ყველა იმ გოგოს მისამართი და ტელეფონის ნომერი, ვინც კი მაინტერესებდა... ამ ყველაფრის შემდეგ, ავდექი და ცოლად მოვიყვანე. ჩემი გული მთლიანად მას მივუძღვენი... სიყვარული უზენაესი რამაა. ხშირად უკითხავთ ჩემთვის — მურტალოს („კუკარაჩა“) თუ უყვარდა ინგაო? ცხადია, უყვარდა, მაგრამ ეგოისტურად: მას ეშინოდა, უსიყვარულოდ არ წასულიყო ამ ქვეყნიდან. კაცი, რომელსაც ყველაფერი ჰქონდა ნანახი, ხვდებოდა, რომ ქალის სიყვარული ყველაზე მთავარი იყო. ჩემი აზრით, თუ ეს გრძნობა გაუჩნდება ადამიანს, რა ფორმითაც არ უნდა გამოხატოს, მაინც ბედნიერია.

**მარიკა სხირტლაძე,** *ფსიქოლოგი:*

— სიყვარულის ნიჭი ყველა ადამიანს არა აქვს — ისევე, როგორც ყველას არა აქვს მუსიკის, მხატვრობის, ცეკვის ნიჭი. ყველა სხვა ნიჭისგან განსხვავებით, ის ყოვლისშემძლეა, მაგრამ მხოლოდ ერთეულებს აქცევს თავისი მაგიური გავლენის ქვეშ. ადამიანთა უმრავლესობა ეკითხება ხოლმე საკუთარ თავს: მართლა მიყვარს თუ მგონია, რომ მიყვარსო?.. გრძნობებში გარკვევა უჭირთ. ზოგი, ფიზიკურ, სექსუალურ ლტოლვას, სიყვარულად აღიქვამს, მაგრამ ხშირად, ეს არ არის სიყვარული. არსებობს მოსაზრება, როცა საქმეში რაციონალური აზროვნება ერთვება, სიყვარულზე ლაპარაკიც ზედმეტია. არაერთი ჩემი პაციენტი ამბობს ხოლმე — გაუცნობიერებლად მიყვარდა, ვფიქრობ, რომ სწორედ ეს არის ნამდვილი გრძნობაო... ■

# სიურპრიზი საყვარელი მეუღლისთვის!..

ინგა ჯაყელი

ერთ „კუკარაჩასთან“ ვმეგობრობ, რომელმაც წარმატებით გაიარა ყველა კონკურსი და საპატრულო პოლიციაშიც შეძლო მუშაობის დაწყება ყოველგვარი „ხელის წაკვრის“ გარეშე, რისი იმედიც ნაკლებად ჰქონდა, ათასი ჭორით დამფრთხალს: უთხრეს – სულ მცირე, 2.500 დოლარი მაინც უნდა გადაიხადო, თუ გინდა პოლიციელის მუნდირის ღირსი გახდეო!..

მოკლედ, უკვე 2 თვეა ქართველების სიცოცხლის და უსაფრთხოების სადარაჯოზე დგას ახლებური მიდგომით და „ამერიკული სიფხიზლით“...

ამ ორიოდე კვირის წინ, მძიმე სამუშაო დღის შემდეგ, გაჩერებაზე მდგომი, ამაოდ ვცდილობდი, გადატვირთულ სამარშრუტო ტაქსიში ასვლას, რომ ჯერ საპატრულო მანქანის სირენის ხმა გავიგონე და მერე, მანქანიდან გადმოსული პოლიციელის მჭექარე ხმა: დანაშაულში ეჭვმიტანილო ჯაყელო, ხელები წინ წამოსწიე და არ გაინძრეო!.. ისე დავიბენი, ბრძანებას უხმოდ დავემორჩილე და არც ხელბორკილის დადებისას მიცდია წინააღმდეგობის გაწევა, იმაზეც დავიწყე ფიქრი – ადვოკატის მოსვლამდე, დუმილი არ დამერღვია, რომ ჩემმა „დამკავებელმა“ სიცილი ვერ შეიკავა, როგორც ჩანს, იდიოტის გამომეტყველება მქონდა სახეზე და აქეთ „მომდო შარი“:

– თავის დაცვა არ უნდა სცადო? რა, მართლა დამნაშავესავით დანებდი?!

მხოლოდ მაშინ შევხედე სახეზე, „ძველი მეგობარი“ შემრჩა ხელში და აღშფოთებაც ვერ დავფარე: – ეს რა ხუმრობაა?! ხალხი რას იტყვის! – ვთქვი ცნობისმოყვარეებზე, რომლებსაც გულიც დასწყდათ, მხოლოდ ხუმრობას რომ შეესწრნენ და მართლა კრიმინალი და ბოროტმოქმედი არ აღმოვჩნდი...

როგორც დაზარალებული, მანქანაში ჩამსვა და შინ წამიყვანა, გზად კი, მორალური ზიანის საკომპენსაციოდ, ის კურიოზი მიამბო, რომელიც ცოტა ხნის წინ გადახდა თავს:

– შეტყობინება შემოვიდა, მეზობლები რეკავდნენ, რომ ერთ-ერთ ბინაში ჩხუბი და საშინელი მსხვრევის ხმა ისმოდა და ჩვენც გავედით დასახელებულ მისამართზე. მეოთხე სართულიდან მართლაც, საეჭვო ხმაური ისმოდა და ჩვენც სასწრაფოდ კარის გაღება ვუბრძანეთ შიგ მყოფებს. კარი ორმოციოდე წლის მამაკაცმა გაგვიღო, რომელსაც ტანსაცმელი აჩაჩული, სახე კი წამოწითლებული ჰქონდა.. დაგვინახა თუ არა, ხელები მორჩილად გამოგვიშვირა – და გვითხრა – დამადეთ ხელბორკილი, ყველაფერს ვაღიარებ და იცოდეთ, რომ არაფერს ვნანობ – არავის გავაბრიყვებინებ თავსო...



სახლი დავათვალიერეთ და საძინებელში ხალიჩაზე დაგდებული, თითქმის უგონო მდგომარეობაში მყოფი, ნაცემი მამაკაცი ვნახეთ, ასევე ნაცემი ქალი კი, სააბაზანოში იწვა და ფეხზე ველარ დგებოდა.. „სასწრაფო დახმარების“ მანქანა გამოვიძახეთ და მის მოსვლამდე დამნაშავეს პირველი ჩვენება ჩამოვართვით. მისი ნაამბობი ძალიან ჰგავდა ძველ ანეკდოტს, სადაც ქმარი მივლინებიდან შინ მოულოდნელად ბრუნდება და კარადაში ხელოსანი ხვდება, რომელიც ალალად ეუბნება – რომ გითხრა, ახლა, ტრამვაის ველოდები, დამიჯერებო?!.

ეს კაციც სწორედ ასე, „უდროო დროს“ დაბრუნებულა შინ და სააბაზანოდან ცოლის გაუგია. ქმარი საძინებელში, ტანსაცმლის გამოსაცვლელად შესულ ქმარს კარადის კარი გამოუღია, შიგ ჩაქუჩმომარჯვებული კაცი დაუნახავს და გონებაც გადაკეტვია – ხმაც არ ამოაღებინა, ისე გაიგდო თურმე, ფეხქვეშ და გონის დაკარგვამდე სცემა. მერე ცოლს შეუმტვრია სააბაზანოს კარი და ჩვენ რომ არ მიგვესწრო, „ვანაში“ ჩაახრჩობდა, ეჭვიანობით გაგიჟებული... არადა, საქმე სულ უბრალოდ ყოფილა. ხელოსანს, ვათას, იმ უბანში ყველა იცნობს თურმე, ერთი საწყალი კაცი ყოფილა, 6 შვილის მამა, რომელსაც ისე უჭირს თურმე, თავისი მრავალშვილიანი ოჯახის გამოკვება, რომ სხვისას კი არა, თავის ცოლსაც აღარ ეკარება ბოლო წლებში... „სასწრაფო დახმარების“ ბრიგადა რომ მოვიდა და გონს მოიყვანა, შეშინებული, თურმე ერთსა და იმავე კითხვას იმეორებდა: ვინ იყო ის გიჟი და რისთვის მცემაო?.. ისიც კი ვერ გაეგო, რომ ეჭვიანი ქმრის მსხვერპლი გახდა: „ძველი იატაკია და მისმა მოძრაობამ ჩაშენებულ კარადას კედლები მოურყია. ჯერ იატაკის ფიცრები გავამაგრე, მერე კარადაში შევძვერი, მისი კედლების გასამაგრებლად და ის კაციც ამ დროს მეტაკა!“ – ჰყვებოდა საწყალი ვათა. ქალმაც იგივე გვითხრა: „იატაკის რყევისგან კარადა ისეთ საშინელ ხმებს გამოსცემდა, აღარ შეიძლებოდა მისი ატანა, განსაკუთრებით ღამით, როცა ქმარი დგებოდა და გაივლიდა – პირდაპირ თავატკივებულს მეღვიძებოდა. რამდენჯერ ვთხოვე, შეეკეთებინა ან ხელოსანი მოეყვანა, მაგრამ ვერა და ვერ დააყენა საშველი. ისევ თავად მოვძებნე ხელოსანი, მოვიყვანე და როცა საქმეს შეუდგა, სააბაზანოში შევედი: ეს წყალიც ხომ ყოველთვის არ მოდის და ამ დროს დამატყდა თავს მეხივით ქმრის რისხვა!.. ეს ვინ ყოფილა, რა უფიქრია, არაფრით ვაპატიებ, ციხეში ამოვალპობ!..“

თავისი ყურით მოისმინა ეჭვიანმა ქმარმა, როგორც ხელოსნის, ისე ცოლის მონათხრობი და არა და არ დაიჯერა მაინც: „ეგ ზღაპარი იდიოტებს მოუყევით. კარადაში დამალული „ხელოსნის“ ამბავი კი მე მკითხეთ, ბარემ ხერხიც გამოაჩინოს და რქები მომახერხოს, რადგან ასეთი ხელმარჯვეა!..“

არ იქნა და არ დამშვიდდა და სხვა რა გზა გვქონდა – წავიყვანეთ და ჩავაბარეთ „კაპეზეში“... ■



# რა სასარგებლო თვისებებით ხასიათდება ჭინჭარი

**უცხოეთიდან უამრავი წამლის შემოსვლის მიუხედავად, სამკურნალო მცენარეების მნიშვნელობა და მათზე მოთხოვნილება არა თუ შემცირდა, არამედ კიდევ უფრო გაიზარდა. ადამიანი უხსოვარი დროიდან ცდილობდა სასარგებლო მცენარეების მოძიებას და საკუთარი ჯანმრთელობისთვის მის გამოყენებას. საქართველოს ტერიტორია მუდამ მდიდარი იყო მრავალფეროვანი სამკურნალო მცენარეებით. ქართველი მკურნალები ტყისა და მინდვრის მცენარეებით დამზადებული ნაყენითა თუ მალამოთი სასწაულებრივ შედეგებს აღწევდნენ უმძიმეს დაავადებებთან შებრძოლებისას.**

სოფო ჭონიშვილი

## რას წარმოადგენს ჭინჭარი

ჭინჭარი ყველასათვის ცნობილი მცენარეა. მაგრამ ბევრმა არ იცის, თუ რაოდენ ბევრი სასარგებლო თვისებით გამოირჩევა იგი. დავიწყოთ მისი აღწერილობით.

ჭინჭარი 60-100 სმ სიმაღლის მცენარეა, გამოირჩევა ორი — მდედრობითი და მამრობითი ეგზემპლარებით. მისი კვერცხისებრი, წაგრძელებული, საკმაოდ გრძელყუნწიანი ფოთლები ღეროზე ერთიმეორის მოპირდაპირედაა განთავსებული. ჭინჭარი ყვავის ივნისიდან — გვიან შემოდგომამდე, იზრდება ტყეში, განსაკუთრებით ნესტიან ადგილებში, ახალ ტყეკაფებზე, გზის პირას, ეზოებსა და ბაღებში. ჭინჭარი იმდენად ჩვეულებრივი მცენარეა, რომ მას კარგად იცნობს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი.

იშვიათად თუ მოიძებნება ადამიანი, ვისაც არ ეგემოს ჭინჭრით დასუსხვით გამოწვეული სიმწარე. მიუხედავად ამისა, მას ბევრი სიკეთის მოტანაც შეუძლია. ბევრი დიასახლისი ჭინჭარს შესანიშნავი მხალეულის დასამზადებლად იყენებს. მის ფოთლებს აგროვებენ ყვავილობის პერიოდში, ივნისიდან — სექტემბრამდე. ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ისეთი ცნობილი პრეპარატისა, როგორიცაა ალოხოლი; ღვიძლით დაავადებულებმა კარგად იციან ამ წამლის ყადრი. ჭინჭრის ფოთლები შეიცავს K და C ვიტამინებს, კაროტინს და ქლოროფილს. მისი ნაყენი გამოიყენება, როგორც სისხლდენის საწინააღმდეგო საშუალება, ფილტვებიდან, საშვილოსნოდან და სწორი ნაწლავიდან ბუასილით გამოწვეული სისხლდენის დროს.



## როგორ დავამზადოთ ეს ნაყენი

4 ს/კ წვრილად დაჭრილ ჭინჭრის ფოთოლს დავასხათ 1 ჩ/ჭ წყალი და ვადუღოთ 5 წთ-ის განმავლობაში. გაცივების შემდეგ, გადავწუროთ. მივიღებთ ჭინჭრის ნაყენს. 1 ჩ/ჭ წყალში ჩავაწვეთოთ 15-20 წვეთი ნაყენი. მიღების დოზაა: თითო ს/კ დღეში 3-4-ჯერ. ასევე კარგია მისი ექსტრაქტიც — 30-40 წვეთი ყოველ მიღებაზე.

ჭინჭრის ნახარშს აქვს აგრეთვე დიაბეტის საწინააღმდეგო თვისება — ორგანიზმში მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას. რეკომენდებულია, როგორც რევმატიზმის, ათეროსკლეროზის, ეგზემის, კუჭის შეკრულობის საწინააღმდეგო საშუალება. საკმაოდ სასარგებლოა თმის ცვენის შესაჩერებლად.

## როგორ გამოვიყენოთ თმის ცვენის საწინააღმდეგოდ

100 გ წვრილად დაჭრილი ჭინჭრის ფოთოლს დავასხათ 0,5 ლ წყალი, 0,5 ლ ძმარი და ვხარშოთ 30 წთ-ის განმავლობაში, ნელ ცეცხლზე. ამ ნახარშით ძილის წინ უნდა დავიბანოთ თავი, ყოველგვარი საპნისა და შამპუნის გარეშე.

## რევმატიზმის სამკურნალოდ

ხალხური მეთოდით რევმატიზმის მკურნალობის მეთოდი ასეთია: დაისუსხეთ მტკივანი ადგილი ახლად მოჭრილი ჭინჭრით, რამდენიმე დატყმით, ამის შემდეგ, დაიზილეთ სუფთა ნავთით; მონაცვლეობა ასეთია — ერთ დღეს ისუსხავენ ჭინჭრით, მეორე დღეს კი — ნავთით.

*დაბოლოს, ჭინჭარს ტექნიკური მიზნებითაც იყენებენ: იხმარება საღებავებისა და ბოჭკოს დასამზადებლად. ზოგან მის ბოჭკოს თოკის დასამზადებლადაც იყენებენ.* ■

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ფრანგი მხატვარი ამადეო ... | სასმისი | 1000 კგ | იაპონიის დედაქალაქი | დიდი ქალაქების გაერთიანება | საჭმე[illegible] ვარგისი |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| „... ვენახოთ ვენახი“ | ... ახვ-ჯაკოვა | ქეით ბლანშეტი ფილმში „...“ | დაფქული მარცვლის გარსი, ნარჩენი | ჩრდ. ატლანტიკის სამხედრო გაერთიანება | თანხმობა | ბერძნული ანბანის ბოლო ასო | ... ნიუმენი | მ/ფ „... ჩამოვიდნენ მთიდან“ |



# თუ მეუღლე გღალატობთ...

მოულოდნელად შეიტყვეთ, რომ თქვენს მეუღლეს მეგობარი ქალი ჰყოლია. გირჩევთ, სასოწარკვეთილებაში ნუ ჩავარდებით, ნუ იფიქრებთ, რომ ეს სამყაროს აღსასრულია. პირიქით, ეცადეთ, არ აჰყვეთ ემოციებს, ცივი გონებით აწონ-დაწონოთ და გააანალიზოთ სიტუაცია. ერთი სიტყვით, კეთილგონიერების გამოჩენა გმართებთ...



**რა არ უნდა მოიმოქმედოთ:**

1. ნუ ეცდებით, ქმრის საყვარელს მეტოქეობა გაუწიოთ — ყოველთვის გახსოვდეთ, რომ ის ამას არ იმსახურებს;
2. თავს ნუ დაიმშვიდებთ იმით, რომ ყველა მამაკაცი მოღალატეა — ეს ასე არ არის;
3. არ გაუმართოთ მეუღლეს ისტერიკები;
4. არ დაემუქროთ თვითმკვლელობით;
5. არავითარ შემთხვევაში არ დაურეკოთ მის საყვარელს;
6. თავს ნუ მოაბეზრებთ გაუთავებელი შეკითხვებით — სად იყო და რატომ დაიგვიანა. სულერთია, ამით არაფერი შეიცვლება — ყოველ შემთხვევაში, თქვენდა სასიკეთოდ.

**როგორ უნდა მოიქცეთ:**

1. თქვენთვის გადაწყვიტეთ — შეგიძლიათ თუ არა ამ ფაქტთან შეგუება? თუ — არა, მაშინ დაელაპარაკეთ მეუღლეს ამის შესახებ;
2. ეცადეთ გაარკვიოთ, რატომ ეძებს ბედნიერებას სხვაგან. იქნებ ამის მიზეზი საკუთარ თავში უნდა ეძებოთ?
3. დაინტერესდით, რას აპირებს; დაუთქვით სავარაუდო ვადა, რამდენ ხანში გაერკვევა თავის არჩევანში;
4. თუ მეუღლე გარწმუნებთ, რომ მისი რომანი დასრულდა, თქვენ კი, ამჩნევთ, რომ ის ისევ გრძელდება, გადაჭრით უთხარით, რომ თქვენ შორის ყველაფერი დამთავრებულია;
6. იმ შემთხვევაში კი, თუ თქვენ უბრალოდ გეშინიათ მისი დაკარგვის და ფიქრობთ, რომ ამით თქვენს პირად ცხოვრებას წერტილი დაესვა, აუცილებლად მიმართეთ ავტოტრენინგს ან მიაკითხეთ ფსიქოლოგს. ■

# დავამარცხოთ ზედმეტი წონა

გაზაფხული მოვიდა, მაგრამ ზამთარში მომატებული რამდენიმე კილოგრამიც კი თქვენი სხეულის პროპორციებზე აშკარად აისახება. ზამთრობით არა მხოლოდ წონაში ვიმატებთ, არამედ ხშირად ღვიძლსა და კუჭ-ნაწლავთან დაკავშირებული პრობლემებიც გვიჩნდება. როგორ დავეხმაროთ ორგანიზმს ფორმის აღდგენაში? შეგვიძლია შემოგთავაზოთ იოლი და ეფექტური დიეტა, რომელსაც ბევრი ცნობილი მსახიობი თუ მომღერალი იყენებს. ოპტიმალური შედეგის მისაღებად, რეჟიმის დაცვა ერთი თვის განმავლობაში მოგიწევთ. მისი პირობები კი იმდენად მარტივია, რომ სწორი კვების ჩვევა შეიძლება წლების მანძილზეც კი გაგყვეთ.

მაშ ასე, მოიმარაგეთ დიეტისთვის აუცილებელი კომპონენტები: ჰერკულესი, სტაფილო, ვაშლი, ქიშმიში, თხილეული. შეგიძლიათ გემოვნებით თქვენი საყვარელი ხილი და ბოსტნეულიც დაამატოთ.

დილით, უზმოზე მიირთვით ვაშლის ძმრით ან ლიმონის წვენით გაზავებული 1 ჩ/ჯ წყალი. ნახევარი საათის შემდეგ ისაუზმეთ ზემოთ ჩამოთვლილი ინგრედიენტების ნარევით. შუადღეზე დალიეთ 1 ჩ/ჯ გრილი მწვანე ჩაი, უშაქროდ (შეგიძლიათ თაფლით). სადილზე მიირთვით, რაც გნებავთ. სადამოს კი მოიმზადეთ მოხარშული გარნირი — ბრინჯის, წიწიბურას ან მაკარონისგან, ოღონდ სოუსისა და მცენარეული ზეთის გარეშე. ■




**სწორი არჩევანის შედეგი სახეზეა — 40კგ.**

53 წლის ასაკამდე მაწუხებდა ჭარბი წონა და ჯანმრთელობის უამრავი პრობლემა. უნიკალური მეთოდით, ყოველგვარი შიმშილისა და ვარჯიშის გარეშე დავიკელი 40კგ. მოვიწესრიგე ჯანმრთელობის ყველა პრობლემა. ვარ 59 წლის აბსოლუტურად ჯანმრთელი, შემიძლია დაგეხმაროთ ანალოგიური შედეგის მიღებასა და შენარჩუნებაში, კვალიფიციური ზედამხედველობის ქვეშ.

**ჩაწერა წინასწარ**
**ტ: 35-22-76;**
**899-57-58-30 სერგო**




| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ემახილი ეატრში | მომავლის რწმენა | ქალაქი რაჭაში | მდინარე პარიზში | 3,14 | კინორეჟისორი გაი ... | ბალეტი „გედების ... | ძველბიჭური მიმართვა | წვეულება, ქეიფი | მონო და ... |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბორჯომის ონში | პირის ნაცვალსახელი | ღვინის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში | ადგილი მიწაზე, სადაც წყალი იწყება | ჭრელი მგალობელი ჩიტი | კომპოზიტორი ... არაყიშვილი |

# ჭორფლი — გაზაფხულის პრობლემა

***რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი***

**მიუხედავად იმისა, რომ ჭორფლი ახლა მოდაშია, ბევრ ადამიანს კვლავინდებურად სურს მისი მოშორება. ამისთვის კი არ არის აუცილებელი რთული სამედიცინო მეთოდების გამოყენება — ჭორფლს თავადაც გაუმკლავდებით.**

**ჭორფლი, რომელსაც ნამზეურის ახლო ნათესავს უწოდებენ, პატარა კუნძულებად განლაგდება ხოლმე კანზე პიგმენტ მელანინის არათანაბარი გადანაწილების გამო. ეს პიგმენტი ყველაზე ნაკლები აქვთ წითურებსა და ქერათმიანებს. ამიტომ, მათ ჭორფლი თითქმის მთელი წლის განმავლობაში აქვთ, სხვებს კი იგი მხოლოდ აქტიური მზის პერიოდში — გაზაფხულსა და ზაფხულში უვითარდებათ. ჭორფლის წარმოქმნის მიზეზები ბოლომდე ცნობილი არ არის, მაგრამ ვარაუდობენ, რომ მთავარი დამნაშავე ადამიანის გენეტიკური წინასწარგანწყობაა.**

## როგორ ამოვიყვანოთ ლაქები

დღეისათვის ჭორფლიანი ქალები ორ ჯგუფად არიან გაყოფილნი: ერთნი, რომლებიც ყველანაირად ცდილობენ ჭორფლის მოშორებას და მეორენი, რომლებიც წითური ლაქებით სახეზე თავს მშვენივრად გრძნობენ. თუკი ჰოლივუდის ლამაზმანებმაც კი (ნიკოლ კიდმანის მეთაურობით) ვერ შეგაყვარეს თქვენი ჭორფლი, ეცადეთ, თავად გაუმკლადეთ მას — ამისთვის არ დაგჭირდებათ ქიმიური პილინგი და სახის ლაზერული დამუშავება.

● უპირველეს ყოვლისა, უნდა იცოდეთ, რომ საჭიროა, მოერიდოთ ულტრაიისფერ გამოსხივებას. ამაში მუქი სათვალე და შლაპა დაგეხმარებათ. მზის ყველაზე აქტიურ პერიოდში (12-დან 15 საათამდე) უმჯობესია, ჩრდილში იყოთ. ქუჩაში გამოსვლამდე 15-20 წუთით ადრე სახეზე წაისვით მზისგან დამცავი მაქსიმალური ეფექტის მქონე (SPF 15-20) კრემი. მაგრამ გაითვალისწინეთ, საცხის მოქმედება 3-4 საათს გასტანს, ამიტომ არ დაგავიწყდეთ მისი განახლება.

● პრობლემის გადაჭრაში დაგეხმარებათ ფოტოდამცავი კრემიც. ამ პროდუქციას ახლა ყველა ცნობილი კოსმეტოლოგიური ფირმა უშვებს. კრემის ინგრედიენტებს ულტრაიისფერი სხივებისგან დამცავი მოქმედება ახასიათებს.



● შეგიძლიათ, ისარგებლოთ მათეთრებელი კრემებითაც — დღეს ბაზარზე მათი ფართო არჩევანია. გაითვალისწინეთ, რომ *ვერცხლისწყლისა* და *წყალბადის ზეჟანგის* შემცველი კრემები უკვე მოძველებულია. ვერცხლისწყალი შეიწოვება და შხამავს ორგანიზმს, წყალბადის ზეჟანგს კი მუტაციების გამოწვევა შეუძლია. ამიტომ კრემის შეძენამდე ყურადღებით გაეცანით ინგრედიენტების ჩამონათვალს.

მნიშვნელოვანია, იცოდეთ ისიც, რომ ყოველგვარი მათეთრებელი სამედიცინო პროცედურა კანს აშრობს და მის ნაადრევ დაბერებასა და დანაოჭებას იწვევს. ამიტომ უმჯობესია, მოთმინება იქონიოთ და ბუნებრივი მათეთრებელი ნიღბები გამოიყენოთ. ისინი შედარებით ნელა, მაგრამ აუცილებლად მოგიტანთ შედეგს. ახლავე დაიწყეთ ზრუნვა თქვენს კანზე, ვიდრე მზის სხივები კიდევ უფრო მეტად გააქტიურდება და წითური ლაქები კანს დაგიფარავთ.

## ყველაფერი ხელთ გაქვთ

კანის მათეთრებელი ყველაზე ეფექტური და დამზოგავი საშუალებებია ლიმონის, გრეიპფრუტის, ხახვის, წითელი მოცხარის, კომბოსტოს მწნილის წვენები. აი, რამდენიმე უსაფრთხო რეცეპტი:

● 40 გ დამატენიანებელ კრემს დაუმატეთ 2 ჩ/კ ლიმონის წვენი. მიღებული ნარევი წაისვით კანზე დღეში 1-2-ჯერ, 2-3 კვირის განმავლობაში.

● გამოწურეთ კიტრის წვენი და შეურიეთ იგი თანაბარი რაოდენობის სპირტს, დააყოვნეთ 24 სთ. დოლბანდის ხელსახოცი დაასველეთ მიღებულ ნარევში, დაიფინეთ სახეზე 2-3 წუთი. გაიმეორეთ 3-ჯერ 15-20 წუთის განმავლობაში.

● შეურიეთ 1/4 ჭ დამჟავებულ რძეს, 1 ს/კ შვრიის ფქვილი და 1/2 ჩ/კ დაჭყლეტილი პირშუშხა. მიღებული ნარევი მოათავსეთ დოლბანდის ორ ფენას შორის და 15-20 წუთით გაიჩერეთ.

● კოსმეტოლოგები გვირჩევენ, პირი დავიბანოთ კიტრისა და ლიმონის წვენებით, აგრეთვე ოხრახუშის ნაყენით (1 ს/კ წვრილად დაჭრილ მწვანილს დაასხით 1/2 ჭიქა მდუღარე წყალი. გააცივეთ და გადაწურეთ).

● მათეთრებელ ნიღბებს მხოლოდ საღამოობით იკეთებენ, რათა მზის პირდაპირი სხივების ზემოქმედება აიცილონ თავიდან. მათი მომზადება უშუალოდ გამოყენების წინაა საჭირო. ნიღაბს იშორებენ წყალში დასველებული დოლბანდის ან ბამბის ტამპონით. შემდეგ კი ისვამენ კრემის თხელ ფენას. ნიღბებს მანამდე იკეთებენ, ვიდრე ლაქები არ გაღიავდება. მაგრამ ერთ კურსზე 30-ზე მეტი ნიღბის გაკეთება არ შეიძლება. შემდგომ კი აუცილებლად უნდა გამოიყენოთ მზისგან დამცავი საშუალებები, რადგან კანი უფრო მგრძნობიარე ხდება ულტრაიისფერი სხივებისადმი.

## „ჭორფლიანი" ამბები

● ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთსა და ეგვიპტეში ქალებმა საძულველი ლაქების მოშორების უამრავი რეცეპტი იცოდნენ. სწორედ ცნობისმოყვარე ეგვიპტელებმა აღმოაჩინეს პირშუშხასა და ბაბუაწვერას წვენის მათეთრებელი ეფექტი. მოგვიანებით მსგავსი თვისებები აღმოუჩინეს კიტრსა და ლიმონს.

● ყველა დროის ქალბატონები სახეს ქოლგითა და ფართოფარფლებიანი შლაპებით იფარავდნენ სითეთრის შესანარჩუნებლად.

● წითურ ლაქებთან ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია C და PP ვიტამინებს (ასკორბინისა და ნიკოტინის მჟავებს), რომლებიც აქვეითებს კანის მგრძნობელობას მზის სხივებისადმი. ასკილის ნაყენი, ლიმონი, გრეიპფრუტი, კომბოსტოს მწნილი, ფორთოხალი, მწვანე ხახვი P ვიტამინის მარაგს შეგივსებთ, ბადრიჯანი, კარტოფილი, ლობიო, გარგარი, ალუბალი და მაყვალი კი — PP ვიტამინისას.

● ცნობილ დედოფალ მარგოს ჭკუიდან გადაჰყავდა ბევრი მამაკაცი. ამისი მიზეზი მხოლოდ მის გასაოცარი სილამაზე კი არა, მჟავე რძის უცოდველი სურნელიც იყო, რომელსაც მისი კანი აფრქვევდა: მჟავე რძის მეშვეობით იგი თურმე ჭორფლს ებრძოდა.

■

# ლეგალური დოპინგი ჯანმრთელი ცხოვრებისთვის

*გრძნობთ, რომ დაიღალეთ და არაფრის სურვილი არ გაქვთ? თქვენსა და თქვენს ხასიათზე ამინდიც მოქმედებს? სწორედ ლეგალური „დოპინგის“ - ვიტამინების მიღების დროა! ისინი შეგმატებენ სიმხნევეს, ენერგიასა და ხალისს. თქვენის აზრით, ეს შეუძლებელია? ე.ი. თქვენ ჯერ კიდევ არაფერი იცით ვიტამინების ძალის შესახებ.*

სიმხნევის ეს ხაზები – მინისტიმულატორები – ერთდროულად გაგაჯანსაღებენ, ხოლო თქვენს სხეულს – ენერგიულს გახდიან. აგრეთვე ისინი კარგ გუნება-განწყობას განაპირობებენ. ვიტამინებს ადამიანებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნია, მაგრამ, უპირველესად აღსანიშნავია, B ჯგუფის ვიტამინები – ისინი სასიცოცხლო ენერგიის გარანტს წარმოადგენენ.




ვიტამინები ნივთიერებათა ცვლას აჩქარებს. ადამიანს მილიარდობით უჯრედი გააჩნია. იმისათვის, რომ ყველამ იმუშაოს, ისინი თავისებურ საზრდოს – „დოპინგს“ საჭიროებენ.

ნორმალურ შემთხვევაში ეს შეუფერხებლად ხდება: ჩვენ ვკბეჩთ ხილს და უკვე რამდენიმე წუთში ნაწლავის ტრაქტში გამოიყოფა ვიტამინები და სისხლში მიემართებიან.

თუ ჩვენს ორგანიზმს მცირე რაოდენობის ვიტამინებს ვაწვდით, მაშინ უჯრედებში განსაზღვრული ბიოქიმიური რეაქციები შეფერხებულად მიმდინარეობს. უჯრედები იფიტება და კვდება. ამიტომ ჩვენს ორგანიზმს საკმარისად უნდა ვამარაგებდეთ გარედან და არა მარტო ყოველ კვირას თუ თვეს, არამედ ყოველდღიურად.

განსაკუთრებით მიზანშეწონილია ვიტამინების მიღება შემოდგომაზე, როდესაც ადამიანის ორგანიზმი მილიონობით ვირუსების შემოტევის მოსაგერიებლად ემზადება.

ადამიანის ორგანიზმისთვის ვიტამინების მნიშვნელობა პირველად 80 წლის წინ იქნა აღმოჩენილი („VITA“ - ლათინურად „სიცოცხლეს“ ნიშნავს, „AMIN“ - აზოტის ნაერთებს). სწორედ მაშინ, იდენტიფიცირებულ იქნა პირველი ვიტამინი, უფრო ზუსტად კი ვიტამინი A.

აღმოჩენათა სერიის შემდეგ, მომდევნო წლებში, ვიტამინებს სახელი ლათინური ანბანის მიხედვით დაერქვათ. დღეისათვის ცნობილია 13 ვიტამინი. ისინი ორ ნაწილად იყოფა: წყალში ხსნად (B-კომპლექსი, ვიტამინი C, ...) და ცხიმში ხსნად (A,D,E,K) ვიტამინებად. წყალში ხსნადი ვიტამინები ორგანიზმში არ რჩება, ისინი ოფლსა და შარდთან ერთად გამოიყოფა. ცხიმში ხსნადი ვიტამინები კი ორგანიზმის მიერ აითვისება ცხიმებთან ერთად და მათი შენარჩუნება განსაზღვრული პერიოდის მანძილზეა შესაძლებელი – ამიტომ მათი მიღება განსაზღვრული დროით შეიძლება.

ყოველდღიურად, ჩვენ მიერ მიღებული საჭირო ვიტამინების რაოდენობა იმდენად მცირეა, რომ მისი მოთავსება დანის წვერზე შეიძლება. მაგრამ ეს მცირე რაოდენობაც ძალზედ მნიშვნელოვანი და საჭიროა.

ცივილიზებული ადამიანების ხშირად არაჯანსაღი ცხოვრების სტილი, სტრესები, თამბაქო, ალკოჰოლი, დიეტები, ფიზიკური უმოძრაობა, მედიკამენტები, აგრეთვე ადამიანების ვანსხვავებული ფიზიოლოგიური მდგომარეობები – ორსულობა, ბავშვების მოზარდი ორგანიზმი, ხანდაზმული ასაკი, სხვადასხვა დაავადება – ყველაფერ ამას, მივყავართ ორგანიზმის მოთხოვნილებისკენ ვიტამინებში, მინერალებში, მიკროელემენტებში. გარდა ამისა, ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა პროდუქტების თერმული გადამუშავების პროცესი, მათი შენახვა და ქიმიური დანამატების გამოყენება შენახვის ვადის გაზრდისათვის, ბლოკავენ ვიტამინების ეფექტს საკვებში და ამიტომ იქმნება პირობები მათი დამატებითი მიღებისთვის.

ამერიკულ კომპანია „შიფ“-ს კარგად ესმის, რომ ვიტამინების შერჩევისას, თქვენ მხოლოდ ნატურალური კომპონენტების მიღება გსურთ. კომპანია გთავაზობთ სხვადასხვა ასაკისთვის ვიტამინების ექსკლუზიურ შემადგენლობას („ჩილდრენზ ჩივეინლ“ - 4-15 წ.წ. ბავშვებისთვის, „სინგლ დეი“ - 16-54 წ.წ. მოზრდილებისთვის, „ფრაიმ იარზ“ - 55 წლის ზევით). სწორედ ამიტომ, 60 წელზე მეტია, ხალხი ენდობა „შიფ“-ს – კომპანიას, რომელიც ნატურალურ ვიტამინებს გვთავაზობს და რომელთა ხარისხიც GMP-ის საერთაშორისო სტანდარტების სისტემითაა შემოწმებილი.

**ცხოვრებაზე მთავარი მხოლოდ მისი ხარისხია.**
**„შიფ“-ის ვიტამინები – ცხოვრების ახალი ხარისხი!**

**„ჯეოვიტი“ - თქვენი ჯანმრთელობის თანამგზავრი“**

კომპანია „შიფ“-ის (აშშ) ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი“ მის: ილია ჭავჭავაძის გამზ. 41, დავით ტატიშვილის სამედიცინო გამაჯანსაღებელი ცენტრი „ნაუტილუსი“ ილია ჭავჭავაძის გამზ. 78

☎29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56

GEOVIT Schiff 60 NAUTILUS

# ბზობა

**დიდებით შესვლა იერუსალიმში უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი — ასე ეწოდება თორმეტ საუფლო დღესასწაულთაგან ერთ-ერთს, რომელიც ჩვენში ბზობის დღესასწაულის სახელწოდებითაა ცნობილი. მას მართლმადიდებლური სამყარო დიდმარხვის მეექვსე კვირას (წლეულს, 24 აპრილს) ეგებება.**

*შორენა მერკვილაძე*

მაცხოვრის, იერუსალიმში დიდებით შესვლის შესახებ მოთხრობილი აქვს ოთხივე მახარებელს. მათი მონათხრობის თანახმად: პასექის დღესასწაულზე დასასწრებად, იესო ქრისტე იერუსალიმისკენ გაემგზავრა. როდესაც ბეთბაგეს და ბეთანიის მთას მიუახლოვდა, ორი მოწაფე პირდაპირ მდებარე სოფელში წარგზავნა და დაავალა, რომ სოფლის შესასვლელში დაბმული ჩოჩორი მოეყვანათ, რომლის ზურგზეც არ მჯდარა ადამიანი. როდესაც მაცხოვარი იერუსალიმში შევიდა, უამრავი ადამიანი მიეგება. ის კი თავმდაბლად, ვირზე ამხედრებული მიდიოდა. ზოგი პალმის რტოებს უფენდა გზაზე, ზოგი — ზედა სამოსს იხდიდა და მას უფენდა ფერხთით, თან გალობდნენ: „ოსანა ძესა დავითისასა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაითა! ოსანა მაღალთა შინა!“ მაცხოვრის, იერუსალიმში დიდებით შესვლით, განცხადებულად აღსრულდა ზაქარიას წინასწარმეტყველება: „არქვი ასულსა სიონისასა, აჰა ესერა მეუფე შენი მოვალს შენდა მშვიდობით და ზე იგი კიცვსა ნაშობსა კარაულისასა“ (ზაქარ. 9, 9).

საღმრთო გადმოცემა გვაუწყებს, რომ იესო ქრისტე ყოველთვის დადიოდა წმინდა ქალაქ იერუსალიმში, მაგრამ არასოდეს შესულა იქ ისეთი დიდებით, როგორითაც ჯვარზე ვნებამდე რამდენიმე დღით ადრე. ამდენად ეს იყო უფლის დიდების მიწიერი განცხადება. ამ დრომდე მაცხოვარი ყოველთვის გაურბოდა მიწიერ დიდებასა და პატივს, მაგრამ როდესაც მისი ვნების დრო მოახლოვდა, საჭირო გახდა, იუდეველებისთვის ეჩვენებინა, რომ ის იყო ჭეშმარიტი მხსნელი. მესია, რომელიც ადამიანებს მშვიდობასა და ხსნას მიანიჭებდა. სწორედ თავისი ღვთიური წარმომავლობის გასაცხადებლად და საქმით დასამტკიცებლად მოახდინა იერუსალიმში შესვლის წინადღეს უფალმა უდიდესი სასწაული — 3 დღის მკვდარი ლაზარეს მკვდრეთით აღდგინება, რომელიც პასექის დღესასწაულზე დასასწრებად შეკრებილი უამრავი ადამიანის თვალწინ მოხდა. ამ სასწაულს მართლაც უდიდესი გამოხმაურება მოჰყვა, ამიტომაც იყო, რომ იერუსალიმში პასექის დღესასწაულზე დასასწრებად მიმავალ იესო ქრისტეს, ხალხი დიდებით ეგებებოდა და თავიანთ რწმენას „უფენდა“

**დიდმარხვა**

# ვნების შვიდეული

დიდმარხვის ბოლო კვირას ეწოდება ვნების შვიდეული, რომელიც დიდი ორშაბათით იწყება და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულამდე გასტანს (წლეულს — 25 აპრილიდან პირველ მაისამდე). ამ დღეებში წმინდა ეკლესია იხსენიებს იმ მოვლენებს, რომლებიც მაცხოვრის მიწიერი ცხოვრების უკანასკნელ დღეებში განვითარდა...

ვნების შვიდეულის **ორშაბათს, სამშაბათს** და **ოთხშაბათს,** ტაძარში აღესრულება პირველშეწირულის წირვა (ლიტურგია), რომლის დროსაც სრულად იკითხება ოთხივე „სახარება“. ამ დღეებში „სახარების“ სრულად წაკითხვა, ერთგვარი შეჯამებაა მაცხოვრის კაცთა შორის მოღვაწეობისა.

**დიდ ოთხშაბათს** იხსენიება მაცხოვრის გაცემა იუდას მიერ. იუდა ისკარიოტელი სწორედ ამ დღეს წავიდა მღვდელმთავრებთან და ჰკითხა: რას მომცემთ, რომ გადმოგცეთ იგი? მას 30 ვერცხლი მიუწონეს. მას შემდეგ, იუდა ეძებდა მარჯვე შემთხვევას, რომ გაეცა იესო. 30 ვერცხლი — ეს იყო მწყემსის წლიური ჯამაგირი ან უბრალოდ მონის სიცოცხლის საზღაური.

დიდ ხუთშაბათს იხსენიება საიდუმლო სერობა, რომლის დროსაც დაწესდა ზიარების საიდუმლო. მოციქულთა ზიარებამდე მაცხოვარმა გაიხადა ზედა შესამოსელი, საბანელში წყალი ჩაასხა და მოწაფეებს ფეხები დაჰბანა, რითაც ქრისტიანული სიმდაბლისა და სიყვარულის უმაღლესი მაგალითი გვიჩვენა. სწორედ ამ მოვლენის მოსახსენებლად აღესრულება **დიდ ხუთშაბათს,** სიონის საკათედრო ტაძარში ფეხთბანვის რიტუალი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მიერ. ამავე დღეს, ყველა მოქმედ მართლმადიდებლურ ტაძარში იკურთხება წმინდა ნაწილები — ე.ი. მზადდება წმინდა ძღვენი, რომელსაც ათავსებენ საკურთხეველში დაბრძანებულ სანაწილე ყუთში. როდესაც ადამიანი მომაკვდავია ან იმდენად დაუძლურებულია, რომ ვერ ახერხებს ტაძარში საზიარებლად მისვლას, ღვთისმსახური თვითონ მიდის მასთან და თან მიაქვს სანაწილე ყუთში მოთავსებული წმინდა ნაწილები და აზიარებს. დიდ ხუთშაბათს დამზადებული წმინდა ნაწილები, მთელი წლის მანძილზე ინახება. ამ დღის შემდეგ წყდება „ეფრემ ასურის ლოცვის“ კითხვა. რაც შეეხება საზრდელს, მორწმუნეებს, რომლებიც ამ კვირაში მძიმე მარხვას ინახავენ, უფლება აქვთ, იხმიონ ზეთზე დამზადებული საკვები.

**დიდი პარასკევი** წლის ყველაზე მძიმე დღეა, რადგან სწორედ ამ დღეს მოხდა მაცხოვრის ჯვარცმა და იესო ქრისტეს ხორციელი სიკვდილი. მაცხოვრის ჯვარცმის მოსახსენებლად, ამ დღეს, ცისკრის ჟამს იკითხება თორმეტი „სახარება“ — „სახარების“ თორმეტი მონაკვეთი, სადაც აღწერილია ქრისტეს ჯვარზე ვნება. ვნების „სახარების“ კითხვის დროს, მორწმუნეებს ხელთ უპყრიათ ანთებული კელაპტრები. მას ღვთისმსახურების დასრულების შემდეგ აქრობენ და მთელი წლის მანძილზე ინახავენ, მათ წინაშე უნდა ვილოცოთ მაშინ, როდესაც ვნებებთან ბრძოლა გვჭირდება.

ვნების პარასკევს, დაახლოებით 2 საათზე ტაძარში გამოასვენებენ გარდამოხსნას. ამ ქმედებით იხსენიება იოსებ არიმათელისა და ნიკოდიმოსის მიერ ჯვარზე გაკრული მაცხოვრის სხეულის ჯვრიდან გარდამოხსნა — ჩამოხსნა, რომელიც მათ პილატეს ნებართვით შეასრულეს.

**დიდ შაბათს** ტაძარში აღესრულება ბასილი დიდის წირვა. განთიადზე „დიდება მაღალიანის“ გალობის ბოლოს, ტაძრის გარშემო შემოატარებენ გარდამოხსნას რომლის შემდეგაც, მას ტაძრის შუაგულში დაასვენებენ. ის რიტუალი სიმბოლურად განასახიერებს უფლის წმინდა სხეულის გადასვენებას ჯვარცმის ადგილიდან მისთვის გამზადებულ სამარხში.

დიდი შაბათი ვნების შვიდეულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღეა, რადგან ამ დღეს შეიმუსრა ბჭენი ჯოჯოხეთისანი. შაბათს მაცხოვრის სხეული იმყოფებოდა სამარხში, სული კი ჩავიდა ჯოჯოხეთში, ამცნო გარდაცვლილთა სულებს სიკვდილზე გამარჯვება, გამოიყვანა იქიდან მართალთა სულები და სამოთხეში დაამკვიდრა.

ვნების შვიდეულის კვირიაკე, ჭეშმარიტად მორწმუნე ადამიანმა თითქმის გამუდმებით ლოცვაში უნდა გაატაროს, ყოველდღიურად მივიდეს ტაძარში და დაესწროს ყველა ღვთისმსახურებას, რომელიც საგანგებოდ აღესრულება ვნების კვირაში. მკაცრდება ხორციელი მარხვაც: მორწმუნენი დღეში ერთხელ, დღის მეორე ნახევარში იხმევენ უზეთოდ დამზადებულ საზრდელს (როგორც აღვნიშნეთ, ზეთით ხსნილია მხოლოდ დიდი ხუთშაბათი) ან მხოლოდ წყალზე და პურზე გადადიან. მკაცრი მარხვის დაცვა განსაკუთრებით აუცილებელია დიდ პარასკევს. თუკი ადამიანს ფიზიკური უძლურება არ აწუხებს, სასურველია, ვნების პარასკევს საერთოდ უარი განაცხადოს საზრდელის მიღებაზე ან მცირედ წაიხემსოს დღის მეორე ნახევარში. ■

გზაზე, პალმის ტოტების სახით.

**რა იყო მიზეზი იმისა, რომ უფალმა ინება, ვირის ჩოჩორზე ამხედრებული შესულიყო დიდებით იერუსალიმში?**

იესო ჩოჩორზე დაჯდა ნიშნად იმისა, რომ ის მშვიდობის მეუფეა, რომ მას მოაქვს მშვიდობა, რამეთუ უძველესი დროიდან მოყოლებული, ეს ცხოველი აღმოსავლეთში მშვიდობის სიმბოლოდ იყო მიჩნეული, მას არ იყენებდნენ ბრძოლებში. მეფეები მშვიდობიანობის დროს, სამეფო შემოვლას ამ ცხოველზე ამხედრებულნი აწარმოებდნენ. ვირზე ჯდომით გვიჩვენა აგრეთვე უდიდესი სიმდაბლე და ჩვენც მოგვცა წესი ცხოვრებისა — თავმდაბლობა.

**უფლის, იერუსალიმში დიდებით შესვლა დაგვირგვინდა ტაძარში შესვლით, სადაც მაცხოვარს უწესრიგობა და ქაოსი დახვდა — ხმაური, ცხოველების ბღავილი, რადგან იქვე, ეზოში ყიდდნენ პირუტყვს. ტაძარში იდგა მეკერმეთა („წვრილი თეთრის" ამღები) დახლები... იესო არგნით (მათრახით) აძევებს ტაძრიდან არეულობის შემომტანთ. როგორ შეიძლება გავიგოთ უფლის ეს ქმედება?**

ასეთი ქმედებით უფალმა მიგვითითა, თუ რაოდენ კრძალვითა და რიდით უნდა იქცეოდეს ადამიანი ტაძარში, რადგან ტაძარი ღვთის სახლია, ღვთის სახლს კი ლოცვა და ღვთივსათნო საქმეების აღსრულება შვენის. გარდა ამისა, როგორც არქიმანდრიტი რაფაელი გვიქადაგებს: ,,იესო ქრისტეს ტაძარში შესვლა სიმბოლურად გამოხატავს საშინელ სამსჯავროს — საყოველთაო განსჯა დაიწყება ქრისტეს ეკლესიის წევრებისგან და ყველაზე მკაცრად სწორედ ისინი განიკითხებიან."

**რატომ ეწოდება იესო ქრისტეს იერუსალიმში დიდებით შესვლის დღესასწაულს ჩვენში ბზობა?**

ბევრ მართლმადიდებლურ ქვეყანაში ამ დღესასწაულს მორწმუნენი ეგებებიან პალმის ტოტებით ხელში, რაც სიმბოლურად იმ პალმის ტოტებს განასახიერებს, რომელთაც ხალხი უფალს უფენდა გზაზე, მაგრამ რადგან ჩვენში პალმა ცოტაა, იგი ბზით შეიცვალა და თვით დღესასწაულის ჩვენში დამკვიდრებული სახელწოდება — ბზობა, ამ მცენარის სახელწოდებისგან მომდინარეობს. ბზის ტოტებით ხელში, ვაღიარებთ, რომ გვაქვს რწმენა უფლისა. ბზის ტოტები აუცილებლად უნდა ვაკურთხებინოთ ღვთისმსახურს, რადგან მხოლოდ კურთხევის შემდეგ ხდება იგი ღვთიური მადლის მატარებელი. ნაკურთხ ბზას ადგილი უნდა მივუჩინოთ ხატების კუთხეში და მომდევნო წლის ბზობის დღესასწაულამდე ვიქონიოთ. შარშან ნაკურთხი ბზა კი შეგვიძლია, მივიტანოთ ტაძარში და იქ დავწვათ ან შინ დავწვათ და ნამწვავები სუფთა ადგილას დავფლათ. ■





# „...დაგჩერებოდი შენ მძინარეს, მაგრამ თავის მოკვლა უკვე გადაწყვეტილი მქონდა..."

**„...ტფილისი უცნაური ქალაქია, ხოლო 1919-1920 წლებში კიდევ უფრო აუცნაურდა... ტფილისი გახდა პოეტების ქალაქი. კაფე „ინტერნაციონალში" იგი კიდეც გამოაცხადეს პოეტების ქალაქად.**

**...პაოლო იაშვილი სწორედ ამ ხანებში თავს დაეცა ტფილისს, როგორც არტურ რემბო პარიზს. მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდა მან, რომ ტფილისის აღება ბოჰემით და ლექსით უფრო ძნელია, ვიდრე პარიზის..." — წერს გრიგოლ რობაქიძე. მანამდე კი, 1915-16 წლის მიჯნაზე, დაარსდა „ცისფერი ორდენი". 1916 წელს, პაოლო იაშვილის რედაქტორობით გამოიცა „ცისფერი ყანწები". „ცისფერყანწელები" ფრანგულ პოეზიას აღმერთებდნენ. სახელებიც ევროპულად გადაიკეთეს და ტიტე — ტიციანად, პავლე კი — პაოლოდ იქცა. მათ მეგობრობაზე ლეგენდებს ჰყვებიან. სწორედ პაოლომ შეარქვა ტიციანს და ნინა მაყაშვილს პიერო და კოლომბინა. სამწუხაროდ, ორივეს ცხოვრება ტრაგიკულად დასრულდა. პირველი, პაოლო იყო.**

**ნათია თენიეშვილი**

*გერონტი ქიქოძე იგონებს — ,,...ეს ადამიანი, რომელსაც ყველაზე მეტად ჭაღებით განათებული დარბაზები, ტაშებით ახმაურებული აუდიტორია, ბრწყინვალე ბანკეტები და არტისტული ყავახანები უყვარდა, თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წელს ძალიან განმარტოვდა.*

*...ცხელი 1937 წლის 22 ივლისს, საღამოს, სანამ იგი მწერალთა კავშირის მეორე სართულზე ავიდოდა, რათა იქ ჟაკანის ტყვიით თავის ქალა აეფეთქებინა, სხდომათა დარბაზში შევიდა, უკანასკნელი რიგის სკამზე დაჯდა, რამდენიმე გონებამახვილი რეპლიკა მიაწოდა ერთ თავის მეგობარ მწერალს, ხოლო როდესაც ამ უკანასკნელმა მას პაპიროსი სთხოვა, მან ღიმილით უპასუხა, კიდევ რამდენ ხანს აპირებ ჩემს ხარჯზე ცხოვრებასო..."*

*პაოლო იაშვილს ერთი ქალიშვილი — მედეა ჰყავდა. 43 წლის მამამ 13 წლის ქალიშვილს სიკვდილის წინ, წერილი დაუტოვა. ,,ჩემო შვილო, ჩემო კარგო მამიკო, ჩემო სიხარულო და ბედნიერებავ, მედეა! მაპატიე, გემუდარები, მაპატიე ეს უდიდესი დანაშაული შენს წინაშე, მთელი ჩვენი ქვეყნის და ხალხის წინაშე. მთელი ღამე არ მიძინია, დაგჩერებოდი შენ მძინარეს, მაგრამ თავის მოკვლა უკვე გადაწყვეტილი მქონდა, და ვერც შენ გადამარჩინე. არავის დააბრალო ჩემი სიკვდილი. გაიზრდები, დაუფიქრდები ჩემს ბედს და დარწმუნდები, რომ ჩემი სიკვდილი სჯობდა, შენ უფრო უბედური იქნებოდი, რომ მე დღეს თავი არ მომეკლა. გიყვარდეს დედა და ყველა ჩემი ახლობლები, ისინი არ დაგტოვებენ არც ერთი წუთით, და რამოდენიმედ მაინც გაგიადვილებენ ობლობას. მეტის წერა აღარ შემიძლია. მშვიდობით, მამიკო. მედეა, მედეა, მშვიდობით. ისწავლე, იშრომე, ყოველთვის მართალი სთქვი, ეცადე სასახელო ქალი გამოხვიდე, გიყვარდეს სამშობლო, მუდამ გახსოვდეს შენი ახლობლები და შენი მამა. შენი უსაზღვროდ მოყვარული მამა".*

*მედეა იაშვილს ორი შვილი — მერაბ და გია ნიჟარაძეები ჰყავს. წარსულზე, ოჯახზე და ბაბუაზე, პაოლო იაშვილის შვილიშვილი — **გია ნიჟარაძე** გვიამბობს.*



**თამარ და მედეა იაშვილები**

— მე პროფესიით ეკონომ-გეოგრაფი ვარ. სპეციალობას ჰქვია „საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფია“. ამჟამად ვმუშაობ ერთ-ერთ შპს-ში და ვცდილობ, არგენტინასთან ეკონომიკური ურთიერთკავშირების დამყარებას. მყავს მეუღლე — ქეთი ფანცხავა, პროფესიით ექიმი და ქალიშვილი — თამარი. თათა მალე 21 წლის გახდება. სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მე-5 კურსის სტუდენტია. ჩემი ძმა მერაბი, ჩემზე უფროსია, მაგრამ უფრო ახალგაზრდულად გამოიყურება. პროფესიით ქიმიკოსია. ძირითადად, მთელი ცხოვრება ერთად ვმუშაობდით. ახლა გაიყო ჩვენი გზები — სამსახურის თვალსაზრისით. ორივენი ყოფილი მორაგბეები ვართ. მან მიმიყვანა ამ სპორტზე, ქუჩას მომაშორა. 1972 წელს დავიწყე რაგბის თამაში, 3 წელი ერთ გუნდში გამოვდიოდით. მერაბმა ჩემზე ადრე დაანება თავი. მე გავაგრძელე. მას ორი შვილი ჰყავს, ტყუპი — სანდრო და ანა. სანდრო, საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტია, ანა — ჟურნალისტიკის. მერაბის მეუღლე, მაკო ღოღობერიძე შეერთებული შტატების საელჩოში მუშაობს. ჩემი მეგობარია და მე გავაცანი მერაბს.

— **თუ გახსოვთ, პირველად როდის და როგორ გაიგეთ პაოლო იაშვილის შესახებ?**

— სულ პატარა ასაკიდან აღქმული მქონდა, რომ ბაბუაჩემი — ეს არის დიდი ტკივილი დედაჩემისთვის და ბებიაჩემისთვის, თორემ, ვინ იყო, რა და როგორ მოხდა — ეს წლებთან ერთად მოვიდა. ბუნებით კერპების მოყვარული კაცი არა ვარ, რბილად რომ ვთქვათ. მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ბაბუა ჩემთვის კერპი იყო, გამომდინარე იმ ინფორმაციიდან, რომელიც მის შესახებ ნელ-ნელა მივიღე.

— **ბატონ პაოლოს ორი საბავშვო ლექსი აქვს დაწერილი. ალბათ ამ ლექსებს ბავშვობაში გიკითხავდნენ, არა?**

— ერთი დედაჩემს მიუძღვნა, მეორე — ბიძაჩემს. ბებიაჩემი, თამარი გარუსებული ქართველი იყო. მისი გაზრდილი ვარ და 6 წლამდე, რუსულად უფრო კარგად ვლაპარაკობდი, ვიდრე ქართულად. ქართული პოეზიის და მწერლობის სიყვარული ცოტა გვიან მოვიდა. ჩემდა სამარცხვინოდ უნდა ვთქვა, რომ მე-7 კლასში „დავით აღმაშენებელი“ რუსულ ენაზე ნათარგმნი წავიკითხე. ეს რომ დედაჩემმა დაინახა, გაგიჟდა. ბრძენი ქალი იყო და ქართული მწერლობის კითხვა, მიხეილ ჯავახიშვილით დამაწყებინა, რამაც აბსოლუტურად გადამიტრიალა ტვინი და მიმაბრუნა ქართული ლიტერატურისკენ.

— **რას გიყვებოდათ ხოლმე ბებია, ბაბუის შესახებ?**

— ამ თემაზე ლაპარაკი დედაჩემს არ შეეძლო. 5 წუთის მერე ცუდად ხდებოდა. რაც შეეხება ბებიაჩემს, როგორ უნდა მოჰყვეს ქალმა, რომელიც 33 წლის ასაკში დაქვრივდა, დაკარგა ქმარი, რომელთანაც ნამდვილად არ ჰქონია ადვილი ცხოვრება?.. იყო ყველაფერი — ფეიერვერკებიც და ისეთი წლებიც, როცა ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ, მაგრამ ყოველთვის იყო უზარმაზარი სიყვარული ერთმანეთის მიმართ. 16 წლის იყო, როცა საქველმოქმედო საღამოზე ნახა პაოლო და 17 წლისა, ცოლად გაჰყვა. როგორც თავის დღიურებში წერდა (რომლებიც უნდა ვაღიარო, რომ მოვიპარე და ისე წავიკითხე, რადგან არ აპირებდა სიცოცხლის ბოლომდე არავისთვის მათ ჩვენებას), პირველი დანახვისთანავე უგონოდ შეუყვარდა პაოლო.

— **ამ დღიურების გამოქვეყნება არ შეიძლება?**

— არის რაღაც ინტიმური ადგილები, რომელიც არ გამოქვეყნდება და კიდევ — ინფორმაციები, რომლებსაც, სანამ მე და ჩემი ძმა ცოცხლები ვართ, არასდროს გამოვაქვეყნებთ. იმიტომ, რომ ძალიან ბევრ ღირსეულ და ლამაზ ადამიანს შეიძლება, ჩირქი მოეცხოს. ისინი ჩვენგან შენდობილები არიან, მთავარია, უფალმა შეუნდოს. მათ შვილებს კი არაფერი დაუშავებიათ. მაშინ რთული დრო იყო და ყველას გმირობას ვერ მოსთხოვ.

— **ამბობენ, რომ პაოლო ძალიან ენერგიული, ქეიფის, დროს ტარებისა და კარგი მოლხენის მოყვარული იყო. შვილიშვილები თუ ჰგავხართ ამით?**

— ამ მხრივ, მე უფრო ვგავარ. თუმცა, მინდა გითხრათ, რომ ჩვენი ბაბუის წინაშე, ჩემმა ძმამ დიდი ხარკი გადაიხადა: მერაბმა, თუკი სადმე იყო რაიმე პაოლოზე დაწერილი, ბოლო წლების მანძილზე მოიპოვა, მოაწესრიგა და სისტემაში მოიყვანა. მოგეხსენებათ, პაოლო კანტიკუნტად აქვეყნებდა თავის ნაწარმოებებს. ის წერდა ქაღალდის ნაგლეჯებზე, პაპიროსის კოლოფებზე, კედლებზე. ფანტასტიკური ექსპრომტები ჰქონდა და ამ თვალსაზრისით, ძალიან მოუწესრიგებელი ადამიანი იყო. მისი შემოქმედების ალბათ მხოლოდ 10 პროცენტია შემორჩენილი დღეს, მეტი არა. მთელი მისი არქივი იმ დღესვე წაიღეს, როცა პაოლომ თავი მოიკლა. მისი სიკვდილიდან ერთი საათის შემდეგ მივიდნენ სახლში და 2 დიდი ჩემოდანი გაავსეს, არაფერი დაუტოვებიათ. როცა პაოლომ თავი მოიკლა, ერთმა საკმაოდ ცნობილმა და წარმატებულმა პოეტმა, ხელისუფლების ერთგულების დასამტკიცებლად, პაოლოს სხეულზე მოშარდა... საშინელი დრო იყო. ბებიაც და დედაც სულ გვეუბნებოდნენ: ნურავისზე იქნებით ნაწყენი, იმ ადამიანებს ჰყავდათ ოჯახები, შვილები და სხვა გზა არ ჰქონდათო. პაოლოს სიკვდილის შემდეგ, მთელი თვე დედა სკოლაში არ წასულა. ერთი თვის შემდეგ, გაკვეთილზე მისული 13 წლის გოგო, დირექტორმა დაფასთან გაიყვანა და უთხრა — როგორ გაბედე აქ მოსვლა, ხალხის მტრის შვილოო! —



**თამარ და პაოლო იაშვილები**



**იაშვილების მამაპაპისეული სახლი არგვეთში**

მერე სახეში გაარტყა და პანღურიც ამოჰკრა... ატირებულ დედას, ფიზკულტურის მასწავლებელი გაეკიდა, დააშვიდა და სახლში მიიყვანა. ამისთვის ის კაცი დახვრიტეს... მერე დედა სხვა სკოლაში გადავიდა – იქ, სადაც „ხალხის მტრების" შვილები სწავლობდნენ. მისი კლასელები იყვნენ: ეროსი მანჯგალაძე, წოპე (ვახტანგ ხურციძე, ცნობილი პლასტიკური ქირურგი) და სხვა.

— **დედამ და მამამ როგორ გაიცნეს ერთმანეთი?**

– ბებიაჩემი გეოლოგი გახლდათ და იძულებული იყო, ექსპედიციებში ევლო, რომ ფული ეშოვა და ოჯახი ერჩინა. მანამდე, პაოლოს უფროსი ძმა, მიშა, რომელიც ექიმი იყო და შედარებით კარგი შემოსავალი ჰქონდა, მიდიოდა ბაზარში და თავისი დაღუპული ძმების ოჯახებისთვის ყიდულობდა პროდუქტს. დედაჩემიც მან გაათხოვა. როგორც დედა მიყვებოდა, მისმა კლასელმა, კუჭუ ქლენტმა მიუყვანა სახლში სტუმრად მამაჩემი; ისეთი მთვრალები იყვნენ, რომ ორივეს გული აერია და დილამდე დედაჩემი ხან ცივ ტილოებს აფენდა მათ, ხან იატაკს წმენდდა... მამაჩემი, ჯუმბერ ნიჟარაძე წარმოშობით ქუთაისელია. კალათბურთელი იყო და მართლაც, ძალიან სიმპათიური კაცი გახლდათ. 1946 წელს შეუღლდნენ და ზუსტად 46 წელი იცხოვრეს ერთად – 1992 წლამდე, როდესაც დედა გარდაიცვალა.

— **„ცისფერყანწელების" შთამომავლებთან თუ გაქვთ ურთიერთობა?**

– სამწუხაროდ, ძალიან ნაკლებად. ეტყობა, ასაკში სხვაობის ბრალია... სანამ დედა ცოცხალი იყო, ყველასთან გვქონდა ურთიერთობა, ახლა – ნაკლებად. ძალიან მიყვარს სუყველა, მაგრამ ცხოვრებაა ისეთი, ჩემს უახლოეს მეგობრებს ველარ ვხვდები ისე ხშირად, როგორც მე მინდა.

— **სოფელ არგვეთში, იქ, სადაც პაოლოს სახლი იდგა, ახლა თუ დარჩა რამე?**

– კი, არის სახლი და ჩვენს მრავალრიცხოვან შთამომავლობაში (ამას წინათ ვითვლიდით და 70-ზე მეტნი არიან – ძმისშვილები, დისშვილები და ა.შ.), ალბათ, ყველაზე დიდი სიყვარული ამ სოფლისადმი ჩვენ შემოგვრჩა. ვგიჟდები იქაურობაზე, ისე მიყვარს. ალბათ იმიტომ, რომ ქვეცნობიერად დედაჩემს და ბაბუაჩემს უკავშირდება... ის სახლი თითქმის 150 წლისაა. აღვადგინეთ და ყველაფერს ისეთი სახე შევუნარჩუნეთ, როგორიც უწინ ჰქონდა. ახლა იქ არავინ ცხოვრობს, მეზობლები უვლიან. საკმაოდ ხშირად ჩავდივართ. მოვახერხეთ, რომ პაოლოსთვის ორი იუბილე გადაგვეხადა. კომუნისტები უხდიდნენ ხოლმე იუბილეს. დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებას კი, ამ მხრივ არასდროს გამოუჩენია ინიციატივა... პირველად, თურქეთში მცხოვრებმა ქართველებმა დამაფინანსეს. სულ სხვა საკითხებთან დაკავშირებით მქონდა მათთან შეხვედრა. ცოტა ხნით ოთახიდან გავედი. ვიღაცამ უთხრა – ასეთი გამოჩენილი კაცის შვილიშვილია და იუბილეს გადახდის საშუალება არა აქვსო. როცა დავბრუნდი, ჩვეულებრივად გავაგრძელეთ საუბარი. საათ-ნახევარში, ვიღაც კაცი მოვიდა, ქაღალდის დიდი პარკი გამომიწოდა და – ეს ჩვენგანო, – მითხრა. რა არისმეთქი? – გამიკვირდა. – შენ დიდი ჩვენებურის შვილიშვილი ხარ და ეს ჩვენგანო. ჩავიხედე პარკში და ფულით გატენილი აღმოჩნდა... იმ თანხით შევაკეთეთ სოფელში სახლი და გადავიხადეთ იუბილე...

— **თქვენც ხომ არ გაქვთ ლექსის წერის ნიჭი?**

– პაოლოს შთამომავლებს შორის, წერის ნიჭი მარტო ჩემს ძმისშვილს – ანას აქვს. რაც შემეხება მე – ძალიან ბევრი ლექსი მაქვს დაწერილი, ოღონდ – ჩემთვის. ადრე, ქალებს ვუწერდი ხოლმე ექსპრომტებს...

— **ცოტა ხნის წინ, საკმაოდ პოპულარული იყო გიგა მიქაბერიძისა და კატოს დუეტის მიერ შესრულებული სიმღერა, რომელიც პაოლოს „პირამიდებზეა" დაწერილი. თქვენ თუ მოგეწონათ ეს სიმღერა?**

– არ მინდა საერთოდ, მაგ ადამიანებთან შეხვედრა. არ ვიცი, ვინ არიან, ალბათ კარგი ადამიანები არიან, მაგრამ ჩვენ ყველას ისეთი შეგრძნება გვაქვს, თითქოს სულში ჩაგვაფურთხეს...

*P.S. 1924 წელს, საქართველოში მომხდარი დიდი აჯანყების დროს დახვრიტეს პაოლოს უმცროსი ძმა. პაოლომ დაუმალა დედას ეს ამბავი, დაარწმუნა, რომ მისი შვილი ცოცხალი იყო, ირანში ცხოვრობდა და წლების მანძილზე, დახვრეტილი ძმის სახელით თავად უგზავნიდა წერილებს დედას...*

*ბოლოს კი, უბრალოდ, რამდენიმე სტრიქონი პაოლო იაშვილის „ავტოპორტრეტიდან":*

**საქართველოში არ იწამეს**
**ჩემი დენდობა,**
**მე მახალისებს მხოლოდ**
**ჩემი** Salto-Mortale
**მაგრამ ბოდლერის ცივი ლანდი**
**თუკი მენდობა,**
**ხალხის წინაშე მე ვიქნები მუდამ**
**მართალი.**
**შევხარი მზესა, ვეტრფი მთვარის**
**ყვითელ ხავერდსა**
**და რუსთაველთან გადავდივარ**
**მე ალავერდსა.**

■



**მედეა იაშვილის მეუღლე – ჯუმბერ ნიჟარაძე (ცენტრში) შვილებთან, რძლებთან და შვილიშვილებთან ერთად**



ორი წლის წინ, „დანდიდან“ შოტლანდიურ გრანდ „გლაზგო რეინჯერსში“ გადასულ **ზურა ხიზანიშვილს**, გუნდის ძირითად შემადგენლობაში მოხვედრასთან დაკავშირებით, პრობლემები არ შეჰქმნია და იგი ამ პერიოდის განმავლობაში, დაცვის ხაზის წამყვან მოთამაშედაც ითვლებოდა. მაგრამ 2005 წლის დადგომასთან ერთად, ქართველი მცველი გლაზგოელთა სასტარტო თერთმეტეულში ფაქტობრივად, აღარ გამოჩენილა და მხოლოდ „რეინჯერსის“ მეორე შემადგენლობაში თამაშით შემოიფარგლებოდა. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ ზურა საბერძნეთის ნაკრებთან ასპარეზობისას, ჩვეულებისამებრ ვერ გამოიყურებოდა, რაც პირველ რიგში, მაღალ დონეზე სათამაშო პრაქტიკის უქონლობას უნდა მივაწეროთ. როგორც გახსოვთ, ბერძნებთან იმ ავადსახსენებელ მატჩში, მან ყვითელი ბარათი მიიღო და თურქებთან ასევე საკმაოდ ცუდად მოსაგონარ თამაშში მინდორზე საერთოდ არ გამოსულა. მეტიც, იგი თბილისშიც არ დარჩენილა, რათა საკუთარი გუნდისათვის ექომაგა და გლაზგოს მიაშურა. ხიზანიშვილს გამგზავრებამდე ვესაუბრეთ და მისივე თხოვნით, სანაკრებო თემას არ შევხებივართ, ძირითადად, საკლუბო თემითა და შოტლანდიაში გატარებული ცხოვრების ეპიზოდებით შემოვიფარგლეთ.

# ქართველი ფეხბურთელი გლაზგოს ღამის კლუბების ხშირი სტუმარია

## როგორ აკისრებინეს ხიზანიშვილმა და ნემსაძემ რესტორანი რამაზოტის

*გიორგი ლანჩავა*

**— რით ახსნით, რომ უკანასკნელ პერიოდში „გლაზგო რეინჯერსის“ შემადგენლობაში საერთოდ არ ჩანდით?**

— რამდენიმე თვის წინ, კლუბმა ახალი სამწლიანი კონტრაქტი შემომთავაზა და ვიდრე ხელშეკრულებას გავაფორმებდი, მოსაფიქრებლად დრო ვითხოვე. ამის გამო ,,რეინჯერსის‘‘ ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ჩემთვის ,,ჭკუა ესწავლებინა‘‘ და 6 კვირის მანძილზე მოედანს საერთოდ არ გამაკარა. საბოლოოდ, კონტრაქტს ხელი კი მოვაწერე, მაგრამ ამასობაში გუნდმა წარმატებულ მატჩთა მთელი სერია ჩაატარა და ჩემპიონობისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტი — ,,სელტიკიც‘‘ დაამარცხა. აქედან გამომდინარე, ალექს მაკლიში ბუნებრივია, შემადგენლობას არ შეცვლიდა და რომელიმე იმ ფეხბურთელის ნაცვლად, ვინც აღნიშნულ პერიოდში წარმატებით ასპარეზობდა, მე არ მათამაშებდა. ჩემთვის მეორე შემადგენლობაში გამოსვლა არავის დაუმალებია. უბრალოდ, როგორც პროფესიონალს, მსურდა, სათამაშო პრაქტიკა მქონოდა, რათა სანაკრებო მატჩებისთვის უკეთ მოვმზადებულიყავი.

**— უკვე 4 წელია, შოტლანდიაში ცხოვრობთ. ეს ქვეყანა თქვენთვის რამდენად ახლობელი გახდა?**

— იქაურობას ისე შევეჩვიე, რომ სხვა ქვეყანაში ჩასვლისას, შოტლანდიელებს გარშემო მყოფთაგან უმალვე გამოვარჩევ. ,,რეინჯერსის‘‘ გულშემატკივრები როდესაც მხვდებიან, ხომ საერთოდ ხელისგულზე მატარებენ. პროფესიიდან გამომდინარე, მოგზაურობა ხშირად მიწევს და თუ შოტლანდიელები დავინახე, მათთან თავად მივდივარ, ვესაუბრები, რაც ძალიან სიამოვნებთ. ამ ხალხს ისეთსავე პატივს ვცემ, როგორსაც ქართველებს, ვინაიდან ჩემ მიმართ ისინი მუდმივად სითბოს ამჟღავნებენ. შოტლანდიელთა დამახასიათებელი თვისება ის გახლავთ, რომ პირში მთქმელი და ძალიან ვაჟკაცი ერია. გარდა ამისა, ამ ქვეყანაში ადამიანის დაფასება და სიყვარული იციან.

**— საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბრიტანელებს ალკოჰოლი საკმაოდ უყვართ. „რეინჯერსში“ თუ სვამენ ფეხბურთელები და მათ რიგში თქვენც ხომ არ ხართ?**

— სმა ნამდვილად არ მიყვარს და ალკოჰოლს ფაქტობრივად, არ ვეკარები. თანაგუნდელებზე ამავეს ვერ ვიტყვი, განსაკუთრებით ,,რეინჯერსში‘‘ მოთამაშე შოტლანდიელებზე, რადგან მათთვის ლუდი და ვისკი იგივეა, რაც ჩემთვის — წვენი ან წყალი. ამის გამო, ისინი ღამის კლუბებში ათასგვარ შარში ეხვევიან და გაზეთები ფეხბურთელთა სკანდალური ფოტოებითაა აჭრელებული. მხოლოდ ჩემი ფოტო არ ყოფილა, რაც ყველას უკვირდა. როდესაც შემეკითხნენ, თუ რატომ ხდებოდა ასე, ვუპასუხე: არ ვსვამ და ამიტომ გაზეთშიც არ ვხვდები-მეთქი. მაგალითად, შარშან, პრესაში დიდი აჟიოტაჟი იყო ატეხილი ემერსონსა და ნუნე კაპუჩოზე, რომელთაც ბრალს სდებდნენ იმაში, რომ დისკოთეკაზე დათვრნენ და ქალებს უცენზურო სიტყვებით მიმართავდნენ. თუმცა ხშირად ხდება, რომ ღამის კლუბში ადამიანს შესაძლოა, მხოლოდ მიესალმო და ამას სულ სხვა კუდი გამოაბან, რადგან მომხდარის გაზვიადება თუ დამახინჯება შოტლანდიაშიც კარგად ეხერხებათ. მოგეხსენებათ, მასმედიის ყურადღება ასეთი ფაქტების მიმართ იქ უფრო დიდია, ვიდრე საქართველოში, რადგან ერთ სკანდალურ ინტერვიუში საკმაოდ მოზრდილ თანხას იხდიან და არ არის გამორიცხული, შენივე გუნდის ქომაგმა გამოგიწვიოს, პროვოკაცია მოგიწყოს, რათა ყურადღების ცენტრში მოექცეს... მაშინ კაპუჩოსა და ემერსონის ფოტოები კლუბის შემარცხვენელთა დაფაზე გამოაკრეს.

**— გლაზგოში პოპულარობით თუ სარგებლობთ გულშემატკივრებში — მაგალითად, ახალგაზრდა გოგონებში?**

— რა თქმა უნდა, თაყვანისმცემლები მყავს, რომლებიც წერილებსაც მწერენ და ტელეფონითაც მირეკავენ. დღესასწაულებზე ისინი მასაჩუქრებენ კიდეც. ასეთი ყურადღება ძალიან მსიამოვნებს. წერილებს, რომელთაც განსხვავებული შინაარსი აქვს, ვცდილობ, შეძლებისდაგვარად პასუხი გავცე. ზოგი მატყობინებს, რომ ჩემთან საუბარი სურს, ზოგს კი ავტოგრაფი და ფოტოსურათი უნდა. ყოფილა შემთხვევა, როცა სიყვარულიც აუხსნიათ, მაგრამ ასეთ წერილებს უფრო ვინახავ, ვიდრე ვპასუხობ.

**— თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?**

— გლაზგო ღამის კლუბებით მთელ ევროპაშია ცნობილი. ახალგაზრდა ფეხბურთელთათვის, რომელთაც ცოლები არ ჰყავთ, გასართობად ზედგამოჭრილი ადგილია. თუ თავად არ გსურს მოიწყინო, გლაზგოში ნამდვილად ვერ მოიწყენ. მეც



ირლანდია-საქართველო: ხიზანიშვილისა და რობი კინის ორთაბრძოლა

ძალიან მიყვარს კლუბებსა და დისკოთეკებზე სიარული. თან, როგორც ყველა ახალგაზრდას, მსურს, ცხოვრებისგან სიამოვნება მივიღო.

— **ღამეული გართობისას რაიმე უჩვეულო თუ გადაგხდენიათ?**

— „დანდიში“ როდესაც ვთამაშობდი, შოტლანდიაში ჩემი ძმა იყო ჩამოსული. ხოლო ნემსაძესთან — მისი ოჯახის წევრები და ცნობილი პაროდისტი ბესო ბერულაშვილი სტუმრობდნენ. შაბათ-კვირას გასართობად ჩვეულებისამებრ, დისკოთეკაზე დავდიოდით. ერთ-ერთ ღამის კლუბში ყოფნისას, მოგვიახლოვდა გოგონა, რომელმაც ტანგა გაიხადა, მაგიდაზე დაგვიდო და გაგვეცალა. ჩემთვის და ნემსაძისთვის ამაში უჩვეულო არაფერი იყო, რადგან ადრეც გვქონია მსგავსი შემთხვევები. ამის გამო, მომხდარზე რეაგირება არ მოგვიხდენია. მაგრამ ბესო ლამის გაგიჟდა და გვეუბნებოდა — ეს რაღაცის ნიშანიაო.

— **რომელი ფირმის ავტომობილი მოგწონთ და შოტლანდიაში რით გადაადგილდებით?**



რუსეთი-საქართველო

— დღესდღეობით, იმის შესაძლებლობა მაქვს, რომ სურვილები ავისრულო და თუ რომელიმე ავტომობილი ძალიან მომეწონა, შევიძინო. გლაზგოში „ბეემვეს“ მარკის ჯიპით — X5-ით დავდივარ, რაც სავსებით მაკმაყოფილებს.

— **„სელტიკისა“ და „რეინჯერსის“ ფანების დაპირისპირება საყოველთაოდ ცნობილია. სელტიკელთა ქომაგები „რეინჯერსის“ მოთამაშეებს როგორ ეპყრობიან?**

— თუ ტრავმირებული ვარ და „რეინჯერსი“—„სელტიკის“ მატჩში არ ვმონაწილეობ, გამორიცხულია, სტადიონზე წავიდე. „რეინჯერსის“ სხვა ფეხბურთელებიც ასევე იქცევიან, რადგან ძალიან არასასიამოვნოა, როდესაც „სელტიკის“ გულშემატკივრებს შეხვდები, რომლებიც სიტყვიერ შეურაცხყოფას მოგაყენებენ და არც იმას მოერიდებიან, რომ ავტომობილი დაგიზიანონ. ასეთი შემთხვევა ბევრჯერ ყოფილა. თუმცა, იმასაც გეტყვით, რომ თავად ფეხბურთელს ხელით არავინ შეეხება.

— **ბოლონიაში მკურნალობისას რობერტო ბაჯოს საკმაოდ დაუახლოვდით. იტალიური ფეხბურთის ვარსკვლავმა რა შთაბეჭდილება დატოვა?**

— ბაჯო მკურნალობის კურსს იმ კლინიკაში გადიოდა, სადაც მე და ნემსაძე ვიმყოფებოდით. ჩვენი გაცნობაც სწორედ იქ მოხდა. იმაზე საუბარს არ დავიწყებ, თუ რობერტო ბაჯო რა დონის ფეხბურთელი გახლდათ. ეს ფაქტი საყოველთაოდაა ცნობილი. უბრალოდ გეტყვით, რომ რამდენადაც დიდი მოთამაშეა, იმდენად თავმდაბალი ადამიანი: ზოგიერთს მისი თავმდაბლობა შეიძლება, არანორმალურადაც მოეჩვენოს, რადგან მაღალი დონის ვარსკვლავებს, კარგად იცით, საკმაოდ ჭირვეული ხასიათი აქვთ. კლინიკაში ჩვენთან ერთად ასევე მკურნალობდა ცნობილი იტალიელი მომღერალი ეროს რამაზოტი. ერთხელ, მე, ნემსაძე, ბაჯო, რამაზოტი და კიდევ რამდენიმე კაცი რესტორანში ვსადილობდით. ბოლოს, როდესაც ოფიციანტმა ანგარიში მოგვიტანა, მე და ნემსაძემ შევთავაზეთ, რომ ფული ქართული წესით გადაგვეხადა — ანუ მთელი თანხა ერთ ადამიანს დაეფარა. არადა, სუფრასთან 9 კაცი ვისხედით და გადასახდელი 700-800 ევრო იყო. ყველამ საკუთარი საკრედიტო ბარათი ამოვიღეთ, ღრმა თეფშზე დავყარეთ და ერთმანეთში ავურიეთ. პირველად ვის ბარათსაც ამოვიღებდით, ფულიც იმას უნდა გადაეხადა. საბოლოოდ, რესტორნის ხარჯის გასტუმრება რამაზოტის ხვდა წილად, რომელიც ამბობდა: ეს რა მიქენით? ამ თანხით საჭმელს ერთი კვირის განმავლობაში შევჭამდიო!..

— **როგორც ვიცი, იტალიაში ყოფნისას, ერთი გოგოც გახლდათ თან...**

— ის ინგლისელი იყო, გლაზგოში გავიცანი და ბოლონიაში წამყვა. ჩემ მიმართ მზრუნველობას იჩენდა. ფეხზე ოპერაცია რომ გავიკეთე, მან ძალიან განიცადა. კლინიკაში ყოფნისას, ჩემთვის ყურადღება არ მოუკლია. ერთმანეთს ცოტა ხნის განმავლობაში ვხვდებოდით, მაგრამ ურთიერთობას სერიოზული სახე არ მისცემია.

— **უახლოეს მომავალში, დაქორწინებას ხომ არ აპირებთ?**

— ჯერჯერობით არა. ყველაფერს ცხოვრება გვიჩვენებს. საერთოდ, ამ თემაზე წინასწარ ლაპარაკი არ მიყვარს.

— **საკლუბო ან სანაკრებო დონეზე ასპარეზობისას, მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელთან სერიოზული კონფლიქტი თუ მოგსვლიათ?**

— საერთოდ, მოთმინების უნარი მაქვს. ყოველთვის ვცდილობ, მოწინააღმდეგის უხეშობას, აშკარა უხეშობით არ ვუპასუხო, რადგან საკუთარ კარიერასა და გუნდს ვუფრთხილდები. მინდორზე გასვლის წინ, მეტოქისთვის ტრავმის მიყენება არასოდეს დამისახავს მიზნად.

— **შოტლანდიის ჩემპიონატში ყველაზე მეტად რომელი თავდამსხმელის წინააღმდეგ გიჭირთ თამაში?**

— არ მიყვარს „სელტიკის“ ფეხბურთელი ნაიალ ლენონი, რომელიც ბინძური მოთამაშეა და შეუძლია, ისე იუხეშოს, რომ სერიოზული ტრავმაც მოგაყენოს. თამაში ჰართსონთან მიჭირს, რადგან ის ფიზიკურად ძალიან ძლიერია, მაგრამ უხეში ნამდვილად არ არის. შეიძლება, ერთი შეხედვით არ ჩანდეს, მაგრამ ჰართსონი მოედანზე ნამდვილი ვაჟკაცია.

— **რას იტყვით „რეინჯერსი“-„სელტიკის“ მატჩის პერიპეტიებზე, როგორც მოედანზე, ასევე მის გარეთ?**

— შოტლანდიის ჩემპიონატში უკანასკნელი შეხვედრა „სელტიკთან“ საკუთარ მოედანზე ჩავატარეთ და გავიმარჯვეთ. მაგრამ სამწუხაროდ, არც მე და არც შოთა (არველაძე), გარკვეულ მიზეზთა გამო, იმ მატჩში მინდორზე არ გამოვსულვართ. თამაშის შემდეგ, სტადიონის გარშემო თუ რაიმე მაღაზია ან ავტომანქანა იდგა, ორივე გუნდის გულშემატკივრებმა ყველაფერი დაამტვრიეს: ტელევიზიით ამ თემაზე გადაცემები რამდენიმე დღის განმავლობაში გაგრძელდა. ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ დროა, „რეინჯერსისა“ და „სელტიკის“ ამგვარ დაპირისპირებას წერტილი დაესვას. მაგრამ ლაპარაკი ლაპარაკად რჩება, რადგან კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის ასეთი ურთიერთობები საუკუნეებია გრძელდება. სხვათა შორის, სტადიონზე ამ ორი გუნდის ქომაგები ჩხუბს იშვიათად ახერხებენ, რადგან მათ ამის საშუალებას პოლიცია არ აძლევთ... ■



„რეინჯერსი“-„მანჩესტერი“: ხიზანიშვილი გიგზის წინააღმდეგ



## მიხეილ იაშვილი

**(დასაწყისი „გზა“ №14-15)**

**ჟურნალისტი ზურა მჭედლიძე მოულოდნელად საპატიმროში აღმოჩნდება: პოლიციელები მის მანქანაში ჩადებულ „მაკაროვის“ პისტოლეტს იპოვიან და დააკავებენ. უსამართლობით აღშფოთებულს, წინასწარი დაკავების საკანში ზედამხედველებთან ჩხუბიც მოუვა და სასამართლოც აღმკვეთ ღონისძიებად სამთვიან წინასწარ პატიმრობას შეუფარდებს. ციხეში გადაყვანილი ზურა, შეყვარებულისგან ბარათს მიიღებს: ეკა აიმედებს — რედაქტორმა გამოცდილი ადვოკატი დაგიქირავა, ხოლო ჩვენი მეგობარი, ცოტა ხნის წინ იუსტიციის მინისტრის მოადგილედ დანიშნული ოთარ ცაგარეიშვილი 2 დღეში დაბრუნდება ამერიკიდან და ამ საშინელ გაუგებრობასაც დაესმება წერტილიო. საკანში ზურა გაიცნობს ე.წ. მაყურებელს — ვაჟას, მეტსახელად ჟანგიანას და ორ საბურთალოელ „კაი ბიჭს“ — ზაზა ურუშაძესა და იასე არაბულს, რომლებიც არიგებენ, თუ როგორ უნდა მოიქცეს, რომ ციხის დაუნდობელ სამყაროში ხიფათს არ გადაეყაროს. მიუხედავად ამისა, ზურას მეორე დღესვე მოუვა ჩხუბი ორ ახალმოყვანილ პატიმართან, რომლებიც საკანში შესვლისთანავე ყველას დამორჩილებას ცდილობენ. ზაზა ურუშაძე მთელ ღამეს თავდასხმის მოლოდინში გაატარებს. მეორე დილით, მასთან ოთარ ცაგარეიშვილი მივა, რომელიც იმედს გაუცრუებს: პატიმრობიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლების ნაცვლად, მხოლოდ ციხის საავადმყოფოში მის გადაყვანას მოახერხებს. „რეზბალნიცაზე“ ზურას, ლეგენდად ქცეულ კანონიერ ქურდთან, გოგი ჩხეიძესთან ერთად მოათავსებენ პალატაში...**

რედაქციის მიერ დაქირავებული ადვოკატი, შალვა საყვარელიძე, 50-55 წლის, აკურატულად ჩაცმული, სიმპათიური მამაკაცი აღმოჩნდა. იმთავითვე განმიცხადა, შენს უდანაშაულობაში დარწმუნებული ვარ და თუ მხარში ამომიდგები, საქმეს უეჭველად მოვიგებთო.

— ბატონო შალვა, მერწმუნეთ, ამ ამბიდან თავის დაღწევა ყველაზე მეტად მე მსურს. მითხარით, როგორ მოვიქცე და ყველაფრისთვის მზად ვარ.

— შენგან სრულ სიმართლეს ვითხოვ და კიდევ — ჩემი რჩევები, მცდარადაც რომ მიიჩნიო, მაინც უნდა გაითვალისწინო.

— იოლი სამსახურია.

— აი, აქ შენი მანქანიდან იარაღის ამოღების აქტისა და ხუთივე მოწმის ჩვენებათა ქსეროასლებია. ყურადღებით გაეცანი და მითხარი, შენიშვნები თუ გექნება.

ბატიფეხურით აჭრელებულია ექვსი თაბახის ფურცელი. სწორედ ამ ნაჯღაბნის წყალობით ვიყავი აქ. ტვინში სისხლი მომაწვა და ამ ბინძური ქაღალდების დაფხრეწის დაუოკებელმა სურვილმა შემიპყრო, მაგრამ როგორღაც ვძლიე თავს და კითხვას შევუდექი.

— რაც აქ წერია, სიმართლეა, — ავწიე თავი.

— ანუ იარაღი იყო მანქანაში?

— დიახ, თუმცა, ვერაფრით მივმხვდარვარ, საიდან მოხვდა იქ.

— ზურა, მოდი, დაწვრილებით მიამბე, რაც იმ დილით მოხდა.

გონება დავძაბე და ვექილს ყოველივე დეტალურად მოვუყევი.

— როგორ ფიქრობ, შეეძლოთ ჩხრეკისას ჩაედოთ მანქანაში?

— თუ იმ პოლიციელთაგან რომელიმე გუდინი ან კოპერფილდი იყო, არ ვიცი, მაგრამ დარწმუნებული ვარ — ბენზინგასამართ სადგურზე რომ მივედი, „მაკაროვი“ ავტომობილში უკვე იდო.

— შენ ამბობ, საბუთები შეამოწმეს, თან ვსაუბრობდითო. ეგებ სწორედ მაშინ იხელთა დრო ერთ-ერთმა და პისტოლეტი სავარძლის ჯიბეში ჩააცურა? ანუ ამ შემთხვევაში მაინტერესებს, თავად პოლიციის მოწყობილია თუ არა ეს სპექტაკლი. გამომძიებელმა მითხრა, იმ დილით სამმართველოს სამორიგეოში ანონიმური სატელეფონო შეტყობინება მიუღიათ. უცნობ კაცს შენი ბინის მისამართი და ავტომანქანის ნომერი დაუსახელებია და თან დაუმატებია, იმ „ნივაში“ იარაღი ინახებაო. რეაგირების ჯგუფი დასახელებულ მისამართზე გამოსულა. სახლს რომ მიუახლოვდნენ, შენ მანქანაში ჯდებოდი. იქ ჩხრეკის ჩატარებას მორიდებიან, რადგან ხალხმრავლობა ყოფილა და სანაპირომდე გამოგყოლიან. ეს, როგორც გითხარი, გამომძიებლის სიტყვებია, თუმცა ის, შესაძლოა, ტყუოდეს კიდეც. ჩვენი სამართალდამცავების მიერ იარაღისა და ნარკოტიკების ჩაგდების ფაქტთან არაერთხელ მქონია საქმე. ასეთ ხერხს იმ შემთხვევაში მიმართავენ, როცა ადამიანს დანაშაულს ვერ უმტკიცებენ ან, რაღაც მიზეზთა გამო, მისი იზოლირება სურთ.

— მეც ხშირად გამიგია მსგავსი ამბები, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, საკუთარ ტყავზე თუ გამოვცდიდი... კარგად მახსოვს, მანქანის ორივე კარი მიხურული იყო, მინები აწეული. ოთხივე ოპერი წინ მედგა და რაიმე მანიპულაციის საშუალება არ ჰქონდათ. გარდა ამისა, ჩხრეკას რამდენიმე შემთხვევითი გამვლელი ესწრებოდა და ისინი მაინც ხომ შენიშნავდნენ პოლიციელთა მაიმუნობას?

— და შენ ფიქრობ, ასეთ შემთხვევაში ერთ ამბავს ატეხდნენ? — გაეცინა ადვოკატს. — იქნებ ის შემთხვევითი გამვლელები პოლიციის ხალხი იყო? სასურველ ჩვენებაზე ხელის მოწერას ბენზინგასამართის თანამშრომლებსაც იოლად აიძულებდნენ — ჩვენს დროში არავის სურს პოლიციასთან დაპირისპირება.

— სამწუხაროდ, მართალი ბრძანდებით.

— ზურა, მოდი, ახლა მთავარზე გადავიდეთ. შენ თვითონ რას ფიქრობ ყოველივე ამის თაობაზე?

— არც კი ვიცი, რა ვიფიქრო. ახსნა ვერ მომიძებნია.

— მტრები თუ გყავს? არსებობენ ისეთი ადამიანები, ციხეში შენი გამომწყვდევა რომ აძლევდეთ ხელს?

— მეეჭვება. სერიოზული კონფლიქტი თითქოს არავისთან მქონია.

— და მაინც, კარგად დაფიქრდი.

შენთვისაც ხომ ცხადია, რომ ვიღაც გებრძვის.

— არა, არა... ისეთი არაფერი გამიკეთებია, ვინმეს რომ ასე გავეწირე.

— შენ ხომ ჟურნალისტი ხარ. ალბათ, ხშირად აქვეყნებ მწვავე პუბლიკაციებს, რაც ბევრის უკმაყოფილებას იწვევს.

— ამის თაობაზე მეც ვიფიქრე, მაგრამ ხელმოსაჭიდი ვერაფერი გავიხსენე. ბოლო დროს მქონდა კორუფციის ამსახველი თემები, მაგრამ იცით, რას ვფიქრობ? მასალები უკვე გამოქვეყნდა და რაღა აზრი ჰქონდა ჩემს დაპატიმრებას? ნუთუ ეს მხოლოდ შურისძიებაა?

— ნაკლებად სავარაუდოა, მაგრამ მაინც საინტერესოა, ვისზე წერდი უკანასკნელი თვეების მანძილზე?

რამდენიმე ჩინოსნის გვარი დავუსახელე. ვექილმა, უარყოფის ნიშნად, თავი გაიქნია:

— მეეჭვება, მათ ეს რომ ჩაედინათ... ეგებ რამე პირადულია? ვთქვათ, სადავო ბინა, ქონება, ფული, მანდილოსანი...

— მსგავსი არაფერია. მშობლების მიერ დატოვებულ ერთოთახიან „ხრუშჩოვკას“ არავინ მედავება, ფული და ქონება არ გამაჩნია... საცოლეს რაც შეეხება, ამ მხრივ კონკურენტები ძალიან დიდი ხნის წინ ჩამოვიცილე.

შალვა საყვარელიძემ მაგიდიდან ფურცლები წამოკრიბა და პორტფელში ჩააწყო:

— ასე შევთანხმდეთ, იფიქრე ამ იდუმალი მოწინააღმდეგის თაობაზე, მე ამასობაში რაღაც ცნობებს შევკრებ და საუბარი ხვალ განვაგრძოთ.

ბადრაგმა პალატაში დამაბრუნა. მეორე შეხვედრისას ადვოკატმა გამაოგნებელი ამბავი მაცნობა:

— „მაკაროვს“ ბალისტიკური ექსპერტიზა ჩაუტარეს და აღმოჩნდა, რომ ამ იარაღით შარშან ორი პოლიციელი მოუკლავთ...

გულმა რეჩხი მიყო...

— არა, რაღაც გეშლებათ! — შევყვირე თავზარდაცემულმა.

— ზურა, პირდაპირ გეტყვი — ისედაც რთული მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდა. უბინძურეს თამაშთან გვაქვს საქმე და მოწინააღმდეგე, რომელსაც ძალიან სურს შენი იზოლირება, უაღრესად საშიშია. ის ან თავად არის პოლიციელთა მკვლელი, ან რაღაც კავშირშია იმ მკვლელობასთან. მოქმედებს საგულდაგულოდ შედგენილი გეგმის მიხედვით და თუ დასჭირდა, უფრო შორსაც წავა... თავს ხელში თუ არ აიყვან, არაფერი გამოგვივა.

თავი ჯოჯოხეთურ სიზმარში მგონია. ვიგრძენი, როგორ მომაწვა საფეთქლებზე სისხლი. საცაა თავი გამისკდება...



„ნუთუ ჩემ გარშემო ხდება ეს?! იარაღი, მოკლული პოლიციელები! რა სისულელეა!“ ადვოკატმა მხარში ჩამავლო ხელი და მაგრად შემანჯღრია.

— ზურა, ფერი არ გადევს. გამოვძვრებით, ბიჭო ამ ამბიდან. კაცურად უნდა იდგე... გესმის ჩემი?

— დიახ, ბატონო შალვა, — გონება თანდათან მიბრუნდებოდა. — უკეთ ვარ უკვე.

— წყალი ხომ არ მოვატანინო?

— არა, გმადლობთ.

— გინდა, ცოტა ხნით შეისვენო და მერე განვაგრძოთ საუბარი?

— არა. ფორმაში ვარ, — ვცადე, ყოჩაღად მეთქვა.

— ზურა, პირველ რიგში, შენს ალიბიზე უნდა ვიმსჯელოთ. იმ პოლიციელთა გვამები გასული წლის 12 ივნისს თბილისის ზღვაზე იპოვეს. რამდენიმე დღის მოკლულები იყვნენ. გაიხსენე, რას აკეთებდი იმ დღეებში? ეგებ, დასასვენებლად იყავი სადმე წასული?

— შარშან მთელი ზაფხული თბილისში გავატარე... კი ნამდვილად ასეა. ფეხი არსად გამიდგამს, ქალაქში მასალებზე დავრბოდი... ეგ შემთხვევა მახსოვს. ემვედეში ამის თაობაზე ბრიფინგი გამართეს და მცირე ინფორმაცია მეც გამოვაქვეყნე.

— ხომ არ იცნობდი იმ პოლიციელებს?

— არა... ნამდვილად არა.

— წარმომიდგენია, რა დღეში იქნები, მაგრამ როგორმე ძალა უნდა მოიკრიბო და გონება დაძაბო. შენ უნდა იცოდე, ვინ არის ის!

— უხ, მაგის... — სიმწრისგან მამაპაპურად შევიგინე. — სასტიკი ადამიანი არ ვარ, მაგრამ დიდი სიამოვნებით ავკუწავდი საკუთარი ხელით...

— დამშვიდდი, ახლა მხოლოდ ცივი გონების მოკრება გმართებს. მთელი ღამე შენს რედაქციაში გავატარე, გაზეთის ძველ ნომრებს ვათვალიერებდი და რამდენიმე საყურადღებო სტატიაც აღმოვაჩინე. გუშინ შენ მათზე არაფერი გითქვამს. ალბათ, არც კი გახსოვდა. — საყვარელიძემ საქაღალდიდან გაზეთები ამოალაგა. — აი, აქ კონტრაბანდაზეა ლაპარაკი; შემდეგ — გორგასლის ქუჩაზე მომხდარი სისხლიანი ინციდენტი; ყაჩაღობა ვაკეში; ფრანგი ბიზნესმენის გატაცება; კორუფციის ფაქტები საბაჟოზე და პურკომბინატებში განხორციელებული აფერები. თითოეულ მასალაში კონკრეტულ ჩინოვნიკებს ასახელებ და მათგან, პრინციპში, ყველას შეეძლო შენთვის ანგარიშის ამგვარად გასწორება. მართალია, გუშინ თქვი, მასალები გამოქვეყნებულია და რაღა აზრი აქვს ციხეში ჩემს გამომწყვდევასო, მაგრამ, იქნებ, რომელიმე თემის გაგრძელებას გეგმავდი და ეს ვიღაცისთვის გახდა ცნობილი? მოდი, ასეთი პირობიდან გამოვიდეთ — ვიღაცას შენი მოკვლა შეეძლო, მაგრამ დაპატიმრება არჩია. რატომ? ალბათ, იმიტომ, რომ შენგან რაღაცას ელის. დავუშვათ ინფორმაციას...

— თქვენ ფრანგი ბერტრან ლერუს გატაცება ახსენეთ. — ჩემდა გასაკვირად, საკმაოდ მალე დავმშვიდდი და ტვინიც უკეთ ამიმუშავდა. — წუხელ სულ ეს ამბავი მიტრიალებდა თავში...

— გთხოვ, დაწვრილებით მიამბო. ეგებ სწორედ მანდაა ძაღლის თავი დამარხული.

— თავის დროზე ამ მასალამ ძალიან გამაწვალა, პუბლიკაციის მომზადებას კარგა ხანს მოვუნდი. უამრავ ადამიანს ვესაუბრე, დავათვალიერე შემთხვევის ადგილი — ბარათაშვილის ხიდის მიმდებარე ტერიტორია, ბოლოს კი პანკისის ხეობას მივაშურე (ხომ გახსოვთ, ლერუს კვალი სწორედ იქ იკარგებოდა), თუმცა, სამწუხაროდ, საინტერესო ინფორმაცია ვერაფრით მოვაგროვე და პუბლიკაციაც წყალწყალა გამომივიდა. სხვა ჟურნალისტებს უფრო გაუმართლათ და გაცილებით ხარისხიანი სტატიები მოამზადეს.

— არ გეწყინოს, მაგრამ გეთანხმები, — ჩამირთო ვექილმა, — თუმცა ეს გაზეთი მაინც წამოვიღე. თემაშია დიდი ინტრიგა და იქნებ მასალაში რაიმე განსაკუთრებული დეტალი ვიპოვოთ-მეთქი.

— თავად სტატიაში, ვფიქრობ, ასეთი

დეტალი არ არის, მაგრამ ერთი ეპიზოდი მახსენდება, პანკისში ყოფნისას რომ გადამხდა. ვეცდები, ყველაფერი ზედმიწევნით დაწვრილებით გიამბოთ. ჯარის მეგობარი მყავს — მუსა ტლეკიმპაშევი. ჩეჩენია, გროზნოდან. 12 წლის წინ მოსკოვის ოლქში ერთად ვმსახურობდით. ნაწილში მხოლოდ ორი კავკასიელი ვიყავით და ბუნებრივია, ამან ძალიან დაგვაახლოვა. ჯარის შემდეგ, ერთმანეთს დროდადრო ტელეფონით ვუკავშირდებოდით ხოლმე. ერთხელ სტუმრადაც მყავდა თბილისში. ჩეჩნეთის პირველი ომის დროს მუსა დამეკარგა, მის ნომერზე არავინ მპასუხობდა და აღარც მას დაურეკავს. ვაჟკაცი ბიჭია, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული. დარწმუნებული ვიყავი, რომ რუსების წინააღმდეგ იბრძოდა და ჩემთვის აღარ ეცალა. წლები გადიოდა, მუსა არ ჩანდა და ძალიან ვწუხდი, ხომ არ დაიღუპა-მეთქი, მაგრამ ასე, ერთი წლის წინ მოულოდნელად დამირეკა. გავგიჟდი სიხარულისგან. არ გეწყინოს, რომ არ გეხმიანებოდიო, — მომიბოდიშა, — ფედერალებს ვეომებით, რამდენიმე წელია ტყეში ვცხოვრობ და შენთან დაკავშირების საშუალება არ გამაჩნდაო. მითხრა ისიც, რომ მძიმედ ყოფილა დაჭრილი და ინგუშეთში მკურნალობდა. სწორედ იქიდან გირეკავ და შენთან ერთი თხოვნა მაქვსო. — თურმე აქვე, დუისში ჰყოლია დედა და ათი წლის ვაჟი. ოჯახის სხვა წევრები რუს სამხედროებს დაუხოცავთ. — დიდი ხანია, მათ შესახებ არაფერი ვიცი, ეგებ, ინახულო, რამდენიმე დღეში კი კვლავ შეგეხმიანებიო.

მეორე დღესვე წაველი, იოლად ვიპოვე მისი ოჯახი — ადგილობრივი ქისტები დამეხმარნენ. მეგობრის დედა, როგორც შემეძლო, დავამშვიდე, მუსა კარგად არის-მეთქი, ბავშვს ცოტა ფული და ტკბილეული დავუტოვე. მას შემდეგ პანკისის ხეობაში კიდევ ხუთჯერ ვიყავი. ახმეტამდე ავტობუსით ჩავდიოდი, მერე კერძო მანქანას ვქირაობდი. მუსაც ხშირად მირეკავდა და თავისიანების ამბებს ამგვარად იგებდა. ბოლოს იქ სამი თვის წინ, მაისში, ფრანგის გატაცებასთან დაკავშირებით მომიწია ყოფნამ და ცხადია, მეგობრის ოჯახიც მოვინახულე.

მუსას დედამ მითხრა, შენთვის სიურპრიზი მაქვსო და საკმაოდ შელახული სახლის მეორე სართულზე ამიყვანა. წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება და სიხარული, როცა იქ წვერმოშვებული მუსა ტლეკიმპაშევი დამხვდა. ფიზიკურად უწინაც ძალზე ძლიერი გახლდათ, სამხედრო ნაწილში დილიდან საღამომდე ტურნიკზე ვარჯიშობდა, ახლა კი მთლად შვარცენეგერს დამსგავსებოდა... ოღონდ ერთიანად ჭაღარას.

რამდენიმე საათი ვსაუბრობდით, ძირითადად, ის მიყვებოდა რუსი სამხედროების მხეცობათა შესახებ. ბოლოს კი რაღაც უცნაურად შემომხედა და მეკითხება:

— რომ მითხარი, გატაცებული ფრანგის შესახებ ვაპირებ სტატიის დაწერასო, რატომ გაინტერესებს ეგ თემა?

— რას ჰქვია, რატომ? ჟურნალისტი ვარ და ამიტომაც მაინტერესებს, — მივუგე, ცოტა არ იყოს, გაკვირვებულმა.

— შენ, რა თქმა უნდა, ფიქრობ, რომ ის კაციც ჩეჩნებმა წაიყვანეს, არა?

— რა ვიცი, — მხრები ავიჩეჩე, — ასე ამბობენ. თან ბოლო ხანს თითქმის ყველა გატაცებული ადამიანის ბედი პანკისის ხეობას უკავშირდება. რატომ მეკითხები, იცი მასზე რამე?

— დასაწერად არ გეუბნები, მაგრამ რაღაც-რაღაცებს მართლაც მოვკარი ყური, ეგ საქმე არც ჩეჩნების გაკეთებულია და არც ქისტების. ამბობენ, ერთი ძალიან დიდი შიშკააო, თბილისელი... იცი რა? — მუსა მოულოდნელად შეჩერდა. — მოდი, ნუ მთხოვ, რომ შარში გაგხვიო. რად გინდა ცეცხლთან თამაში? წერე სპორტზე, თეატრზე და სახიფათო თემებს შეეშვი. ჯერ ხომ გვარის გამგრძელებელიც არ გყავს...

— მუსა, მეგონა, უკეთ მიცნობდი, — ვიწყინე. — ვისი ან რისი უნდა მეშინოდეს?! თუ რამის თქმა გსურს, პირდაპირ მითხარი, თუ არა და საუბრის თემა შევცვალოთ.

— ეე... ნუ მიბრაზდები, — მეგობრულად მიჯიკა. — ჩემი ძმა ხარ და ჩვენზე იმხელა ამაგი გაქვს გაწეული, რომ, ალბათ, ვერასოდეს გადაგიხდი სამაგიეროს. როგორც ღვიძლ ძმას, ისე გთხოვ, ხიფათში ნუ გაეხვევი-მეთქი, თუმცა Волка бояться, в лес не ходить... რაც იმ შიშკაზე გითხარი, ნაღდია, მაგრამ ჯერჯერობით ბევრი არაფერი ვიცი, ახალი ჩამოსული ვარ. რამდენიმე დღეში ერთ კაცს უნდა შევხვდე, დანარჩენს მისგან შევიტყობ, ბატონო ჟურნალისტო და ვფიქრობ, სულ მალე, სენსაციურ ინფორმაციას მოგაწვდი.

— ამით თავად ხომ არ გაეხვევი შარში?

მუსამ გულიანად გადაიხარხარა:

— იცი, ამ უკანასკნელი წლების მანძილზე რა შარებში ვიყავი? ჩემს რაზმზე ფედერალების მთელი დივიზიები ნადირობდნენ. ეს საქმე იმათთან შედარებით ბავშვური თამაშია. ისე, სიმართლე გითხრა, გარდა იმისა, რომ შენ გაგიწევ სამსახურს, ამ ამბის გახმაურებით სხვა მხრივაც ვარ დაინტერესებული, ჯერ იყო და, აფხაზების მხარეზე მებრძოლი იმ ნაძირალების, ახლა კი ამ თბილისელი ბობოლას გამო მთელმა საქართველომ შეგვიძულა. არადა, რაც ქართველს სიკეთე გაუკეთებია ჩეჩნისთვის... ბობოლა ეშმაკია და განგებ აკეთებს ისე, თითქოს გატაცებული ხალხი პანკისშია ჩამოყვანილი. რამდენიმე მართლაც ჩვენებს წამოუყვანიათ და ძალიანაც მიუქარავთ! მაგრამ უმრავლესობასთან ჩეჩნებსა და ქისტებს არავითარი კავშირი არ გააჩნიათ. შიშკას ხალხი, თავისიანები ბევრ სტრუქტურაში ჰყოლია, კვალის ასარევად დეზინფორმაციას ავრცელებს, — ადამიანებს ისევ ის ბანდიტი ჩეჩნები იტაცებენ და პანკისის ხეობაში მიჰყავთო, არადა 9 თუ 10 კაცის მოპარვა სწორედ მათ ანგარიშზეა. აქედან ექვსი მძევალი ახლობლებს გამოუსყიდავთ, დანარჩენები კი, კვლავ ბობოლას ბიჭების ტყვეობაში იმყოფებიან. ამბობენ, აქვე ახლოს, თიანეთის რაიონში ჰყავს დამალულიო. ის ფრანგიც იქ უნდა იყოს. ყოველივე ამის თაობაზე ჯერ ნურაფერს დაწერ, თორემ ინფორმაციის მოპოვება გამიჭირდება. ცოტა ხანს მაცალე, ვითარებაში უკეთ გავერკვევი და შესაძლოა, ისეთი ამბები მოგითხრო, თმა ყალყზე დაგიდგეს. სტატიას რომ გამოაქვეყნებ, თბილისში, ალბათ, ძალიან დიდი ხმაური ატყდება და ურიგო არ იქნება, თუ ცოტა ხნით სადმე გაუჩინარდები.

— კი მაგრამ, თუ ამ გატაცებებში აქაურების ხელი არ ურევია, საიდან იცი ამდენი რამ?

— ჩვენს ხალხს სმენა და მხედველობა გამძაფრებული აქვს... მძევლები პანკისის ხეობის გავლით, ტყე-ტყე გადაჰყავთ თიანეთში. ძალზე გრძელ და რთულ გზას გადიან, მაგრამ თქვენს ძალოვნებს ასე კვალსაც მშვენივრად ურევენ. მაგალითად, ფრანგის ავტომობილიც ხომ დუისთან აღმოაჩინეს.

— იმ ბობოლას ვინაობა მართლა არ იცი?

— გეფიცები, ზურაბ, არ ვიცი.

— გასაოცარი რამ მიამბე...

შევთანხმდით, რომ მომავალ კვირას კვლავ ვესტუმრებოდი, შემდეგ დავემშვიდობე და თბილისისკენ გამოვწიე. დათქმულ დროს დუისში ჩემი „ნივით“ ჩავედი, მაგრამ მეგობრის ოჯახი შინ აღარ დამხვდა. მეზობლებმა მითხრეს, ტლეკიმპაშევები ნათესავებთან, დაღესტანში გადავიდნენ საცხოვრებლად და აღარ დაბრუნდებიანო. ამაოდ ვეცადე მათგან კიდევ რამე შემეტყო. ადგილობრივები უნდობლად მიყურებდნენ და არც მუსას ოჯახის მოულოდნელი გადასახლების მიზეზი და არც მათი ახალი მისამართი მითხრეს. მას შემდეგ მუსას შესახებ არაფერი გამიგია. აი, ფაქტობრივად, სულ ეს იყო, თუმცა არც კი ვიცი, არის თუ

არა რაიმე კავშირი ჩემს აქ ყოფნასა და პანკისში ვიზიტებს შორის.

სანამ ამ ამბებს ვყვებოდი, შალვა საყვარელიძე თავის უბის წიგნაკში გამუდმებით ინიშნავდა რაღაცას. რომ დავასრულე, მდაა... ხედავ, შენო! — მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა, შემდეგ წამოდგა და ოთახში წინ და უკან სიარულს მოჰყვა. უცებ თავში რაღაც აზრმა გაიელვა:

— ერთი შემთხვევაც გამახსენდა. ჩემი დაკავების წინადღეს, რედაქციიდან შინ რომ დავბრუნდი, კარის მეზობელი შემომეგება: „შენს არყოფნაში ვიღაც ქერა ყმაწვილმა მოგაკითხა. ქართველს არ ჰგავდა. რუსულად მკითხა, ხომ არ იცით, ზურაბი როდის იქნებაო? გვიან ბრუნდება-მეთქი, — მივუგე. რაღაც უცნაურად წრიალებდა. ეტყობა, მნიშვნელოვანი საქმე ჰქონდა შენთან“. მაშინვე მუსა გამახსენდა. გარეგნულად როგორი იყო-მეთქი? დაახლოებით 20 წლის, ტანდაბალი და გამხდარიო. ჩემი ჯარის მეგობარი კი, როგორც უკვე აღგიწერეთ, ჩემი თანატოლი და ახოვანია. მაშ, ვინ იყო? მსგავსი გარეგნობის რუსულენოვანი ნაცნობი ნამდვილად არ მყავს... ახლა ვფიქრობ, ეგებ, მუსამ გამოგზავნა... თანაც ყველასთვის ზურა ან ზურიკო ვარ, მხოლოდ ტლეკიმპაშევი მეძახდა ზურაბს — მთიელებში სახელის შემოკლება ცუდ ტონად ითვლებაო, ამბობდა. იმ ბიჭსაც ზურაბი უკითხავს...

— მგონი, საქმე დაიძრა, — განმიცხადა ადვოკატმა. — თუ მართლა მიზანში გაარტყი და დავუშვებთ, რომ იმ ქერა ახალგაზრდის საშუალებით მუსას შენთვის მართლაც სენსაციური ცნობის მოწოდება სურდა და ამის შესახებ იმ შიშკასთვის გახდა ცნობილი, ეს უკანასკნელი, ცხადია, შენზე იერიშს მოიტანდა. გავყვეთ ვერსიას. ბობოლა, შესაძლოა, ფიქრობს, რომ შენ მისი მამხილებელი ინფორმაცია გაქვს. რას იზამდა ამ შემთხვევაში?

— თუ მართლაც ასეთი უძლეველი ვინმეა, უთუოდ მომკლავდა.

— მეც ასე ვფიქრობ, თუმცა აქ რამდენიმე დიდი კითხვის ნიშანი გვხვდება. შენი მეგობარი ამ ცნობებს ხომ სხვასაც გაავრცელებინებდა? არ გეწყინოს, მაგრამ დღეს ყოველი ათი კაციდან სამი მაინც ჟურნალისტია. ის ბობოლა, ბოლოს და ბოლოს, რამდენს დააჭერინებს ან მოკლავს?

— ეგებ ამასობაში თავად ტლეკიმპაშევიც მოიცილეს?

— შესაძლოა... საინტერესოა, შენ გარდა თბილისში მას სხვა ნაცნობი თუ ჰყავს?

— როგორც ვიცი, პანკისის გარდა, არსად — არავინ. გარდა ამისა, მუსა ძალზე ფრთხილი ადამიანია. უბრალო ნაცნობს და მით უფრო უცნობ ჟურნალისტს არ ენდობოდა... ბატონო შალვა, წარმოვიდგინოთ, რომ მეგობარი არა ზეპირი ინფორმაციის, არამედ რაღაც დოკუმენტის — ვთქვათ, ფოტოსურათების, ჩანაწერების ამ ვიდეოკასეტის ჩემთვის გადმოცემას აპირებდა. დავუშვათ ისიც, რომ ბობოლა ფიქრობს, თითქოს ეს დოკუმენტაცია ჩემთან ინახება და მის ხელში ჩაგდებას ლამობს...

— სავსებით ლოგიკურია. ზურა, ალბათ, ეს შენთვის გუშინვე უნდა მეთქვა, მაგრამ შემეცოდე... მას შემდეგ, რაც დაგაკავეს, პოლიციამ შენი ბინა საგულდაგულოდ გაჩხრიკა. შესაძლოა, შიშკის დავალებით შენ მიერ ნავარაუდევ ნივთმტკიცებასაც ეძებდნენ. კიდევ კარგი, არ გქონდა...

— თორემ ტყვია — შუბლში, არა?

— ცხადია... თუ, რა თქმა უნდა, ფანტაზიებში ძალიან შორს არ შევტოპეთ.

— ყოველ შემთხვევაში სიმართლესთან ახლოს მაინც უნდა ვიყოთ. პირადად მე, სხვა ვერსია ჯერჯერობით არ გამაჩნია.

— თუ ეს მართლაც ასეა, რატომ არ გთავაზობენ მაშინ გარიგებას? კასეტა თავისუფლების სანაცვლოდ!

— არ ვიცი...

— სხვათა შორის, აგერ უკვე მესამე წელია, ადამიანთა გატაცების არც ერთი საქმე არ გახსნილა. 15-მდე შემთხვევა და არც ერთი დამნაშავე! დიდებული სტატისტიკაა. ამ დანაშაულობათა უკან უთუოდ ვიღაც ძალზე ძლიერი და გავლენიანი კაცი ან ჯგუფი დგას. მუსას თქმისა არ იყოს, ის, ალბათ, მაღალი თანამდებობის პირია, ჰყავს თანამზრახველთა კარგად ორგანიზებული და კონსპირირებული ჯგუფი, რომლის წევრებიც ასევე ჩინოსნები ბრძანდებიან... მაგალითად, პოლიციიდან, უშიშროებიდან, პროკურატურიდან, თავდაცვიდან და ა.შ. ისე, არც პრეზიდენტის გარემოცვა ან პარლამენტი უნდა გამოვრიცხოთ... ამიტომაც ვერ, ან არ იხსნება დანაშაული. საჭირო ხალხის მოქრთამვაც იოლად შეუძლიათ, მათ ხომ უზარმაზარი შემოსავალი აქვთ. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მხოლოდ მეღვინე მეჭურჭლიშვილში გამოსასყიდის სახით ორი მილიონი დოლარი აიღეს... ზურა, რა აზრის ხარ ერთ მცირე, მაგრამ სარისკო ექსპერიმენტის ჩატარებაზე?



— რას გულისხმობთ?

— პრესაში უტკა, დეზინფორმაცია შევაგდოთ, ვითომ ხელთ რაღაც სკანდალური დოკუმენტები ჩაგვივარდა. ამით, იქნებ, ბობოლას კავშირზე გამოსვლა დავაჩქაროთ, შემდეგ კი რამენაირად მახეშიც უნდა გავაბათ...

— თქვენ ფიქრობთ, რომ ეს შედეგს მოიტანს?

საყვარელიძე სკამის ზურგზე გადაწვა, თავი უკან გადასწია და თვალები დახუჭა.

— შეიძლება გაგვიმართლოს, შეიძლება ფუჭი გასროლაც იყოს, — თქვა ბოლოს. — მაგრამ ამ ეტაპზე სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ. იარაღი და პოლიციელთა მკვლელობა სახუმარო საქმე არაა და თუ ეფექტური რამ არ გამოვიგონეთ, პირდაპირ გეტყვი: ძალიან დიდ სროკს მოგისჯიან... ვინ გყავს ყველაზე ახლობელი ადამიანი — თუ დამჭირდა, ვის შეიძლება, მივმართო?

— ეკას... ერთად ვმუშაობთ რედაქციაში.

— ჰო, ვიცი... ჩვენი ვარაუდების თაობაზე არავის ესაუბრო. ციხე ნასედკებითაა სავსე... დღეს ამით დავასრულოთ. რამდენიმე დღეში გინახულებ და იმედი ვიქონიოთ, რომ ამჯერად სასიამოვნო ინფორმაციას მოგაწვდი...

ადვოკატი წამოდგა.

— ბატონო შალვა, ერთი წუთით... რაღაც მინდა გთხოვოთ.

— დიახ, გისმენ.

— თუ თან გაქვთ მობილური ტელეფონი, დამარეკვინეთ ეკასთან...

— მაპატიე, ზურა, ვერაფრით დაგეხმარები. ციხეში რეჟიმი გამკაცრდა. ტელეფონებს შემოსასვლელშივე ატოვებინებენ ყველას. ლითონის საძებნი აპარატით გვამოწმებენ...

არადა, რა იმედი მქონდა, ეკას ხმას მოვისმენდი...

***გაგრძელება შემდეგ ნომერში***



# როი კინი – ანუ უბრალოდ, კინო

მიმდინარე საფეხბურთო სეზონში „მანჩესტერ იუნაიტედს“ ხელი მოეცარა – როგორც ინგლისის ეროვნულ ჩემპიონატში, ასევე ჩემპიონთა ლიგაში. საშინაო ასპარეზზე სერ ალექსის გუნდს ჟოზე მაურინიოს „ჩელსიმ“ გაუწბილა იმედი, ხოლო ევროტურნირზე „წითელი ეშმაკუნების“ წინსვლას „მილანმა“ დაუსვა წერტილი. როგორც ჩანს, ამ გარემოების გამო მეტისმეტადაა გაღიზიანებული „მანჩესტერის“ კაპიტანი, როი კინი, რომელმაც ცოტა ხნის წინ მწვავედ გააკრიტიკა თანაგუნდელები.

ირლანდიელი ნახევარმცველი მიიჩნევს, რომ მისი კოლეგები მოედანზე ყოფნისას სრულიად არ იხარჯებიან. „ჩვენ მიერ მიღწეული შედეგი და სატურნირო ცხრილი არ ტყუის. „მანჩესტერი“ არადამაკმაყოფილებლად მუშაობს. ამ გუნდის თითოეულმა წარმომადგენელმა საკუთარ თავს უნდა დაუსვას შეკითხვა – საკუთარი შესაძლებლობების 100%-ს თუ ხარჯავს კლუბისთვის. არა მგონია, რომ ამ კითხვაზე ყველა ფეხბურთელმა დადებითი პასუხი გასცეს. ეს დანაშაულია. ხალხი ჩვენმა თავის მართლებამ დაღალა“, – აცხადებს კინი, რომელმაც „მანჩესტერის“ ერთ-ერთ ბოლო მატჩს ტელეეკრანზე უყურა და თანაგუნდელების შემხედვარე, ძალიან აღშფოთდა. განსაკუთრებულად მან ის მოთამაშეები გააკრიტიკა, რომლებიც კვირაში 50 ათას გირვანქა სტერლინგს იღებენ: „რამდენჯერ შეიძლება მწვრთნელმა ფეხბურთელს შანსი მისცეს? შეიძლება ცხენი მდინარესთან მიიყვანო, მაგრამ მას წყალს ძალით ხომ ვერ დაალევინებ?! მწვრთნელი მოთამაშეებს ყველაფრით უზრუნველყოფს. ისინი ყველაფერს იღებენ, რაც სურთ, ამიტომ ვალდებულნი არიან, ყოველდღიურად ვარჯიშზე გუნდისთვის სარგებლობის მოტანის სურვილით მოვიდნენ. შეიძლება, გუნდს მსოფლიოში ყველაზე ნიჭიერი ფეხბურთელები ჰყავდეს, მაგრამ თუ ერთ მუშტად შეკრულნი არ თამაშობენ, გარანტიას გაძლევთ, ვერაფერს მოიგებენ. ყოველი ფეხბურთელი უნდა იბრძოდეს ამ გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილის დასამკვიდრებლად. იმ წლებში, როდესაც ყველაზე დიდი მწვერვალები დავიპყარით, მოთამაშეებს ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული არ ჰქონიათ. სწორედ ამ გარემოებამ აქცია ისინი დიდ ფეხბურთელებად, ხოლო „მანჩესტერი“ – გამორჩეულ გუნდად. კარგია, როდესაც გასახდელიდან სიცილის ხმა ისმის, მაგრამ იქნებ, ჩვენ მეტისმეტად ბევრს ვიცინით?.. მართლაც ნიჭიერი მოთამაშეები გვყავს, მაგრამ თავდაუზოგავი შრომისა და თავმოყვარეობის გამძაფრებული გრძნობის გარეშე ყველაფერი, დროის ფუჭად კარგვაა“.

როი კინი თავისი მწვავე გამონათქვამის გამო არაერთხელ გახვეულა სკანდალში. საკმარისია გავიხსენოთ 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წინა დღეები, როდესაც მწვრთნელთან კონფლიქტის გამო, მან ირლანდიის ეროვნული ნაკრების საწვრთნელი ბაზა დატოვა და შორეული აღმოსავლეთიდან სამშობლოში ისე გაემგზავრა, ერთ მატჩშიც კი არ მიუღია მონაწილეობა. დღეს ამ ამბავმა გაგრძელება პოვა მიუზიკლში, რომელიც დუბლინის Olympia Theatre-ში ცოტა ხნის წინ, დაიდგა. სპექტაკლის სახელწოდება – „მე კინო“ (კინო – სწორედ ასე მოიხსენიებენ „მანჩესტერის“ ქომაგები როი კინს) პირდაპირ მიუთითებს იმაზე, თუ ვის შესახებაა იგი დადგმული. ნაწარმოების სიუჟეტი საკმაოდ არაერთგვაროვანია – იგი მოგვითხრობს ერთ ძველ სახელმწიფოზე, რომელიც დიდი ბრძოლისათვის ემზადება და ერთ-ერთ თავის ლეგიონს კუნძულზე გზავნის. ლეგიონერთა შორისაა კინო – „საუკეთესო მეომარი, რომელიც ფეთქებადი, მძვინვარე და არაპროგნოზირებადი ხასიათითაა ცნობილი“. არც წარმოდგენის დანარჩენ პერსონაჟთა სახელების ამოსაცნობადაა საჭირო გენიოსობა: მაკარტაკუსი – მიკ მაკარტი – ირლანდიის ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი; ქუინუსი – ნაილ ქუინი – ირლანდიელი ვეტერანი ფორვარდი; ან თუნდაც პეკი ბონერუსი – პეტ ბონერი – მეკარეთა მწვრთნელი გუნდში. ამასთან, მიუზიკლს ლაიტმოტივად გასდევს კინოს ყოფანი იმის გამო, თუ ვისი რჩევები გაიზიაროს – დელფანი-ღმერთის, ფერგისა (ალბათ მიხვდით, ეს სერ ალექს ფერგიუსონია), თუ ტყის ნიმფა, დანფის (როი კინის ბიოგრაფი იმონ დანფი).

ამასობაში კი, თავად კინმა იმ ფეხბურთელების საწინააღმდეგო კამპანია წამოიწყო, რომლებიც არაკეთილსინდისიერი მეთოდებით (მაგალითად, საჯარიმოში განგებ წაქცევით) ცდილობენ მსაჯთა გაბითურებასა და პენალტის უფლების მოპოვებას. ასეთთა რიცხვი კი, პრემიერ-ლიგაში მართლაც გაიზარდა. ადრე ამ ხერხს უმეტესად, ლეგიონერები მიმართავდნენ, ახლა ნამდვილი სპორტსმენისთვის მიუღებელ საქციელს აღარც თავად ალბიონელი ფეხბურთელები თაკილობენ. უფრო მეტიც, სიმულანტები თვით „მანჩესტერშიც“ გამოჩნდნენ. ამისათვის რუდ ვან ნისტელროოი, კრიშტიანუ რონალდუ და უეინ რუნი მწვავე კრიტიკის ქვეშ მოექცნენ. განსაკუთრებული რეზონანსი „არსენალისა“ და „მანჩესტერის“ მატჩის მსვლელობისას სოლ კემპბელის წინააღმდეგ რუნის მიერ ჩატარებულ ტრიუკს მოჰყვა. მაშინ ახალგაზრდა სუპერფორვარდმა მართლაც, შეძლო მსაჯის გაცურება და პენალტი „გამოიმუშავა“, რამაც მისი გუნდის გამარჯვება განაპირობა.

ცოტა ხნის წინ, როი კინს მანჩესტერის სასამართლოშიც მოუწია მისვლამ. ნახევარმცველს 16 წლის ბიჭი უჩიოდა, ირწმუნებოდა, რომ გასული წლის 4 სექტემბერს, მას კინო ხულიგნურად დაესხა თავს, უყვირა, მუშტებიც მოუღერა და თანაც, ვერცხლის ყელსაბამი ჩამოჰგლიჯა. სხვათა შორის, იმ დღეს, როი და შემდგომში მისი მბრალდებელი პირველად არ შეხვედრიან ერთმანეთს. მანამდე, ძაღლთან ერთად მოსეირნე კინისთვის იმ მოზარდს გვერდით ჩაუვლია და მისთვის უცენზურო ჟესტი უჩვენებია ხელით. 2004 წლის 4 სექტემბერს საკუთარ ვილასთან მყოფ ფეხბურთელს კვლავ შეუნიშნავს თავისი შეურაცხმყოფელი და უმალვე მასთან მისულა... ამის შემდეგ რა მოხდა, უკვე რთული დასადგენია, რადგან კინიცა და ბრალმდებელიც ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ ჩვენებებს იძლევიან. ფეხბურთელი ამტკიცებს, რომ „ამ უტიფარი ბიჭისთვის არც უყვირია, არც მუშტები მოუღერებია და არც კისერი მოუგრეხია – უბრალოდ, ვკითხე – უცენზურო ჟესტით მან მომაყენა შეურაცხყოფა, თუ სხვა ბიჭი იყო? ხოლო როდესაც დავრწმუნდი, ჩემ წინ მართლა ის იდგა, ვურჩიე, რომ მომავალში საკუთარი ქცევა გაეკონტროლებინა,“ – ამბობს როი. სასამართლომაც კინის ნათქვამი ირწმუნა და „მანჩესტერის“ კაპიტანი გაამართლა. ■



# კიჭაზე ფილმს იღებენ, ოღონდ – სექსის გარეშე!..



ბრაზილიელი რეჟისორი, ფერნანდო მეირელესი რონალდოს ცხოვრების შესახებ მხატვრული ფილმის გადაღებას აპირებს. მასში მრავალი რეალური ფაქტი პოვებს ასახვას. რიოს ღარიბთა უბანში გატარებული ბავშვობა, პირველი ნაბიჯები „კრუზეიროში“, მადრიდის „რეალში“ გადასვლა, მსოფლიო ჩემპიონატში მოპოვებული ოქრო... ფილმის ავტორები მხოლოდ კიჭას სასიყვარულო თავგადასავლებზე ამბობენ უარს. არადა, უამისოდ რონის ცხოვრება წარმოუდგენელია. ამბობენ, რომ ფილმის გადაღებისას ამ თემას საერთოდ არ შეეხებიან, ამიტომ მაყურებელი იძულებული იქნება, „კასტრირებული“ კინოგმირით დაკმაყოფილდეს... ■

# დევიდს „ცისფერი“ ფანების სიმრავლე აღაფრთოვანებს



ვიქტორია ბექჰემი ამაყობს იმით, რომ მთელი მსოფლიოს ჰომოსექსუალისტები მის ქმარს თავიანთ კერპად მიიჩნევენ. „ვფიქრობ, შესანიშნავია ის, რომ დევიდი „ცისფრების“ სექსსიმბოლოდ ითვლება. ზუსტად ვერ ვიტყვი, თავად იგი ამას როგორ აღიქვამს, მაგრამ მეჩვენება, რომ მისდამი ასეთი დამოკიდებულება თავადაც სიამოვნებს. ბევრი ფეხბურთელი ძველმოდურად გამოიყურება, დევიდი კი იმიჯს ხშირად იცვლის, მუდამ რაღაცით აკვირვებს ხალხს“, — ამბობს ვიქტორია, რომელიც იმასაც ხაზს უსვამს, რომ ხშირად, ძალიან არაკომფორტულად გრძნობს თავს და სიმშვიდეს მხოლოდ მის გვერდით დევიდის ყოფნა ჰგვრის. ■

# კოლინმა რუნის აპატია

ცოტა ხნის წინ, ერთ-ერთ ბარში ყოფნისას, უეინ რუნისა და მის გელფრენდ, კოლინ მაკლაფლინს შორის კონფლიქტი მოხდა და ფეხბურთელმა თავის რჩეულს სილაც კი გააწნა. ატირებული კოლინი ბარიდან გაიქცა და მალე, სულიერი ტრავმის მოსაშუშებლად, კვიპროსზე გაემგზავრა. „ამ მოგზაურობამ უნდა დაამტკიცოს, რომ კოლინი რუნის გარეშეც ბედნიერი და წარმატებული ადამიანი იქნება“, — ამბობდა მაკლაფლინის ერთ-ერთი მეგობარი. თუმცა, თავად უეინის საყვარელი ასე არ ფიქრობდა. ის მალე სამშობლოში დაბრუნდა. „ჩვენ შორის არავითარი უთანხმოება არ არსებობს, უეინი ჩემი დიდი სიყვარულია“, — უთქვამს მას და ჟურნალისტების თვალწინ ფეხბურთელისთვის ვნებიანად უკოცნია. ■



# მშვენიერი შილდსი აგასის მისტირის

ბრუკ შილდსმა განაცხადა, რომ თავისი ყოფილი ქმარი, ანდრე აგასი, რომელსაც 1999 წელს გაეყარა, კვლავაც უყვარს. „ანდრე საკუთარი ინდივიდუალურობის აღმოჩენაში დამეხმარა. მის მიმართ ჩემი გრძნობა ისეთივე ძლიერია, როგორიც ჩვენი შეუღლების პერიოდში იყო. ეს ნამდვილი სიყვარულია“, —



ამბობს 39 წლის მსახიობი, მაგრამ ის წარსულს ველარ დააბრუნებს. როგორც ცნობილია, აგასი, რომელიც შილდსზე 5 წლით ახალგაზრდაა, გერმანელ ჩოგბურთელ შტეფი გრაფზეა დაქორწინებული. მათ უკვე ქალ-ვაჟიც ჰყავთ. მართალია, ბრუკი შტეფიზე მომხიბვლელია, მაგრამ საქმე მხოლოდ გარეგნულ სილამაზეს როდი ეხება. შილდსთან ერთად ცხოვრების პერიოდში, ანდრე აგასი კორტზე არცთუ ისე მაღალ შედეგებს აჩვენებდა, ხოლო ერთხანს, მსოფლიო რეიტინგის მეორე ასეულშიც კი გადაინაცვლა. ბოროტი ენების მტკიცებით, ეს ბრუკის მგზნებარე ტემპერამენტით იყო განპირობებული, რის გამოც ანდრეს სპორტისთვის უბრალოდ, ძალა აღარ ჰყოფნიდა... „ის მართლაც მთელ ენერგიას მაცლიდა, გამუდმებით მხოლოდ ერთ რამეს — სექსს ითხოვდა ჩემგან“, — წუწუნებდა მსახიობთან განშორების შემდეგ აგასი. აი, გრაფთან ქორწინებისთანავე კი, მან საჩოგბურთო სამყაროში დაკარგული პოზიციები მალევე დაიბრუნა. ■

რუბრიკა მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

**„ჩემი თაობა ძალიან ლამაზი თაობა იყო. ის, რაც ტრადიციით მოგვდევდა — ვაჟკაცობა, მეგობრობა, სამშობლოს სიყვარული, გვალამაზებდა. ალამაზებდა ჩვენს ურთიერთობებს და ამის გამო ბედის მადლიერი ვარ", — მითხრა ზურაბ ქაფიანიძემ. მსახიობი წუხს დღევანდელი თაობის გამო, შიშობს, რომ ქართველები ვკარგავთ თვითმყოფადობას და იმ ხიბლს, რითიც ყველა ერზე უპირატესნი ვართ...**



# სოფლელი ბიჭის თბილისური ოინები, აკაკი ვასაძის ჯიბის მადლი და „იქ შლებითი" ქეიფი სესილიასთან

*ნინო ჯავახიშვილი*

— ახლა ისეთი თაობა მოვიდა, რომელმაც თითქმის ყველაფერი გაგვილანძღა. ადრე გოგოს გვერდით ქუჩაში რომ გაივლიდი და ბიჭს რომ შემოეხედა, ის ბიჭი აუცილებლად გაილახებოდა. ამას იშვიათად თუ გაბედავდა ვინმე, რადგან არავის უნდოდა ჩხუბი და ცემა-ტყეპა. ვაჟკაცობას უწინ სხვა ფასი ჰქონდა. შეიძლებოდა, ჩხუბში მთელი უბნის ბიჭები წამოგყოლოდნენ, მაგრამ ჩხუბი ვაჟკაცური იყო — ერთი ერთზე. მერე მოჩხუბრები — გამარჯვებულიც და დამარცხებულიც — პურმარილს კისრულობდნენ და კარგი მეგობრები ხდებოდნენ.

**— ე.ი. მტრებად არ იქცეოდნენ, არ გადაეკიდებოდნენ ხოლმე ერთმანეთს?**

— არა, რა მტრები, რის მტრები?! წაქცეულისთვის დარტყმა არ შეიძლებოდა, რომ აღარაფერი ვთქვათ ჩხუბში დანის გამოყენებაზე. ჩხუბისას ერთმანეთს თუ შევატყობდით, რომ ძლიერები ვიყავით, ვწყვეტდით მუშტი-კრივს. პატივს ვცემდით ურთიერთს. ახლა ყველაფერი შეიცვალა. ძალიან მტკივა გული ახალგაზრდა თაობაზე, თუმცა ყველაფერი დაკარგული მგონი, ჯერაც არ არის. ძალიან გამიხარდა, როდესაც გავიგე, რომ თურქეთთან დამარცხების შემდეგ, ჩვენმა ბიჭებმა, ვისაც კი წაეწივნენ, დაულეწეს მანქანებიც და ცხვირ-პირიც! მეგონა, ქართული სული ჩამკვდარი იყო ახალგაზრდებში. გული რომ დაეწვათ და რომ იჩხუბეს, ქართველების დამარცხების გამო — აუჰ, იცით, როგორ გამიხარდა?! ვენაცვალე იმ ბიჭებს! ვიკითხე და მითხრეს, არავინაა დაჭერილიო, თორემ, მივიდოდი და გამოვაშვებინებდი, რამდენსაც შევძლებდი.

**— ფეხბურთის გულშემატკივართა ამ საქციელს ცუდი რეზონანსი რომ მოჰყვა?**

— არ არის ჩემი საქმე, პოლიციამ, მთავრობამ და ფეხბურთის ფედერაციამ როგორ შეაფასა მათი საქციელი და არც მაინტერესებს. ქართველები ყოველთვის და ყველგან პირველები ვიყავით. ჩვენებური სტუმართმასპინძლობა, მეგობრობა, სიყვარული არავის შეუძლია. დღესაც პირველობის პრეტენზია უნდა გვქონდეს, თორემ გადავგვარდებით და ჩვენც თუ ისეთები გავხდით, როგორიც მთელი ქვეყანაა, რაღა ფასი აქვს ქართველობას?!

**— ამაში დღევანდელ თაობას ადანაშაულებთ. საინტერესოა, თქვენი თაობა რა ღირებულებებზე აღიზარდა?**

— მაშინ მშობლები უფრო მკაცრად ზრდიდნენ შვილებს. ცუდად თუ მოვიქცეოდით, ვიცოდით, მკაცრი სასჯელი გველოდა. ზოგჯერ ეს სასჯელი იმდენად მკაცრი იყო, რომ დედა და ბებია მამაჩემისა და ბაბუაჩემისგან მმალავდნენ. ხილის ქურდობისთვისაც კი მკაცრად ვისჯებოდი ხოლმე. ეს ისეთი დანაშაული იყო, რომელიც არ ეკადრებოდა ოჯახს, გვარს, კაცობას, მამას, ბაბუას... მიუღებელი იყო, იმ ოთახში, სადაც მე ვიჯექი, შვილი შემოსულიყო და უბოდიშოდ წამოწოლილიყო. უფროსუმცროსობის ტრადიციას ჩვენს ოჯახში ყოველთვის ვიცავდით და თუ არასწორად მოვიქცეოდი, სასჯელსაც უსიტყვოდ ვიღებდი მშობლებისგან.




**— თქვენ თვითონ თუ დაგისჯიათ შვილები?**

— როგორ არ დამისჯია?!. ჩემი შვილი გარდატეხის ასაკში ე.წ. „შავი" გაგების ბიჭებს დაუმეგობრდა. მაშინ ასეთი რამ ვუთხარი — იცოდე, შემიძლია, მოგიკვეთო; ქართველ ხალხს ჩემი სჯერა, გამოვაცხადებ — კინოში დაკავებული ვიყავი, სახლში იშვიათად მიხდებოდა ყოფნა, ამასობაში შვილი ხელიდან წამივიდა და ამიტომ უარს ვამბობ მასზე-მეთქი; აბა, არ მეტყვიან — საკუთარი შვილი თუ ვერ აღზარდე, ჭკუას ვიღას არიგებო? თანაც — ჭკუაში რომ ჩავარდები, მიხვდები — გზა, რომელიც აირჩიე, არასწორია და იტყვი — რა დეგენერატი მყოლია მამა, ამ გზაზე რომ გამიშვაო და ამას არ გათქმევინებ-მეთქი. საბედნიეროდ, ჩემმა სიტყვებმა გაჭრა...

**— მეგობრობაზე რას იტყვით? როგორ მეგობრობას უწევდით ერთმანეთს და რის გამო შეიძლებოდა, მოგეკვეთათ მეგობარი?**

— არაჩვეულებრივი მეგობრობა ვიცოდით მაშინ. მეგობრებს ოჯახიშვილობის, ხასიათის მიხედვით ვირჩევდით. რაჭიდან რომ ჩამოვედი თბილისში, 18-19 წლის ვიყავი. აქ ძმაკაცის მშობლებმა გააგრძელეს ჩემი აღზრდა, საკუთარი შვილივით მიმიღეს, რისთვისაც მათი დიდად მადლიერი ვარ... მეგობარს ტყუილს ვერ ვაპატიებდით. ახალგაზრდობისას, ერთმა უახლოესმა მეგობარმა რაღაც მომატყუა. ამან ძალიან მატკინა გული და ვუთხარი — შენთან ვეღარ ვიმეგობრებ, ეს შეუძლებელია-მეთქი. ძმაკაცს ერთს რომ ეტყვი და მეორეს გააკეთებ, კაცური საქციელი არ არის.

**— როდესაც თეატრალურ ინსტიტუტში სწავლობდით, იმ დროს იქ უფროსი თაობის მსახიობთა არაჩვეულებრივი პლეადა მოღვაწეობდა. როგორი ურთიერთობა გქონდათ მათთან?**

— არ შემიძლია, პირველ რიგში, არ

გავიხსენო აკაკი ხორავა. ერთხელ ქუჩაში ხმამაღლა, თავშეუკავებლად ვიცინოდი. ვიღაცამ მითხრა — ხორავა გიბარებსო. ხორავას ვინ არ იცნობდა მაშინ?! შემიყვანეს მასთან. სად აბარებო? — მკითხა. ,,გეპეიში“-მეთქი, — ვუპასუხე. თეატრალურ ინსტიტუტში შემოიტან საბუთებსო, — მითხრა. დღეს მსახიობი რომ ვარ, მისი დამსახურებაა. მამობა გამიწია. არაჩვეულებრივი ადამიანი იყო. ერთ ამბავს გავიხსენებ. პლატონ დადვანი, ვინც პირველმა შეკრიბა სვანური სიმღერები და ანსამბლიც შექმნა, ჩემი ძმაკაცი იყო. როგორც მაშინ იყო მიღებული, მაშინდელ კალინინის რაიონს თეატრალურ ინსტიტუტზე



გოგოს მუხლისთავი რომ დაგვენახა, თვალებს ვხუჭავდით და მთელი ღამე ვოცნებობდით. დღეს კი, გახდილები დადიან, საოცნებოსაც აღარაფერს უტოვებენ მამაკაცებს...

შეფობა ჰქონდა აღებული. ბანკეტი გაგვიმართეს. ხორავა თამადობდა, მოადგილედ მე ამირჩია. ისე კარგად მღეროდნენ დადვანის ანსამბლის ბიჭები, მეტი რომ არ შეიძლება. ერთი სიმღერა მიყვარდა ძალიან და ამიტომაც მეგობრები ,,ჩემსას“ ეძახდნენ. ლამაზი სიმღერა იყო. ხორავას უთხრეს — თუ შეიძლება, ახლა ზურა იმღერებსო. სასტიკი უარი განაცხადა — არავითარ შემთხვევაშიო. მეორედაც უთხრეს, ისევ უარი თქვა. მესამედ რომ სთხოვეს, უკვე კარგად შებუჟბუჟებული ვიყავით და დათანხმდა. სიმღერა რომ დავიწყე და კარგად რომ ,,მოვაჯინე“, ყველა გაისუსა. არც ერთი სიმღერა არ გამეორებულა სუფრაზე, ჩემი სიმღერის გარდა. იქიდან რომ წამოვედით, მანქანაში გვერდიგვერდ ვისხედით, თავი მომაყრდნო და მითხრა — იქ ისე მღეროდნენ, მეშინოდა, რამე არ შეგშლოდა და არ ჩავჭრილიყავითო...

— **სტუდენტებთან ურთიერთობისას მკაცრი იყო?**

— სწავლას თუ ეხებოდა საქმე — კი, მაგრამ ისე — ძალიან ლმობიერი და თბილი იყო. მე ვუკეთებდი ხოლმე ერთ ოინს. ფული არ მქონდა, რომ ქალაქში მანქანით სადმე წავსულ-წამოვსულიყავი. მის კაბინეტში შევიპარებოდი ხოლმე, დავრეკავდი და მისი ხმით დავილაპარაკებდი — მომეცით გარაჟი (ასე იცოდა თქმა თვითონ)! მამედ, აქ მოდი, გელოდები-მეთქი, — ვეტყოდი მის მძღოლს. გამოვვარდებოდი ოთახიდან და მამედას ვეტყოდი — ხორავას არ სცალია, აქა და აქ უნდა წამიყვანო-მეთქი. წავიდოდი, მოვივლიდი ქალაქს და როცა დავბრუნდებოდი, გაცეცხლებული ხორავა გარაჟთან მომლოდინე გვხვდებოდა. დამინახავდა თუ არა, დაიყვირებდა — Опять рачинец! შორიახლოს გავურბენდი და ვეტყოდი — მამედას არაფერი უთხრათ, ჩემი ბრალია, თქვენი ხმით დაველაპარაკე-მეთქი. აი, ასე ვხულიგნობდი... ინსტიტუტი რომ დავამთავრე, ხორავამ ქუთაისში ვასაძესთან გამგზავნა. გული დამწყდა — მარჯანიშვილის ან რუსთაველის თეატრში მოხვედრა მინდოდა. წყენა რომ შემატყო, ასეთი რამ მითხრა — მე შენი იმედი მაქვს, მსახიობი გამოხვალ და ერთადერთი კაცი, ვინც ნამდვილ მსახიობად აღგზრდის, ეს ვასაძეაო. აბსოლუტურად გამართლდა მისი სიტყვები. ვასაძემ ისეთი ფრთები შემასხა, რომ... არაჩვეულებრივი ურთიერთობა მქონდა მასთან, ბევრი რამ მასწავლა. ყველგან თან დავყავდი. ერთხელ მითხრა — იცოდე, ფული თუ დაგჭირდეს, შენთვის ფული აი, ამ ჯიბეში იქნებაო. ის ჯიბე 4 წლის მანძილზე, მართლაც არ ,,დახურულა“ ჩემთვის... რომელი ერთი გავიხსენო — ვერიკო ანჯაფარიძე, სესილია თაყაიშვილი, ეროსი მანჯგალაძე, ვასო გოძიაშვილი, პიერ კობახიძე... ერთი უბრალო სიტყვითაც შეიძლება მათი დახასიათება — კარგები. სესილია ძმაკაცობდა ჩემთან — უჩემოდ საქეიფოდ არ წახვალო, — მეუბნებოდა. — რას ამბობ, ზოგჯერ ისეთ ხალხში და სიტუაციაში ვსვამ, შეიძლება, სკამიც არ იყოს-მეთქი. — არაფერია, მე მომიტანენ სკამსო, — მეტყოდა ხოლმე.

— **მომლხენი იყო სუფრაზე?**

— უჰ, ისეთ არაჩვეულებრივ ამბებს მოჰყვებოდა, თანაც რა სჩვეოდა, იცით? სუფრაზე ვიღაცას ამოიღებდა მიზანში და იმას ეპაექრებოდა, ეხუმრებოდა. ქეიფის დროს გამოაცხადებდა — ზურა მოიყვანეთ და ჩემ გვერდით დასვითო. ვდნებოდი მის დაძახებაზე. როგორც ჩანს, ის კეთილშობილება, რომელიც სოფლიდან გამომყვა, მოსწონდათ. მაგრამ მათი სიყვარულით ცუდად არასდროს მისარგებლია. უფროსი ხალხის რიდი არასდროს დამიკარგავს. სპარტაკ ბაღაშვილი, კოტე დაუშვილი, დოდო აბაშიძე — ჩემი უფროსი მეგობრები იყვნენ, აღარაფერს ვამბობ ჩემი თაობის მსახიობებზე, ჩემს საძმაკაცოზე. ასაკით უმცროსი მეგობრებიც მყავს, ვინც იცის ძმაკაცობის, მეგობრობისა და ვაჟკაცობის ფასი.

— **როგორ გიყვარდათ მაშინ? რისი გაკეთება შეგეძლოთ სიყვარულის, სატრფოს გამო?**

— ჩვენს დროს, სირცხვილი იყო სიყვარულის გამჟღავნება. საყვარელ გოგონას გვერდით რომ მივუჯდებოდით, ვოცნებობდით, ოდნავ შევხებოდით მას. აი, ამ დროს არის სიყვარული გემრიელი. ახლა ისე ეხუტებიან ერთმანეთს, არავისი რიდი და სირცხვილიც არა აქვთ. ეს არ არის სიყვარული. ერთხელ უნივერსიტეტში მკითხეს ბავშვებმა — ,,ვეფხისტყაოსანი“ სიყვარულზე არ არის დაწერილიო? სიყვარულზეა დაწერილი, მაგრამ როგორც კი ტარიელმა ნესტანი ცოლად შეირთო, პოემაც დამთავრდა და სიყვარულიც-მეთქი, — ვუპასუხე მათ. რა ვიცი, ბედნიერ შემთხვევაში, შეიძლება, ადამიანებს სიცოცხლის ბოლომდეც გაჰყვეს სიყვარული, მაგრამ ეს ათასში ერთხელ ხდება. არ ვიცი, დღეს შეუძლიათ კი სიყვარული? მეზობელი სოფლელი გოგო თუ შეგვიყვარდებოდა, იმ სოფელზე რამდენჯერმე ავივლიდით და ჩავივლიდით ხოლმე. ვერ ვხედავდით ერთმანეთს, მაგრამ მაინც სასიამოვნო იყო. ეს გმირულ საქციელად ითვლებოდა. გოგოს მუხლისთავი რომ დაგვენახა, თვალებს ვხუჭავდით და მთელი ღამე ვოცნებობდით. დღეს კი, გახდილები დადიან, საოცნებოსაც აღარაფერს უტოვებენ მამაკაცებს...

■

ქალი რაც უფრო ლამაზია, მით უფრო პატიოსანი უნდა იყოს, რადგან მხოლოდ პატიოსნებით გაუწევს წინააღმდეგობას იმ ზიანს, რომლის მოტანაც მის სილამაზეს შეუძლია.

*ლესინგი*



ფრაზები გენიალური



# უკომპლექსო ოჯახში აღზრდილ ემანუელს რეჟისორები მხოლოდ „ვნების ობიექტად" წარმოაჩენენ

**ემანუელ სენიე მზადაა, დახოცოს ყველა, ვინც მასში, მსახიობის ნაცვლად, მხოლოდ რომან პოლანსკის მზეთუნახავ მეუღლეს ხედავს...**

მისი მოკრძალებული ღიმილი, თეთრი, ფაიფურივით გამჭვირვალე, გლუვი კანი, სწრაფი, გამჭოლი მზერა გასაგებს ხდის, თუ რატომ იღებენ მას ოპერატორები და ფოტოგრაფები რბილი ფოკუსით და არა ე.წ. სოფტ-პორნოს ზღვარზე. „ისინი მუდამ ჩემს გაშიშვლებას ცდილობენ, მე კი სრულიად ჩვეულებრივი სხეული მაქვს. ამაში განსაკუთრებული არაფერია. ალბათ არის ჩემში რაღაც „ისეთი", – ამბობს ემანუელი და ეს „რაღაც ისეთი" უკლებლივ ყველაზე, მომნუსხველად მოქმედებს. მის გრძნეულ ხიბლს ვერც ტომ ფორდმა გაუძლო და ემანუელს შესთავაზა, Yves Saint Laurent-ის ახალი არომატის Nu (შიშველი) სახე გამხდარიყო.

„ემანუელი საოცარი, ამასთანავე – რთული ქალია. ოდიოზური პოლანსკის ცოლი, მსახიობი, ჭკვიანი, ენამოსწრებული და გულისხმიერი ადამიანია", – ამბობს ტომ ფორდი, რომელმაც ემანუელ სენიე ერთ-ერთ წვეულებაზე გაიცნო და იმდენად მოიხიბლა, რომ მსახიობს მეორე დღესვე დაურეკა და მიმზიდველი წინადადებით მიმართა. ემანუელი წუთითაც არ დაფიქრებულა – „გახდეს Yves Saint Laurent-ის სახე და იმუშაოს ტომ ფორდთან – ამაზე უარს ვერავინ იტყვის," – განაცხადა სენიემ. მსახიობის აზრით, ფორდმა მისი ჭეშმარიტი არსი დაინახა: „მე ხომ სინამდვილეში ისეთი არ ვარ, როგორიც ვჩანვარ. ყველაზე უკეთ იმ როლებს ვთამაშობ, სადაც ძალა და ენერგიაა საჭირო. მაგალითად, ფილმში – „მძვინვარე" – ჩემი გმირი ნერვიული, პირდაპირი და ენერგიული ადამიანია. რეჟისორები კი ხშირად ჩემგან „ვნების ობიექტის" შექმნას ცდილობენ და უნდათ, რომ ზარმაც, სიამეთა მოყვარულ მდედრად წარმომაჩინონ. მე კი ასეთი სულაც არ ვარ!"

მიუხედავად იმისა, რომ ახლა ემანუელს თმა ღია ფერფლისფრად აქვს შეღებილი, მისი საბედისწერო იმიჯი მაყურებელში მუდამ შავგვრემანი ქალის ასოციაციას იწვევს. სწორედ ასეთი იყო სენიე მისი მეუღლის, რეჟისორ რომან პოლანსკის ყველა სურათში: ფილმში – „მძვინვარე" – ჰარისონ ფორდთან ერთად, „მწარე მთვარე", სადაც ემანუელის პარტნიორები პიტერ კოიოტი და ჰიუ გრანტი იყვნენ, „მეცხრე ჭიშკარი" – ჯონი დეპთან ერთად.

სენიეს არასოდეს ეშინოდა კრიტიკისა და კრიტიკოსების. თავის დროზე, ფილმში – „მწარე მთვარე" – განსახიერებული, ჰიპერსექსუალური მონაქალბატონის – მიმის როლის გამო, ემანუელმა მრავალი უსიამოვნება იწვნია.

ცოტა ხნის წინ, ეკრანებზე გამოვიდა მსახიობის ბოლო ნამუშევარი – რეჟისორ ფრანსუა ანსის ახალი ტრილერი – „სხეულთა გამტაცებელი", სადაც ემანუელ სენიე სტრიპტიზის მოცეკვავე ქალს თამაშობს (მსახიობმა კადრში გაშიშვლება ვერც ამჯერად აიცილა თავიდან). მიუხედავად იმისა, რომ ფილმს კომერციული წარმატება არ მოჰყოლია, ამჯერად კრიტიკამ ემანუელის ნამუშევარს მაღალი შეფასება მისცა.

„მინდა, რომ მსახიობად მაღიარონ. მე მსახიობი ვარ და არა პოლანსკის ცოლი. მზად ვარ, მკვლელობაზე წავიდე, როდესაც მეუბნებიან, რომ ამა თუ იმ ფილმში ძალზე ლამაზი ვიყავი. მოხარული ვიქნები, თუ ვინმე მეტყვის: სილამაზის რა მოგახსენოთ, მაგრამ შესანიშნავად კი თამაშობდითო".

ემანუელ სენიე ფილმში – „სხეულთა გამტაცებელი" – ნათამაშებ როლს, მის მიერ შექმნილ სახეებს შორის საუკეთესოდ მიიჩნევს. მისთვის ეს სურათი ერთგვარი თვითდამკვიდრების აქტიცაა, რადგან ეს დიდი პროექტი რომან პოლანსკის მონაწილეობის გარეშე შედგა.

ემანუელს კინოში 19 წლის ასაკიდან იღებენ და გულწრფელად აღიარებს, რომ გადასაღებ მოედანზე ზოგჯერ სცოდავდა კიდეც... ახალგაზრდობაში, არც იმას აფასებდა, რომ ბედმა თავად ჟან-ლუკ გოდართან მუშაობის ბედნიერება არგუნა წილად, რომლის ფილმში – „დეტექტივი" ემანუელმა 1985 წელს ითამაშა.

სენიემ რომან პოლანსკი 1987 წელს, ფილმის – „მძვინვარე" – გადაღებებზე გაიცნო. ის მაშინ 21 წლის იყო. ამ ამბავს მსახიობი ძუნწი ფრაზებით გადმოგვცემს: „ის თავდავიწყებით შემიყვარდა – ეს იყო და ეს". კორესპონდენტის ცოტა არ იყოს სულელურ შეკითხვას – „თქვენი კავშირი ინტელექტუალური უფრო იყო თუ ფიზიკური?" – ემანუელი პასუხობს: „ერთიც და









მეორეც“, — და ხანგრძლივი პაუზის შემდეგ დასძენს: „მერწმუნეთ, მე მას კარიერის გამო არ გავყოლივარ ცოლად. პროფესიონალური თვალსაზრისით, იგი ერთგვარ ბარიერსაც კი მიქმნის...“

პოლანსკისა და სენიეს ორი შვილი — 10 წლის მორგანი და 5 წლის ელვისი ჰყავთ. ეს ქორწინება პოლანსკისთვის მესამე ქორწინებაა.

პირველ ცოლს 1962 წელს გაეყარა. მისი მეორე მეუღლე, მსახიობი შერონ ტეიტი სატანისტთა მსხვერპლი გახდა. ის 1969 წელს, საკუთარ სახლში მოკლეს. 37 წლის ემანეული და 70 წლის პოლანსკი პარიზული ელიტის ცნობილი წყვილია. დიდი ასაკობრივი სხვაობა მათ კავშირს მხოლოდ პიკანტურობას მატებს...

„ოსკარების“ 2003 წლის დაჯილდოებაზე პოლანსკი საუკეთესო რეჟისორად, მისი სურათი „პიანისტი“ კი — საუკეთესო ფილმად აღიარეს. „ვერც წარმოიდგენთ, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს მისთვის. ეს ხომ ერთდროულად აღიარებაც იყო და რევანშიც!“ — ამბობს ემანეული. რევანშის ხსენებისას, სენიე იმ ფაქტს გულისხმობს, რომ 1977 წელს, არასრულწლოვანი მოდელის გამო ატეხილი სექსუალური სკანდალის გამო, რომან პოლანსკი ამერიკის შეერთებულ შტატებში დღესაც პერსონა ნონ-გრატადაა გამოცხადებული. „მაგრამ ამის შესახებ ლაპარაკს არ ვაპირებ“, — მკაცრად აცხადებს მსახიობი, რომელსაც ფარისევლობას ვერავინ დასწამებს. იგი თავისუფალ, ბოჰემურ ოჯახში აღიზარდა, სადაც ტაბუდადებული თემები არ არსებობდა. „ჩემს ოჯახში ყველა საკითხი ხმამაღლა, იუმორით განიხილებოდა. თავიდან, პოლანსკის ამასთან შეეგუება ძალიან გაუჭირდა, მაგრამ ახლა, ის ჩვენს მხიარულ ოჯახს აღმერთებს!“



„რექისორები მუდამ ჩემს გაშიშვლებას ცდილობენ, მე კი სრულიად ჩვეულებრივი სხეული მაქვს. როგორც ჩანს, ჩემში არის რაღაც „ისეთი“.

სენიეთა ოჯახი მსახიობთა კლანს წარმოადგენს. ემანუელის ბაბუა — ლუის სენიე სახელგანთქმულ თეატრს — Comedi-Francaise-ს ხელმძღვანელობდა, სცენასა და ეკრანზე თამაშობდა. მამიდაც მსახიობი იყო. მთელი ოჯახი ერთ დიდ სახლში ცხოვრობდა. გაკვეთილების შემდეგ, პატარა ემანუელი დებთან — მატილდასა და მარი-ამელისთან ერთად თეატრზე სასაუბროდ ბაბუის მანსარდას ხშირად სტუმრობდა.



დღეს მარი-ამელი მომღერალია, რომელიც მალე თავის პირველ ალბომს გამოუშვებს. მატილდაც მსახიობია, საკმაოდ ნაყოფიერად მუშაობს კინოში (მაგალითად, ფილმში — „ჰარი, მეგობარი, რომელსაც თქვენთვის მხოლოდ სიკეთე სურს“) და გარეგნულად საოცრად ჰგავს ემანუელს. ეს ფაქტი ტაბლოიდებმა სასწრაფოდ აიტაცეს და დებს შორის მეტოქეობის თემას აქტიურად განიხილავენ. „რა სისულელეა! ერთმანეთის წარმატებები მხოლოდ გვახარებს“, — ამბობს ემანუელი. მაგრამ იქვე დასძენს, რომ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, კარგი იქნებოდა, მატილდას ფსევდონიმი აეღო.

ფოტორეპორტიორები სენიეს ხშირი სტუმრები არიან. ემანუელი ხან შადრევანთან პოზირებს, ხან — ბაღის კიბეზე. ფოტოგრაფები მისგან მუდამ დაჟინებით მოითხოვენ მკერდის გაშიშვლებას: „კიდევ! ცოტა კიდევ!..“ — ითხოვენ ისინი მანამ, სანამ ემანუელის მკერდი თითქმის ბოლომდე არ გაშიშვლდება. „აი, მუდამ ასეა. როგორც ჩანს, ბედისწერას ვერსად გაექცევი!“ — ნაღვლიანად ამბობს სენიე.

■

# მელ გიბსონი იოანე-პავლე მეორის შესახებ ფილმს გადაიღებს

გახმაურებული სურათის — „ქრისტეს ვნებანი“ — ავტორი, ცნობილი



მსახიობი და რეჟისორი, მელ გიბსონი რომის პაპის, იოანე-პავლე მეორის შესახებ ფილმის გადაღებას აპირებს. გასულ კვირას, გიბსონმა რომში კინემატოგრაფისტთა ჯგუფი გაგზავნა, რომლებმაც პაპთან მორწმუნეთა გამოთხოვება და პონტიფიკოსის დაკრძალვის ცერემონია ფირზე აღბეჭდეს. ეს დოკუმენტური კადრები იოანე-პავლე მეორის ცხოვრებისადმი მიძღვნილ სურათში შევა.

მელ გიბსონი ღრმად მორწმუნე კათოლიკეა. ის რომის კათოლიკურ ეკლესიაში აღმოცენებული, კონსერვატორული მიმდინარეობის წევრია, რომლის მიმდევრებმა 1960-იან წლებში, ვატიკანის მიერ განხორციელებული რეფორმები არ გაიზიარეს და მიუხედავად იმისა, რომ ვატიკანმა კათოლიკური ღვთისმსახურება ეროვნულ ენებზეც აამეტყველა, ისინი მესას მაინც ლათინურ ენაზე ატარებენ. კათოლიკური ეკლესიის ოფიციალური პოზიციისაგან განსხვავებული აზრის მიუხედავად, 2004 წლის დასაწყისში, მელ გიბსონმა ფილმის — „ქრისტეს ვნებანი“ პრემიერამდე 1 თვით ადრე, ვატიკანს სურათის ასლი გადასცა, რომელიც იოანე-პავლე მეორეს უჩვენეს.

■

# მოეწონება თუ არა სანდრა რულოვსს, ტომ ჰენქსის ახალი ნამუშევარი

რეჟისორი რონ ჰაუარდი ივნისში, ჰოლივუდის ახალ პროექტზე — „კოდი და ვინჩი“ — მუშაობას შეუდგება. „კოდი და ვინჩი“ დენ ბრაუნის ამავე სახელწოდების ბესტსელერის ადაპტაცია გახლავთ. ფილმში მთავარ როლებს შეასრულებენ: ორგზის „ოსკაროსანი“ ტომ ჰენკსი და ახალგაზრდა ფრანგი ვარსკვლავი ოდრი ტოტუ. გადაღებები ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ მომავალი ფილმიც და მისი ლიტერატურული პირველწყაროც შესაძლებელია, სკანდალის ცენტრში





აღმოჩნდეს. ვატიკანმა რომის პაპის გარდაცვალებამდე სულ რამდენიმე დღით ადრე, სასტიკად დაგმო წიგნიც და მისი ეკრანიზაციის იდეაც. საქმე ის გახლავთ, რომ დენ ბრაუნს თავის წიგნში მართლაც, რამდენიმე მკრეხელური და რელიგიური თვალსაზრისით, უაღრესად უტაქტო მოსაზრება აქვს მოყვანილი. წიგნი 4 წლის წინ გამოვიდა და ვატიკანმა, რა თქმა უნდა, კარგად იცოდა მისი არსებობის შესახებ, მაგრამ აქამდე, დუმილს ამჯობინებდა, რათა ხმამაღალი განცხადებებით უნებლიეთ არ გაეღვივებინა არაჯანსაღი ინტერესი ამ ნაწარმოების მიმართ. ბოლო წლებში კი, ეს წიგნი ამერიკასა და ევროპაში ძალზე პოპულარული გახდა, ხოლო უკანასკნელი წვეთი ვატიკანისთვის, ჰოლივუდური ეკრანიზაციის განზრახვა აღმოჩნდა: ვატიკანმა ჩათვალა, რომ გაჩუმება აღარ შეიძლებოდა და რამდენიმე მრისხანე განცხადება გააკეთა. თუმცა, კინოკომპანია „კოლამბია“, ვატიკანის სამართლიანი რისხვის მიუხედავად, უკან დახევას არ აპირებს: ფილმის პროდიუსერებმა — ბრაიან გლეიზერმა და ჯონ კელიმ უკვე მიიღეს უფლება საფრანგეთის მთავრობისგან, რომ გადაღებები ლუვრში აწარმოონ.

თავის ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში, საქართველოს პირველმა ლედიმ, სანდრა რულოვსმა განაცხადა, რომ ძალიან მოსწონს მსახიობი ტომ ჰენკსი და მისი მონაწილეობით გადაღებული ყველა ფილმი ნანახი აქვს. საინტერესოა, რა აზრის იქნება სანდრა რულოვსი, ტომ ჰენკსის იმ ახალ ნამუშევარზე, რომლის პრემიერაც მომავალი წლის მაისისთვისაა დაგეგმილი?.. ■

## არნი ბავშვებს ტანსაცმელს უწვავს

ექსტერმინატორი არნოლდ შვარცენეგერი ცხოვრებაშიც ისეთივე მკაცრი და შეუდრეკელია, როგორიც ეკრანზე. არნი 4 შვილს საკმაოდ მკაცრად ზრდის, მათგან ნივთებთან ფაქიზად მოპყრობას მოითხოვს და შვილებს აიძულებს, საკუთარი ტანსაცმელი თავადვე გარეცხონ.

მკაცრმა მამამ შვილებს მეგობრებთან შეხვედრა მანამ აუკრძალა, სანამ ისინი საკუთარი ნივთებისა და ტანსაცმლის მოვლას არ ისწავლიან. როგორც კალიფორნიის გუბერნატორის მეუღლე ამბობს, არნი ოჯახში სისუფთავის დაცვას კატეგორიულად მოითხოვს. „ის ყოველდღე ჩამოუვლის ხოლმე სახლს და ბავშვების მიერ მიმოფანტულ ტანსაცმელს აგროვებს. შემდეგ, მოგროვილ სამოსს ან ცეცხლში ყრის, ან ისე მალავს, რომ ბავშვები ველარ პოულობენ“, — ამბობს მარია შრაივერი. დღესდღეობით, შვარცენეგერთა ოჯახის მთავარ განძს 2 გოგო და 2 ბიჭი შეადგენს. მაგრამ არნოლდს ეს არ აკმაყოფილებს: მან ამერიკელი ბავშვებისთვის სპეციალური გამაჯანსაღებელი პროგრამა შეიმუშავა და ამიერიდან, ყველა ამერიკელ ბავშვს შეუძლია, არნი საკუთარ მამად იგულოს. ■



## დემი მური პოპვარსკვლავს შეცვლის



ყვითელი პრესის მიერ დემი მურის ორსულობის შესახებ აქტიურად გავრცელებული ცნობების მიუხედავად, ცნობილი მსახიობი და ახალგაზრდა ტელეწამყვანის, ეშტონ კატჩერის მეგობარი, დემი მური მოდელის სარეკლამო კამპანიაში მონაწილეობის წინააღმდეგი არ არის. რამდენიმე დღის წინ, დემი მური სამოდელო ბიზნესის გავლენიან ფიგურებს შორის იხილეს. დემიმ და კატჩერმა რესტორან Piccadilly-ში დონატელა ვერსაჩესა და ლეგენდარულ ფეშენფოტოგრაფ მარიო ტესტინოსთან ერთად ისადილეს.

როგორც ამბობენ, ეს შეხვედრა ტყუილუბრალოდ არ შემდგარა. იტალიური სამოდელო სახლის მომდევნო სარეკლამო კამპანიაში შესაძლოა, მადონა დემი მურმა შეცვალოს. აქამდე, სამოდელო სახლი მოლაპარაკებებს მხოლოდ ახალგაზრდა კრისტინა აგილერასთან აწარმოებდა, მაგრამ როგორც ჩანს, დონატელა ვერსაჩემ გადაწყვეტილება შეცვალა და მთავარ როლზე ე.წ. ბალზაკის ასაკის ქალის მიწვევა განიზრახა. ■

## მადონას, შვილების არ ესმის

პოპის დედოფლის, მადონასა და გაი რიჩის ოჯახში მოულოდნელი პრობლემა გაჩნდა: მშობლებს ვერ გაუგიათ,



თუ რაზე საუბრობენ მათი შვილები, რომლებიც ფრანგულ ენას მშვენივრად დაეუფლნენ. მადონამ და რიჩიმ ფრანგული არ იციან, 8 წლის ლურდესი და 5 წლის როკო კი ერთმანეთში მხოლოდ ამ ენაზე ლაპარაკობენ. ბავშვებმა უცხო ენა ლონდონის დასავლეთ ნაწილში მდებარე ფრანგულ ლიცეუმ Lycee Francais School-ში შეისწავლეს.

„ბავშვები მთელი დღეების განმავლობაში ფრანგულად ლაპარაკობენ. ძალზე სასაცილოა, როდესაც მადონა და გაი მათი საუბრიდან ვერაფერს იგებენ!" – ამბობს გაის მამა, ჯონ რიჩი.

მადონა და გაი რიჩი 2000 წელს დაქორწინდნენ. მათ 2 შვილი ჰყავთ, მაგრამ 46 წლის მომღერალმა უკვე არაერთხელ განაცხადა იმის შესახებ, რომ მესამე შვილის გაჩენაც სურს. ■

## ელტონ ჯონის „ვამპირული" ოპერა



ელტონ ჯონისა და მისი ძველი კოლეგის, ბერნი ტოპინის მიერ შექმნილი „ვამპირული" მიუზიკლის პრემიერა შემოდგომაზე, სან-ფრანცისკოში შედგება, გაისად კი – ბროდვეიზე.

შეგახსენებთ, რომ სპექტაკლი მწერალ ენ რაისის ნაწარმოებთა მიხედვით დაიდგა. მიუზიკლის მთავარი გმირი ლესტატი, რაისის ნაწარმოებების – „ინტერვიუ ვამპირთან", „ვამპირი ლესტატი", „დაწყევლილთა დედოფალი" და სხვა მოთხრობების პერსონაჟი გახლავთ. ელტონ ჯონის აზრით, რაისის წიგნები მიუზიკლისთვის იდეალურ პირველწყაროს წარმოადგენს. თავად მუსიკოსი ამ ნაწარმოებებს „ვიზუალურს" უწოდებს.

შეგახსენებთ, რომ ელტონ ჯონს წარმატებული მიუზიკლების შექმნის გამოცდილება უკვე აქვს. ესენია: „აიდა" და „მეფე ლომი". „ლესტატი" ელტონ ჯონისა და ბერნი ტოპინის პირველი ერთობლივი პროექტია. ■

## იდეალური მშობლები ოზი და შერონ ოსბორნები



დიდ ბრიტანეთში ცოტა ხნის წინ ჩატარებულმა გამოკითხვამ ოზი და შერონ ოსბორნები საუკეთესო მშობლებად დაასახელა. მრავალი ბრიტანელი მოზარდი მოხარული იქნებოდა, თუ მათი მშობლების ადგილს სწორედ ოზი და შერონი დაიკავებდნენ. შოუ – „ოსბორნების" წყალობით, ახალგაზრდებს საშუალება ჰქონდათ, თვალყური ედევნებინათ უფროსი ოსბორნებისა და მათი შვილების ურთიერთობისთვის და სათანადო დასკვნებიც გამოეტანათ.

კენჭისყრის შედეგები ოსბორნთა ოჯახისათვის ბოლო თვეების მანძილზე პირველი სასიხარულო ცნობა გახდება, რადგან უკანასკნელ ხანებში, მათ მრავალი უსიამოვნება დაატყდათ თავს. შერონსა და მის ქალიშვილს, ეიმის ავთვისებიანი სიმსივნის გამო, ოპერაციის გადატანა მოუხდათ, ოზი ავარიაში მოყვა, მათი სახლი ჯერ გაძარცვეს, შემდეგ კი ცეცხლი მოედო; ჯეკიმ და კელიმ კი, ნარკომანიის სამკურნალო კურსი გაიარეს...

გამოკითხვამ საუკეთესო მშობელთა წყვილად, ვიქტორია და დევიდ ბექჰემებიც დაასახელა. ბრიტანელები ყველაზე ნაკლებად სასურველ მშობლებად ახალდაქორწინებულ წყვილს – პრინც ჩარლზსა და კამილა პარკერ-ბოულზს მიიჩნევენ. MTV-ს მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში 500-მა ბრიტანელმა მიიღო მონაწილეობა. ■

## ლინდსეი ლოჰანი შარლიზ ტერონს და ნიკოლ კიდმანს აკრიტიკებს

ახალგაზრდა მსახიობს, ლინდსეი ლოჰანს, შესაძლოა მასზე ბევრად უფრო პოპულარული ჰოლივუდელი ვარსკვლავების – შარლიზ ტერონისა და ნიკოლ კიდმანის რისხვა დაატყდეს თავს. ლოჰანმა (ფილმები: „ცუდი გოგონები" და „ჭირიანი პარასკევი") რეპორტიორებთან საუბრისას თავს უფლება მისცა და ზემოთ ხსენებული მსახიობების მისამართით ერთობ ორაზროვანი კომენტარები გააკეთა.

„დღეს კინოში გოგონებისათვის ძალზე იოლი გახდა დაუშნოება, დამუნჯება, გაშიშვლება, ლესბოსელად გადაქცევა ანდა გასუქება. ზოგიერთები სანატრელ „ოსკარს" სწორედ ამგვარი გზით იღებენ", – განაცხადა ლინდსეიმ. მან ეს აზრი კიდევ უფრო განავრცო და ჟურნალისტებს შეახსენა, რომ შარლიზ ტერონმა ამერიკის კინოაკადემიის ჯილდო ფილმში „მონსტრი" ნათამაშები როლისათვის მიიღო, სადაც მსახიობს ზედმეტი კილოგრამები და უშნო გრიმი „ამშვენებს". ნიკოლ კიდმანის ვირჯინია ვულფს კი ცხვირი ხელოვნურად აქვს დაგრძელებული. „ჯულია რობერტსი ერთადერთი მსახიობია, ვისაც მსგავსი რამ არასოდეს გაუკეთებია. ის კადრშიც არასდროს გაშიშვლებულა," – დასძინა ლინდსეი ლოჰანმა. ■





# Audi A6 Avant-ში ყველაფერი ჩაეტევა

მარტიდან, ევროპაში ახალი Audi A6 Avant-ის გაყიდვა დაიწყო. წინამორბედი ვერსიისგან განსხვავებით, ეს მოხდენილი უნივერსალი შესამჩნევად გაიზარდა სიგრძეში – 13,5 სმ-ით და 4,93 მ-ს მიაღწია. ამ ცვლილებამ მას გარეგნული პროპორციულობა შემატა. მოდელის საბარგო დანაყოფის მოცულობა 565 ლ-ს, ხოლო უკანა სავარძლების დაკეცვის შედეგად – 1660 ლ-ს შეადგენს. მსხვილგაბარიტიანი საგნებისთვის სპეციალური ფიქსატორები აქვს თანდართული.



ყველა სხვა თვალსაზრისით, „ავანტის“ იგივე ტექნიკური აღჭურვილობა აქვს, რაც სედანს – A6. ძრავების პალიტრაში 3 ბენზინის და 3 დიზელის აგრეგატია. პირველ ჯგუფში შედის: ორი 6-ცილინდრიანი და ერთი 8-ცილინდრიანი ძრავა; სიმძლავრის დიაპაზონი – 177-დან 335 ცხ.ძ-მდე, ხოლო დიზელის აგრეგატებისა – 140-დან 225 ცხ.ძ-მდეა. განსაკუთრებული ეკონომიურობით გამოირჩევა დიზელის ძრავა – TDI, რომლის სამუშაო მოცულობა 2,7 ლ, სიმძლავრე კი – 225 ცხ.ძ-ა: 100-კილომეტრიან გარბენზე 7 ლ საწვავს ხარჯავს. მანქანის მაქსიმალური სიჩქარე 225 კმ/სთ, ხოლო 100 კმ/სთ სიჩქარეს 8,3 წმ-ში ავითარებს.

Audi A6 Avant-ის ყველა მოდიფიკაცია 6-საფეხურიანი გადაცემათა კოლოფითაა აღჭურვილი. გამონაკლისს 8-ცილინდრიანი ძრავათი აღჭურვილი ვერსია წარმოადგენს, რომელსაც უახლესი მოდელის – Tiptronic-ის კოლოფი ახლავს თან. ავტომატურ გადაცემათა კოლოფს მომხმარებლებს ოპციის სახით შესთავაზებენ.

მანქანის სერიულ კომპლექტაციაში შედის: კლიმატ-კონტროლი, აუდიოსისტემა, წვიმის სენსორი, დგომისთვის გათვალისწინებული ელექტრონული მუხრუჭი, უსაფრთხოების 6 ბალიში. გერმანიაში ახალი „ავანტის“ ფასები 35.700 ევროსა (Audi A6 Avant 2.4) და 62.800 ევროს (A6 Avant 4.2 Quattro) შორის მერყეობს. ■

# Laguna ახალ ლაიკაზებს

ფრანგული კონცერნია „რენო“, მოდელის – Laguna II რესტაილინგს უშვებს. ცვლილებები ძირითადად, ძარასა და ელექტრონიკას შეეხო. სტილისტურად განახლებული „ლაგუნა“ ორ სხვა მოდელს – „მეგანსა“ და „მოდუსს“ მიუახლოვდა. გაუმჯობესებულია მანქანის შუქტექნიკა: დამკვეთის სურვილით, შესაძლებელია, მას თან დაერთოს „ჭკვიანი“ მაშუქები, რომლებიც მოძრაობისდა მიხედვით ბრუნავს. არ შეცვლილა მანქანის ძრავათა გამა. ყველაზე მოწინავე ვერსია – Laguna GT – 204 ცხ.ძ. სიმძლავრის 16-სარქვლიანი აგრეგატითაა აღჭურვილი.

ამ მოდელის გამოშვება 2006 წლამდე გაგრძელდება. შემდეგ, სერიულ წარმოებაში მესამე თაობის „ლაგუნას“ ჩაუშვებენ. Laguna III იმავე პლატფორმაზე აიგება, რომელსაც ახალი Nissan Primera ეფუძნება. ამგვარად, ფრანგი და იაპონელი ავტომწარმოებლები სტრატეგიულ ალიანსს ქმნიან. ■



# Mitsubishi საფრანგეთს ეხმარება



იაპონური კომპანია ყველგანმავლის – Outlander – განახლებული ვარიანტის წარმოებას იწყებს. ამ ავტომობილის ყველაზე მოწინავე ვერსია – Turbo – 4-ცილინდრიანი (202 ცხ.ძ.), ტურბოდაბერვიანი ბენზინის ძრავათია აღჭურვილი. მისი მაქსიმალური სიჩქარე 220 კმ/სთ-ია, ხოლო 100 კმ/სთ სიჩქარეს 7,7 წმ-ში ავითარებს. სალონი ნატურალური ტყავითაა გაწყობილი, გამჭვირვალე ლიუკი ელექტროამძრავით, ხოლო წინა ბამპერები – მაშუქების „მრეცხავებითაა“ აღჭურვილი.

Outlander-ის ყველაზე უბრალო ვერსია არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივი წინაამძრავიანი ავტომობილისგან. ის 2-ლიტრიანი ბენზინის ძრავათია აღჭურვილი, რომლის სიმძლავრე 136 ცხ.ძ-ს შეადგენს. ევროპულ ბაზარზე მისი ფასი 21.490 ევროს აღწევს, Turbo-სი კი – 9 ათასით ძვირია. როგორც ვარაუდობენ, ეს მოდელი შესაძლოა, მალე „მიცუბიშისა“ და ფრანგული ავტომწარმოებელი ჯგუფის – PSA („პეჟო–სიტროენი“) კოოპერაციის საფუძვლად იქცეს: ფრანგები, რომლებსაც არა აქვთ ყველგანმავალი, იაპონურ პლატფორმაზე საკუთარი მოდელის გამოშვებასა და „პეჟოს“ მარკით მის რეალიზაციას აპირებენ. ერთობლივი, ფრანგულ-იაპონური პროექტის საფუძვლად ალბათ, კომპაქტური ყველგანმავალი – Mitsubishi Outlander/Airtrek იქცევა, რომლის პრემიერა წლეულს იანვარში, ტოკიოში შედგა. ■



**„როცა რაიმეს ახალს ვქმნი, ვერ ვყიდი — მენანება. საერთოდ, ამას არაპროფესიონალიზმს მიაწერენ, მაგრამ მე არ ვთვლი, რომ ეს არაპროფესიონალიზმია“ — ამბობს გრეგორი (ჯიჯი) რეჯინი, რომელიც ირწმუნება — არა მხოლოდ სამოსის, არამედ ფეხსაცმლის, მაკიაჟის, ვარცხნილობისა და საერთოდ, ადამიანის გარეგნობის ყველა სხვა კომპონენტის შექმნის პრეტენზია მაქვს, რადგან ყოველივე ამას, ერთ მთლიანობაში აღქმა ესაჭიროებაო. მიუხედავად იმისა, რომ თბილისში საქმიანობა კომერციულად წამგებიანი, მას მაინც ბევრი პროექტის სწორედ აქ განხორციელება განუზრახავს. თუ რატომ — ამის შესახებ თავად გვეტყვის.**

# რას აჩვევენ ხალხს თბილისელი დიზაინერები და რა იქნება მოდაში გაზაფხული-ზაფხულის სეზონში

*ნათია ქივიძე*

— **ჯიჯი, მოდი, თავდაპირველად შენს წარმომავლობაზე გვიამბე...**

— დედა მყავს სომეხი, ხოლო მამა — იტალიელი. დედა წარმომავლობით სოხუმიდან იყო, თუმცა, მთელი ბავშვობის წლები მოსკოვში გავატარე. მხოლოდ ერთხელ ვიყავი იტალიაში. მაშინ ალბათ, 6 წლის ვიქნებოდი და იქ ერთი წლის განმავლობაში ვცხოვრობდით. მაგრამ ეს ქვეყანა საერთოდ არ მახსოვს, როგორია. თბილისში პირველად, 1982 წელს ჩამოვედი, აქ ნათესავები მყავდა. სხვათა შორის, დღემდე ვერ ვისწავლე მშობლიური ენა...

— **როგორც ვხედავ, ქართულად საკმაოდ კარგად ლაპარაკობ...**

— არც ქართული ვიცი კარგად, ხშირად „ვიჭედები“. მეცხრე კლასში რომ ვიყავი, მაშინ, ოჯახური პირობების გამო, ერთი წელი აქ ვცხოვრობდი, მაგრამ ვერც მაშინ ვისწავლე კარგად. მოსკოვში რომ დავბრუნდი, უკვე გადაწყვეტილი მქონდა, რომ საქართველოში უნდა მეცხოვრა და მაშინ ვიარე რეპეტიტორებთან, რომლებმაც ეს ენა შემასწავლეს.

— **როდის დაინტერესდი ფოტოხელოვნებით, საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, თუ ჯერ კიდევ მოსკოვში ყოფნისას?**

— ფოტოხელოვნის პროფესია შესწავლილი არა მაქვს, მე პროფესიით იმიჯმეიკერი ვარ, რასაც მოსკოვში დავეუფლე. ვარ იმიჯმეიკერი არა მხოლოდ სამოსის, არამედ ფეხსაცმლის, მაკიაჟის, ვარცხნილობის და ა.შ. მოკლედ, ერთ მთლიანობას ვქმნი. ფოტოხელოვნების მხოლოდ ერთთვიანი პრაქტიკა მაქვს გავლილი. ერთი სიტყვით, ეს პროფესია მომწონს და ამიტომაც გადავწყვიტე, დავუფლებოდი მას. მყავს მოსწავლეები, რომლებსაც ვეუბნები, რა როგორ უნდა გააკეთონ. მთელ ვიზაჟს წინასწარ ვხატავ ფურცელზე, რათა ყველა დეტალი კარგად იყოს გათვლილი და ერთი მთლიანი სინთეზი შეიქმნას. თუმცა, სიმართლე გითხრა, ამას უმეტეს შემთხვევაში, თავად ვაკეთებ, რადგან მიყვარს ეს საქმე. საერთოდ, ვხატავ კიდეც, მოსკოვში გამოფენაც მქონდა მოწ-

# ნელი ბიჩიკაშვილი: ქალი სიყვარულით უნდა გათხოვდეს და არა ჯადოებით!



**ნათელმხილველი ნელი ბიჩიკაშვილს მომავლის წინასწარჭვრეტის ნიჭი ბებიისგან მემკვიდრეობით გადაეცა. მას უამრავი ადამიანი ემადლიერება. როცა რაიმე პრობლემა აქვთ გადასაწყვეტი, მაშინვე ნელისთან მიდიან. ბიზნესმენები მისი რჩევის გარეშე ახალ საქმეს არ იწყებენ. ნათელხილვის უნიკალური ნიჭის წყალობითა და შელოცვებით, მან ბევრი ოჯახი გადაარჩინა მოსალოდნელ უსიამოვნებას. ნელისთან ხალხი რაიონებიდანაც ჩამოდის.**

— **ჯადოს, ძირითადად, ქალები უკეთებენ საყვარელ მამაკაცებს, თუმცა ამ ბოლო დროს, კაცებიც მიდიან ხოლმე მჩხიბავებთან დახმარების სათხოვნელად...**

— მართალს ამბობთ, ზოგიერთი მამაკაცი კონკურენტის გზიდან ჩამოსაშორებლად ან არასასურველი პიროვნების თავიდან მოსაცილებლად, ჯადოს უკვეთს მჩხიბავს. გარდა ამისა, ისინი მდიდარ საცოლეებზეც ნადირობენ და სასიყვარულო ჯადოებით უბნევენ თავგზას.

— **კი მაგრამ, ჯადოს გაკეთება ხომ დიდი ცოდვაა?**

— ნამდვილად მძიმე დანაშაულია, შთამომავლებზეც გადადის. წინაპრის მიერ ჩადენილ ცოდვაზე, ჯადოს გამკეთებლის თორმეტი თაობა აგებს პასუხს. განსაკუთრებით ქალები მინდა გავაფრთხილო... ოჯახი სიყვარულით უნდა შექმნან და არა ჯადოებით. ამას წინათ, ჩემთან მოვიდა ქალბატონი, რომელმაც თავისი რძალი ტყუილში გამოიჭირა.

— **რა დაუმალა დედამთილს?**

— ერთი კვირის გათხოვილი იყო, როცა მეუღლეს უთხრა, მენოციკლი შემიწყდაო. დედამთილმა რძალი ექიმთან წაიყვანა და, თქვენ წარმოიდგინეთ, პატარძალი თვე-ნახევრის ფეხმძიმე აღმოჩნდა. ისედაც ძალიან შეუფერებელი წყვილია. ქმარი ცოლს ათასჯერ სჯობია. ბიჭის მშობლები ამ ქორწინების წინააღმდეგი იყვნენ, მაგრამ მათმა შვილმა თავი გაიგიჟა, მიყვარს და უნდა შევირთოო. რას იზამდნენ, მის სურვილს წინ ვერ აღუდგნენ, მაგრამ როცა ტყუილი გამოაშკარავდა, ბუნებრივია, რძალს ბრძოლა გამოუცხადეს.

— **იქნებ ქმარმა იცოდა, რომ ქალიშვილი არ იყო?**

— არა, ბიჭს ქალიშვილი ეგონა... როგორც გაირკვა, საქალწულე აპკი ქორწილის წინ გაიკერა. მიუხედავად იმისა, რომ ქმარმა სიმართლე გაიგო, მაინც ცოლის მხარე დაიჭირა და მოსიყვარულე შვილი მშობლებს დაუპირისპირდა, რაც დედისთვის სრულიად მოულოდნელი იყო. ქალს ეჭვი შეეპარა, ჯადო ხომ არ გაუკეთაო და ჩემთან სწორედ ამის გასარკვევად მოვიდა.

— **გამართლდა დედამთილის ეჭვი?**

— დიახ, სამწუხაროდ, დედამთილი მართალი აღმოჩნდა. რძალს მისი შვილი ისე ჰყავდა გამოთაყვანებული სასიყვარულო ჯადოებით, რომ სიტუაციის რეალურად შეფასების უნარი დაკარგული ჰქონდა. აბა, რომელი ქმარი მოითმენდა ამდენ ტყუილს — ქალიშვილი არ იყო და სხვის ბავშვს აჩენდა. როცა გამოვულოცეთ, აზრზე მოვიდა, მშობლებისკენ შემობრუნდა და მატყუარა ცოლსაც მაშინვე გაეყარა.

*P.S. დარეკეთ და წინასწარ ჩაეწერეთ! ქალბატონი ნელის მისამართია: წერეთლის №12, (მეტრო „წერეთლის“ გვერდით), II სადარბაზო, II სართული, ბინა №24; საკონტაქტო ტელეფონებია: 35.29.72; 899.20.37.64; 893.30.65.51.* R

# ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

## ეორჩა დვალიშ

### იცით თუ არა

1. სფინქსი კატის უბეწვო ჯიშია.

2. დათო შევარდნაძე პროფესიით ბოტანიკოსია.



3. თავისუფლების ქანდაკება 225 ტონას იწონის.

4. შეხვეტილა სოფელია თეთრიწყაროს რაიონში.

5. ნაომი კემპბელი დიდ ბრიტანეთშია დაბადებული.

6. ფუტკრის შხამით მკურნალობას აპითერაპია ჰქვია.

7. ზურაბ წერეთელი იუნესკოს კეთილი ნების ელჩია.

8. ალექსანდრე ყაზბეგმა ლეკურის ცეკვა იცოდა საუცხოოდ.

9. ოტო ბისმარკი ერთი პერიოდი ელჩად მუშაობდა რუსეთში.

10. სხეულის მთელი ენერგიის ერთ მეხუთედს ტვინი მოიხმარს.

11. გენადი ხაზანოვს კულინარიული ტექნიკუმი აქვს დამთავრებული.

12. ათა თურქი თურქეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი იყო.

13. ჰოლანდია მეორე მსოფლიო ომის დროს კანადის ჯარებმა გაათავისუფლეს.

14. მაჩადო და ლინკი ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების ასტროლოგები არიან.

15. „უკუნეთია, ჰოო, ჰოო, უკუნეთია!“ — დაიყვირა სიკვდილის წინ მოპასანმა.

16. რომის პაპის, იოანე-პავლე II-ის კუბო კვიპაროსის ხისგან იყო დამზადებული.

17. „მშვიდობით, მეგობრებო,“ — მიმართა სიკვდილის წინ პუშკინმა საკუთარ წიგნებს.

18. ნაღმმტყორცნი „ბაზუკა“ ამერიკელებმა პირველად 1943 წელს ტუნისში გამოიყენეს.

19. „შრომას თავისი დრო აქვს, სიყვარულს — თავისი, დანარჩენს მოევლება,“ — ამბობდა კოკო შანელი.

20. „შეჩერდი, უფსკრული, რომელშიც მაგდებ, შენს სულშია,“ — უთხრა სიკვდილის წინ სფინქსმა ოიდიპოს მეფეს.

21. ოტო ფონ ბისმარკი, თომას ჯეფერსონი, ადოლფ ჰიტლერი, ნიკიტა ხრუშჩოვი, ეკატერინე მედიჩი, ზვიად გამსახურდია, ჰელმუტ კოლი, ჰანს დიტრიხ გენშერი, კარლოს დიდი, ვიქტორ ჩერნომირდინი, ჯოჰარ დუდაევი, გენერალი ალექსანდრე ლებედი, ივლიანე ხაინდრავა, ბესო ჯუღელი, ვახტანგ ბოჭორიშვილი, დავით გამყრელიძე, გოგი





ყობილი, მაგრამ მხატვრობაში რატომღაც სრულად ვერ ვიხსნები, ისე კარგად ვერ ვამბობ ჩემს სათქმელს, როგორც ამას ფოტოებით ვახერხებ. ახლა, გამოფენასთან ერთად, მოდების ჩვენებასაც ვამზადებ, რომელიც სავარაუდოდ, დეკემბერში გაიმართება. მაგრამ ეს არ იქნება გრანდიოზული ჩვენება, რადგან ასეთ ჩვენებებს საკმაოდ დიდი თანხა ესაჭიროება. საერთოდ, ჩვენება ჩემთვის კომერციული არ არის, რადგან მე ბიზნესმენი არა ვარ. არც ადამიანთა იმ კატეგორიას განვეკუთვნები, რომლებიც წინასწარ ფიქრობენ, თუ რა ფერის სამოსი უფრო გაიყიდება, ეცნობიან ჯერ ერთი დიზაინერის ჩვენებას, მერე — მეორის და მერე მათთან შეჯიბრებას ცდილობენ...

**— ვიდრე სამოსზე გადავიდოდეთ, მოდი, შენს პირველ ფოტოპროექტზე მოგვიყევი.**

— წინა პროექტი თბილისში ჩემს ჩამოსვლას და დამკვიდრებას უკავშირდებოდა. ეს გამოფენა იმისთვის გავაკეთე, რომ ამ ფორმით ჩემი სალონის პრეზენტაცია გამემართა... იცი, რა ცუდი ჩვევა მაქვს?.. როცა რაიმეს ახალს ვქმნი, ვერ ვყიდი — მენანება. საერთოდ, ამას არაპროფესიონალიზმს მიაწერენ, მაგრამ მე არ ვთვლი, რომ ეს არაპროფესიონალიზმია: თითოეული ჩემ მიერ შექმნილი მოდელი თუ ფოტო ჩემი გულიდან მოდის, ეს ჩემ მიერ ნათქვამი სიტყვაა და ხომ გამორიცხულია, რომ შენი სიტყვები და აზრები გაყიდო!.. პირველ პროექტში აქცენტი პორტრეტზე გავაკეთე, რადგან მასში ადამიანის სახე კარგად ჩანს; მისი თვალები ვერ მოგატყუებს. ამ პროექტში კრისტი ყიფშიძის ფოტოებიც არის... ჩემთან ერთად მუშაობს არაჩვეულებრივი ფოტოგრაფი — თამრი გონჯილაშვილი, რომელიც სრულიად შემთხვევით ვიპოვე. რაც შეეხება მეორე პროექტს, რომელზეც ახლა ვმუშაობ, მასაც როგორც კომერციულს ისე ვუდგები, რადგან ჩემი სტუდიის პრეზენტაციას უკავშირდება. ეს იქნება სტუდია, სადაც გადავიღებთ კარგ ფოტოებს — როგორც სარეკლამოს, ასევე სახასიათოს.

**— მერე, როგორ ფიქრობ, ასეთი სტუდია თბილისში იმუშავებს?**

— არა...



**— აბა, რატომ აკეთებ?**

— ხშირ-ხშირად გავაკეთებ გამოფენას — ეს ხომ სახალისო და სასიამოვნო იქნება!..

**— კი, მაგრამ თუ ეს ყველაფერი აქ მომგებიანი არ იქნება, მაშინ რატომ ხარ თბილისში?**

— ალბათ ამბიციური ვარ, თუმცა მეგობრები ყოველთვის იმის გამო მეჩხუბებიან — ზედმეტად თავმდაბალი ხარო. მოსკოვში იყო კომერციაც და საკმაოდ დიდი ჰონორარებიც, მაგრამ მე იქ რიგითი ფოტოხელოვანი ვიყავი. არ ვამბობ, რომ აქ პირველი და ყველაზე მაგარი ვარ, მაგრამ... მიუხედავად იმისა, რომ არა მაქვს სპეციალური სტუდია, დაკვეთები ახლაც მაქვს. მაგრამ ახლა ყველაფრის დაქირავება მიწევს, ფაქტობრივად, ქუჩაში ვმუშაობ. სტუდიის გახსნის შემდეგ კი, ყველა ეს პრობლემა მოგვარდება.

**— მოდი, ამ ახალ პროექტზე უფრო დაწვრილებით მომიყევი. როგორც ცნობილია, მასში ბევრი ცნობილი ქართველი ქალი მონაწილეობს. ვინ არიან ისინი და ვის ხედავ მათში?**

— ჯერ ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის, თუ ვინ მიიღებს მონაწილეობას, ყველასთვის არც კი შემითავაზებია. ეჭვი მაქვს, რომ ჩვენი მენტალიტეტიდან გამომდინარე, ყველა მათგანი არც დამთანხმდება გადაღებაზე. თუ ისინი უარს მეტყვიან, ეს იმას ნიშნავს, რომ მათ რისკის ეშინიათ... რადგან კატოს სურათები აქ გვაქვს, საუბარი მისით დავიწყოთ. ის განასახიერებს 60-იანი წლების ძალზე ლამაზ მოდელ ქალს (რომლის სახელი და გვარიც სამწუხაროდ, არ მახსოვს). თიკო სადუნიშვილს ვფიქრობ, მერილინ მონროს როლში გადავიღებ — ვნახოთ, რა გამოვა. რაც შეეხება სხვა მსახიობ ქალებს, ძალიან მინდა, ნინო ლეჟავას და ლიკა ქავჟარაძის გადაღება. ნინო იქნება ნიუ-იორკელი გოგო — გაჩეჩილი თმით, დიდი ბოტებით, მოკლე მინიქვედაბოლოთი და დაღლილი, ჩაშავებული თვალებით. ეს ფოტო გადაღებული იქნება ქუჩაში, სადაც იქნება კვამლი, ნაგავი და იქვე — ლუდის ბარი. რაც შეეხება ლიკა ქავჟარაძეს, მინდა, რომ კლასიკურად გადავიღო: ის 20-იანი წლების არისტოკრატი, ულამაზესი ქალბატონი იქნება.

**— მოდი, ახლა შენს დიზაინერობას დავუბრუნდეთ. როგორ ფიქრობ — საქართველოში არსებობს მოდის ბიზნესი?**

— როგორ იქნება აქ კარგი დონის მოდა, როცა დღეს საქართველოში ჩემსავით, სხვაც არ აწყობს ჩვენებებს მხოლოდ იმიტომ,

რომ რაღაც გაყიდოს?.. მე მგონი, თბილისში ახლა 2 დიზაინერია, რომელიც კვირაში ერთხელ აწყობს ჩვენებას. არ მინდა მათი გვარები დავასახელო, მაგრამ დღემდე ვერ გამირკვევია, დიზაინერები ამ ჩვენებებით ხალხს რას აჩვენებენ — ხარისხს, ახალ სიტყვას თუ რაიმე სხვას. სამჯერ ვიყავი ჩვენებაზე და მაინც ვერაფერი გავარკვიე. ჩავთვალე, რომ ჯობია, ჩვენი მოდა იყოს მკვდარი — არადა, საერთოდ, ასე სულაც არ ვფიქრობ... ავთო ცქვიტინიძემ იმდენი ქნა, რომ საზღვარგარეთის ბაზარზე გავიდა. ეს ძალიან მახარებს. რატომ არის მოდა მკვდარი? რადგან ჩვენებები არ კეთდება?.. ეს დაუფინანსებლობის ბრალია. მე კი სულელი ვარ, რომ ყველაფერს ვაკეთებ, რადგან ჯერ ისევ ვხალისობ... თბილისში 3 სამოდელო სააგენტოა, რომელიც ძალზე ცნობილია, მაგრამ სამწუხაროდ, რეალიზაცია არც ერთს არა აქვს. ავთო და მაკა ასათიანი მოსკოვში წავიდნენ და ფაქტობრივად, სულ 3 დიზაინერი დაგვრჩა: გვანცა ჯანაშია, სალომე ტყაბლაძე და თამუნა ინგოროყვა.

**— მოდაში ახლა გაზაფხული-ზაფხულის მოდას შევეხოთ. რა იქნება ამ სეზონში მოდაში?**

— ახლა რატომღაც საშინელი სიჭრელე შემოვიდა — ისეთი, როგორიც მე არ მომწონს. ჭრელი რაღაცის ჩაცმა კი შეიძლება, მაგრამ ვთქვათ, თუ ჭრელი ქვედაბოლო გაცვია, მაისური ერთი ფერის უნდა იყოს. ქართველებმა ეს ისე გაიგეს, რომ ფეხსაცმლიდან დაწყებული, თმის ფერით დამთავრებული — ყველაფერი ჭრელი აქვთ... ამის მიზეზი რომ ვიკითხე, მიპასუხეს — მამლის წლის ბრალიაო. მაიმუნის წელი რომ იყოს, ყველამ დაჭყანულებმა და კუდგამობმულებმა უნდა ვიაროთ?.. შავი ფერი წელს, კატეგორიულად მიუღებელია, მაგრამ მე მაინც ჩავიცვამ შავს, რადგან ძალიან მიხდება და თავს კომფორტულად ვგრძნობ. მოდაში ის არის, რაც გიხდება. მოდაში ფერი კი არა, სილუეტია მთავარი. მაგალითად, წელს არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩავიცვათ წელში გამოყვანილი სამოსი, თავისუფალი სტილი უნდა ვამჯობინოთ. ასევე ძალიან მოდაშია ბოტები, ფართო ქვედაბოლოები და ა.შ. მოკლედ, პროვინციელი გოგოს სტილში უნდა შეიმოსოთ. თმა, რაც შეიძლება, გაჩეჩილი უნდა გქონდეთ. რატომღაც ასეთი ტენდენციაა — წელს ფერებში დომინირებს: იასამნისფერი, ვარდისფერი, ცისფერი, წითელი. ლიმონისფერი ხომ „მოდის კივილია"!.. მიდიბოლოც არ არის მიზანშეწონილი, წელს გრძელი კაბები უნდა ჩაიცვათ.

**— რაც შეეხება მაკიაჟს — როგორ უნდა შევიღებოთ?**

— თვალში საცემი მაკიაჟი მოდაში აღარ არის, არავითარ შემთხვევაში! განსაკუთრებით — „გოიმურია" „ზაგარი".



უნდა გქონდეთ კანის ბუნებრივი ფერი. თვალზე წაისვით მხოლოდ ტუში, ხოლო ტუჩებზე — მშრალი პომადა ან უფერო „ბლესკი" წაიცხეთ. მანიკიურიც უფეროა მოდაში ან — წითელი.

**— ფეხსაცმელი როგორი უნდა ჩავიცვათ?**

— ფეხსაცმელი, ხის, „ტანკეტკა" ძირზე უნდა იყოს. საერთოდ კი, დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა — წელს მთელი თბილისი ბოტებით ივლის და მათ შორის — მეც, რადგან მასში თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. მოკლედ, დახურული ფეხსაცმელია მოდაში. თუმცა, ქოშსა და სანდლებს ხალხი ისევ ჩაიცვამს. პირადად მე, „ტანკეტკა" ფეხსაცმელი არ მომწონს, რადგან ძალიან ბევრ ქალს არ უხდება ასეთი ფეხსაცმელი. ასევე ვერ ვიტან ღია ფეხსაცმელს, მაგრამ მაინც იქნება მოდაში, მძივებით გაფორმებული სანდლები.

**— თავსაბურავებზე რას იტყვი?**

— კეპის დრო უკვე წავიდა. დანარჩენი, ყველანაირი ქუდი იქნება მოდაში, მათ შორის — ბადედ ნაქსოვი და მძივებით გაფორმებული. ასევე ძალზე მოდაშია თავზე წაკრული თავსაფრები. აქსესუარებს რაც შეეხება — ჩანთა აუცილებლად, ან ძალზე დიდი უნდა იყოს, ან — ძალზე პატარა, ე.წ. რედიკიული; საშუალო ზომის ჩანთები მოდაში აღარ არის. წელს არ არის მიზანშეწონილი აგრეთვე, ქამრები.

**— ვთქვათ, მივდივარ ძალზე სოლიდურ საღამოზე. რას ჩამაცმევდი?**

— საერთოდ, ჩაცმულობისთვის, ადამიანის კანის ფერსა და ინდივიდუალურ სტილს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. შენ წითელი ფერი მოგიხდება. ჩაგაცმევ წითელი ფერის, კისერზე „ჩამოდებულ", ოდნავ წელში გამოყვანილ, ქვემოთ კი — გაშლილ კაბას, რომლის შიგნიდანაც აუცილებლად გამოგიჩნდება შავი ბიუსტჰალტერი. ხელებზე გექნება ამავე ნაჭრის ჩაჩები. ფეხზე ჩაგაცმევ შავით წითელში გაფორმებულ, მრგვალცხვირიან ფეხსაცმელს, რომლის ქუსლის სიმაღლეც 11 სანტიმეტრი იქნება. თმას გაგისწორებ და უკან შეგიკრავ. თვალებზე აუცილებლად შავ ჩრდილებს გაგიკეთებ, ტუჩებს კი, წითელი კონტურით დაგიმუშავებ, ზემოდან კი უფერო, პრიალა „ბლესკს" წაგისვამ. ხელში აუცილებლად შავი რედიკიული გეჭირება. დამერწმუნე, მაგარი ქალი იქნები... ■



## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

### გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

თოფაძე, ლავრენტი ბერია, რენე დეკარტი, რუდოლფ დიზელი, უილიამ კრაისლერი, უილიამ რენტგენი, აკაკი ბაქრაძე, ჰანს ქრისტიან ანდერსენი, შარლ ბოდლერი, ემილ ზოლა, ანატოლი ფრანსი, თომას მანი, მაინ რიდი, ნიკოლოზ გოგოლი, მაქსიმ გორკი, ტიციან ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი, ბელა ახმადულინა, კორნეი ჩუკოვსკი, მუხრან მაჭავარიანი, რაფაელი, ფრანსისკო გოია, ვინსენტ ვან გოგი, იოჰან სებასტიან ბახი, იოზეფ ჰაიდნი, არტურო ტოსკანინი, სერგეი რახმანინოვი, მსტისლავ როსტროპოვიჩი, ჯორჯ ბენსონი, დაიანა როსი, ელტონ ჯონი, ერიკ კლაპტონი, ალა პუგაჩოვა, მერაია ქერი, ალექსანდრე ბუინოვი, ეკა კვალიაშვილი, ოთარ ტატიშვილი, ლაიმა ვაიკულე, ეკა მამალაძე, მარლონ ბრანდო, სიმონა სინიორე, ჩარლი ჩაპლინი, ედი მერფი, ომარ შარიფი, კლაუდია კარდინალე, ჟან პოლ ბელმონდო, გრეგორი პეკი, ჯესიკა ლანჟი, სანდრო ახმეტელი, აკაკი ხორავა, აკირო კუროსავა, ფრენსის ფორდ კოპოლა, ალექსანდრე ტარკოვსკი, ინოკენტი სმოკტუნოვსკი, მაიკლ იორკი, სტივენ სიგალი, კრისტოფერ ლამბერტი, ელგუჯა ბურდული, კარლო საკანდელიძე, გარი კასპაროვი, რუდი ფიოლერი, ლოთარ მათეუსი, დანიელ პასარელა, ალექსანდრე ჩივაძე, მანუჩარ მაჩაიძე, გიორგი კანდელაკი, ელდარ კურტანიძე და ჯაკომო კაზანოვა ვერძის ზოდიაქოს ნიშნით არიან დაბადებულები.

22. „ჟირინოვსკი ძუყნეს", — სიამოვნებისგან ხელებს იფშვნეტდა დათო გოგიჩაიშვილი.



23. „ჩარკვიანი ღმერთს უყვარდა, კარზე შემოესმა რეკა, შემოვიდა ბურდული და ბასგიტარა თავში რეკა," — მღეროდა საკუთარ შოუში გუდა-სტვირის აკომპანემენტით ნიკა ქავთარაძე.

24. ზიგმუნდ ფროიდი კოკაინის სამკურნალო თვისებებს იკვლევდა და ამ ნარკოტიკის აქტიური მომხმარებელი გახლდათ. კოკაინის მცირე დოზებს იგი საცოლესაც უგზავნიდა.

25. „ფეხბურთი ინგლისში დაიბადა, ბრაზილიაში გაიზარდა და საბჭოთა კავშირში გარდაიცვალა," — ოხრავს ლევან ბერძენიშვილი.

# ადამიანი ენერგიას ჩაკრების საშუალებით იღებს

ადამიანის ორგანიზმი, როგორც კოსმოსის შემადგენელი ნაწილი, მუდმივ ენერგეტიკულ კავშირშია სამყაროსთან. მასზე გამუდმებით მოქმედებს მძლავრი ენერგეტიკული ნაკადები. ამასთანავე, ნებისმიერი ფიზიკური სხეული ფლობს საკუთარ ენერგეტიკასაც, რომელიც ასევე შეიძლება გაიფანტოს გარემოში. ყველა ადამიანს შესწევს, როგორც ენერგიის გაცემის, ისე მიღება-გადამუშავების უნარი. კოსმოსიდან მიღებული ენერგია ორგანიზმის მოთხოვნილებების შესაბამისად, ექვემდებარება გადამუშავებას (მსგავსად საკვებისა, რომელიც გადამუშავდება საჭმლის მომნელებელ სისტემაში). ენერგია გროვდება და ტრანსფორმირდება განსაკუთრებულ ენერგეტიკულ ცენტრებში. ამ ენერგეტიკულ ცენტრებს ჩაკრებს უწოდებენ (ჩაკრა სანსკრიტზე ბორბალს ნიშნავს). ადამიანს ასევე აკრავს ელექტრომაგნიტური ბიოველი — ანუ აურა. ეს თვალისთვის უხილავი სულიერი ენერგიის შადრევნებია. შეიძლება ითქვას, რომ ჩაკრები მნიშვნელოვანი ნერვული ცენტრების ან შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების „ეთერულ ორეულებს“ წარმოადგენენ. ისინი ხერხემლის გასწვრივაა განთავსებული და სულ შვიდია. თითოეული ჩაკრა ენერგიას გადაამუშავებს ბიოდენებად, განსაზღვრული სიგრძის ტალღების სახით.




ადამიანებს, რომლებიც სასუნთქ ტექნიკას ფლობენ, შეუძლიათ, გააღვიძონ ენერგიის „მთვლემარე“ წყაროები. თითოეული ჩაკრა ადამიანის ქცევის სტილს თუ აზროვნების რომელიმე ასპექტს ასახავს და მის სიმბოლოს წარმოადგენს. ამგვარად, როდესაც ჩვენს სულსა და ჭეშმარიტ ბუნებას შორის არ არის ჰარმონია, ავადმყოფობა ან ნევროზული მოშლილობა გვემართება. ადამიანი, რომელიც სულიერი, ფსიქიკური და ფიზიკური „მეს“ სრულ ჰარმონიას მიაღწევს, სრულყოფილად შეიგრძნობს, თუ რაოდენ თავისუფლად, ყოველგვარი წინააღმდეგობების გარეშე მიედინება ენერგია ენერგეტიკულ ცენტრებში, ამას კი კეთილდღეობისა და ბუნებასთან ერთიანობის შეგრძნება მოაქვს.

როდესაც ადამიანს დახშული აქვს 3 ქვედა ჩაკრა, მისი ქცევა განსაკუთრებით დესტრუქციული ხდება. ეს ჩაკრები „თავის გატანის“ ძირითად მოთხოვნილებებს განაგებენ, ამიტომ ასეთ შემთხვევაში, ადამიანი, როგორც წესი, სექსუალური აშლილობით და თავაშვებულობით გამოირჩევა. ყოველი ჩაკრა ერთნაირად მნიშვნელოვანია. ქვედა ჩაკრები ზედა ჩაკრების დასაყრდენს წარმოადგენს. იმისათვის, რომ საკუთარი სექსუალური და სულიერი პოტენციალი მაქსიმუმამდე გაზარდო, ყოველი ჩაკრის დანიშნულების ზუსტი ცოდნაა საჭირო. ყოველი ჩაკრა ხასიათდება ვიბრაციის სიხშირითა და ფერით (ვიბრაციათა სიხშირე იზრდება ქვედა ჩაკრიდან ზედამდე), რომელიც რომელიმე კონკრეტულ ორგანოს ან ორგანიზმის რომელიმე სისტემას უკავშირდება და აქტივიზაციის დროს, გარკვეულ თვისებას თუ ადამიანის მოქმედებას ირეკლავს. ისინი ქვევიდან ზევით ასეა განლაგებული:

**I ჩაკრა (მულადხარა)** — ასტროლოგიაში დაკავშირებულია პლანეტა სატურნთან, მისი ვიბრაციის სიხშირე წითელ ფერს შეესაბამება. თვისებებით მიწის სტიქიას ენათესავება. განლაგებულია გავის არეში. ის პასუხისმგებელია სწორი ნაწლავის, ნაწილობრივ თირკმლის და ყნოსვის ფუნქციებზე, ასევე დაკავშირებულია ზურგის ტვინთან. უკავშირდება ორგანიზმიდან სითხის გამოყოფას, ინსტინქტებს, გამრავლებასა და ჩვევებს. მულადხარას ენერგია ყველაზე „უხეშია“. მისი გამოყენებით ადამიანი ასრულებს მძიმე ფიზიკურ, ერთფეროვან სამუშაოს, რასაც არ ესაჭიროება თავის ტვინის დახმარება. მისი დახშობა ან დასუსტება ხშირად, სექსუალურ უძლურებას იწვევს. გამოვლინდება ძვლების, კბილების, სწორი ნაწლავის, მცირე მენჯის ორგანოების დაავადებებით, ასევე — ჰემოროით, უნაყოფობითა და სულიერი დაავადებებით. ამ ჩაკრასთან დაკავშირებულია სიძუნწე, მომხვეჭელობა და ა.შ. გარდა ამისა, იწვევს მატერიალურ ობიექტებზე ძლიერ მიჯაჭვულობას. ადამიანი, რომელიც ამ ენერგეტიკული ცენტრის დონეზე რჩება, მეტისმეტადაა შეპყრობილი ქონების დაგროვებისკენ სწრაფვით, ამასთანავე, ტანჯავს დაუკმაყოფილებლობის გრძნობა და ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების მოსაგვარებლად, მთელ ენერგიას ხარჯავს. გამოირჩევა სიჯიუტით, გარშემომყოფების მიმართ საკუთარი თავისადმი მომეტებული ყურადღების მოთხოვნით, მოწყვეტილია რეალობას. როდესაც პირველი ჩაკრა გახსნილია, სრულიად საპირისპირო სურათს ვხედავთ: ადამიანი განსწავლულობით გამოირჩევა, საკუთარი პოზიციის მტკიცე არგუმენტირება შეუძლია. დარწმუნებულია ხვალინდელ დღეში და რეალურად აფასებს სიტუაციას.

**II ჩაკრა (სვადხისტანა)** — დაკავშირებულია იუპიტერთან და ნარინჯ-

გამოც იყო ცუდად, ალბათ, ვერ დაიჯერებდა, რომ ჯადო ჰქონდა გაკეთებული. მადლობა ღმერთს, გიამ დროზე მოიყვანა ჩემთან, თორემ შესაძლოა, სავალალო მდგომარეობაში აღმოჩენილიყო.

— **სახლიდან გაქცეული ქმრების დასაბრუნებლად ცოლები უკან არაფერზე იხევენ და ხშირად მიმართავენ მჩხიბავებს დახმარებისთვის, ზოგიერთები მოლასთანაც მიდიან...**

— სასოწარკვეთილი ქალები, სამწუხაროდ, ადვილად ცდებიან, რადგანაც არ იციან, რომ საყვარლის მიერ გაკეთებული ჯადოს მოხსნა მჩხიბავებისა და მოლების დახმარებით დიდი ცოდვაა, გარდა ამისა, ზოგიერთები სახლიდან წასული ქმრების დასაბრუნებლად თავად უკვეთენ ჯადოს. მაგიური ზემოქმედების განეიტრალება ღვთის შეწევნითა და ლოცვის ძალით უნდა მოხდეს. ყველას, ვინც ჯადოს მოხსნა სხვა გზებით სცადა, ან თავად შეუკვეთა მჩხიბავს თუ მოლას, ვურჩევ, დროულად აღიაროს თავისი დანაშაული და მოინანიოს.

— **ზოგს ეჩვენება ხოლმე, რომ მის ქმარს ჯადო აქვს გაკეთებული...**

— ხანდახან ჩემთან ზედმეტად ეჭვიანი ქალბატონებიც მოდიან. ჰგონიათ, რომ ქმარი ღალატობს, სათანადო ყურადღებას აღარ აქცევს, რადგანაც საყვარელმა ჯადო გაუკეთა... მე მათ პირველსავე შეხვედრაზე ვეუბნები სიმართლეს, სხვათა შორის, უამრავი ოჯახი გადავარჩინე დანგრევას. ჩემთან მკითხავების მიერ გაბრიყვებულებიც მოდიან. მარჩიელები ატყუებენ, ჯადო გაქვთ გაკეთებულიო. ბევრი შეშინებული ქალი დამიმშვიდებია, მაგრამ როცა მართლაა საჭირო ენერგეტიკული ზემოქმედება, დროულად უნდა შველა.

— **ბევრი გათვალული გყავთ „სამკურნალო"?**

— ზოგჯერ ავი თვალი ჯადოზე უარესია. თვალის მიერ გამოსხივებულ უარყოფით ენერგიას შეუძლია ბედის ჩაკეტვა, უსიამოვნების მოტანა, კარგად დაწყებული საქმის ჩაშლა, ადამიანის დასნეულება და ა.შ. განსაკუთრებით მოუნათლავ ბავშვებზე მოქმედებს ცუდად. ამიტომ ნათლავდნენ უწინ ახალშობილებს დაბადებისთანავე. სისტემატურად ატარეთ ჯვარი, რათა უწმინდური ვერ მოგერიოთ. ზოგიერთს იმდენად სუსტი აურა აქვს, რომ თვალს ადვილად იღებს, ითვალება და საქმეს თავს ვეღარ აბამს, წარმატებული ბიზნესმენები გაკოტრებამდე მიდიან.

— **თქვენზე ამბობენ, მოუნათლავებს არ იღებსო, მართალია?**

— დიახ, ასეა!.. ვინც ჯერ არ გაქრისტიანებულა, ვერ მივიღებ, როცა მოინათლებიან, დიდი სიამოვნებით ვილოცებ მათთვის.

— **რა სასჯელი ელის ჯადოს შემკვეთს?**

— თუ დროულად არ მოინანიებს, ღვთის რისხვა დაატყდება თავს. ყველას, ვინც თუნდაც ერთხელ ცდუნდა, ვურჩევ, ლოცვით შეიმსუბუქოს ცოდვით დამძიმებული სული, თორემ სასჯელს ვერც მისი შთამომავლები გადაურჩებიან.

— **ბინძური ენერგია თქვენზე არ გადმოდის?**

— რა თქმა უნდა, გადმოდის, მაგრამ ვიცი, როგორ გავანეიტრალო. ღვთის წყალობითა და შეწევნით უწმინდური ვერაფერს მაკლებს.

— **როგორ ხვდებით, თქვენთან მოსულ ადამიანს სხვისთვის ჯადო გაუკეთებია, თუ არა?**

— როცა მის აურაში შევდივარ, ყველაფერს ვგრძნობ, ასე რომ, ჯადოს შემკვეთი ვერაფერს დამიმალავს. ერთმა ქალბატონმა შემომჩივლა, სიძე სახლიდან გაგვექცა, ცოლ-შვილი მიატოვა და რამე წამალი მომეცი, უკან რომ დავაბრუნოთ, შვილიშვილები მეცოდებიანო. მივხვდი, ბოროტი ებრძოდა და გაჭირვების ჟამს მის ცდუნებას ცდილობდა. დავამშვიდე, ვურჩე, ავი განზრახვა თავიდან ამოეგდო, გამოვულოცე და ვუთხარი, თუ ის კაცი შენი შვილის ბედია, თავისი ფეხით მოვა სახლში. ჯადოს გაკეთება ძალიან დიდი ცოდვაა, არ ცდუნდე, მჩხიბავთან არ წახვიდე, თორემ შვილიშვილებს გააუბედურებმეთქი. რამდენიმე თვის შემდეგ, გახარებულმა დამირეკა და მადლობა გადამიხადა... მისი სიძე მაგიური ზემოქმედების გარეშე, ღვთის შეწევნითა და ლოცვის ძალით დაუბრუნდა ცოლ-შვილს. მჩხიბავთა მეცადინეობით არც გათხოვება შეიძლება და არც ცოლის შერთვა, ასეთი „ბედნიერება" დროებითია, წარმავალი.

— **ლოცვით ბედის გახსნა თუ შეგიძლიათ?**

— როცა ადამიანი წლების განმავლობაში ვერ ქმნის ოჯახს, აუცილებლად უნდა გაარკვიოს, მიზეზი მაგიური ზემოქმედებაა თუ არა. როცა დარწმუნდება, რომ ჯადო აქვს გაკეთებული და ბედი ვიღაცამ ხელოვნურად ჩაუკეტა, სიამოვნებით დავეხმარები. როგორც კი ლოცვებით მაგიური ზემოქმედება განეიტრალდება, ჩაკეტილი ბედიც გაიხსნება, ზოგიერთები 2-3 თვეში თხოვდებიან და ქორწინდებიან.

— **ლოცვა შეშინებულებსაც კურნავს?**

— დიახ, ამას წინათ, მშობლებმა მომიყვანეს გოგონა, რომელიც ისე იყო შეშინებული, დღისითაც ვერ ჩერდებოდა მარტო, ღამე კი სინათლეში ეძინა და ბებიას ოთახიდან არ უშვებდა.

— **რამ შეაშინა ბავშვი?**

— ღამღამობით ისეთ კოშმარულ სიზმრებს ხედავდა თურმე, რომ გაღვიძებული შიშისგან ძრწოდა. სამი შელოცვის მერე, გოგონას მშვიდი ძილი დაუბრუნდა.

— **რა სიმპტომები აღენიშნებათ სატანურ ძალთაგან შეპყრობილ ბავშვებს?**

— არაბუნებრივად აგრესიულები არიან, სადისტურ ბუნებას ავლენენ, უმიზეზოდ ღიზიანდებიან, არ ინდობენ ოჯახის წევრებს, ახლობლებსა და ამხანაგებს. შეუძლიათ ისეთი წყენა და ტკივილი მიაყენონ საყვარელ ადამიანს, რომ მერე თვითონვე ინანონ.

— **რატომ ერევათ ზოგჯერ ექიმებს ერთმანეთში შეპყრობილი და შეურაცხადი?**

— შიზოფრენიით დაავადებული და ავსულისგან შეპყრობილი, ხანდახან ერთნაირ სიმპტომებს ავლენენ, ამდენად სწორი დიაგნოზის დასმა, იოლი არ არის... ჩემთან მოვიდა ახალგაზრდა ქალი, რომელსაც სამი თვის განმავლობაში, ყოველღამე, ერთსა და იმავე დროს, შავებში ჩაცმული ქერა, ლამაზი მამაკაცი „აკითხავდა" — უცნაური სტუმარი დაკეტილ კარში შემოდიოდა, ქალს თითებზე ხელით ნაზად ეხებოდა და უჩინარდებოდა. საბრალო შიშით ვეღარ იძინებდა, ხილვებმა ძალიან შეცვალა. ბოლოს იქამდე მივიდა, რომ სახლში ჩაიკეტა, სამსახურშიც აღარ დადიოდა, მოსწყდა გარე სამყაროს, იტანჯებოდა, რადგანაც სიმართლეს ვერავის უმხელდა.

— **რატომ?**

— ეშინოდა, რომ ოჯახის წევრები ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დააწვენდნენ. ჩემი არსებობა ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციიდან შეიტყო და ისე მომძებნა. გულით მენდო, ირწმუნა, რომ ვუშველიდი და მართლაც, შვიდი ლოცვის შემდეგ ქალს ხილვები გაუქრა, აღარავინ მოსჩვენებია, მშვიდი ძილი დაუბრუნდა და ისევ სრულფასოვანი ადამიანი გახდა.

— **ქალბატონო დალი, დამცავ თილისმებსაც აკეთებთ?**

— ვაკეთებ, მაგრამ თუ ადამიანის აურა დაბინძურებულია, თილისმის ტარებას აზრი არა აქვს.

— **რატომ?**

— ჯერ ბიოველი უნდა გასუფთავდეს, თუ ადამიანი გამოლოცვილი არ არის, თილისმას ძალა ეკარგება. უპირველეს ყოვლისა, აურა უნდა გაიწმინდოს ბინძური ენერგიის ზემოქმედებისგან და მერე უნდა გაკეთდეს დამცავი თილისმა, რათა ბოროტ ძალთა გავლენისგან დაიფაროს ადამიანი და ხელი მოუმართოს მას ცხოვრებაში. ზოგიერთი პირდაპირ თილისმას ითხოვს, ლოცვებს საჭიროდ არ მიიჩნევს, არადა ჩვენი ხსნა ლოცვაშია, სხვა ვერაფერი გადაგვარჩენს.

*P.S. ქალბატონი დალი წინასწარი ჩაწერის გარეშე არავის იღებს! ჩაწერა ხდება ტელეფონით. დარეკეთ ყოველდღე, კვირის გარდა, დილის 9 საათიდან 16 საათამდე. საკონტაქტო ტელეფონებია: 96.79.00; 899.10.73.06; 893.95.24.39.*

R

# კვირის ასტროლოგიური პროგნოზი

(21 – 27 აპრილი)

## ვერძი – 21/III-20/IV

ამ კვირაში გარკვეულწილად დაგიქვეითდებათ სასიცოცხლო პოტენციალი, რაც პრობლემებს შეგიქმნით როგორც კარიერულ წინსვლასთან, ისე ჯანმრთელობასთან დაკავშირებით. გირჩევთ, საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობის დროს ზედმეტ ინიციატივას ნუ გამოიჩენთ (მათაც აცადეთ საუბარი და მოქმედება). ნუ გეგონებათ, რომ ყველაფერი თავის ადგილზე დგას. ურთიერთობები პოზიტიურია ლომსა და მშვილდოსანთან, ნეგატიური – თხის რქასა და თევზებთან. **პოზიტ. დღეები:** 21, 23, 25. **ნეგატ. დღეები:** 22, 26.

## კურო – 21/IV-21/V

იწყება თქვენთვის პოზიტიური პერიოდი და შეეცადეთ, ყველა პრობლემატური საკითხი ახლა გადაწყვიტოთ. მოსალოდნელია მიიღოთ ახალი შემოთავაზებები, რომლებიც სწორედ რომ დროული იქნება. გამოიჩინეთ ინიციატივა და ნუ დაელოდებით მოვლენების თავისით განვითარებას, შეეცადეთ, წინდაწინ განსაზღვროთ მომავალი მოქმედებები და მზად შეხვდეთ ნებისმიერ ახალ წინადადებას. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და თხის რქასთან, ნეგატიური – ლომსა და მერწყულთან. **პოზიტ. დღეები:** 22, 23, 24. **ნეგატ. დღეები:** 26, 27.

## მარჩბივი – 22/V-21/VI

კარიერული წინსვლა და პერსპექტიული პროექტები თქვენს აღმაფრენას გამოიწვევენ, იმდენად რამდენადაც, შეძლებთ თქვენთვის მომგებიანი პოზიციის დაკავებას. იგრძნობთ უჩინარი მფარველებისა და მეგობრების დახმარებას, ეს ყოველივე დადებითად აისახება თქვენს ემოციურ და მატერიალურ მდგომარეობაზე. თუმცა, მოგიწევთ ახლობელი ადამიანების დახმარება. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და მარჩბივთან, ნეგატიური – ქალწულსა და თხის რქასთან. **პოზიტ. დღეები:** 21,22, 27. **ნეგატ. დღეები:** 23, 25.

## კირჩხიბი – 22/VI-22/VII

მიმდინარე პერიოდში მოერიდეთ გადატვირთვას, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია, ჯანმრთელობა გაიუარესოთ. უნდა მოახერხოთ და თქვენი ენერგია თუ ფინანსები მოსაგვარებელ საქმეებზე რაციონალურად უნდა გადაანაწილოთ. შესაძლებელია დაღლილობა იგრძნოთ, ამიტომ, ნუ აიღებთ პასუხისმგებლობას მხოლოდ საკუთარ თავზე. ურთიერთობები პოზიტიურია ლომსა და მერწყულთან, ნეგატიური – კირჩხიბსა და თევზებთან. **პოზიტ. დღეები:** 23, 24, 25. **ნეგატ. დღეები:** 24, 26.

## ლომი – 23/VII-23/VIII

ამ კვირაში თქვენი დევიზი უნდა იყოს: „სჯობს ცოტა, მაგრამ ხარისხიანად“. ნუ მოინდომებთ იაფფასიან დიდებას, იყავით ჩრდილში და აკეთეთ პირველი კაცის საქმე. მოსალოდნელია მოგიხდეთ გონებრივი სამუშაოს შესრულება, ანალიზის გაკეთება და ანგარიში, ამიტომ ყურადღება მოიკრიბეთ, რათა მოსალოდნელ შეცდომებს თავი მაქსიმალურად აარიდოთ. ურთიერთობები პოზიტიურია ღრიანკალსა და მშვილდოსანთან, ნეგატიური – კუროსა და ლომთან. **პოზიტ. დღეები:** 22, 25, 26. **ნეგატ. დღეები:** 21, 27.

## ქალწული – 24/VIII-23/IX

ეს პერიოდი სასიკეთო იქნება სასიყვარულო-რომანტიკული ურთიერთობების დასასტაბილურებლად, განსაკუთრებით ჰარმონიული იქნება ძველ მეგობრებთან და პარტნიორებთან კონტაქტი. ამ პერიოდში შეეცადეთ, უფრო მეტად სხვას მოუსმინოთ, ვიდრე ისაუბროთ, ასე ნამდვილად შეძლებთ სასურველი მიზნის მიღწევას. ურთიერთობები პოზიტიურია კირჩხიბსა და თხის რქასთან, ნეგატიური – ქალწულსა და სასწორთან. **პოზიტ. დღეები:** 21, 22, 23. **ნეგატ. დღეები:** 25, 26.

## სასწორი – 24/IX-23/X

ამ კვირაში გაგიჩნდებათ სურვილი, გამოცადოთ საკუთარი თავი სარისკო მოქმედებებში. ადვილი შესაძლებელია, ავანტიურაზე კი წახვიდეთ. გახდებით აზარტულიც. გახსოვდეთ, რომ ეს ყველაფერი კარგს არაფერს მოგიტანთ. ყურადღებით მოუსმინეთ ახლობელ ადამიანთა რჩევა-დარიგებებს, ისინი ნამდვილად გამოგადგებათ. ურთიერთობები პოზიტიურია სასწორსა და თევზებთან, ნეგატიური – ღრიანკალთან. **პოზიტ. დღეები:** 23, 25, 27. **ნეგატ. დღეები:** 22, 24.

## ღრიანკალი – 24/X-22/XI

ნუ გაეხვევით ილუზიებში და ნუ იქნებით მხოლოდ სიტყვების იმედად. ჯობს ყველაფერს პრაქტიკულად შეხედოთ და ისე იმოქმედოთ. ამავე დროს მოგიწევთ, საკუთარი შესაძლებლობების რეალურად შეფასება. მოსალოდნელია სრულიად ახალი საქმის გაჩენა, რომლის დაწყებას თქვენი გონების კონცენტრაცია და ფიზიკური ძალების მობილიზება დასჭირდება. ურთიერთობები პოზიტიურია მარჩბივსა და ქალწულთან, ნეგატიური – ლომსა და თხის რქასთან. **პოზიტ. დღეები:** 21, 23, 24. **ნეგატ. დღეები:** 25, 26.

## მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ამ კვირაში საშუალება მოგეცემათ მეტნაკლებად წარმატებით განახორციელოთ თქვენთვის მნიშვნელოვანი ყველა პროექტი, გადაწყვიტოთ პრობლემატური საკითხები, მოიწესრიგოთ პირადი ცხოვრება. შეეცადეთ, სასწრაფოდ დაასრულოთ ყველა ის საქმე, რომელიც ბოლო ხანს წამოიწყეთ. აკონტროლეთ სიტუაცია როგორც სამსახურში, ისე საკუთარ ოჯახში, რათა გაუგებრობაში არ მოხვდეთ. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და ღრიანკალთან, ნეგატიური – კირჩხიბსა და მშვილდოსანთან. **პოზიტ. დღეები:** 23, 24, 26. **ნეგატ. დღეები:** 21, 22.

## თხის რქა – 22/XII-20/I

მზე კუროს ზოდიაქოში უკვე გადავიდა, ეს კი მეტად პოზიტიურ გარემოს შექმნის თქვენი წინსვლისთვის და საერთო მდგომარეობის გასამყარებლად. ეს ასევე გამოიწვევს თქვენს გააქტიურებას, შეგექმნებათ ბევრი სასარგებლო და მომგებიანი სიტუაცია, მნიშვნელოვნად მოიმატებს თქვენი შარმიანობაც, რაც თავის მხრივ თქვენი თაყვანისმცემლების გააქტიურებას შეუწყობს ხელს. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და ქალწულთან, ნეგატიური – მარჩბივსა და თევზებთან. **პოზიტ. დღეები:** 21, 22, 25. **ნეგატ. დღეები:** 23, 27.

## მერწყული – 21/I-19/II

გირჩევთ, ეს პერიოდი მთლიანად თქვენს სამსახურებრივ საქმეებსა და კარიერულ წინსვლას დაუთმოთ, სწორედ აქ გამოჩნდება ახალი პერსპექტივები, ნაცნობები და მფარველები (განსხვავებით პირადი ცხოვრებისგან, სადაც უფრო ბევრი ყოფითი პრობლემა გექნებათ გადასაჭრელი). მოსალოდნელია გარკვეული კონფლიქტი მოგიხდეთ საკუთარი ოჯახის წევრთან, გახსოვდეთ, დაპირისპირება და სიტუაციის დაძაბვა ნამდვილად არ დაასხამს თქვენს წისქვილზე წყალს. ურთიერთობები პოზიტიურია ლომსა და თევზებთან, ნეგატიური – კუროსა და ღრიანკალთან. **პოზიტ. დღეები:** 22, 24, 25. **ნეგატ. დღეები:** 26, 27.

## თევზები – 20/II-20/III

გარკვეულწილად შესუსტდება იღბლიანობის მომენტი, კონტაქტები და შეხვედრები უფრო ბუნდოვან სახეს მიიღებენ და მოსალოდნელია ამოვარდეთ ცხოვრების საერთო რიტმიდან. ეს ყოველივე კი თქვენს გაღიზიანებას გამოიწვევს. თუმცა, სიტუაცია მალევე გამოსწორდება და მეგობრების დახმარებით ადვილად შეძლებთ რთული მდგომარეობიდან გამოსვლას. ურთიერთობები პოზიტიურია სასწორსა და მორიელთან, ნეგატიური – ვერძსა და თევზებთან. **პოზიტ. დღეები:** 22,23,25. **ნეგატ. დღეები:** 21, 24.

მოამზადა რამაზ გიგაურმა



- მოხეტიალე მოცეკვავე ქალი ინდოეთში
- ვიოლინოს წინამორბედი
- კბილის ექიმი
- „რობინზონ კრუზოს" ავტორი
- სახელმწიფო სამხრ. ამერიკაში
- მოსარჩლე, დამცველი
- საჭმლის მომზადების ოსტატობა
- გავლენიანი პირის მფარველობა
- იატაკის საფარი
- ელექტრულად დამუხტული ნაწილაკები
- სასიკვდილო
- სახელმწიფო აფრიკაში
- პერუს დედაქალაქი
- საბერძნეთის ფულის ერთეული
- სიუჟეტის დაძაბული განვითარება რომანში
- მწარე საწებელი
- გრამატიკის ნაწილი
- სამშობიარო ექიმი
- ბრძოლა
- საზეიმო წვეულება
- ქართველი პოეტი
- ქიმ. რეაქციაში მონაწილე ნივთიერება
- ძვ. რუსული სიგრძის საზომი ერთეული
- კოვბოის ქამანდი
- სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში
- მტაცებელი ფრინველი
- ტბა ციმბირში
- უკუდო ამფიბია
- ბოქლომი
- დედამიწის ჩრდილოპოლარული მხარე
- რიაზანოვის ფილმი
- მუს. ნაწარმოების შესავალი
- დარჩეული კაკლის გული
- მთავარი მსაჯი
- ნამუსი



მე-19 გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-გ; 2-ა; 3-გ; 4-ა.
25-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-გ; 2-ა; 3-ბ.



# ანეკდოტები

***

განცხადება:

იყიდება ენციკლოპედია საუკეთესო მდგომარეობაში, რადგან აღარ მჭირდება (გასულ კვირას დავქორწინდი, და აღმოჩნდა, რომ სიდედრმა ყველაფერი იცის).

***

ორი რუსი დაქალი ერთმანეთს ესაუბრება:

— სექსის დროს ქმრის თვალებში თუ ჩაგიხედავს?

— კი, ერთხელ, კარი შემოაღო...



***

წიგნების მაღაზიაში ერთი კაცი ხელში ატრიალებს მეუღლის ნაჩუქარ წიგნს სახელწოდებით: „გააკეთე თვითონ" და გამყიდველს ეკითხება:

— შემთხვევით ხომ არ გაქვთ გაყიდვაში წიგნი: „გააკეთე ცოლო".

***

ოპერის მომღერალს მამა მოუკვდება:

— მამიიი, მაამიიიი,... ჰმმ ჰმმ,... მი, მიი, მიიიი..

***

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეს:

— მამაშენი რა პროფესიისაა?

— მხატვარი მასწ... ხატავს და ხატავს.

— დედაშენი?

— მკითხავი... კითხულობს და კითხულობს.

***

— მეტი... მეტი ლტოლვა ხმაში! — უხსნის რეჟისორი ოპერის ტენორს. — ნუთუ არასდროს არავინ გყვარებია.

— მყვარებია, — პასუხობს ტენორი, — მაგრამ ამის გამო არასდროს მიმღერია.

***

კომპიუტერშიკს ეკითხებიან:

— რა მოგივიდა, ჟორა, რატომ აქნევ თავს ასე?

— აზრები გამეჭედა.



***

ორი ნაცნობი ხვდება ერთმანეთს. ერთი ეკითხება:

— რატომ ხარ მოწყენილი?

— წარმოგიდგენია?! — ცოლმა დღეს ბებერი ვირთხა მიწოდა.

— კარგი ერთი, თუ კაცი ხარ... მაგან გაგაბრაზა?!. ნუ მიაქცევ ყურადღებას. ბებერი ნაღდად არა ხარ...

***

მკითხავი კლიენტ მამაკაცს კარტს უშლის:

— შენნნ... გაჭაღარავებასსს... ვერ მოესწრები...

— რატომ მალე მოვკვდები?

— არა... მალე გამელოტდები.

***

ცოლი ქმარს:

— ძვირფასო, როგორ ფიქრობ, ერთმანეთისთვის ხომ არ გვეღალატა, ეს ცხოვრებისეული ერთფეროვნება რომ შეგვეცვალა?

— აზრი არა აქვს... მე უკვე ვცადე.

***

გამომძიებელი:

— თქვენ ცნობთ ამ დანას?

— დიახ, ვცნობ.

— აჰა! როგორც იქნა, გამოტყდით!.. ესე იგი, ცნობთ!

— ვცნობ, აბა, არ ვცნობ?! უკვე მეორე კვირაა, რაც მაგ დანას მაჩვენებ.

***

მეგობარი ეუბნება სვანს:

— წამო, ნაშები დავაბათ.

— ხო, დავაბათ და მერე დავჩეხოთ!

***

ტიპი ავტობუსშია და ამბობს:

— ყველანი მკიდიხართ!

ცოტა ხანში მიდის მოხუცი ქალი და ეუბნება:

— ნენა, ჩამომხსენი, რა იქნება, აქანე ჩავდივარ.

***

წლობით უნახავი ორი სადისტი მეგობარი ერთმანეთს შეხვდა. ერთი ეკითხება მეორეს:

— როგორ ხართ, ოჯახში ხომ ყველაფერი კარგადაა?

— კარგად ვართ, კარგად... თავიდან მე და ჩემი ცოლი ვცემდით ერთმანეთს, ახლა ბავშვებსაც ვურტყამთ.

***

ცოლი ეუბნება ქმარს:

— ბოლოს და ბოლოს, მიყიდი თუ არა ამ მძივს?!

— ეს რა, ულტიმატუმია?

— არა, მარგალიტია.

***

ქუთაისში რესტორნის მეპატრონე ოფიციანტს უყვირის:

— ბიჭიკია, იმ კლიენტს რატო ეკამათებოდი?!. ერთხელ და სამუდამოდ დეიმახსოვრე: კლიენტი ყოველთვის მართალია!.. ისე, მაინც რა გითხრა ამნაირი?

— განსაკუთრებული არაფერი, ამბროსიჩ... თქვენზე იძახდა, უსინდისო და ნაძირალააო.

***

— იცი, აშოტიკ, წუხელ, შენი ცოლი დამესიზმრა.

— И что она сказала?

— არც ერთი სიტყვა არ უთქვამს.

— ზნაჩიტ, ჩემი ცოლი არ ყოფილა.

***

შეკითხვა:

— რა ჰქვია ხუთი გურულის ჭამის პროცესს?

პასუხი:

— Lɘnch ხუთი.

***

— გოგონი, თქვენ ცეკვავთ?

— არა.

— მაშინ დროს ნუ დავკარგავთ.



***

ექიმი ავადმყოფს ორ აბს აძლევს.

— ერთს მიიღებთ ძილის წინ, ხოლო მეორეს დილით... თუ გაიღვიძებთ.



# რამდენად მშვიდი ფსიქიკა გაქვთ?

იმაზე დაკვირვებით, თუ როგორ რეაგირებს ადამიანი სრულიად ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ სიტუაციებზე, მისი ფსიქიკის მდგომარეობაზე ბევრი რამის თქმა შეიძლება. ყველას როდი შეუძლია მოდუნება, ეს კი გამუდმებულ დაძაბულობასა და გადაღლილობას იწვევს. ასეთ ადამიანებს მღელვარე და მოუსვენარი ქცევა ახასიათებთ. აქედან კი ნევროზამდე ერთი ნაბიჯიღაა დარჩენილი.

1. უსიამოვნო შიშისმაგვარი გრძნობა ხომ არ გეუფლებათ, როცა სრულ სიბნელეში მარტო აღმოჩნდებით ხოლმე?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

2. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ძალზე ბევრი მოვალეობა გაკისრიათ?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

3. გაღელვებთ თუ არა, რას ფიქრობენ თქვენზე სხვები?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

4. ხომ არ კრთებით, როცა მოულოდნელად ტელეფონი რეკავს?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

5. ღელავთ თუ არა წვრილმანებზე?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

6. ღელავთ თუ არა ფულზე?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

7. ტრანსპორტში ჯდომისას, თუკი შემთხვევით თქვენს გაჩერებას გასცდებით, ძალიან ხომ არ განიცდით ხოლმე?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

8. როცა რაღაცაზე ღელავთ, უძილობა ხომ არ გაწუხებთ ხოლმე?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

9. ხომ არ ყოფილა პერიოდი, როცა ძილის წამალს სვამდით?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

10. დამაწყნარებელი პრეპარატები ხომ არ დაგილევიათ ოდესმე?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

11. შებოჭილ ადამიანად ხომ არ მიგაჩნიათ საკუთარი თავი?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

12. როცა ბრაზდებით ან ძალიან ნერვიულობთ, ხმა ხომ არ გიკანკალებთ ხოლმე?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

13. ადვილია თქვენი შეცბუნება?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

14. ადვილად დუნდებით?
ა) დიახ – 0; ბ) არა – 1.

15. როგორ ფიქრობთ, სხვებისგან განსხვავებით, უფრო მეტად მოუსვენარი და ნერვიული ხომ არ ხართ?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

16. გაუთავებლად რაღაცაზე ხომ არ ღელავთ და რაღაცას ხომ არ განიცდით?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

17. ნერვები ადვილად გეშლებათ?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

18. ზოგჯერ პანიკაში ხომ არ ვარდებით ხოლმე?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

19. ზოგჯერ იმის სურვილი ხომ არ გიჩნდებათ, რომ მიატოვოთ ყველაფერი და სადღაც შორს გაიქცეთ?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

20. რამე ისეთი დაავადება ხომ არ გაწუხებთ, რომელიც სტრესის დროს გიმძაფრდებათ (მაგალითად, საჭმლის მომნელებელი სისტემის მოშლილობა, ჭინჭრის ციება)?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

21. ხმაური ხშირად გაღიზიანებთ?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

22. წვრილმანი ადმინისტრაციული მოთხოვნები ხომ არ გაღიზიანებთ?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

23. როცა რაიმეში არ გიმართლებთ, ღიზიანდებით ხოლმე?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

24. ვინმეს დაცინვა გულს ხომ არ გტკენთ?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

25. ჩვევაში ხომ არ გაქვთ, ძილის წინ არაერთგზის შემოწმება — კარი ჩაკეტილია თუ არა?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

26. წვეულებაზე ან სტუმრად წასვლის წინ, მღელვარება ხომ არ გეუფლებათ ხოლმე?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

27. როცა მეგობრები თქვენთან მოსვლას აპირებენ, დიდ დროს ანდომებთ თუ არა სტუმრების მისაღებად მზადებას?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

28. ადვილად წითლდებით?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

29. სიამოვნებას განიჭებთ თუ არა ახალი ნაცნობობა, ახალი კონტაქტები?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

## ტესტის შედეგები

**10 და უფრო მეტი ქულა:** ძალზე მშფოთვარე ადამიანი ბრძანდებით. ქულათა რაოდენობა თქვენი მოუსვენრობის ხარისხს განსაზღვრავს, ე.ი. რაც მეტი ქულა გაქვთ, მით უფრო მღელვარე ადამიანი ბრძანდებით. მართალია, სტრესის აცილება თქვენს ძალებს აღემატება, მაგრამ გარკვეულწილად მდგომარეობის შემსუბუქებას შეძლებთ, თუკი თავდაცვის მექანიზმს შეიმუშავებთ: ამისთვის კი უნდა ისწავლოთ მოდუნება და საკუთარი შიშის დათრგუნვა შეძლოთ. ოცნება, ტვინის მოდუნების ერთ-ერთი ძალზე ეფექტიანი საშუალებაა. როცა ცოტაოდენ თავისუფალ დროს გამოძებნით, წამოწექით და თვალები დახუჭეთ: წარმოიდგინეთ, რომ პლაჟზე იმყოფებით, გესმით ზღვის ტალღების ტყლაშუნის ხმა და გრძნობთ მზის სხივების სითბოს. არავითარი მღელვარება, არავითარი საზრუნავი! თუკი მოდუნების ამ ხერხს დაეუფლებით, დარწმუნებული იყავით, რომ წარმოსახვის საშუალებით უამრავ სტრესულ სიტუაციასთან გამკლავებას შეძლებთ.

**4-9 ქულა:** მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულწილად საკუთარი თავის ხელში აყვანა შეგიძლიათ, მოუსვენრობა და მღელვარება მაინც ხშირად გიპყრობთ. ზემოთ მოყვანილი მოდუნების ხერხის დაუფლება თქვენთვისაც სასარგებლო იქნება.

**3 და უფრო ნაკლები ქულა:** შეიძლება ითქვას, რომ საკუთარ თავთან სრულ თანხმობაში იმყოფებით. ამის წყალობით, ცხოვრების მიერ შემოთავაზებულ უსიამოვნებებსა და პრობლემებს იოლად უმკლავდებით.

# ინდური ნაციონალური ცეკვა ბომბეიში უკანონოდ ითვლება

ბომბეიში დაახლოებით 600 კაბარე-ბარი დაიკეტება. როგორც ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რამდენიმე დღის წინ, მინისტრთა კაბინეტმა, ოპოზიციონერების მკვეთრი კრიტიკის საფუძველზე მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც ბომბეიში კაბარეების ფუნქციონირება აიკრძალება. მიუხედავად იმისა, რომ მახარაშტარაში 650 მსგავსი დაწესებულება დაიკეტა, ოპოზიციამ გადაჭრით მოითხოვა, რომ ბარებსა და კაბარეებს ბომბეიშიც შეეწყვიტათ ფუნქციონირება. ახალი კანონპროექტის




ინიციატორების აზრით, მსგავსი გასართობი დაწესებულებები ხრწნიან ახალგაზრდობას, აფერხებენ ქვეყანაში კულტურის წინსვლას და ხელს უწყობენ პროსტიტუციის განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ კლიენტებს ბარის მომსახურე პერსონალთან მიახლოების უფლება არა აქვთ, პოლიცია ამტკიცებს, რომ კაბარეების უმეტესობა კლიენტებს სექსუალურ მომსახურებასაც უწევს. გასულ წელს, შემოწმებისას, მსგავს დაწესებულებებში ასზე მეტი მეძავი დააკავეს.

ახალი კანონპროექტის წინააღმდეგ, დაწესებულებების მფლობელებმა და მოცეკვავეებმა მრავალრიცხოვანი საპროტესტო აქცია მოაწყვეს. ისინი იმუქრებიან, რომ აქციას არ შეწყვეტენ მანამ, სანამ მათი მოთხოვნა არ შესრულდება. „თუკი კაბარეები დაიკეტება, სამუშაო ადგილის გარეშე დაახლოებით 150 ათასი ადამიანი – მოცეკვავეები, ოფიციანტები და დაცვის თანამშრომლები – დარჩება“, – ამბობენ აქციის მონაწილენი. ■

# ნიგერიელმა ბავშვებმა 6 ათასი აშშ დოლარი იპოვეს



რამდენიმე დღის წინ, ქალაქ მაიგუდარში მცხოვრებმა ძმებმა, 6 ათას დოლარზე მეტი ნაღდი ფული იპოვეს და პატრონს უკლებლივ ჩააბარეს. კუპიურები აკურატულად ეწყო პლასტიკის პაკეტში, რომელიც ნაგვის ურნასთან ეგდო. ბიჭებმა, თამაშისას, პაკეტს შემთხვევით ფეხი წაჰკრეს და მისი ფეხბურთის ბურთის მაგივრად გამოყენება დააპირეს, მაგრამ პაკეტი იმდენად მძიმე აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთმა მათგანმა კინაღამ ფეხი მოიტეხა. მაშინ ბავშვებმა ფეხბურთის თამაში გადაიფიქრეს და პაკეტი გახსნეს, მასში კი ფულის მთელი გროვა აღმოჩნდა. ბიჭებმა რჩევისათვის უფროს ძმას მიმართეს. მან გადაწყვიტა, ეს ამბავი ადგილობრივი პოლიტიკოსისთვის – მუჰამედ ტარასთვის შეეტყობინებინა, რომელმაც სწორედ იმ დროს, ახლომახლო ჩაიარა. ტარამ მომხდარის შესახებ თანამოქალაქეებს შეატყობინა. სულ ცოტა ხანში, რამდენიმე ადამიანმა გააკეთა განაცხადი, ფულის დაკარგვის შესახებ, მაგრამ ფულის კუპიურები სწორად ვერც ერთმა მათგანმა ვერ აღწერა. სამაგიეროდ, იმავე ქალაქში მცხოვრებმა, ზაკარია დაუდმა შეძლო დაემტკიცებინა, რომ ნამდვილად ნაპოვნი პაკეტის მფლობელი იყო, თუმცა, კითხვაზე – როგორ მოხვდა ფულით სავსე პაკეტი ნაგვის ურნასთან, მას კომენტარი არ გაუკეთებია. მოგვიანებით გაირკვა, რომ მის დას, შემთხვევით ნაგვისთვის გაუყოლებია.

ბიჭების დედა ძლიერ ამაყობს თავისი ხუთი შვილის საქციელით, თუმცა მათი თანამოქალაქეები უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ბავშვებს ხელისუფლებისგან არანაირი ოფიციალური ჯილდო არ ერგოთ. „იმ ქვეყანაში, რომელიც კორუფციის ჭაობში უფრო და უფრო ეფლობა, უბრალოდ აუცილებელია, ამგვარ კეთილშობილურ საქციელზე აქცენტი გაკეთდეს“, – ამბობენ ისინი. პაკეტის მფლობელმა ბიჭებს, მადლობის ნიშნად, 37 აშშ დოლარი აჩუქა. ქალაქ მაიგუდარის მცხოვრებლები ამ ფაქტმა კიდევ უფრო ალაშფოთა: „ეს უბრალოდ ამ ბავშვების დაცინვაა და მეტი არაფერი“, – აღნიშნეს მათ. ■

# საუდის არაბეთში იძულებითი ქორწინება აიკრძალა

საუდის არაბეთში, რელიგიური წრეების წარმომადგენლების მოთხოვნით, ამიერიდან იძულებით გათხოვება აიკრძალება. მამას, რომელიც ქალიშვილის ამგვარი გზით „გაბედნიერებას“ ეცდება, პატიმრობა ელის, ვიდრე გადაწყვეტილებას არ შეიცვლის. „ძალდატანებით გათხოვება უსამართლობაა. დაუშვებელია, აიძულო ქალი, არასასურველ მამაკაცს მისთხოვდეს და უარი თქვას თავის რჩეულზე. ეს ისლამის კანონებსაც ეწინააღმდეგება“, – თქვეს მათ. თუმცა, დღესდღეობით, ქალების უმეტესობა, ოჯახის წევრების მითითებით თხოვდება – შესაბამისად, ხშირია განქორწინებაც. გარდა ამისა, მუსლიმან ქალებს უამრავი რამ ეკრძალებათ. კერძოდ, მათ არა აქვთ საარჩევნო ხმის უფლება, იძულებულნი არიან, ატარონ ჩადრი და დახურული ტანისამოსი, ეკრძალებათ მანქანის ტარება და ფეხით მარტო სეირნობა... 2001 წლამდე კი პირადობის მოწმობა მხოლოდ მამაკაცებს ჰქონდათ. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დროს, ხელისუფლება ქალების უფლებების დასაცავად, მთელ რიგ რეფორმებს ატარებს. ■



# ყურადღება!

# 22 აპრილიდან!




## ნაბიჯი ჭეშმარიტებისაკენ

# ფოტოკურიოზები









